

სოციალური
კვლევარობა,
ქალთა ურთიერთობა
და უინფორმაცია

თარგმანების კრებული



**სოციალური კვლავწარმოება,
ქალთა შრომა და შინშრომა
თარგმანების კრებული**

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC)

2020

წინამდებარე თარგმანების კრებული მომზადებულია პროექტის, „*ლეგბტი პირთა უფლებების გაძლიერება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა*“, ფარგლებში სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) ფინანსური მხარდაჭერით.

თარგმანების კრებულში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ გამოხატავდეს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისა“ (EMC) და სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) პოზიციას.

კრებულის შემდგენელი: ლიკა ჯალაღანია
ენობრივი რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
ფოტო ყდაზე: ლიკა ჯალაღანია
გარეკანის დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ტირაჟი: 200

ISBN: 978-9941-8-2970-3

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
www.emc.org.ge
info@emc.org.ge
<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციაა. მისი ამოცანაა თავისუფალი, თანასწორი და სოლიდარული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. ორგანიზაცია მიზნად ისახავს სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის, ჩაგვრის სტრუქტურული მიზეზების გამოვლენას, მათ კრიტიკულ ანალიზსა და უფლებადაცვითი ინსტრუმენტებისა და აქტივისტური ბრძოლის მეთოდების გამოყენებით არსებული პოლიტიკის შეცვლას.

წინამდებარე თარგმანების კრებული სწორედ ზემოაღნიშნულ მიზანს ემსახურება, რომელიც ცდილობს ხელი შეუწყოს ქალთა შრომისა და შინშრომის კრიტიკულ ანალიზსა და მის თეორიულ გადააზრებას, რომელიც პრაქტიკაში რეალური გარდაქმნებისა და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული დღის წესრიგის შექმნას მოემსახურება.

სარჩევი

სოციალური კვლავწარმოების კრიზისის ცნების შესახებ:	
თეორიული მიმოხილვა	7
ავტორი: ჯორჯ კაფენცისი	
თარგმანი: ალექსანდრა აროშვილი	
სამუშაო ძალის კვლავწარმოება გლობალურ ეკონომიკაში, მარქსისტული თეორია და დაუსრულებელი ფემინისტური რევოლუცია	42
ავტორი: სილვია ფედერიჩი	
თარგმანი: ალექსანდრა აროშვილი	
საშინაო შრომის საკითხის გადაზრება	76
ავტორი: ლის ვოგელი	
თარგმანი: ლაშა ქავთარაძე	
ზრუნვის კრიზისი? თანამედროვე კაპიტალიზმის სოციალურ-კვლავწარმოებითი წინააღმდეგობები	103
ავტორი: ნენსი ფრეიზერი	
თარგმანი: მარიამ ქაჭაია	
სოციალური კვლავწარმოების გაფიცვა: ცხოველქმნა კაპიტალიზმის მიღმა	134
ავტორი: სიუზან ფერგიუსონი	
თარგმანი: ლაშა ქავთარაძე	
აფექტური შრომა	170
ავტორი: მაიკლ ჰარდტი	
თარგმანი: მარიამ ქაჭაია	

სოციალური კვლავწარმოების კრიზისის ცნების შესახებ: თეორიული მიმოხილვა

ჯორჯ კაფენცისი

თარგმანი: ალექსანდრა აროშვილი

რა როლს თამაშობს გარე-საბაზრო ურთიერთობები სოციალური კვლავწარმოების პროცესში მაშინ, როცა საბაზრო ურთიერთობები სოციალური გაცვლის პარადიგმა ხდება? „გარე-საბაზრო“ ურთიერთობები და აქტივობები (მეგობრული საუბარი, ბავშვის მშობლობა) – სოციალური საკითხის არსებითი შემადგენელია, თუ მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ბაზრის არსებობის გამოსხივების ჩრდილი? გამართლებულია თუ არა საბაზრო მოვლენებისთვის – როგორც სოციალური აისბერგის მწვერვალისთვის – ექსკლუზიური ყურადღების მიქცევა, თუ ეს კონცეპტუალური და პრაქტიკული აშლილობის რეცეპტია? ამ კითხვებს სოციოლოგიისათვის, ეკონომიკისგან განსხვავებით (დღემდე), დიდი ხნის განმავლობაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ საკითხზე უფრო ცხადი წარმოდგენის შესაქმნელად, წარმოვიდგინოთ სატელეფონო ზარები ან ელექტრონული წერილები, რომლებიც დღის განმავლობაში იგზავნება აშშ-ის ნებისმიერ ქალაქში. ჩვენ შეგვიძლია ისინი საბაზრო გაცვლებს მივაკუთვნოთ, რადგან ზარებისა და წერილების უმეტესობა ნაყიდი აქვს სატელეფონო კომპანიას, მრავალი მათგანი კი სწორედ საბაზრო აქტივობების კონტექსტშია მომზადებული. მაგრამ რას ვიტყვით არასაბაზრო გაცვლებზე, რომლებსაც, შესაძლოა, ისინი ახდენდნენ? რას ვიტყვით ზარებსა და შეტყობინებებზე, რომლებსაც ადამიანები ახორციელებენ არა იმისთვის, რომ რაიმე იყიდონ ან გაყიდონ, არამედ ოჯახური ურთიერთობების კონტექსტში, სასიყვარულო ურთიერთობებში, ბრძოლებში – მათ შორის,

სატელეფონო კომპანიის წინააღმდეგ? ამ ბარებს და შეტყობინებებს, ცხადია, აქვთ „სახმარი ღირებულება“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უმნიშვნელოა საზოგადოებრივი სიმდიდრისთვის?

როგორც მარქსი წერს, „იმ საზოგადოებების სიმდიდრე, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესია გაბატონებული, წარმოადგენს თავს, როგორც „საქონლების უზარმაზარ დაგროვებას“ (Marx 1967, Vol. 1 : 35)“. სატელეფონო კომპანიის შემთხვევაში, სიმდიდრე წარმოგვიდგება კომპანიის ბრუნვის სახით, თუმცა ბრუნვა არ ამჟღავნებს ინფორმაციისა და სოციალური კოორდინაციის ქსელს, რომელიც მავთულხლართებში მოძრაობს. რა ურთიერთობაა ამ ინფორმაციულ, წარმოსახვით სიმდიდრესა და სასაქონლე ფორმას შორის? ჩვენ ვიცით, რომ სატელეფონო კომპანიის მშრომელთა გაფიცვა ან მათი საპროცენტო განაკვეთის ზრდა გავლენას მოახდენდა იმაზე, თუ რამდენი ბარი ხორციელდება; ისევე როგორც ამ ბარების ფასებზე. მაგრამ რას ვიტყოდით სოციალურ სიმდიდრეზე, რომელიც ამ გაცვლებში ინარმოება? შეიძლება თუ არა ყველაფრის გაზომვა საბაზრო საშუალებებით?

თუ განვაზოგადებთ სატელეფონო ბარებისა და ელექტრონული წერილების ამ მაგალითს, მისი ყველა მატერიალური გაცვლის გათვალისწინებით (მაგალითად, პირადი საუბრების, სასიყვარულო შეხვედრების), დავინწყებთ ბაზრის დიდი „სხვის“ (the great “Other”) აღმოჩენას. ფულისა და საქონლის მიმოქცევის გარეთ არსებული ეს სფერო გვიანი 1960-იანი წლებიდან, მიმზიდველი საკითხი იყო სოციალური მეცნიერებისთვის. უფრო და უფრო მზარდი გახდა აღქმა, რომ არასაბაზრო გაცვლებს შეუძლია შეარყიოს ფორმალური ეკონომიკა და ზიანიც კი მიაყენოს მას, თუმცა ისიც, რომ ამავე დროს, ეს გაცვლები არსებითია მისი არსებობისთვის (Swedberg, 1987, Swedberg 1990, Smelser and Swedberg 1994). ამრიგად, მათი რაოდენობრივი გაზომვა და მათი პოტენციალის შეფასება სოციალური თეორიისთვის გადამწყვეტი საკითხები გახდა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა აფრიკის, აზიის და ნაწილობრივ, ამერიკის ქვეყნების სხვადასხვა არეალში დასახლებუ-

ლი საზოგადოებების კვლევებში, სადაც სასაქონლე ფორმა არ არის დომინანტური; ასევე, საშინაო შრომისა და იმ სხვა აქტივობების შესწავლებში, რომლებიც ჩართულია სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში. ამ უკანასკნელის უდიდესი ნაწილი, თითქმის მთელ პლანეტაზე, ფორმალური საბაზრო სივრცის გარეთ სრულდება.

არასაბაზრო ურთიერთობების სფეროს აღსაწერად, პოლიტიკური თეორეტიკოსების უკანასკნელმა თაობამ ახალი ცნებები განავითარა: „აუნაზღაურებელი შრომის“ სექტორი (Dalla Costa and James 1972), „სოციალური სანარმო“ (Tronti 1973), „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ (Illich 1981), „გენერალური ეკონომიკა“ (Bataille 1988), „მორალური ეკონომიკა“ (Thompson 1991) და „არაფორმალური ეკონომიკა“ (Latouche 1993). მათთან ერთად, დაფუძნდა ახალი სოციოეკონომიკური პოლარულობები და დაიწყო სოციალური ფორმების დეკონსტრუქცია.: ფორმალური/არაფორმალური, წარმოება/კვლავწარმოება, საბაზრო/მორალური, რაციონალური/ტრადიციული და მოდერნული/პოსტ-მოდერნული. აშკარა დიქტომიები იქამდე გამოიკვეთა, ვიდრე მათი სავარაუდო დადებითი და უარყოფითი პოლუსები დალაგდებოდა ან ამოზნუხდებოდა, რათა ურთიერთობებისა და მიმართებების ახალი ველები გამოაშკარავებულიყო. მაგალითად, როდესაც კვლავწარმოების შრომა ხილული გახდა – ნატურალურ მეურნეობაში ჩართული ფერმერობის ჩათვლით – შეუძლებელი გახდა იმ ფაქტის კვლავ იგნორირება, რომ აუნაზღაურებელი შრომის მოცულობა უკან იტოვებს ანაზღაურებადი შრომის მასებს. ამ უკანასკნელს როგორც მარქსისტების, ისე არამარქსისტების ეკონომიკურ ანალიზებში პირველადი ადგილი ეკავა.

პირველი კითხვა, რომელსაც აღნიშნული თეორიული რევოლუცია სვამს, ამ მოვლენათა ფონზე ძველ კონცეფციათა სტატუსებს ეხება: როგორ შეცვალა არასაბაზრო ურთიერთობების მნიშვნელობის გადაზრებამ სოციალური კვლავწარმოების კონცეფცია, რომელიც იქამდე პოლიტეკონომიაში მხოლოდ საბაზრო საფუძველზე განიხილებოდა? უფრო ზუსტად, როგორ მიემართება ამ სფეროს „სოციალუ-

რი კვლავწარმოების კრიზისის“ კონცეფცია, რომელიც მონათლულია „ნორმალური“ საბაზრო ურთიერთობებიდან ამოვარდნად და როგორც მარქსთან, ისე მთელი კლასიკური ეკონომიკის ტრადიციაში დეპრესიებთან, პანიკებთან და ბუშტებთან არის ასოცირებული? შეგვიძლია თუ არა, განვაკითხოთ ასეთი კრიზისების შესახებ უფრო ზოგადი ცნება იმასთან ანალოგიით, რაც სასაქონლე გაცვლებშია ფესვგადგმული? შეიძლება თუ არა შიმშილების, გენოციდების, ომების და სოციალურ კვლავწარმოებაში სხვა „ჩავარდნების“ ახსნა კრიზისის კლასიკური ცნების განზოგადებით?

სწორედ ამ კითხვებზე ფოკუსირდება წინამდებარე ესე, ისევე როგორც სოციალური თეორია 1980-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც აღიარებულ იქნა, რომ შიმშილები და უამრავი სხვა უბედურებები წარმოადგენს არა ბუნებრივ კატასტროფებს, არამედ საკვებზე, მიწასა და არსებობის სხვა ფორმებზე უფლებების ჩამორთმევისგან სოციალურად გამონვეულ შედეგებს – როგორც ეს A.K. Sen-ის შრომამ და სხვებმა აჩვენეს [cf., (Sen 1981); (Macrae and Zwi 1994); (De Waal 1989)].

ჩემი დისკუსია იწყება მარქსის სოციალური კვლავწარმოების თეორიის, როგორც ამ საკითხზე დღემდე ყველაზე დახვეწილი კლასიკური ეკონომიკური თეორიის ანალიზით. ამის შემდეგ გამოვყოფ სამ ალტერნატიულ მიდგომას. სამივე მათგანი იხელთებს არასაბაზრო ურთიერთობების მნიშვნელობას, თუმცა განსხვავდება ანალიზის გზების მიხედვით. პირველი მიდგომა არასაბაზრო გაცვლებს სასაქონლე ფორმის განზოგადების საშუალებით ხსნის, მეორე ანზოგადებს თავად სოციალური გაცვლის ურთიერთობას, მესამე კი, ყურადღებას არასაბაზრო ფენომენების ღირებულების მწარმოებლურ ასპექტებზე ამახვილებს. თითოეული ასევე გვთავაზობს სოციალური კვლავწარმოების კრიზისის ცნების სხვადასხვა პერსპექტივას, რომლებიც, ჩემი ხედვით, გამოცდის კიდევ მათ ამხსნელ ძალას. მე მიმაჩნია, რომ მესამე მიდგომას უდიდესი პოტენციალი აქვს, ახსნას სოციალური კვლავწარმოების კრიზისები – როგორიცაა, მაგალითად, შიმშილები.

სოციალური კვლავწარმოება: გენეოლოგია და კრიზისი. მარქსიანული ხედვა

სოციალური კვლავწარმოება უჩვეულო ტერმინია. „კვლავწარმოება“ გვაგონებს ბუნებრივად განმეორებით ბიოლოგიურ ციკლებს, მაშინ როდესაც „სოციალური“ გულისხმობს განზრახული და ნებაყოფლობითი ურთიერთქმედებების სიმრავლეს. მიუხედავად ამისა, რწმენა, რომ მოდერნულ კაპიტალისტურ საზოგადოებებს ბუნებრივი კვლავწარმოების ციკლები გააჩნიათ, ცენტრალური იყო ეკონომიკისა და სოციოლოგიის განვითარებაში. დაძაბულობა, რომელიც ამ კონცეფციაში გვხვდება, თვალსაჩინოა ამ დისციპლინებს შორის დღემდე არსებულ უხერხულობაშიც, რისი მიზეზების დანახვა ეტიმოლოგიურადაც შეგვიძლია: „სოციოლოგია“ მოდის ლათინური *socius*-იდან, რაც თავისუფლად არჩეულ თანამგზავრს გულისხმობს, რომელთანაც არ არსებობს სისხლისმიერი კავშირი. ამის საპირისპიროდ, „ეკონომიკა“ ძველი ბერძნული სიტყვა *oikos*-იდან მოდის („გული და სახლი“) რაც სისხლისა და მონობის ბორკილებს აღწერს. *oikos*-ის კვლავწარმოებაზე საუბარი შესაძლებელია, ვინაიდან შინამეურნეობა მოიაზრებოდა არა არჩევანისა და თავისუფლების ველად, არამედ ბუნებასა და ტრადიციას შორის საზღვრად, საზღვრად *physis*-სა და *nomos*-ს შორის, რის გამოც ის იზიარებს ფიზიკური სამყაროს ავტომატურობისა და განმეორებითობის თვისებებს. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური ურთიერთობები აუცილებლობის სფეროს განეკუთვნებოდა: ისინი ვითარდებოდა ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს, ბატონებსა და მონებს შორის და მათი კვლავწარმოება ერთი შეხედვით „ბუნებრივ“ რითმებში იყო ფესვგადგმული. ამის საპირისპიროდ, სოციალური ურთიერთობები მიეკუთვნებოდა თავისუფლების სფეროს, და ეფუძნებოდა თანასწორობა შორის ურთიერთშეთანხმებას, „ბუნებრივი“ ბორკილებისგან თავისუფლად. ამ სასურველ დამთხვევებზე აგებული უნიკალური ურთიერთობების კვლავწარმოება წარმოუდგენელი იყო. საუკეთესო შემთხვევაში (როგორც ეს არისტოტელეს „ეთიკაში“) მათი შენარჩუნებისთვის გარკვეული წესები უნდა დადგენილიყო.

socius-სა და *oikos*-ს შორის ეს ბერძნულ-რომაული განსხვავება კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ამოიჭამა, რამდენადაც ოჯახური, სისხლით კავშირებზე დაფუძნებული გადარჩენის რეჟიმები მონეტარულ გაცვლებზე დამოკიდებულებით (რაც „თავისუფლების“ ბურჟუაზიული გაგების საფუძველია) ჩანაცვლდა. ამ მოვლენიდან წამოვიდა სწორედ „საზოგადოების“ და „პოლიტიკური ეკონომიის“ ცნებები – განვითარებიდან, რომელმაც ორივე – პროლეტარებიც (შეზღუდვების შემდეგ) და რენტიერებიც (რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ თავიანთ მამულებში წარმოებული საქონლის მოხმარებას) დააზიანა. ამ ცნებაში ბერძნული *politikos* გამოყენებულია, როგორც ლათინური *socius*-ის სინონიმი. ლოკის „სოციალური კონტრაქტის“ თეორიამ მეჩვიდმეტე საუკუნის ბურჟუაზიაში გავრცელებული აღქმის ფორმალიზება მოახდინა, რომლის თანახმადაც, *oikos*-ისთვის დამახასიათებელი „ბუნებრივი“ ურთიერთობები (ქმარი-ცოლი, მამა-ბავშვი, ბატონი-მსახური) „სოციალური“ გახდა, როგორც ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საგანი, როგორც კონტრაქტი თანასწორთა შორის. თუმცა გაჩნდა საპირისპირო გაგებაც, რომ საზოგადოებას, თავის მხრივ, ასევე აქვს ბიოლოგიური მეტაბოლიზმი და კვლავწარმოების ციკლები. ამ მიდგომამ სათავე დაუდო „სოციალური კვლავწარმოების“ კონცეფციას, რომელიც განმანათლებლობის ეპოქაში პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის მთავარ საგნად იქცა.

სოციალური კვლავწარმოების პირველი თეორია, მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში კენემ წარმოადგინა „*ეკონომიკურ ცხრილში*“. ახალი მიდგომის გამოყენებით, კენემ დასვა კითხვა, თუ როგორ კვლავწარმოებს საკუთარ თავს კონკრეტულ კლასებად (კაპიტალისტებად, მშრომელებად, რენტიერებად) დაყოფილი, ერთმანეთთან დაკავშირებული ინდივიდების ერთობები, რომლებიც მხოლოდ კონტრაქტით არიან დაკავშირებულნი; და როგორ კვლავწარმოებენ ისინი საკუთარ თავს იმგვარად, რომ წარმოების ციკლისა და საქონლის მიმოქცევის შემდეგ, იმავე ინდივიდებად და იმავე კლასებად აღდგნენ. როგორც მარქსი შენიშნავს, კენეს შეკითხვის ანალიტიკური ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ საკუთარი მსჯელობა მან *oikos*-ის ძველ ლოკუს-

ზე – მიწასა და სოფლის მეურნეობის წარმოებაზე ააგო. დიახ, სწორედ ეს იყო ეკონომიკური ცხრილის ლიმიტი, რადგან ქარხნული წარმოება კენესთან გვხვდება, როგორც უხერხული „სხვადასხვა“, თუმცა მეთვრამეტე საუკუნის გვიანდელ პერიოდში ინდუსტრიული წარმოება დასავლეთ ევროპაში სოფლის მეურნეობის დაჩრდილვას იწყებს.

სოციალური კვლავწარმოების ანალიზის პროცესში, კენედან მარქსამდე ამ ტრაექტორიაში, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ადამ სმიტის თეორია იყო, რომლის თანახმადაც, ღირებულების წარმოება ინდუსტრიულ შრომას უნდა შეიცავდეს. თუმცა, სწორედ მარქსი იყო, როგორც კაპიტალისტური კრიზისისა და პროლეტარული რევოლუციის თეორეტიკოსი, ვინც კაპიტალისტურ საზოგადოებაში კვლავწარმოებისთვის საჭირო პირობების შესახებ, ყველაზე ცხადი ანალიზი შემუშავა.

ეს საკითხი გაშლილია „კაპიტალის“ II ტომში, სადაც მარქსი კლასობრივი ბრძოლიდან (I ტომის ფოკუსიდან) კაპიტალისტურ საზოგადოებებში იმგვარი სოციალური ფენომენების ანალიზზე გადადის, რომლებიც საკუთარ თავს იბრუნებს მიმოქცევით, წრებრუნვით, ბრუნვით, შემოვლით, კვლავწარმოებით. წრფივი ცვლადების ცვლილებების ნაცვლად (მაგ. ხელფასების ზრდა, მოგების დაცემა), მეორე ტომში მარქსი შეისწავლიბს იმ ცვლილებებს, რომლებიც სისტემას მის საწყის წერტილში აბრუნებს, როდესაც აჩვენებს, თუ რამდენად გადამწყვეტია ტრანსფორმაციები, რომლებიც ამ პროცესში ხდება, მისი როგორც კვლავწარმოებისთვის, ისე განადგურებისთვის.

მოდელი, რომელიც მარქსმა კაპიტალის მიმოქცევის ანალიზისთვის მეორე ტომში გამოიყენა, სიტბოს მექანიკური თეორია იყო, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის ფიზიკოსებმა განავითარეს. ეს თეორია მაკროსკოპულ ფენომენს ხსნის, როგორც მილიონობით მიკროსკოპული ერთობისა და მოვლენის შედეგს. ამ მოდელის გამოყენებით, მარქსმა აღწერა კაპიტალიზმის მაკროსკოპული ასპექტები, როგორც მილიონობით მიკრო მოვლენის შედეგი, ხოლო საზოგა-

დოებრივი კაპიტალის კვლავწარმოება ინდივიდუალური კაპიტალების მიმოქცევებად შეკრება, რომლებიც საკუთარ მიკროფიზიკურ ორბიტებზე, სხვადასხვა პერიოდულობითა და სიჩქარით მოძრაობენ. მიკროდან მაკრო დონეზე მოძრაობის გრაფიკული სიცხადე მარქსმა III ნაწილის შესავალში მოგვცა, რომელიც „საზოგადოებრივი კაპიტალის მიმოქცევას და კვლავწარმოებას“ ეხება:

„...ინდივიდუალური კაპიტალები მიმოქცევაში ერთიანდებიან, განსაზღვრავენ და საჭიროებენ ერთმანეთს და ამ მონაცვლეობით, ფორმირდებიან მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მოძრაობად. როგორც ცალკეული კაპიტალის მეტამორფოზა წარმოადგენს რგოლს საქონელთა სამყაროს მეტამორფოზის – საქონელთა მიმოქცევის – მწკრივში, სწორედ ისე, ინდივიდუალური კაპიტალის მეტამორფოზა, მისი ბრუნვა, შეადგენს რგოლს საზოგადოებრივი კაპიტალის მეტამორფოზაში“. (Marx 1967b: 357-358)

კაპიტალისტური ეკონომიკა მარქსისეული ხედვით გაცვლათა უზარმაზარი კოლექციაა, თანმიმდევრული ინდივიდუალური მიმოქცევებით სავსე, სადაც ღირებულება ინახება, იზრდება ან მცირდება და სადაც საქონელი და ფული წინ და უკან გადადის ერთმანეთში თითოეული გაცვლისას და გადასცემს ერთმანეთს იმპულსებს თითოეული მიმართულებით. ეს სურათი ატომების მოძრაობას მოგვაგონებს ორგანული ქიმიის დიაგრამებიდან, რომლებიც ასე პოპულარული იყო მარქსის დროს. სწორედ ამგვარად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კაპიტალისტი A, რომელიც ყიდის წარმოებულ საქონელს სხვა კაპიტალისტი B-ზე, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს ამ საქონელს წარმოების საშუალებად, იღებს ამგვარი რელიზაციის შედეგად ფულის ნაწილს და ყიდულობს გარკვეულ ფუფუნების საგნებს კაპიტალისტი C-სგან; შემდეგ ყიდულობს სამუშაო ძალას მშრომელი D-სგან და ახალი წარმოების საშუალებებს კაპიტალისტი E-სგან, რომელიც, თავის მხრივ, ააქტიურებს სხვა ცალკეული კაპიტალების ახალ მიმოქცევებს.

ყველა შემთხვევაში, გაცვლა მომგებიანი უნდა იყოს სისტემისთვის, რათა მან საკუთარი თავი კვლავანარმოოს როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე. ამგვარად, „ყველა მიმოქცევას აქვს შემდეგი საერთო: ღირებულების თვითგაფართოება, როგორც განმსაზღვრელი მიზანი“ (Marx 1967b:103), მაგრამ არცერთი გაცვლა არ არის აუცილებელი და გარანტირებული – ყველა კავშირი შეიძლება დაირღვეს ან არ რეალიზდეს საკუთარ მიზანში, რის გამოც არსებობს მუდმივი შესაძლებლობა მიკრო კრიზისის ან სულაც იმის, რომ მთელი სისტემა დაირღვევა. მარქსი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს გაცვლის სიმეტრიის დარღვევის შესაძლებლობას. რომელიმე მიკრო ჯაჭვის დარღვევა კაპიტალის მიმოქცევაში, მისი აზრით, კრიზისისა და კაპიტალიზმის დასასრულის შესაძლებლობასაც კი აჩენს, როგორც ეს ჩანს 1859 და 1867 წლებში გამოქვეყნებულ შემდეგ პასაჟებში: „გაცვლის დაყოფა გაყიდვად და ყიდვად... შეიცავს სავაჭრო კრიზისის ზოგად შესაძლებლობას... რადგან საქონლისა და ფულის ანტითეზისი აბსტრაქტულია, ხოლო ყველა წინააღმდეგობის ზოგადი ფორმა ჩაქსოვილია შრომის ბურჟუაზიულ ფორმაში“ (Marx 1970: 96). გარდა ამისა:

„თუ საქონლის მიმოქცევის... ორ ურთიერთშემავსებელ ფაზას შორის დროითი ინტერვალი საკმარისად გაიზრდება, თუ გამიჯვნა შესყიდვასა და ყიდვას შორის ზედმეტად მკაფიო გახდება, მათ შორის ინტიმური კავშირი, მათი ერთობა – თავს კრიზისის წარმოებით დააფუძნებს. სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ანტითეზისი; წინააღმდეგობები, რომლებშიც ჩაბმულია კერძო შრომა, რათა მანიფესტაცია გაუკეთოს თავს, როგორც პირდაპირ საზოგადოებრივ შრომას, რაც ცალკეულმა კონკრეტული სახის შრომამ უნდა გაიაროს აბსტრაქტულ ადამიანურ შრომამდე; წინააღმდეგობები საგნების პერსონიფიკაციასა და საგნების მიერ პერსონის რეპრეზენტაციას შორის; ყველა ეს ანტითეზისი და წინააღმდეგობა, რომელიც შინაგანია საქონლებისთვის, დააფუძნებს თავს... საქონლის მეტამორფოზის ანტითეზისურ ფაზებად“. (Marx 1967a: 113-114)

მარქსისტების კრიზისის დღის შუქზე გამოაქვს კაპიტალისტურ სისტემაში სოციალური კვლავწარმოების შესახებ სიმართლე. ფულად და მოგებად საქონლის მეტამორფოზა ცხადი წინააღმდეგობებისა და საჭიროებების განგრძობით ჩახშობას მოითხოვს, თუმცა მაშინ, როდესაც საქონელსა და ფულს შორის კავშირი დროებით იკარგება, იზრდება უფსკრული, რომელსაც კაპიტალისტური ცხოვრების ყველა წინააღმდეგობის აფეთქება შეუძლია. როგორც ვხედავთ, მარქსისტების მთავარი წინააღმდეგობა „შრომის ბურჟუაზიულ წესშია“. ეს შეიძლება უმნიშვნელოდ გვეჩვენებოდეს მიმოქცევის სფეროში, რადგან ადამიანები სიკეთეებს ძირითადად იმისთვის ყიდულობენ, რომ დაიკმაყოფილონ საჭიროებები და არა იმათ გამო, ვინც ეს სიკეთეები შექმნა, მაგრამ საბაზრო გაცვლების პირველადი მიზანი ღირებულების გაფართოებაა და აქ შრომა, რომელიც საქონლად გარდაიქმნება, მთავარი ფაქტორი ხდება. მისივე „წინააღმდეგობებით“, რომლებიც მშრომელთა ბრძოლებიდან იწყება, შრომას შეუძლია შეკვეცოს კაპიტალისტების მოგება და კრიზისში შეიყვანოს მიმოქცევის პროცესი.

მარქსი შენიშნავს, რომ სოციალური კვლავწარმოების პროცესი ყველაფერს – ფულს, საქონელს, წარმოებას – უკან, საწყის წერტილში აბრუნებს, მაგრამ ეს დაბრუნება არ არის გარანტირებული, რამდენადაც საკუთარი თავის კვლავწარმოების პროცესში, კაპიტალიზმი მისსავე წინააღმდეგობებსაც აწარმოებს. *„კაპიტალისტური წარმოება... აწარმოებს არამხოლოდ საქონელს, არამხოლოდ ზედმეტ ღირებულებას, ასევე აწარმოებს და კვლავწარმოებს კაპიტალისტურ ურთიერთობას, სადაც ერთ მხარეს კაპიტალისტია, მეორე მხარეს კი – ანაზღაურებადი მშრომელი“*. (Marx 1967a: 578) შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ ბუნებრივი ყოფილიყო, წინააღმდეგობრივი და კონფლიქტური კაპიტალისტური ურთიერთობის კვლავწარმოება მუდმივად მოწყვლადი კრიზისისა თუ კატასტროფის დადგომის წინაშე.

მარქსის სოციალური კლავწარმოების თეორიის კრიზისი

გასაკვირი არ არის, რომ 1867 წელს „კაპიტალის“ I ტომის გამოქვეყნებიდან გვიან 1960-იან წლებამდე, „კრიზისის თეორია“ მარქსისტული აზროვნების მთავარი კომპონენტი იყო, მაშინ, როდესაც მცდელობა, გაუვნებელყოფილიყო კრიზისის საფრთხე, ბურჟუაზიული ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. მარქსისტები დიდწილად ეთანხმებოდნენ და ხშირად უბრუნდებოდნენ მარქსის მოსაზრებებს სოციალური კლავწარმოების შესახებ (Palloix 1973; De Brunhoff 1976), მაგრამ მათი მთავარი მიზანი კაპიტალისტური კრიზისის შესაძლო მიზეზების დადგენა იყო, რაშიც მარქსი მცირედით თუ გვეხმარება. მომდინარეობს თუ არა კრიზისი სამომხმარებლო საქონელსა და მწარმოებლურ საქონელს შორის დისპროპორციიდან? გამოწვეულია თუ არა ის საერთო მოთხოვნის ქრონიკული უკმარისობით, თუ მოგების ნორმის დაცემაზე პასუხია ინვესტიციებისა და გაფართოების პერიოდებში? (Foley, 1986). მრავალჯერ ინტერპრეტირებულმა კაპიტალის ტექსტმა ვერ მოახერხა ამ საკითხის გადაჭრა.

და მაინც, „კრიზისის თეორიამ“ დააგროვა გარკვეული პროვოკაციული ჰიპოთეზები. კრიზისის თეორიის ველი, გრძელდება იმპერიალიზმის ლუქსემბურგისეული, ჰილფერდინგისეული, ლენინისა და ბუხარინისეული ნაკლმოხმარებაზე (Underconsumption) დაფუძნებული ინტერპრეტაციებიდან – კალეცკის მეორე მსოფლიო ომის დროინდელი „პოლიტიკური ბიზნესის ციკლის“ თეორიამდე, ბარანისა და სვიზის „რეალიზაციის“ ჰიპოთეზიდან – გვიან 1960-იანებში პოლ მათიკის „მოგების ნორმის დაცემამდე“ (Luxemburg 1968; Bukharin 1966; Kalecki 1971; Baran and Sweezy 1966; Mattick 1969).

კაპიტალის პირველი ტომის გამოქვეყნებიდან ძალიან მალე, ბურჟუაზიულმა პოლიტეკონომიამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ახალი სახელის, „ეკონომიკის“ ქვეშ, მან შეწყვიტა სოციალური გაცვლების ტოტალობის ახსნის ყველა მცდელობა და საკუთარი ყურადღება იმ გზისკენ მიმართა, რომელშიც რაციონალური გათვლის მე-

თოდები და სურვილების ველები ერთმანეთს ხვდება და ნებისმიერ კონკრეტულ დროს, ინდივიდუალური სუბიექტებისთვის (მომხმარებლები თუ კომპანიები) მაქსიმალურ სარგებელიანობას განაპირობებს. ან, სოციალური კვლავწარმოების შესახებ ძველი კითხვები აღარ იყო გარდამტეხი ახალი დისკურსის კატეგორიებისთვის, ისინი უმნიშვნელო გახდა ეკონომისტებისთვის. მეცხრამეტე საუკუნის გვიანდელ ეკონომისტებთან – როგორიცაა პარეტო, მენგერი, ვალრასი, იევონსი – არ შეგხვდებათ ისეთი ცნება, როგორიცაა კრიზისი. ბაზარი უნდა ისწრაფოდეს წონასწორობისკენ წარმოების ყველა ფაქტორის, სრული დასაქმების უზრუნველყოფით და თითოეულის სურვილის დაკმაყოფილებით. შესაბამისად, ერთი სვლის გაკეთებაც კი, წონასწორობიდან გარეთ, „შოკის“ ფორმას იღებს, ეკონომიკის სფეროსთვის რაღაც ეგზოგენური მოვლენის ფორმას, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად, ჩვეულებების ან გემოვნების ცვლილება, მიწისძვრა ან მთავრობის დადგენილება. ერთი სიტყვით, ამ ყველაფრის შედეგად ეკონომიკაში კვლავწარმოებისა და კრიზისის მარქსისტული პრობლემატიკის დაგინყების საუკუნე დადგა. ეს ვითარება დასრულდა 1960-იანებში, როცა მსოფლიო მასშტაბით ახალი სოციალური მოძრაობების ზრდამ, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლებს ემუქრებოდა, იძულებული გახადა ხელახლა გადაფასებულიყო ორივე მარქსისტული ანალიზი – კვლავწარმოების/კრიზისის შესახებ, ისევე როგორც, გადააზრებულიყო ბურჟუაზიული ეკონომიკის მიერ მათთვის თავის არიდების ფენომენი.

მარქსისტული თეორიის პრობლემა ის გახლდათ, რომ კვლავწარმოების ახსნა მან მხოლოდ კაპიტალისტს, ანაზღაურებასა და მშრომელს შორის ურთიერთობით შეძლო. არადა, 60-იანი წლების რევოლუციური სუბიექტები უმეტესწილად აუნაზღაურებლები იყვნენ: ნატურალურ წარმოებაში ჩართული ფერმერები მესამე სამყაროდან, დიასახლისები, სტუდენტები და ყველა ის „უმცირესობა“, რომელიც სინამდვილეში მსოფლიო მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს. მარქსის თეორია, პრაქტიკულად დუმდა ამ ფიგურების შესახებ, რის გამოც მრავალმა მარქსისტმა არასათანადო ყურადღება დაუთმო ან-

ტიკოლონიურ მოძრაობას პოლიტიკური პოტენციალისთვის, დედების მოძრაობას სოციალური უზრუნველყოფისთვის, შავი ძალაუფლების მოძრაობებს, სტუდენტებისა და ქალთა მოძრაობებს, ისევე როგორც, დღეს განსაკუთრებით აქტუალურ ადგილობრივ მოსახლეობათა წინააღმდეგობებს.

იმავე პრობლემას წააწყდნენ ბურჟუა ეკონომისტებიც, ვინაიდან „უმუშევრები“ და „არაპროდუქტიულები“ ნეოკლასიკური ეკონომიკის სინთეზში ქმნიდნენ ისტორიას და იქცნენ სახელმწიფო პოლიტიკებისა და კორპორატიული ინვესტიციის სუბიექტებად. საჭირო გახდა ახალი პარადიგმები; სახელმწიფოები და კორპორაციები ითხოვდნენ ახალ ანგარიშებს და ეკონომისტებიც დაუზარებლად გამოჩნდნენ მათ საშველად ახალი თეორიებით, რომლებიც ხელახლა იაზრებს არასაბაზრო სფეროთა ეკონომიკურ მნიშვნელობებს, ოჯახით დაწყებული, სექსუალობის, რასობრივი დისკრიმინაციის, განათლების გავლით – ჯანდაცვამდე. როგორც მარქსისტულ, ისე ბურჟუაზიულ კვლევით პროგრამებში კვლავ პრიორიტეტული გახდა ანალიზი, რომელიც მათ ადრე სოციალურ მეცნიერებებს, განსაკუთრებით კი, სოციოლოგიას დაუტოვს. ამ ახალი აქტივობების ბირთვი სწორედ სოციალური კვლავწარმოების კონცეფციის ხელახალი შესწავლა იყო.

ამ დროს გამოჩნდა სამი ახალი კვლევითი პროგრამა სოციალური კვლავწარმოების შესახებ, რომლებსაც მარქსისტული და ბურჟუაზიული პოლიტიკონომიის ნაკლოვანებისთვის უნდა ეპასუხა. ყოველი მათგანი შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთის მეორეზე განზოგადება, საქონელი-ფული-წარმოების მიმოქცევის წრიდან, რომელიც მარქსმა წარმოადგინა. ეს პროცესი იწყება საქონლისგან (ს), რომელიც იცვლება ფულზე (ფ), რომლითაც შეძენილია საქონლის წარმოების საშუალებები და ჩაშვებულია წარმოების პროცესში (წ), რაც, თავის მხრივ, აწარმოებს ახალ საქონელს (ს'), რომელიც იმავე მეტი ღირებულების შემცველია, ვიდრე მის წარმოების პროცესში ჩადებული ფული. ამ პროცესის თითოეული მომენტი, რომელიც საქონლიდან (ს) გაცვლის სხვადასხვა საშუალებით (ფ და წ) მეორე საქონლამდე (ს') მოძრაობს,

როგორც გაზრდილი ზედმეტი ღირებულება, გვაძლევს ეკონომიკურის სოციალურზე განზოგადების საშუალებას. კვლავწარმოებისა და კრიზისის ახალი თეორიები ერთმანეთისგან სწორედ იმით განსხვავდება, თუ სოციალური კვლავწარმოების მიმოქცევის კონკრეტულად რომელ ნაწილს განაზოგადებს.

სასაქონლე ფორმის ტოტალიზაცია: ბაზარი ყველაფერია

პირველი მიდგომა სოციალურ კვლავწარმოებას საქონლის ფორმის განზოგადებით ხსნის. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია საქონელს განსაზღვრავს როგორც რაიმეს, რასაც ვინმე ფლობს და რისი გაცვლაც კანონიერად შეიძლება. თუმცა, „განვითარებულ“ ფულად ეკონომიკებში კი, სადაც სასაქონლე ფორმა ცხოვრების ყველა სხვა ასპექტზე დომინანტი გვეჩვენება, ბევრი ისეთი რამ გვხვდება, რაც ამ ფორმას გაურბის. საშინაო შრომის უმეტესი ნაწილი აუნაზღაურებელია, მათ შორის, სქესობრივი აქტების უმეტესობა; ბავშვების უმეტესობა ფულზე გასაცვლელად არ ჩნდება, ყველა ხმა პირდაპირ გაყიდული არ არის და ა.შ. აშშ-ის მოსახლეობის დიდი ნაწილი არც ხელფასს გამოიმუშავებს და არც კერძო კაპიტალისტია, საშუალო სტატისტიკური ადამიანის დღეების უმეტესობა კი არ არის პირდაპირ სახელფასო-მოგების გამომუშავების აქტივობაში ჩართული. სიყვარულის, მეგობრობის, ძილისა და სიზმრების, ავადმყოფობებისა და სიკვდილის ვრცელი ტერიტორია, ისევე, როგორც რელიგიური, სამეცნიერო, ან სახელოვნებო აქტივობები სოციალური კვლავწარმოების გადამწყვეტი ასპექტებია, რამდენადაც ისინი უსხლტებიან სასაქონლე ფორმას – ან უბრალოდ, ასე ჩანს. არსებობენ ეკონომისტები, მათ შორის, ბევრი, რომლებიც მზად არიან იდავონ იმაზე, შეგვიძლია თუ არა ოდესმე თავი დავაღწიოთ სასაქონლე სამყაროს.

როგორც ბლემ პასკალმა აჩვენა მეჩვიდმეტე საუკუნეში, საბაზრო ლოგიკა სულის გადარჩენის საკითხსაც კი შეიძლება მიემართოს, როცა ის ამტკიცებდა, რომ გონიერ ადამიანს უნდა სწამდეს ღმერთი

და საკუთარი ენერგია ქრისტიანული წესით ცხოვრებაში უნდა ჩადოს, მაშინაც კი, როცა უსასრულოდ მცირედი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ქრისტიანული რწმენა, შესაძლოა, ჭეშმარიტი იყოს, რადგან ჯოჯოხეთში მოხვედრის უსასრულო ტკივილი, რომელიც გამრავლებულია ქრისტიანული რწმენების ჭეშმარიტების მცირე ალბათობაზე, მაინც ბევრად მეტია, ვიდრე იმ მორალური ცხოვრების წარმართვის დისკომფორტი, რომელიც ქრისტიანული რწმენების სიმცდარის ფართო შესაძლებლობაზე მრავლდება.

პასკალის ცნობილი ფსონი დევს მოდელზე, რომელსაც ზოგმა „ადამიანის ქცევისადმი ეკონომიკის მიდგომა“ ან „რაციონალური არჩევანის თეორია“ უწოდა, ზოგმა – „ნეოლიბერალიზმი“, ზოგიერთი კი მას აღწერს, როგორც „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ ფორმას [(McKenzie and Tullock 1978), (Tullock 1972), (Boulding 1969)]. თუკი შეიძლება სულს ისე მოეყვნენ, როგორც საქონელს, რომელშიც ინვესტიცია უნდა ჩაიდოს, მაშინ ჩვენი მოცალებობითი დრო, ჩვენი ბავშვები, სექსუალური სურვილები, ჩვენი რევოლუციისადმი ვნებაც კი, ღიაა ამ ოპერაციისთვის კაპიტალიზმის დომინაციის პირობებში. სულ მცირე, ეს იყო ნობელის პრემიის ლაურეატის, ჰარი ს. ბეკერის პრეტენზია, როდესაც აცხადებდა, რომ მისი ეკონომიკური მიდგომა გამომდინარეობდა ქცევის მაქსიმიზაციის, საბაზრო წონასწორობისა და სტაბილური უპირატესობების შესახებ ერთობლივი დაშვებებისგან, *„რომელთა უღმობლად და აუღელვებლად გამოყენება, შეადგენს ეკონომიკური მიდგომის გულს, როგორც მე ვხედავ“*. (Becker 1976: 5)

ბეკერის ანალიზისთვის იდეალური „ქცევა“ ან „აგენტთა ქსელი“ (მაგ., დაქორწინებული წყვილი, რომელიც იქცევა, როგორც იდეალური კავშირი) ყოველ გადანყვეტილებას (ჰყავდეთ თუ არა ბავშვი, ეძინოთ თუ ადგნენ, გაიხეხონ თუ არა კბილები) იღებს, როგორც რაციონალური მომხმარებელი მანქანის არჩევისას. ბეკერის მოდელი, თავისი არსით, სასაქონლე ლოგიკას იმ ფენომენებისა და აქტივობებისკენ მიმართავს, რომლებიც კანონით ან მორალურად ხელშეუხებელია, როგორიცაა ბავშვები, ხმა, სიცოცხლე და სექსუალობა; ან ექსპლი-

ციტურად არ არის მოცემული ეკონომიკური ღირებულების სახით (მაგ., იშვიათია, ვილაცას იმისთვის უხდიდნენ, რომ იოცნებოს). ბაზრის მოდელად აღებით, ბეკერი და „რაციონალური არჩევანის“ სხვა თეორეტიკოსები ხსნიან, თუ როგორ აკეთებს ხალხი არჩევანს თავის პირად ცხოვრებაში. „რაციონალური აგენტი“ ყველა შესაძლებლობას, როგორც საქონელს, ისე უნდა მიუდგეს, მასზე მიკრული ფასით; ითვლიდეს რა რაოდენობის დროსა და ფულს მოითხოვს, მაგალითად, ბავშვის მშობლობა, ან საღამოს გატარება შეყვარებულთან, მაშინ, როდესაც მისი დროის ღირებულება იზომება ფულის რაოდენობით, რაც მას შეუძლია იმავე დროის განმავლობაში გამოიმუშაოს ფორმალურ შრომის ბაზარზე. „რაციონალურ აგენტს“ სავარაუდოდ, შეზღუდული ბიუჯეტი აქვს, რომელიც უნდა გამოითვალოს, როგორც დროის რაოდენობა, რადგან ეს აძლევს მას საბაზრო ღირებულებას. ამიტომ, მან ალბათ, ის კომბინაცია უნდა აირჩიოს – როგორც ამას საქონლების შემთხვევაში შეძლებდა – რომელიც მაქსიმალურად გაზრდის მის სარგებლიანობას. ბეკერი არ გვარწმუნებს იმაში, რომ დღევანდელი ადამიანები ამ „ეკონომიკური წინასწარდაშვებების“ შესაბამისად იქცევიან, თუმცა სჯერა, რომ ყველა რეალური „ქცევის“ შედარება შეიძლება იმასთან, რასაც იდეალურად რაციონალური არსება გააკეთებდა, როგორც ბაზრის „ეკონომიკური“ წინასწარდაშვებების განსახიერება; სჯერა, რომ მანძილი რეალურ და იდეალურ შედეგებს შორის ექვემდებარება გამოანგარიშებას.

„რაციონალური არჩევანის“ მიდგომამ ეკონომისტებს არამხოლოდ იმის საშუალება მისცა, საკუთარი ანალიზები სოციალურ ცხოვრებაზე განეცრცოთ, რასაც, იქამდე ძირითადად, აიგნორებდნენ (იმიტომ, რომ მას ეკონომიკურად უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ, ან იმიტომ, რომ მათი გასაქონლება კანონიერად იზღუდებოდა). 1980-იან წლებში, ნეოლიბერალური პერსპექტივის მზარდმა ჰეგემონიამ, რომელმაც ბაზარი ყველა სოციალური გადაწყვეტილების მიღების არბიტრად აქცია, ამ თეორიას ახალი გამოყენება მოუძებნა. სუროგატული დედობა, ბავშვთა აყვანის ბაზარი, ორგანოების ლეგალური ტრაფიკი – ყველა ეს აქტივობა ლეგალური სტატუსის მიღების მიზნით იყენებს ამ თეორიას.

ნეოლიბერალებს სურთ, ეს ახალი „ვაჭრობები“ მთლიანად ლეგალიზებული იყოს, მათ სურთ შეიმუშაონ პოლიტიკები, რომლებიც ამ სფეროში შეზღუდვებს გააქრობს (მაგ., სუროგატი დედების წინააღმდეგობას, უარი თქვან მათთვის დავალებულ ბავშვებზე) და მაქსიმუმამდე გაზრდის ამ გაცვლების სოციალურ სარგებელს. ასევე, მათ სურთ აღმოფხვრან ცხოვრების ამ სფეროების კომერციალიზების სტიგმა და სწორედ აქ ხდება „რაციონალური არჩევანის თეორია“ მნიშვნელოვანი. ნეოლიბერალური პოლიტიკების ლოგიკური დასკვნა და მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ განახორციელოს ბეიკერის „ეკონომიკური მიდგომა“ სოციალური და ინდივიდუალური ცხოვრების ყველა ასპექტში ისე, რომ სასაქონლე ლოგიკას შეეძლოს შეაღწიოს იმ ველებშიც კი, რომელთა მოხმარებასაც იქამდე კრძალავდა მორალური ან ფსიქოლოგიური წინასწარგანწყობები. (Posner 1992: 3-4)

მას შემდეგ, რაც „რაციონალური არჩევანის“ თეორიას იყენებს ისეთი სფეროები, როგორიც, მაგალითად დემოგრაფიაა, მას შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს სოციალური კვლავწარმოების ზოგად თეორიასთანაც, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური გაცვლების ჩათვლით. ამრიგად, შემთხვევითი არ არის, რომ სასაქონლე ლოგიკის ეს განზოგადება იწვევს „ახალ ინსტიტუციურ ეკონომიკას“. ეს ახალი ეკონომიკა ცდილობს „რაციონალური ახსნა“ (და გამართლება) მოუძებნოს საქონლის, ფულის, კომპანიების და თვით კაპიტალიზმის არსებობას, როგორც ასეთს (რაც კაპიტალიზმს ისეთივე სტიმულს აძლევს, როგორც შუასაუკუნეების ფილოსოფია აძლევდა ეკლესიას, როდესაც ცდილობდა ღმერთის არსებობა „დაემტკიცებინა“).

ერთ-ერთი მთავარი კითხვა „ინსტიტუციური ეკონომიკისთვის“ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შეიძლება აღირიცხოს სუპრა-ინდივიდუალური სტრუქტურების არსებობა და კვლავწარმოება იმ დრამატული ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ამ სტრუქტურების შემქმნელი ინდივიდების პრეფერენციებში ხდება (Williamson 1994). თუ სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტი დეტერმინირებულია სასაქონლე ლოგიკით, ადამიანების ატომიზირებულ სურვილებზე დაყრდ-

ნობით; და თუ ადამიანების მიერ უპირატესობების მინიჭება განგრძობითად იცვლება, რატომ უძლებს ზოგიერთი ინსტიტუტი (მაგალითად, ფულადი სისტემა) გრძელ ისტორიულ პერიოდებს? პასუხი მოცემულია „ტრანზაქციის ხარჯების“, ამ დამატებითი ხარჯების კონცეფციაში, რომლებიც მონაწილეობს საქონლის გაცვლის, წარმოებისა და მოხმარების პროცესში. „ტრანზაქციული ხარჯის“ კლასიკური მაგალითი ტრანსპორტის ხარჯებია, თუმცა გულისხმობს სხვა ხარჯებსაც, მაგალითად, საბაზრო ფასებზე ინფორმაციაზე წვდომის ხარჯებს. კლასიკური მიდგომა დღეს ამტკიცებს, რომ ფულადი გაცვლის „ტრანზაქციის ხარჯები“ უფრო დაბალია, ვიდრე მისი ალტერნატივის, ბარტერული სისტემის შემთხვევაში იქნებოდა, რადგან ტრანსპორტირებისა და ინფორმაციის ხარჯები – იზოვო ვინმე, ვისაც აქვს ის, რაც შენ გჭირდება და უნდოდეს ის, რაც შენ გაქვს – ბარტერულ სისტემაში ძალიან მაღალია (Clower 1967). ფულადი სისტემა საქონლის ფულზე გაცვლის და ამ ხარჯების მცირე მიმოქცევის საშუალებას გვაძლევს. სწორედ ეს ხდის (როგორც გვეუბნებიან) ფულადი სისტემის ინსტიტუტს ყველა საბაზრო მონაწილისთვის ხელსაყრელს. „ინსტიტუციური“ მიდგომის თანახმად, როცა ფულადი სისტემა ჩნდება, მისი პოზიტიური მახასიათებლები ყველასთვის თვალსაჩინოა და ეს არის მიზეზი, რის გამოც ის სიცოცხლისუნარიანია და კვლავწარმოებულია დროთა განმავლობაში.

მარტივია დავინახოთ, თუ რატომ არის ეს „ეკონომიკური მიდგომა“ ნეოლიბერალური იდეოლოგიის სრულყოფილი გამოხატულება. სუპრა-ინდივიდუალური სტრუქტურების ინდივიდთა რაციონალურ არჩევანთა შედეგად ახსნით, ის სასაქონლე ფორმას სიცოცხლის ყველა ასპექტზე აზოგადებს და ისე წარმოგვიდგენს კაპიტალიზმის საბაზო კომპონენტებს, როგორც სოციალურ სამყაროში გონიერების განსახიერებას. ეს მიდგომა არ იმჩნევს იმ სუბიექტების რწმენებსა და სურვილებს, რომელთა ქცევასაც საერთოდ ვერ ხსნის – მაგალითად, უამრავ ქალს, რომელიც საშინაო შრომისთვის ანაზღაურებას ითხოვს – არა იმისთვის, რომ მცირე მეწარმე გახდეს, არამედ იმისთვის, რომ შრომა შეუმსუბუქდეს და მიაღწიოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას

(Federici, 1982). ასეთივეა ამ საუკუნეში მიმდინარე, ნატურალურ მეურნეობაში ჩართული ფერმერების ბრძოლაც, სლოგანის ქვეშ: „მიწა და თავისუფლება“ (Tierra and Libertad), რაც სულაც არ ნიშნავს უძრავ ქონებასა და პროდუქციის ფულზე გაყიდვას. მიწის მოთხოვნით, 1910-1917 წლების მექსიკური რევოლუცია და 1994 წლის ზაპატისტების მოძრაობა სწორედ დეკომოდიფიკაციის სურვილს გამოხატავდა და სურვილს, გამოეგლიჯათ მიწები როგორც სოფლის მეურნეობის ბიზნესის ძალაუფლებისთვის, ისე უძრავი ქონების მფლობელებისთვის. (Collier and Quaratiello 1994)

„რაციონალური არჩევანის“ კიდევ უფრო ღრმა პრობლემა ის არის, რომ მას არ შეუძლია სოციალური კვლავწარმოების კრიზისის არავითარი კონცეპტუალიზაცია გარდა გარეგანი შოკებისა, რომლებიც სასაქონლე სისტემისთვის ეგზოგენურია. შოკები გარედან უნდა მოდიოდეს, რადგან ყველა პროცესი სისტემის „შიგნით“ მართულია რაციონალური აგენტების გადანყვეტილებებით, რომლებიც შეზღუდული ბიუჯეტის ფარგლებში მოქმედებენ და წინასწარგანსაზღვრულნი არიან სასაქონლე წარმოებით, რომელმაც წონასწორობა უნდა აღადგინოს. ამგვარი ახსნა ნეოკლასიკური ეკონომიკის მიერ კრიზისების სტანდარტულ ახსნას ჰგავს, რომლის თანახმადაც, გემოვნებების ცვლილება, თუ ბუნებრივ ან სოციალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებები (შოკოლადზე მოთხოვნილებიდან – ნავთობის ახალი ველების აღმოჩენამდე) ფასის მექანიზმის საშუალებით გადასცემს ინფორმაციას ახალი სურვილების, ახალი სასაქონლე ტრენდების, ახალი შეზღუდვების შესახებ. ეს არგუმენტი გვეუბნება, რომ რაციონალური ეკონომიკური აგენტი ახალი ფასის სტრუქტურების ინტერპრეტაციას გონებაში თავის ბიუჯეტთან შესაბამისობაში ახდენს, და შესაბამისად, მისი გაცვლითი ქცევაც იცვლება. ვინაიდან გატარებულია ბაზრის ფილტრში, ამ ცვლილებამ შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს, მაგალითად, უმუშევრობის მოულოდნელი ორმოები ან გასაყიდად დარჩენილი საქონლის ფართო მარაგები. თუმცა, დროსთან ერთად, წონასწორობა სავარაუდოდ, აღდგება: უმუშევარი გადავა ადგილას, სადაც მაღალი დასაქმებაა ან დათანხმდება უფრო დაბალ

ხელფასს თავისი შრომისთვის; ხოლო გასაყიდი საქონლის ფასი დაეცემა ან საქონელი განადგურდება, თუ მისი შენახვის ხარჯი აღემატება მომავალში მისი სავარაუდო გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს. რეგულირების ბოლოს, მიიღწევა ახალი წონასწორობა, ბაზრის ყველა მონაწილის მაქსიმალური კმაყოფილებით (ან, სულ მცირე, მათი, ვინც გადარჩენა მოახერხა), როგორც ეს კრიზისამდე იყო.

ერთი სიტყვით, რაც ნეოკლასიკური მოდელი განზოგადდა, რათა ალყა შემოეერთყა სოციალური ცხოვრების ყველა იმ სფეროსთვის, რომელიც იქამდე გამორიცხული იყო ფორმალური საბაზრო ურთიერთობების შესწავლის სფეროდან, გაჩნდა ერთი ლოგიკური პრობლემა. სასაქონლე ლოგიკის განზოგადება, მაგალითად, პოლიტიკის ან ფილოსოფიის სფეროებზე, იწვევს იმას, რომ ამ სფეროებში მიმდინარე ცვლილებები ვეღარ შეფასდება ვერც „ეგზოგენურად“, და ვერც რაიმე ისეთად, რაც ფუნქციონირებს, როგორც შოკის წყარო, რათა მათში კრიზისების გამომწვევი მიზეზები დავინახოთ. თუ სურვილების ახალი კასკადი ან ახალი სახელმწიფო პოლიტიკა რაციონალური არჩევანის შედეგია, მაშინ ის შეუძლებელია იყოს კრიზისის გამომწვევი წყარო სისტემის გარედან. ის ფორმალური ბაზრის ნაწილი ხდება. შესაბამისად, ნეოკლასიკურმა მოდელმა ან ახალი გარე სისტემური სფერო უნდა გამოიგონოს, ან დათანხმდეს შესაძლებლობას, რომ რაციონალური არჩევანის სისტემა წონასწორობისკენ კი არ მიდის, არამედ თავად ქმნის თავის შიგნით უწესრიგო ძალებს. სხვა სიტყვებით, სასაქონლე ლოგიკის განზოგადებას სოციალური კვლავწარმოების სივრცეზე თავად ნეოკლასიკური თეორიის ლოგიკური ჩარჩო შეჰყავს კრიზისში.

გაცვლის გენერალიზაცია

სოციალური კვლავწარმოების შესახებ მეორე მიდგომა სასაქონლე გაცვლას სოციალური გაცვლის უფრო ზოგადი ურთიერთობების ცალკეულ შემთხვევად განიხილავს. ამ თეორიის მთავარი წარმო-

მადგენლები გრანოვეტერი და ფუკო არიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საბაზრო ურთიერთობები სოციალური ურთიერთობების ფართო ქსელებშია „ჩაშენებული“. გრანოვეტერი, რომელიც კარლ პოლანის შრომას ეხმიანება, იზიარებს ნდობისა და ვალდებულების, როგორც არსებითი პირობების მნიშვნელობას საბაზრო ურთიერთობების არსებობისა და ჩამოყალიბებისთვის. ის ამტკიცებს, რომ ზოგადი ბოროტ-მოქმედებისა და ოპორტუნიზმის საწინააღმდეგოდ გარკვეული დაცულობისა და ურთიერთნდობის გარანტიების გარეშე, ყველაზე მარტივი საბაზრო ტრანზაქციის განხორციელებაც კი შეუძლებელი იქნებოდა. როგორ შეიძლება მივმართოთ ბაზარს – გვეუბნება არგუმენტი – თუ ვერ მოვიპოვეთ ვერანაირი სანდო ინფორმაცია, ან თუ ვერასდროს მოვადუნეთ მგერა იმისგან, რასაც ვფლობთ, მისი დაკარგვის შიშით?

მტკიცება იმაში მდგომარეობს, რომ დაცულობა და გარანტიები მიიღწევა საბაზრო ურთიერთობების „ჩაშენებით“ კონკრეტულ ადამიანთა ურთიერთობების „ქსელებში“ (Granovetter 1992: 60). სხვა სიტყვებით, სოციალური კვლავწარმოება დგას ურთიერთგაზიარებასა და გადამანაწილებელ ურთიერთობებზე, ისევე, როგორც საბაზრო გაცვლები (Polanyi 1992). გრანოვეტერის მიხედვით, მხოლოდ არაგამომყენებლური პერსონალური ურთიერთობების – ურთიერთალიარებისა და ლოიალურობის – კონტექსტში შეგვიძლია გავიგოთ „ალტრუისტული“ ქცევა, რაც საჭიროა სასაქონლე ბაზრის ოპერაციებისთვის, ეგოისტ მყიდველებსა და გამყიდველებს შორის რომ ხორციელდება. პარადოქსულია, რომ ეკონომიკური აგენტის არსებობა, რომელსაც შეუძლია ბოლომდე კონტრაქტის ერთგული დარჩეს, დამოკიდებულია სოციალური ქცევის არაეკონომიკურ ფორმებზე, რომელთა სწავლაც მხოლოდ ბაზრამდე, მის გარეთ არსებულ გარემოში შეიძლება. რეალურად, გრანოვეტერი „ბაზრის ჰუმანიზაციას“ ახდენს იმის მტკიცებით, რომ ნდობა, საზოგადოებრივი სოლიდარობა და ურთიერთგაზიარება საბაზრო საზოგადოების წინასწარგანწყობებია და არა მის მიერ გამოწვეული გარემოებები. თუმცა, ეს პოზიცია მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აწყდება: განვითარებული საბაზრო ურთიერთობების შინაგანი ტენდენცია სწორედ სოლიდარობის, ნდობის და ურ-

თიერთგაზიარების ურთიერთობათა დესტრუქციაა, რაზეც, ის, წესით, დამოკიდებულია.

ორივესთვის, პოლანისა და გრანოვეტერისთვის, სწორედ ეს ტენდენციაა სოციალური კვლავწარმოების კრიზისზე პასუხისმგებელი. პოლანიმ, მაგალითად, აღწერა, თუ როგორ გაანადგურა მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში კაპიტალიზმის აღმშენებელმა – მიწის, შრომისა და ფულის „დიდმა ტრანსფორმაციამ“ საქონლად – შუასაკუნეების ევროპის საბაზრო ურთიერთობებში ჩაქსოვილი სოციალურობა. მაგრამ როგორ გახდა შესაძლებელი თავად „დიდი ტრანსფორმაცია“ და რატომ უნდა ამსხვრევდეს ბაზარი იმას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისივე არსებობისთვის? თუ გრანოვეტერის და პოლანის დაშვებებს დავჯერდებით, ასეთი ფენომენები გაუგებარი დარჩება.

ეს ჩიხი თვალსაჩინო ხდება „კომუნიტარიანიზმის“ პოლიტიკებით. ეს ის მოძრაობაა, რომელშიც გრანოვეტერისა და პოლანის თეორიები თავის პოლიტიკურ გამოხატვას პოულობს. მოხალისეობისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვით, „არასამთავრობო ორგანიზაციების“ ქება-დიდებათა და „არაკომერციული სექტორისთვის“ წინასწარი საფუძვლის ჩაყრით (Etzion 1988, 1995, Rifkin 1995), კომუნიტარიანიზმი საბაზრო ეკონომიკის სასარგებლო სვლას აკეთებს, ოღონდ „ადამიანური სახით“. გრანოვეტერის მსგავსად, კომუნიტარიანელებს სწამთ, რომ სასაქონლე ლოგიკის ტრიუმფი, როგორც ეს ნეოლიბერალთა მისწრაფებებშია – ძირს უთხრის იმავე საბაზრო საზოგადოებას, რომლის კონსოლიდაციაც სურს. ამრიგად, ამ მიდგომით შთაგონებული არასამთავრობო ორგანიზაციები მთელი პლანეტის გარშემო ჩაებნენ ნეოლიბერალური სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკების მიერ გამონეულ კატასტროფებთან ბრძოლაში, რათა გადაერჩინათ კაცობრიობა, მაგრამ ამ პროცესით, გადარჩენაში ბაზარსაც ეხმარებოდნენ და საბოლოო ჯამში, ეხმარებოდნენ სწორედ იმ პოლიტიკებს, რომლებმაც ასეთი კატასტროფების განვითარება გახადა შესაძლებელი.

ამ წინააღმდეგობებმა, შესაძლოა, ნაწილობრივ ახსნას, თუ რატომ დაჩრდილა მიშელ ფუკოს შრომამ 1968 წლის შემდგომი პერიოდის ინტელექტუალურ წრეებში გრანოვეტერისა და პოლანის ანალიზი. „ეკონომიკური ცხოვრების სოციოლოგიის“ სხვა თეორეტიკოსების მსგავსად, ფუკო ეთანხმება ამრს, რომ არაგასაქონლებადი ურთიერთობები კაპიტალისტური გაცვლის შესაძლებლობის პირობაა. თუმცა მაშინ, როდესაც გრანოვეტერი ჰომოეკონომიკუსის ცხოვრებისთვის აუცილებელ მორალურ გეშმარიტებებზე ამახვილებს ყურადღებას, ფუკო კითხვას თავად „რაციონალურობის“ და „რაციონალური ეკონომიკური აგენტის“ კონცეფციებს უსვამს. ადრეული 1960-იანი წლებიდან ადრეულ 1980-იან წლებამდე დაწერილ ისტორიულ შრომათა სერიებში, ის ასაბუთებს, რომ რაციონალურობა არამხოლოდ სოციალური კონსტრუქციაა, არამედ ფორმირდება ძალაუფლებრივი ურთიერთობების ველში და შეადგენს „გენერალურ ეკონომიკას“. ეს უკანასკნელი არ ფუნქციონირებს წინასწარ მოცემული რაციონალური ეგოს გათვლების შესაბამისად (როგორც ეს სასაქონლე ლოგიკის თეორეტიკოსებს სჭეროდათ), რადგან სწორედ ეს ძალაუფლებრივი ურთიერთობები განსაზღვრავს, რა იქნება „რაციონალურობა“ და „ეგო“ თითოეულ კონკრეტულ ეპოქაში. (Foucault 1971a; Foucault 1971b; Foucault, 1973; Foucault 1977; Smart 1983: 123-137)

ძალაუფლებრივი ურთიერთობები ისეთივე არსებითია ფუკოს სოციალური კვლავწარმოების ანალიზისთვის, როგორც მარქსისთვის. პოლანისა და გრანოვეტერის მიერ წარმოდგენილი ოპტიმისტური სურათის ნაცვლად, სადაც ურთიერთგაზიარების ურთიერთობები გარს შემოჰხვევია ნებისმიერ ეკონომიკურ აგენტს, ფუკოს შრომა მწუხარე სცენარს გვიპირისპირებს, სადაც ეკონომიკური რაციონალურობა იმ რეჟიმების გენეტიკური ნაშიერია, რომლებიც ორგანიზებულად აწარმოებდნენ ტკივილს, დევნას, კონტროლს და, ასევე, ტექნოლოგიებს, რომელთა მეშვეობითაც ძალაუფლება „სხვებზე“ გამოიცდება (შეშლილებზე, ავადმყოფებზე, კრიმინალებზე, სექსუალურ დევიანტებზე).

თუმცა ფუკო უკუაგდებას ძალაუფლების ტრადიციულ ხედვას. ის, პირველ რიგში, აკრიტიკებს ძალაუფლების „იურიდიულ/მონარქიულ“ მოდელს, რომელიც სტაბილიზაციის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს (კანონის უზენაესობა ან ღვთივკურთხეული მეფე) სოციალური იერარქიის მწვერვალზე და რეპრესიას უკეთებს ნებისმიერი ნორმიდან დევიაციას. ნიცშეს სლოგანის, „ღმერთი მკვდარია“, გამეორებით, ფუკო ამბობს, რომ არ არსებობს მმართველი კლასი, მსაჯული ან მეფე, რომელიც კანონს ყველა სოციალური აგენტისთვის დააწესებდა და მის დამრღვევებს სიკვდილით დასჯდა. არც ამ ძალაუფლების ოპოზიციური კლასობრივი ბრძოლა არსებობს, მისი წესებისა და აკრძალვების მიმართ. „მმართველსა და მართულს შორის არსებული ბინარული და ყოვლისმომცველი წინააღმდეგობის“ ნაცვლად, რომელიც ყველა ძალაუფლებრივი ურთიერთობის ძირითად მატრიცად გვევლინება, ის აღმოაჩენს „ძალდომიერობითი ურთიერთობების“ ყველგანმყოფ მრავალფეროვნებას, რომლებიც „რეაქციაში შედიან წარმოებით ძალებთან, ოჯახებთან, ჯგუფებთან, ინსტიტუტებთან, და სოციალური სხეულის დანაწევრების ფართომასშტაბიანი ეფექტების საფუძველს ქმნიან“. (Foucault 1981: 94)

ფუკო ასევე უარყოფს მიდგომას, რომ „ძალაუფლება“ მხოლოდ, ან პირველ რიგში, აკრძალვების სტრუქტურით ოპერირებს და ამის ნაცვლად, მის პროდუქტიულ ხასიათზე სვამს აქცენტს. ძალაუფლებრივი ურთიერთობები არამხოლოდ კრძალავს საზოგადოებრივ ან ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, არამედ აწარმოებს ახალ სტრატეგიებს, კონტროლის ტექნიკებს (რაც კარგად გამოჩნდა „გონივრულობის“ და „ეკონომიკური რაციონალურობის“ განვითარებით) და, შესაბამისად, აწარმოებს ახალ შესაძლებლობებს საზოგადოებრივი ინდივიდისთვის.

როგორც ცნობილია, ფუკოს ნაშრომების დიდი ნაწილი ძალაუფლების ახალი რეჟიმების გამოჩენას აღწერს. კერძოდ, ამ კონტექსტში გავლენიანია მისი ანალიზი „ბიოძალაუფლების“ განვითარების შესახებ, რომელსაც ის განსაზღვრავს, როგორც ევროპული საზოგადოების განმასხვავებელ ნიშანს „მოდერნულ ერაში“, მეთვრამეტე საუკუნესთან

ერთად რომ დაიწყო. ამ ტერმინით ფუკო აღწერს ძალებს, რომლებზეც ისტორიულად დამოკიდებული იყო კაპიტალისტური ურთიერთობების საზოგადოებრივი კვლავწარმოება და, თავის მხრივ, კაპიტალიზმის განვითარება. ამრიგად, „ბიოძალაუფლება“ ბევრი რამით ჰგავს მარქსის „სამუშაო ძალის“ კონცეფციას და მართლაც, ფუკომ აღიარა, რომ კაპიტალიზმი შეუძლებელი იქნებოდა მწარმოებლურ ძალებში კონტროლირებული სხეულების ჩართვისა და ეკონომიკური პროცესების შესაბამისად პოპულაციის რეგულირების გარეშე (Foucault 1981: 140-141). თუმცა, ის ამატებს, რომ „ეს არ იყო ყველაფერი, რასაც კაპიტალიზმი მოითხოვდა, მას ასევე სჭირდებოდა ამ ორივე ფაქტორის ზრდა, მათი გაძლიერება, ისევე როგორც მათი მორჩილება და მათზე ხელმისაწვდომობა; მას უნდა ჰქონოდა ძალაუფლების მეთოდები, რითიც შეძლებდა ძალების, მიდრეკილებებისა და ზოგადად, ცხოვრების ოპტიმიზაციას იმის გარეშე, რომ პარალელურად, ყოველივე ეს უფრო რთულად სამართავი გაეხადა“ (ibid.).

ამრიგად, მაშინ, როდესაც მარქსი კონცენტრირდება ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე საწარმოში, ფუკო აკვირდება სექსუალობის მეცნიერებების განვითარებას (დემოგრაფიიდან ფსიქოანალიზამდე), რომლებიც მეცხრამეტე საუკუნიდან ამოიზარდა, რათა ეკონტროლებინათ და განევითარებინათ ბიოძალაუფლების მთავარი კომპონენტი: სექსუალობა. ამ კუთხით, მისი თეორია განტვრეტს ფემინისტური და გეი მოძრაობების გარკვეულ შიდა დინებებსაც, რომლებსაც თანაბრად რეპრესირებული სექსუალობა აქვთ და ვისთვისაც ოჯახი ძალაუფლებრივი ურთიერთობების ველია. ეჭვგარეშეა, რომ 1968 წლის შემდგომ რადიკალებში ეს მისი თეორიის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზია. ასეა თუ ისე, ფუკოს მოუსვენრობამ, გამოეგლიჯა ძალაუფლებრივი ურთიერთობები ნებისმიერი სპეციფიკური პოლიტიკური ან ეკონომიკური სტრუქტურისთვის, მისმა დაჟინებულობამ ძალაუფლებრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველობის შესახებ და, რაც მთავარია, მისმა ეჭვა ნებისმიერი განმანთავისუფლებელი პროექტის მიმართ, დაიცვა ის, ეთამაშა იგივე როლი 1968 წლის შემდგომი თაობისთვის, რაც მარკუზემ ითამაშა 1960-იან წლების აქტივისტებისთვის.

ფუკოს ძალისხმევაში, გვაჩვენოს ძალაუფლებრივი ურთიერთობის პროდუქტიული (და არა რეპრესიული) ხასიათი, კიდევ ერთი პრობლემა ძევს. მას თითქოს ხშირად ავიწყდება ფაქტი, რომ ა) „სიცოცხლის წარმოებას“ „მოდერნულ ერაში“ წმინდად ინსტრუმენტული ხასიათი ჰქონდა და ბ) სიკვდილის წარმოება კაპიტალისტური პოლიტეკონომიის მუდმივი შემადგენელი იყო მის ყველა ეტაპზე, იმდენადვე არსებითი მისი მიზნებისთვის, როგორც „სიცოცხლის წარმოება“, რაც ისტორიამ დაამტკიცა კოლონიური დაპყრობით, პირველი და მეორე მსოფლიო ომების მექანიზებული სისხლისღვრებით, ატომური განადგურების განგრძობითი საფრთხით და იმ ეკონომიკური და ეკოლოგიური კატასტროფებით, რომლებიც დღეს მზარდი სიხშირით ემუქრება ხალხებს მთელი პლანეტის მასშტაბით.

ამის საპირისპიროდ, მის შრომებში იმდენად მტკიცეა მოსაზრება, რომ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან სახელმწიფოს მიზანი „სიცოცხლის წარმოებაა“, რომ ბიოძალაუფლების ისტორიულ სცენაზე გამოსვლის მისეული აღწერა ერთგვარი წარმოშობის მითის გამოძახილიც კი იქნებოდა, რომ არა ასე ხშირად გამეორებული ქრესტომათიული ზღაპრები კაპიტალიზმის პროგრესული ხასიათის დასადგენად:

„ბიოლოგიურის გენოლა ისტორიულზე ძალიან ძლიერია ათასობით წლის განმავლობაში; ეპიდემიები და შიმშილი იყო ამ ურთიერთობის ორი დიდი დრამატული ფორმა, ყოველთვის სიკვდილის საფრთხით რომ იყო მოცული. მაგრამ ცირკულარული პროცესის მეშვეობით, მეთვრამეტე საუკუნის ეკონომიკურმა, და პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის განვითარებამ, პროდუქტიულობისა და რესურსების ზრდამ, შესაძლებელი გახადა ამ ფუნდამენტური საფრთხეებისგან გათავისუფლება იმაზე უფრო სწრაფად, ვიდრე ეს დემოგრაფიულ ზრდას შეეძლო. მიუხედავად რამდენიმე ახალი დაავადებისა, შიმშილისგან გამონეული დიდი ნგრევებისა, შავი ჭირის პერიოდი დასასრულისკენ წავიდა საფრანგეთის რევოლუციამდე; სიკვდილმა შეწყვიტა ენამებიანა სიცოცხლე ასე პირდაპირ. (Foucault 1981: 142)

აქ არავითარი კვალი აღარ ჩანს შიმშილების, მკვლევლობების, ჩამოხრჩობების, რომლებიც კაპიტალიზმის სტიგმა იყო მისი დასაწყისიდან დღემდე. მონებით ვაჭრობა, იმპერიული დაპყრობები ძველ და ახალ სამყაროებში, რომელმაც ევროპას უზარმაზარი რაოდენობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსები მოუტანა – არაფერია ამაზე ნათქვამი. მეტიც, პროდუქტიულობას აქ ლომის წილი მიუძღვის ისტორიიდან სიკვდილის მოჩვენებით განდევნაში. არაფერია ნათქვამი ირლანდიის 1846 წლის შიმშილზე. შეუმჩნევლად დარჩენილია ასევე ფაქტი, რომ პოპულაციის ზრდით და მისი სტიმულირების ტექნიკებით შეპყრობილობა უკვე გავრცელებული პრაქტიკა იყო საფრანგეთის რევოლუციამდე, როგორც ეს კარგად გაცნობიერეს მერკანტილისტებმა (Heckscher 1955).

ფუკოს თეორია ასევე ვერ ახერხებს, ახსნას სოციალური კვლავწარმოების კრიზისი, რადგან მისთვის კრიზისი და უწყვეტობის დარღვევა სოციალური კვლავწარმოების მუდმივი პირობებია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუკო ორივეს გასცდა: ნეოკლასიკურ დაშვებას, რომ სოციალური კვლავწარმოება მართულია ცენტრალური ბაზრის მიერ, რომელიც წონასწორობისკენ მიისწრაფვის; და მარქსიანულ ხედვას, სადაც კრიზისი კლასობრივი კონფლიქტის შედეგია. ნაცვლად ამისა, ის გვიხატავს კრიზისს, როგორც „დაუბალანსებელი, პეტეროგენული, არასტაბილური, იძულებითი ურთიერთობების“ შედეგს. ეს ნიშნავს, რომ კრიზისი ყველგან არის, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით; ის მეორე სახელია თავად ძალაუფლებისა, ის არის ნორმა საზოგადოებაში, სადაც ჰობსისა არ იყოს, ომი ყველგანმყოფია და შესაბამისად, ომი, თავისი არსით, აღარ საჭიროებს სპეციალურ ახსნას.

ასეა თუ ისე, ასეთ ნომინალისტურ ხედვას ლოგიკურ სირთულეებამდე მიყვავართ. როგორ ხდება შესაძლებელი დიდი ჩავარდნები, „რადიკალური წყვეტები [და] მასობრივი ბინარული დაყოფები“? როგორ მოხდა, მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის დიდი ტრანსფორმაცია „სიკვდილის უფლებიდან მის ძალაუფლებამდე სიცოცხლეზე“? როგორ დაიწყო „ბოძალაუფლების“ რეჟიმი საკუთარი თავის კვლავწარმოება?

ფუკო ამას არ ამბობს. ამის ნაცვლად, ის დახმარებისთვის ჰაიდგერ-რიანულ მტკიცებებს მიმართავს, რასაც მთელი პრობლემატიკა მეტა-ფიზიკურ ველში გადააქვს. ასეთია, მაგალითად, წარმოდგენა, რომ ბიოძალაუფლების გამოჩენა ასახავს „სიცოცხლის შემოსვლას ისტორიაში...“ (Foucault 1981:141-142) და რომ „მოდერნული ადამიანი არის ცხოველი, ვისი პოლიტიკებიც მისი, როგორც ცოცხალი არსების არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს“ (Foucault 1981: 143). ეს გვახსენებს ძველ ჰერაკლეტიანელებს, რომლებიც, იძულებულნი, აეხსნათ სამყაროს ზოგადი თვისებები, „ბრძოლაში ჰარმონიას“ და ლოგოსს დაუბრუნდნენ.

წარმოების პროცესის განზოგადება

მესამე მდგომა, რომელიც მე მოვიხსენიე, როგორც წარმოების მარქსისტული იდეის განზოგადება, ფემინისტმა თეორეტიკოსებმა და პოლიტიკურმა აქტივისტებმა განავითარეს, რომლებიც 1970-იანი წლების კამპანიასთან, „ხელფასები საშინაო შრომისთვის“ და „საშინაო შრომაზე დებატებთან“, არიან დაკავშირებულნი (Malos 1982).(7)

ამ მდგომისთვის ფუნდამენტურია არგუმენტი, რომ ღირებულება არამხოლოდ საქონლის წარმოებისთვის საჭირო შრომით იქმნება, არამედ ასევე შრომით, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის წარმოებისა და კვლავწარმოებისთვის (Dalla costa and James 1972). ეს მდგომა განსხვავდება მარქსის ანალიზისგან, რომელიც ღირებულების ქმნადობას მხოლოდ საქონლის წარმოების პროცესში ხედავს.

მარქსთან სამუშაო ძალის ღირებულება იზომება მისი წარმოების პროცესში, მის მიერ მოხმარებული საქონლების ღირებულებით, ე.ი. „სახელფასო სიკეთეების“ პაკეტით. მან უარი თქვა შრომის ღირებულების ონტოლოგიურ განსაზღვრაზე და უარყო ყველა თეორია ხელფასების მოთხოვნა-მიწოდებით რეგულირების შესახებ. სამუშაო ძალის ღირებულება მისთვის „ისტორიული და მორალური“ ბრძოლების

შედგია, როგორც სამუშაო დღის ხანგრძლივობა. ამასთან, მარქსი არ ცნობს აუნაზღაურებელ შრომას, რომელიც სამუშაო ძალის წარმოებისას ასევე მოიხმარება და არ მიიჩნევს მას „პროდუქტიულ შრომად“. რამდენიმე გამონაკლის პასაჟში, ის მცირედით ითვალისწინებს შრომას, რომელიც ბავშვის გაჩენას, მის აღზრდას, საშინაო შრომას, ავადმყოფებისა და მოხუცების მოვლას ეხება. საშინაო შრომის პროდუქტიულობის აღიარების ზიზღი თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე რჩება მარქსისტულ ტრადიციაში, მიუხედავად იმისა, რომ „ქალთა საკითხი“ გადამწყვეტი იყო სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგიის განვითარებასა და სახელმწიფო დაგეგმარების საკითხებში.

ფემინისტები დალა კოშტა და ჯეიმსი არ იყვნენ პირველები, ვინც ამ მარქსისტულ წაყრუებას გამოწვევა წაუყენეს, თუმცა ადრეულ 1970-იან წლებში მათ მყარად დაასაბუთეს, რომ საშინაო შრომა ღირებულების შემქმნელი აქტივობაა (Dalla Costa and James 1972). სამუშაო ძალა მოცემულია არა ბუნებრივად, არამედ ის წარმოებული და კვლავწარმოებულია, როგორც სოციალური კვლავწარმოების არსებითი პირობა. ეს ადრეული შრომა, შემდგომში იმავე პოლიტიკური და თეორიული ჩარჩოდან, ჯეიმსმა, დალა კოშტამ და სხვებმა განავითარეს (Dalla Costa M. 1974, 1981, 1983; Fortunati 1995; Federici and Fortunati 1984; Dalla Costa G.F. 1978, 1989, 1995). აღნიშნული პერსპექტივა 1970-იანი წლების ფემინისტურ წრეებში ცხარე დებატების საგანი იყო. ამ შიდა დებატებიდან მრავალმა ფემინისტურმა ეკონომიკურმა და სოციალურმა თეორიამ აიღო სათავე (Picchio 1992; Berch 1982). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კვლავწარმოების შესახებ ეს მიდგომა ბეკერისა და ფუკოს თეორიების თანადროულად განვითარდა, მათ შორის ძალზე მცირე წინააღმდეგობა იყო ([Federici and Fortunati 1984]-ს გამოკლებით).

დალა კოშტამ და ჯეიმსმა დაამტკიცეს, რომ კვლავწარმოების პროცესის პირველადი სუბიექტები – რასაც ხშირად „საშინაო შრომას“ ვეძახით – ქალები არიან, რომლებიც ამისთვის პირდაპირი გზით არავითარ ანაზღაურებას არ იღებენ. ეს მაშინ ხდება, როცა ღირებულების

თვალსაზრისით, ეს შრომა პირდაპირ პროდუქტიულია და ეს ხსნის საშინაო შრომის უხილავობას; კაპიტალისტურ საზოგადოებაში ქალთა დამოკიდებულ სტატუსს, „ოჯახის“ სტაბილურობით დამსაქმებლის თუ სახელმწიფოს მუდმივ შეპყრობილობას. როდესაც საშინაო შრომის უდიდესი ნაწილი აუნაზღაურებელია, მშრომელთა ღირებულება კი მათი ხელფასებით იზომება, ქალის დანახვა საჭირო ხდება მარგინალურ აქტორად სოციალური წარმოების პროცესში.

საშინაო შრომის უხილავობა მთელი კაპიტალისტური ცხოვრების საიდუმლოს მალავს: ზედმეტი სოციალური ღირებულების წყარო – აუნაზღაურებელი შრომა – უნდა დაკნინდეს, ნატურალიზდეს, იქცეს სისტემის მარგინალურ ასპექტად, რათა მისი შემსრულებლები გაცილებით ადვილად კონტროლირებული და ექსპლუატირებულნი იყვნენ. ეს ფენომენი მარქსმა მეცხრამეტე საუკუნის ევროპული, ანაზღაურებადი პროლეტარიატის შემთხვევაში აღიარა, მაგრამ 1968 წლის შემდგომმა ფემინისტების თაობამ, რომლებმაც სამუშაო ძალის კვლავწარმოების შრომა განსაზღვრეს, როგორც ღირებულების გადაუხდელო წყარო – განაზოგადეს მარქსის ანალიზი, რათა დიასახლისების შრომა მოეხელთებინათ. სტუდენტები, ფერმერები, ბავშვი მშრომელები, მზარდი რიცხვი ამ მშრომელებისა, განსაკუთრებით სექს-მუშაკების – ამ დროს მონობასთან მიახლოებულ პირობებში არიან და ამ კატეგორიაში მოიაზრებიან [Cf. (James 1975), (Mies 1986) (Caffentzis 1992: 265-268), (Federici 1992), (Dalla Costa M. 1995)]. ყველა აუნაზღაურებელი კვლავწარმოებითი აქტივობა, რომელიც ორთოდოქსულმა ეკონომიკურმა თეორიამ არ შეიმჩნია, მიათვალა რა ისინი „სახელფასო პაკეტს“ ან მოათავსა „არაპირდაპირი ხარჯების“ სფეროში, ფემინისტმა თეორეტიკოსებმა აღმოაჩინეს, როგორც დამალული ცვლადები, რომლებიც არსებითია სოციალური კვლავწარმოების პროცესის ასახსნელად.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოციალური კვლავწარმოება მხოლოდ სამუშაო-ძალის კვლავწარმოებაზე დაიყვანება. საქონლის (ს), ფულის (ფ) და თავად წარმოების პროცესის (წ) წარმოება, მართალია,

მოითხოვს სამუშაო ძალას, მაგრამ მისით არ განისაზღვრება. გაცვლათა კომპლექსური მიმოქცევა, რომელიც მარქსმა კაპიტალის მეორე ტომში აღწერა, კვლავ გადამწყვეტია სოციალური კვლავწარმოების ასახსნელად, თუმცა მარქსის სოციალური კვლავწარმოების ანალიზისთვის სამუშაო ძალის წარმოებისა და კვლავწარმოების დამატებამ, მთელი მარქსისტული პარადიგმა შეცვალა როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ დონეზე. პრაქტიკულად, ეს ცვლის „მშრომელთა ბრძოლის“ კონცეფციას, რადგან კლასობრივი კონფლიქტი მარქსთან სწავლვით მიმდინარეობს – ადგილზე, სადაც ღირებულება იწარმოება. თუმცა თუ აუნაზღაურებელი შრომა ასევე აწარმოებს ღირებულებას, მაშინ მათი ბრძოლები კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ასპექტებია და შეიძლება დაემუქროს ღირებულების წარმოებას. შესაბამისად, „სოციალური მოძრაობები“ – რომელთა კაპიტალთან მოლაპარაკებებმა/ანტაგონიზმმა უკანასკნელი 20 წლის მთავარი ბრძოლები შეადგინა (დაწყებული ქალებით კეთილდღეობისთვის, დამთავრებული გეების უფლებებით, აბორიგენი მოსახლეობის გარემოსდაცვითი და ანტიბირთვული მოძრაობებით), კლასობრივ მოძრაობებად იქცა.

თეორიულად კი, საშინაო შრომის და სამუშაო ძალის კვლავწარმოების მიმოქცევის „დამატებამ“, სოციალური კვლავწარმოების მიმართ ჩვენი ხედვა შეცვალა. ჩვენ ვიცით, რომ ფული (ფ), საქონელი (ს) და საქონლის წარმოების პროცესი (წ) დიქტომიურ მნიშვნელობებს ფლობენ ანაზღაურებადი მშრომელებისა და კაპიტალისტებისთვის (Cleaver 1979). კაპიტალისტისთვის ფული ინვესტიციის საშუალებაა, როცა მშრომელისთვის ის არის გადარჩენის საშუალებებზე პირველადი წვდომა. საშინაო შრომის მიმოქცევის შემოტანა ახალ პერსპექტივას სძენს საქონელს, ფულს და წარმოებას: პერსპექტივას აუნაზღაურებელი, უმეტესწილად ქალი მშრომელისა. ეს პერსპექტივა ავლენს მუშათა კლასის შიგნით არსებულ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს და დაყოფებს. მაგალითად, ფული ანაზღაურებული მშრომელის მიერ ქალის კონტროლის საშუალებაა, ის არ აღიარებს საშინაო შრომას, როგორც გაცვლის ობიექტს. „შინამეურნეობის ფული“, რომელსაც შინამშრომელი ხარჯავს, არ აძლევს მას იმ ავტონომიას, რომელიც ხელფასს

მოაქვს, როგორც კაპიტალისტსა და მშრომელს შორის სოციალურად აღიარებული გაცვლის შედეგს. მშრომელებს შორის „არაფორმალური“, თუმცა მადეტერმინირებელი, ხშირად ძალადობრივი ძალაუფლებრივი ურთიერთობების ქსელი სწორედ ამ ფულთან და მასთან დაკავშირებულ პროცესებთანაა გადაჯაჭვული. იმ ძალაუფლებრივი ურთიერთობების შესწავლა, რომლებიც სოციალური კვლავწარმოების განზოგადებულ პროცესში (ს, წ, ფ) ოპერირებს, აუნაზღაურებელი მშრომელის პერსპექტივას მარქსისტულ კლასობრივ ანალიზად გარდაქმნის და შესაძლებლობას აძლევს მას, გააანალიზოს რასიზმი და სექსიზმი (მათი მთელი მატერიალური განსახიერებით), როგორც კლასობრივი ფენომენი. ის ასევე იძლევა გაცილებით მდგრად საფუძველს იმისთვის, რათა ავხსნათ სოციალური კვლავწარმოების კრიზისები. კლასიკოს მარქსისტს ადვილად შეუძლია ახსნას, თუ როგორ მიიყვანა კაპიტალისტური ქვეყანა „ეკონომიკურ კრიზისამდე“ წარმატებულმა ფართომასშტაბიანმა გაფიცვებმა, მაგრამ, მაგალითად, ქალთა მიერ ბავშვთა ყოლასა და გარკვეული შრომის შესრულებაზე უარის თქმა ასევე შეიძლება იწვევდეს სოციალური კვლავწარმოების კრიზისს. მიმოქცევის პროცესში ამ კომპონენტის ჩავარდნას, რაც, ძირითადად გაუხმაურებელია და აუნაზღაურებელი შინამშრომელების ფართომასშტაბიანი ბრძოლითაა გამოწვეული, შესწევს ძალა, უფრო სერიოზული ეფექტი მოახდინოს კაპიტალისტურ საზოგადოებაზე, ვიდრე ეს ათას გაფიცვას შეუძლია. იტალიაში, ადრეული 1960-იანი და 1970-იანი წლების საწარმოებში მიმდინარე დიდმა ბრძოლებმა, ნამდვილად დიდი დარტყმა მიაყენა კაპიტალს, მაგრამ იტალიელი ქალების გადაწყვეტილებამ გვიანი 1960-იანი წლებიდან, ებრძოლათ ოჯახის მოცულობის ზედა ზღვარის დანესებისთვის (არაუმეტეს ჩანაცვლების დონისა), სავარაუდოდ, გაცილებით დიდი ეფექტი მოახდინა კაპიტალზე (Dalla Costa, 1974).

სოციალური კვლავწარმოების კრიზისისადმი ამ მიდგომის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას სჭირდება მეთოდოლოგია, რომელიც უფრო დახვეწილი იქნება; რომ მონაცემებს, რომელსაც ის მოითხოვს, ვერ ვიპოვით სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანოების

მიერ შეგროვებულ სტანდარტულ სტატისტიკებში. გაეროს განვითარების პროგრამა მხოლოდ დასაწყისია სხვადასხვა ქვეყანაში აუნაზღაურებელ მშრომელთა რაოდენობის აღრიცხვისა, რაც ხორციელდება, როგორც „ადამიანური განვითარების ინდექსის“ ერთ-ერთი ნაწილი. ცუდად არის შესწავლილი ისეთ ცვლადებს შორის ურთიერთობა, როგორიცაა „სამუშაო ძალის კვლავწარმოებისთვის საჭირო სამუშაო დღის“ ხანგრძლივობა და, ასევე, სხვა მეტნაკლებად ცნობილი ეკონომიკური და სოციალური კრიზისების მიზეზები.

თუმცა, ეს პრაქტიკული პრობლემები გაზვიადებულია ამ მიდგომის წვლილთან შედარებით, გაგვავებინოს სოციალური კვლავწარმოების კრიზისები. პირველ რიგში, მას არ სჭირდება ეძებოს კრიზისის ეგზოგენური მიზეზები. კრიზისი ენდოგენურია კაპიტალისტური სისტემისთვის არამხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ასიმეტრიის გამო, როგორც ამას მარქსი ამბობდა, რაც გამოწვეულია ინდივიდუალური კაპიტალისტების შეუძლებლობით, სრულფასოვნად განახორციელონ მათი კაპიტალის მეტამორფოზა საჭირო მოგების ნორმად, არამედ მიმოქცევის ორბიტაზე არსებულ მოლოდინებსა და წარმოების ტერიტორიებზე კონფლიქტურ რეალობებს შორის წინააღმდეგობით.

აქ გვაქვს კიდევ ერთი კონფლიქტი კაპიტალიზმის შიგნით, რომელიც სამუშაო ძალაზე ორიენტირებულ მიდგომას გარეთ გამოაქვს და რომელიც მარქსთან ასევე ყურადღების მიღმა დარჩა. ეს არის კონფლიქტი კაპიტალისტური წარმოების საჭიროებასა და იმ შრომის მოთხოვნას შორის, რომელიც სამუშაო ძალის სოციალური კვლავწარმოებისთვისაა საჭირო. ეს კონფლიქტი ფლობს ძალას, გამოიწვიოს კვლავწარმოების ძირითადი კრიზისები, რაც ჩანს შობადობის დრამატულ დაცემაში (ან ზრდაში), ურბანულ აჯანყებებში, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ამბოხებში. ამ კრიზისებს, ხშირად ჯერ კიდევ უყურებენ, როგორც ბაზრისთვის ეგზოგენურს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სოციალური კვლავწარმოების აქტივობები კაპიტალისტური საზოგადოების ციკლში შემოგვყავს, ისინი ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება, როგორც მუშათა პროფკავშირული გაფიცვები. სამუშაო

ძალის კვლავწარმოება არ არის ცვლადი, რომელიც ადამიანური რესურსების კეინსიანური „ცოცხალი ძალის დაგეგმვით“ ან შრომის ბაზრის ნეოკლასიკური თეორიით განისაზღვრებოდა. რადგან, როგორც რეგულარული სასაქონლე ბაზარი ებრძვის თავის მწარმოებლებს, რომლებიც მასში არიან ჩაწერილნი, ასევე ებრძვის შრომის ბაზარი მათ, ვინც მასში ჩაწერილ მშრომელებს აწარმოებს. ხოლო ეს ბრძოლა არც საქონლის სტატუსით ან შედეგით არის ნაკარნახევი, არც მის მყიდველთა მოთხოვნებით. ცხადია, აქ არ არსებობს არავითარი წინასწარგანსაზღვრული ჰარმონია, რომელიც ყველა შესაძლო სამყაროდან საუკეთესოსკენ წაგვიყვანდა, სადაც მყიდველი და გამყიდველი შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ, მაშინაც კი, როცა ისინი სამზარეულოს მაგიდის გარშემო სხედან.

სამუშაო ძალის კვლავწარმოების მიდგომა იზიარებს ფუკოს მიერ კრიზისის პერმანენტული შესაძლებლობის აღიარებას, თუმცა უკუაგდებს ფუკოს რწმენას კრიზისის პერმანენტული აქტუალობის შესახებ. რამდენადაც კაპიტალიზმს აქვს კანონები, მატერიალური წინაპირობები და კლასობრივი დაყოფები, რომლებიც სტანდარტულია სისტემისთვის, მაშასადამე, მას აქვს ისტორიული ფორმა, რომელიც კვლავწარმოებადია საუკუნეების განმავლობაში და სხვადასხვა კონტინენტზე. მართლაც, სოციალური სტანდარტიზაციის დიდი ნაწილი, რაც თანამედროვე რეალობის საბაზრო ასპექტია (და რომელსაც შეცდომით უწოდებენ „ვესტერნიზაციას“), ამ ფორმის მართივი გამოვრებაა სხვადასხვა კონტინენტსა და სფეროებში პლანეტის მასშტაბით. კაპიტალიზმის სპეციფიკური ფორმები იმდენად კვლავწარმოებადია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს შეუძლიათ ნეოლიბერალური კაპიტალიზმი პაკეტად შეფუთონ მათი სხვადასხვა ქვეყნებში რეალიზაციისთვის, როგორიცაა, მაგალითად, ტაჯიკეთი ან ეკვატორული გვინეა. ფუკოს მიერ გამოყენებული ძალაუფლების მოდელის უსასრულო მიკრო-ვარიანტების აშკარა რეალობა ცარიელია, ვაკუუმურია, რადგან კაპიტალისტურ წარმოების წესში არსებობს ტოტალიზაციისკენ მისწრაფება, რაც ამ ვარიაციებს იქამდე გადააშენებს, სანამ ისინი მხოლოდ ვირტუალურად არსებობენ. კაპიტალის ერთ-

ერთი კანონი, რა თქმა უნდა, იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაო ძალის კვლავწარმოება მთლიანად დამოკიდებული გახადოს ხელფასის ფორმაზე, ისევე როგორც, შეინარჩუნოს სამუშაო ძალის მწარმოებლები თან უხილავებად, თან სისტემის მიერ კონტროლირებულებად. სწორედ ეს არის უმოწყალო შეტევების მიზეზი თვითუზრუნველყოფის ნებისმიერ გარანტიამ, განსაკუთრებით კი მათ მიმართ, ვინც სამუშაო ძალას კვლავწარმოებს, რასაც ცოტა ხნის წინ „ახალი შემოსაზღვრები“ უწოდეს (Midnight Notes Collective 1992: 317-333). ფუკოს თეორია მრავალვალენტიანი, დეცენტრალიზებული და ფრაგმენტირებული ძალების ურთიერთობის შესახებ, ვერ მოიხელთებს კრიზისებს, რომლებიც მშრომელთა შესაძლებლობამ გამოიწვია, არსებობის საერთო საშუალებების ექსპროპრიაციის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოლონ.

ამრიგად, სამუშაო ძალის მიდგომა გაურბის მეტაფიზიკურ დინებებს, როგორც ბეიკერის პარმენიდეანიზმი ან ფუკოს ჰერაკლიტიანიზმი. ის გვაძლევს კრიზისის ენდოგენურ ანალიზს, რადგან მიუთითებს ანტაგონიზმზე მიმოქცევასა და წარმოებას, დაგროვებასა და კვლავწარმოებას შორის, როგორც კაპიტალიზმის არსებობისთვის საჭირო არსებით მახასიათებელზე.

სამუშაო ძალის კვლავწარმოება გლობალურ ეკონომიკაში, მარქსისტული თეორია და დაუსრულებელი ფემინისტური რევოლუცია

სილვია ფედერიჩი

თარგმანი: ალექსანდრა აროშვილი

წაკითხული 2009 წლის 27 იანვარს, UC Santa Cruz-ის სემინარ-ზე, „სოციალური კვლავწარმოების კრიზისი და ფემინისტური ბრძოლა“

„ქალთა მიერ განეული სამუშაო და ზოგადად, ქალთა შრომა ღრმად დამარხულია კაპიტალისტური სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის გულში“

(დევიდ სტეპლი, „არ არსებობს სახლის მსგავსი ადგილი“, 2006)

„ნათელია, რომ კაპიტალიზმმა ქალთა განსაკუთრებული ექსპლუატაცია მოიტანა. საბედნიეროდ, თავს იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ ტანჯვისა და ჩაგვრის გაძლიერების გარდა, მან წინააღმდეგობაც წარმოშვა. კაპიტალიზმისთვის უკვე ცნობილია, რომ ამ წინააღმდეგობის სრული იგნორისა და ჩახშობის შემთხვევაში, ის უფრო და უფრო რადიკალური გახდება, საბოლოოდ კი თვითუზღუნველყოფის მოძრაობად გარდაიქმნება და იქნება ახალი სოციალური წესრიგის ბირთვიც კი გახდეს“

(რობერტ ბილი, „ახალი იმპერიალიზმი“, 2000)

„ახლად გამოჩენილი განმათავისუფლებელი აგენტი მესამე სამყაროში აუნაზღაურებელ ქალთა ძალაა, რომლებიც, თავისი შრომით, ჯერ კიდევ არ ამორთულან სიცოცხლის ეკონომიკიდან. ისინი ემსახურებიან არა საქონლის, არამედ სიცოცხლის წარმოებას. ისინი მსოფლიო ეკონომიკის უხილავ საფუძველს შეადგენენ, ხოლო მათ მიერ სიცოცხლის სამსახურში გაწეული შრომის ეკვივალენტური ანაზღაურება ჯამში 16 ტრილიონ დოლარს შეადგენს“

(ჯონ მაქმარტი „კაპიტალიზმი კიბოს სტადიაში“, 1999)

„ფილთაქვა გატეხილია ამდენი ნაყვისგან, ხვალ სახლში წავალ. ხვალამდე, ხვალამდე... ამდენი ნაყვისგან, ხვალ სახლში წავალ“

(ჰაუსელი ქალების სიმღერა ნიგერიიდან)

შესავალი

წინამდებარე სტატია ერთგვარი პოლიტიკური საკითხავია გლობალურ ეკონომიკაში სამუშაო ძალის კვლავწარმოების რესტრუქტურზაციის შესახებ, თუმცა, ის მარქსის ფემინისტური კრიტიკაცაა, რომელიც 1970-იანი წლებიდან სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. პირველად ეს კრიტიკა გამოთქვეს კამპანიის, „ანაზღაურება საშინაო შრომისთვის“, აქტივისტებმა, კერძოდ, სელმა ჯიმსმა, მარიაროსა დალა კოშტამ, ლეოპოლდინა ფორტუნატიმ და სხვებმა, მოგვიანებით კი, ბილფილდის სკოლის ფემინისტებმა – მარია მაისმა, კლაუდია ვონ უერლოფმა, ვერონიკა ბენოლდტ-თომსენმა. ამ კრიტიკას საფუძვლად უდევს არგუმენტი, რომ კაპიტალიზმის მარქსისტულ ანალიზს ხელი შეუშალა მისივე ფოკუსმა სასაქონლო წარმოებაზე, რომელიც ვერ ხედავდა ქალთა აუნაზღაურებელი კვლავწარმოების შრომას და შრომის სქესობრივი დანაწილების მნიშვნელობას კაპიტალისტურ დაგროვებაში. ამ შრომის იგნორირებამ შეზღუდა შრომითი ექსპლუატაციის უცვლელი მექანიზმების მარქსისტული გაგება და მას უბიძგა

დაესკვნა, რომ კაპიტალისტური განვითარება გარდაუვალიცაა და პროგრესულიც, იმაზე დაყრდნობით, რომ, მართალია, რესურსების სიმწირე ადამიანურ თვითგანსაზღვრასთან წინააღმდეგობაში მოდის, თუმცა წარმოების საშუალებებით კაპიტალის გაფართოება, ინდუსტრიალიზაციის ფართო სკალის ფონზე, დროთა განმავლობაში ამ ბარიერსაც დასძლევდა. მარქსს, ცხადია, სხვა მოსაზრებებიც ჰქონდა ამ საკითხზე, თავისი ცხოვრების გვიანდელ წლებში. ჩვენ კი, კაპიტალის გამოქვეყნებიდან საუკუნე-ნახევრის გასვლის შემდგომ, თავს მოვალედ მივიჩნევთ, ამ თვალსაზრისს გამოწვევა წავუყენოთ, სულ მცირე, სამი მიზეზის გამო.

პირველ რიგში, განურჩევლად იმისა, ყოფილა თუ არა სადმე ან როდესმე რესურსების სიმწირე ადამიანთა გათავისუფლების წინაღობა, ის დღეს კაპიტალისტური წარმოების შედეგია. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ რამდენადაც კაპიტალისტური წარმოება აძლიერებს კოოპერაციას შრომის ორგანიზებაში, ის განსხვავებებსა და დაყოფებსაც ამრავლებს პროლეტარიატის შიგნით, მისი სოციალური კვლავწარმოების ორგანიზების პროცესში. მესამე ის არის, რომ მექსიკურიდან – ჩინური რევოლუციის ჩათვლით, გასული საუკუნის ყველაზე ანტისისტემურ ბრძოლებს აჩაღებდნენ არა ინდუსტრიული მშრომელები – რომლებიც მარქსთან რევოლუციურ სუბიექტებად არიან პროექტირებულნი – არამედ ე.წ. „კამპესინოები“ – გლეხები/ფერმერები. ასეა დღესაც: ამ ბრძოლებს წარმართავენ ნატურალურ მეურნეობაში ჩართული ფერმერები, ურბანული სკვოტერები¹, არალეგალური, უდოკუმენტო მიგრანტები, ისევე როგორც მაღალტექნოლოგიური მშრომელები ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ბრძოლებში ჩართულები არიან ქალები, რომლებიც მიუხედავად ყველა უსამართლობისა, განაგრძობენ საკუთარი ოჯახების კვლავწარმოებას, ფასს სძენენ მათ არსებობას, განურჩევლად იმისა, თუ რა საბაზრო ღირებულება აქვს მათ

1 სკვოტერი – პიროვნება ან ჯგუფი, რომელიც იკავებს მიტოვებულ ან დაუკავებელ სივრცეს მასზე საკუთრების ლეგალური უფლების ქონის მიუხედავად. ძირითადად გამოიყენება საცხოვრებლად უსახლკართოთათვის, ასევე, თავისუფალ სამუშაო სივრცეებად და პოლიტიკური წინააღმდეგობის ორგანიზებისთვის. (მთარგმ. შენიშვნა)

ცხოვრებას, კვლავწარმოებენ პირველ რიგში მათთვის, მაშინაც კი, როცა როგორც სამუშაო ძალას, კაპიტალისტები მათ უსარგებლოდ გამოაცხადებენ.

რა შანსები შეიძლება ჰქონდეს მარქსისტულ თეორიას ჩვენი დროის „რევოლუციაში“? ამ კითხვას, მოცემულ სტატიაში, გლობალურ ეკონომიკაში კვლავწარმოების რესტრუქტურისაციის ანალიზის საშუალებით ვსვამ. ჩემი მტკიცება შემდეგში მდგომარეობს: თუ მარქსისტულ თეორიას შესწევს ძალა, ისაუბროს XXI საუკუნის ანტიკაპიტალისტურ მოძრაობებზე, მან „კვლავწარმოების“ საკითხი მთელი პლანეტის პერსპექტივით უნდა გადაიხზოს. იმ აქტივობებზე დაფიქრება, რომლებიც ჩვენს სიცოცხლეს კვლავწარმოებს, ფაქტობრივად, აქრობს ილუზიას, რომ წარმოების ავტომატიზაციას შეუძლია შექმნას საჭირო მატერიალური პირობები არაექსპლუატატორული საზოგადოების საარსებოდ და აქრობს იმის ჩვენებით, რომ „რევოლუციის“ წინაღობა ტექნოლოგიური ცოდნის ნაკლებობა კი არა, არამედ სწორედ ის დაყოფაა, რასაც კაპიტალისტური განვითარება მშრომელი კლასის შიგნით კვლავწარმოებს. ასეა, საფრთხე დღეს სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პლანეტის შთანთქმასთან ერთად, კაპიტალიზმი გზას უხსნის უფრო და უფრო მეტ ომს, რომლის მსგავსიც აშშ-მა ერაყსა და ავღანეთში მინერალურ და ნახშირწყალბადის რესურსებზე წვდომის კორპორატიული საჭიროებით წამოიწყო; მეორე მხრივ კი, ომებს, რომლებიც გამოწვეულია პროლეტარული კონკურენციით სიმდიდრეზე, რომელიც ვერ გენერალიზდება. (Federici, 2008)

მარქსი და სამუშაო ძალის კვლავწარმოება

საოცარია, მაგრამ თეორიული სიზუსტის მიუხედავად, რომელიც მოგვცა, მარქსმა ყურადღების მიღმა დატოვა ქალთა კვლავწარმოების შრომის არსებობა. მან აღიარა, რომ როგორც ყველა სხვა საქონელს, სამუშაო ძალასაც სჭირდება წარმოება და რამდენადაც მასაც აქვს ღირებულება, ის წარმოადგენს „გარკვეულ რაოდენობას მასში

გასაგნებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომისა“ (Marx 1990, Vol. 1: 274). თუმცა, თუ საგულდაგულოდ გამოვიკვლევთ წარმოებასა და ვალორიზაციას შორის დინამიკას, ვნახავთ, რომ ის სიტყვაძვირია კვლავწარმოების შრომასთან მიმართებით, როდესაც ის მშრომელთა მიერ იმ საქონლის მოხმარებაზე დაჰყავს, მათთვის გადახდილი ხელფასის მეშვეობით რომ შეუძლიათ იყიდონ; დაჰყავს იმ სამუშაოზე, რომელიც ამ საქონლის წარმოებას სჭირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარქსის ანალიზში, ნეოლიბერალური სქემის მსგავსად, ყველაფერი, რაც სამუშაო ძალის კვლავწარმოებისთვის არის საჭირო, სასაქონლე წარმოება და ბაზარია. არცერთი სხვა შრომა არ მონაწილეობს იმ სიკეთეების შექმნაში, რასაც მშრომელები საკუთარი ფიზიკური და ემოციური შრომის შესაძლებლობის აღდგენისთვის მოიხმარენ. სასაქონლე წარმოებასა და სამუშაო ძალის კვლავწარმოებას შორის არ გვხვდება არავითარი განსხვავება (Marx 1990, Vol. 1, *ibid.*), ორივეს ერთი კონვეირული ხაზი აწარმოებს. შესაბამისად, სამუშაო ძალის ღირებულება იმ საქონლის ღირებულებით იზომება (საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი), რომელიც მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს მშრომელს, ანუ „კაცს, რათა მან შეძლოს თავისი სასიცოცხლო პროცესის განახლება“, რაც, თავის მხრივ, იზომება საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით, რომელიც მათი წარმოებისთვისაა საჭირო (Marx 1990, Vol. 1: 276-7).

მაშინაც კი, როცა მშრომელთა კვლავწარმოებას თაობათაშორის დონეზე განიხილავს, მარქსი უკიდურესად სიტყვაძვირია. ის გვეუბნება, რომ ანაზღაურება საკმარისად მაღალი უნდა იყოს, რათა მან უზრუნველყოს „მშრომელის ჩანაცვლება“ მისი შვილებით, რაც ბაზარზე სამუშაო ძალის არსებობას უკვდავყოფს (Marx, *ibid.*: 275). თუმცა, ვიმეორებ, ერთადერთი არსებითი აგენტი, რომელსაც მარქსი ამ პროცესში აღიარებს, მამაკაცი მშრომელია, საკუთარი ხელფასითა და საარსებო საშუალებებით საკუთარი თავის კვლავწარმოებელი. მშრომელთა წარმოება ხდება სასაქონლე საშუალებებით და არაფერია ნათქვამი ქალებზე, საშინაო შრომაზე, სექსუალობასა და შობადობაზე. იმ რამდენიმე წინადადებაშიც კი, რომელსაც მარქსი ბიოლოგიურ კვლავ-

წარმოებას უძღვნის – და მიემართება, როგორც ბუნებრივ ფენომენს – ასაბუთებს, რომ სწორედ დამატებითი პოპულაციის რეგულარული წარმოება ქმნის წარმოების ორგანიზებაში ცვლილებებს, რათა შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს.

ცოტა ხნის წინ, წარმოვადგინე რამდენიმე ჰიპოთეზა, რათა ამეხსნა, თუ რატომ გაუკეთა მარქსმა იგნორირება ასე დაუინებით ქალთა კვლავწარმოების შრომას. მაგალითად, რატომ არ დასვა კითხვა იმის შესახებ, თუ რა ტიპის ტრანსფორმაციები უნდა გაიაროს სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში ჩართულმა ნედლმა მასალამ, რათა მისი ღირებულება მის პროდუქტშიც შენარჩუნდეს (როგორც ეს მარქსთან სხვა საქონლების შემთხვევაშია). ვივარაუდებ, რომ მარქსისეული აღწერის ფორმირება განაპირობა ინგლისში სამუშაო ძალის მდგომარეობამ – რაც, ნამდვილად იყო მარქსისა და ენგელსის საყრდენი წერტილი (Federici, 2004). მარქსმა იმ დროის ინდუსტრიული პროლეტარიატის მდგომარეობა ისე აღწერა, როგორც დაინახა, ქალთა საშინაო შრომა კი ამ ყველაფრის არაცხადი ნაწილი იყო. საშინაო შრომა, როგორც კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკური განხრა, მარქსის ისტორიული და პოლიტიკური ჰორიზონტის მიღმა აღმოჩნდა, სულ მცირე, ინდუსტრიულ მუშათა კლასში. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური განვითარების პირველივე ფაზიდან, განსაკუთრებით, მერკანტილისტური პერიოდიდან, საშინაო შრომა მხოლოდ ფორმალურად ექვემდებარება კაპიტალისტურ დაგროვებას, ის მხოლოდ გვიან XIX საუკუნეში ხდება ინდუსტრიული სამუშაო ძალის კვლავწარმოების მთავარი მამოძრავებელი, კაპიტალის მიერ ორგანიზებული ისევ კაპიტალისტების, ქარხნული წარმოების მოთხოვნების შესაბამისად. 1870-იან წლებამდე, „სამუშაო დღის შეუზღუდავი გაფართოებისა“ (ibid. 346) და სამუშაო ძალის წარმოების ფასის მაქსიმალური შეკუმშვისკენ მიდრეკილი პოლიტიკების კვალდაკვალ, კვლავწარმოების შრომა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, რამაც იმ სიტუაციამდე მიგვიყვანა, ასე შთამბეჭდავად რომ არის აღწერილი „კაპიტალის“ I ტომის ერთ-ერთ თავში სამუშაო დღის შესახებ, და ენგელსის „ინგლისში მუშათა კლასის მდგომარეობაში“ (1845). აქ მოთხრობილია სამუშაო ძალის თით-

ქმის სრულიად უძლურ მდგომარეობაზე, მოახდინოს საკუთარი თავის კვლავწარმოება: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 20 წელია, ზედმეტი შრომისგან ახალგაზრდობაში სიკვდილის გამო.

მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო კაპიტალისტურმა კლასმა ინვესტიცია სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში, დაგროვების გადატანით მსუბუქიდან მძიმე ინდუსტრიაში, რაც გაცილებით ინტენსიურ შრომით დისციპლინასა და ნაკლებად ქანცგანწყვეტილი მშრომელის ტიპს მოითხოვდა. მარქსისტული ენით რომ ვთქვათ, კვლავწარმოების შრომის განვითარება და მისი თანმდევი „სრული განაკვეთის დიასახლისის“ წარმოშობა, სწორედ აბსოლუტურიდან შედარებით ზედმეტ ღირებულებაზე გადასვლის შედეგები იყო. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მაშინ, როცა გააცნობიერა, რომ „სამუშაო ძალის კვლავწარმოება და შენახვა გულისხმობს აუცილებელ პირობას კაპიტალის კვლავწარმოებისთვის“, მარქსმა შეძლო, იქვე დაემატებინა: „თუმცა, კაპიტალისტმა, შესაძლოა, უწყინრად დაუტოვოს ეს მშრომელის თვითგადარჩენისა და გამრავლებისკენ მამოძრავებელ ძალებს. კაპიტალისტი სხვა არაფერზე ზრუნავს, გარდა იმისა, რომ შეამციროს მშრომელის ინდივიდუალური მოხმარება აუცილებელ მინიმუმამდე...“ (Capital Vol.1, chapter 23: 718).

ასევე შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ იმ ტიპის შრომის კლასიფიკაციასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა, რომლებიც არ ექვემდებარება ფულად ღირებულებას, კიდევ უფრო მეტად უზიძგა მარქსს ამ თემაზე დუმილის შენარჩუნებისკენ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის წინაშე დადგა არც ისე მარტივი ამოცანა, თვალსაჩინო გაეხადა კაპიტალისტური ურთიერთობების სპეციფიკური ხასიათი. თუმცა არსებობს დამატებითი და უფრო მეტყველი მიზეზიც, მარქსიზმის, როგორც პოლიტიკური თეორიის ლიმიტების შესახებ, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვსურს ავხსნათ, რატომ განაგრძობდნენ ამ შრომის იგნორირებას არამხოლოდ მარქსი, არამედ მარქსისტების მთელი თაობები, რომლებიც იმ ეპოქებში გაიზარდნენ, როცა შინ შრომა და ზოგადად, საშინაოობა ტრიუმფალური იყო.

ვუშვებ, რომ მარქსმა იმიტომ უგულებელყო ქალთა კვლავწარმოების შრომა, რომ რევოლუციის ტექნოლოგიური კონცეფციის ერთგული დარჩა, რომლის თანახმადაც, თავისუფლება მანქანა-დანადგარებს მოაქვს, სადაც შრომის პროდუქტიულობის ზრდა – რომელიც გაგებუ-ლია, როგორც გამოშვების ზრდა დროში – კომუნიზმის მატერიალურ ბაზისად მიიჩნევა, და სადაც კაპიტალისტური შრომის ორგანიზება და-ნახულია როგორც ისტორიული რაციონალობის უმაღლესი მოდელი, სამაგალითო წარმოების ყველა სხვა ფორმისთვის, სამუშაო ძალის კვლავწარმოების ჩათვლით. სხვა სიტყვებით, მარქსმა ვერ მოახერხა კვლავწარმოების შრომის მნიშვნელობის გაცნობიერება, რადგან ის დათანხმდა შრომის კაპიტალისტურ კრიტიციუმს იმის შესახებ, თუ რა შეადგენს შრომას. მას სწამდა, რომ ანაზღაურებადი ინდუსტრიული შრომა იყო სწორედ ის სცენარი, რომელშიც კაცობრიობის ბედი უნდა ფორმირებულიყო.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იგივე დასკვნები კვლავწარმოეს მარქსის მიმდევრებმაც, იმის დემონსტრირებით, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის, როგორც განმათავისუფლებელი ძალების იდე-ალიზაცია, დღემდე არსებითი კომპონენტია ჩვენს დროში ისტორიისა და რევოლუციის მარქსისტული ხედვისთვის. სოციალისტი ფემინის-ტებიც კი, კაპიტალიზმში ქალთა კვლავწარმოების შრომის არსებო-ბის გაცნობიერებისას, ისწრაფოდნენ ყურადღება გაემახვილებინათ მის სავარაუდოდ დრომოჭმულ, ჩამორჩენილ, პრეკარიულ სექტორულ ხასიათზე და წარმოედგინათ მისი სოციალისტური რეკონსტრუქცია, როგორც რაციონალიზაციის პროცესი და მისი პროდუქტიულობის იმ დონემდე ზრდა, რომ კაპიტალისტური წარმოების წამყვან სექტორებს დასწეოდა.

ამ „შეუმჩნეველი ლაქის“ ერთი თავისებურება თანამედროვე დროში ის გახლდათ, რომ მარქსისტი თეორეტიკოსები უძლურნი აღმოჩნდ-ნენ ჩანვდომოდნენ კვლავწარმოების შრომის წინააღმდეგ ქალთა აჯანყების ისტორიულ მნიშვნელობას მეორე მსოფლიო ომის შემდ-გომ, რაც ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამოიხატა. მათ

არ შეიმჩნიეს ამ ბრძოლის მიერ პრაქტიკულად ხელახლა სახელდება იმისა, თუ რა შეადგენს შრომას, ვინ არის მუშათა კლასი და როგორია კლასობრივი ბრძოლის ბუნება. მხოლოდ მაშინ, როცა ქალებმა მასობრივად დატოვეს მემარცხენე ორგანიზაციები, მარქსისტებმა აღიარეს ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. დღემდე მრავალი მარქსისტი ფიქრობს კლასსა და გენდერს შორის ურთიერთობაზე; ისინი ამ უკანასკნელი კატეგორიის პოპულარობას განიხილავენ, როგორც კულტურულ ინდულგენციას, როგორც პოსტმოდერნიზმთან დათმობაზე წასვლას, ოღონდ გვერდი აუარონ კვლავწარმოების შრომის საკითხს, ეკომარქსისტ პიტერ ბარკეტივით (200...)(9), ან ცდილობენ მის ზედაპირულ ასიმილაციას ისევ სასაქონლო წარმოებაში, როგორიც, მაგალითად, ნეგრის „აფექტური შრომის“ კონცეფციაა, რომელსაც კვლავწარმოების პრეფერენსიურ კონცეფციასთან მივყავართ. ნამდვილად, მარქსისტი თეორეტიკოსები, უმეტეს შემთხვევაში, კიდევ უფრო გულგრილები არიან კვლავწარმოების საკითხის მიმართ, ვიდრე თავად მარქსი იყო, რომელსაც შეეძლო, გვერდები მიეძღვნა ბავშვთა შრომისთვის, მაშინ როდესაც, დღეს, მარქსისტულ ტექსტებში ბავშვებთან მიმართებების პოვნა გაჭირდება.

მოგვიანებით, კვლავ დავუბრუნდები თანამედროვე მარქსიზმის ლიმიტებს მის უწაროებაზე მისათითებლად, მოიხელთოს ნეოლიბერალური შემოტრიალებებისა და გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელობა. მანამდე კი იმის თქმაც საკმარისია, რომ 1960-იან წლებში, აშშ-ში ანტიკოლონიალისტური ბრძოლებისა და აპართეიდის წინააღმდეგ ბრძოლის გავლენით, მარქსის კაპიტალიზმისა და კლასობრივი ურთიერთობების ანალიზი უკვე ექვემდებარება მესამე მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკური მწერლების რადიკალურ კრიტიკას, მაგალითად, სამირ ამინისა და განდერ ფრენკის, რომლებმაც ამხილეს მისი ევროცენტრიზმი, მისგან კოლონიალური გაფართოების დაგვიწყება და მის მიერ ანაზღაურებადი ინდუსტრიული პროლეტარიატის, როგორც ექსპლუატაციის პირველადი ობიექტისა და რევოლუციური სუბიექტის გამოორჩევა. ასეა თუ ისე, სწორედ ევროპასა და აშშ-ში საშინაო შრომის წინააღმდეგ ქალთა აჯანყება, მოგვიანებით კი, 1980-იან და 1990-იან

წლებში მთელი პლანეტის მასშტაბით ფემინისტური მოძრაობების აღ-
მასვლა იყო, რამაც მარქსიზმის ყველაზე რადიკალურ გადააზრებას
უბიძგა.

ქალთა აჯანყება საშინაო შრომის წინააღმდეგ და შრომის ფემინისტური რედუფინიცია, კლასობრივი ბრძოლა და კაპიტალისტური კრიზისი

თითქოს სოციალურ კანონად იქცა, რომ შრომის ღირებულება მტკიც-
დება და ზოგჯერ, სწორედ მისი უარყოფის შედეგად იქმნება. სწორედ
ასე იყო საშინაო შრომის შემთხვევაში, რომელიც უხილავად და შე-
უფასებლად რჩებოდა, სანამ არ გამოჩნდა ქალთა მოძრაობა, რო-
მელმაც უარი თქვა მიედო კვლავწარმოების შრომა, როგორც ბუნებ-
რივი ბედისწერა. სწორედ 60-იან და 70-იან წლებში საშინაო შრომის
წინააღმდეგ ქალთა აჯანყებამ ახადა ფარდა აუნაზღაურებელი საში-
ნაო შრომის ცენტრალურობას კაპიტალისტურ ეკონომიკაში და სა-
ზოგადოებაზე ჩვენი წარმოდგენის რეკონფიგურაცია მოახდინა, რო-
გორც საშინაო, კონვეიერული წარმოების უზარმაზარი მიმოქცევისა,
რომელშიც მშრომელთა წარმოება ყოველდღიურ და თაობათაშორის
დონეზე ხორციელდება.

ფემინისტებმა არამხოლოდ აღმოაჩინეს, რომ სამუშაო ძალის კვლავ-
წარმოება გაცილებით ფართო აქტივობებს მოიცავს, ვიდრე საქონ-
ლის მოხმარებაა, როგორიცაა საკვები, რომელიც უნდა მომზადდეს,
ტანსაცმელი, რომელიც უნდა გაირეცხოს, სხეულები, რომლებსაც
მოფერება სჭირდებათ და სიყვარული, რომლითაც უნდა დაკავდე;
არამედ, მათ მიერ კაპიტალის დაგროვებაში ქალთა საშინაო შრომი-
სა და კვლავწარმოების მნიშვნელობის აღიარებამ მარქსის კატეგო-
რიების გადააზრებაც გამოიწვია და ისტორიის, კაპიტალისტური გან-
ვითარებისა თუ კლასობრივი ბრძოლის საფუძვლების ახალ გაგებას
დაუდო საფუძველი. ადრეული 1970-იანი წლებიდან ჩამოყალიბება
დაიწყო ფემინისტურმა თეორიამ, რომელმაც იმ თეორიული შემობ-

რუნების რადიკალიზება შეძლო, რაც მარქსის მესამე სამყაროსეული კრიტიკით დაიწყო. ამ თეორიამ დაადასტურა, რომ კაპიტალიზმი არ იგივედება ანაზღაურებად, კონტრაქტირებულ შრომასთან; რომ თავისი არსით, ის არათავისუფალი შრომაა და ფარდა ახადა ჭიპლარულ კავშირს კვლავწარმოების შრომისა და ქალთა სოციალური პოზიციის გაუფასურებას შორის.

ამ პარადიგმულმა ცვლილებამ პოლიტიკური შედეგებიც გამოიღო. მათგან ყველაზე პირდაპირი მარქსისტულ მემარცხენე სლოგანებზე უარის თქმა იყო, როგორიცაა „საერთო გაფიცვის“ ან „შრომაზე უარის თქმის“ იდეები, რომლებიც არასოდეს ყოფილა შინ-მშრომელთა მიმართ ინკლუზიური. დროთა განმავლობაში, გაიზარდა აღქმა, რომ ლენინიზმისა და სოციალ-დემოკრატიის ფილტრში გამოვლილი მარქსიზმი მსოფლიო პროლეტარიატის შეზღუდული სექტორის ინტერესებს გამოხატავდა – თეთრკანიანი, ზრდასრული მამაკაცი მშრომელებისას, რომლებიც ამ ძალას დიდწილად იმ ფაქტიდან იღებენ, რომ მუშაობენ კაპიტალისტური ინდუსტრიული წარმოების წამყვან სექტორებში, ტექნოლოგიური განვითარების უმაღლეს დონეებზე.

ამ ყველაფრის პოზიტიური მხარე ის გახლდათ, რომ კვლავწარმოების შრომის აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა გაგება, რომ კაპიტალისტური წარმოება მოიცავს მშრომელის კონკრეტული ტიპის, ისევე როგორც ოჯახის, სექსუალობის, გამრავლების კონკრეტული ფორმის წარმოებას და შესაბამისად, თავიდან განსაზღვრა პირადი სფერო, როგორც წარმოებითი ურთიერთობების ადგილი და ანტიკაპიტალისტური ბრძოლის ტერიტორია. ამ კონტექსტში, აბორტის აკრძალვის პოლიტიკები შეიძლება სამუშაო ძალის მიწოდების ჯაჭვის რეგულირების საშუალებებად გაიშიფროს; შობადობის დონის კოლაფსი და განქორწინებების რიცხვის ზრდა კი, შეიძლება, კაპიტალისტური სამუშაო დისციპლინისადმი წინააღმდეგობის გამოვლინებებად წავიკითხოთ. პირადი პოლიტიკური გახდა, ხოლო კაპიტალსა და სახელმწიფოს, როგორც აღმოჩნდა, ჩვენი სიცოცხლე და კვლავწარმოება ჩვენს საძინებლებში ჰქონდა გადატანილი.

ამ ანალიზის საფუძველზე, 1970-იანი წლების შუა პერიოდში – კაპიტალისტური პოლიტიკების ქმნადობის გადამწყვეტ ერაში, როცა მსოფლიო ეკონომიკის ნეოლიბერალური რესტრუქტურიზაციისკენ პირველი ნაბიჯები გადაიდგა, ფემინისტებმა შეძლეს დაენახათ, რომ გაღვივებული კაპიტალისტური კრიზისი არამხოლოდ საწარმოებში მიმდინარე ბრძოლებზე პასუხი იყო, არამედ ქალთა მიერ საშინაო შრომაზე უარის თქმამაც, როგორც ზრდად წინააღმდეგობაზე აფრიკელი, აზიელი, სამხრეთ ამერიკელი, კარიბიელების ახალი თაობები-სა კოლონიალიზმის შემკვიდრებების წინააღმდეგ. ამაში ძირითადი წვლილი დალა კოშტას, ფორტუნატის და სხვათა შრომებს მიუძღ-ვით, რომლებმაც აჩვენეს, რომ საშინაო შრომის წინააღმდეგ ქალთა უხილავმა ბრძოლებმა დაამსხვრია კვლავწარმოების მოდელი, რო-მელიც ფორდისტული შეთანხმების კომპონენტი იყო. დალა კოშტამ, მაგალითად, შენიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემ-დეგ, ევროპელი ქალები ჩართულნი იყვნენ გამრავლების წინააღმ-დეგ მდუმარე გაფიცვაში, რაც შობადობის დონის დაცემასა და იმიგ-რაციისკენ სახელმწიფო მოწოდებებში გამოვლინდა. ფორტუნატიმ და ბრუტო სიამო (1976) შეისწავლეს იტალიელ ქალთა მოტივაცია, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მათი სოფლებიდან გადინების ან ახალი თაობების კვლავწარმოებისაკენ მათი შემობრუნების უკან შეიძლებოდა მდგარიყო, შეისწავლეს კავშირები ქალთა ომის-შემდ-გომ დამოუკიდებლობის ძიებას, მათ მიერ საკუთარ ბავშვებში ჩადებუ-ლი ინვესტიციების ზრდასა და მშრომელთა ახალი თაობების ზრდად ბრძოლისუნარიანობას შორის.

1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ეს ბრძოლები უკვე აღარ იყო „უხილავი“, არამედ შრომის სქესობრივი დანაწილებისადმი ღია და-უმორჩილებლობად იქცა, მისი ყველა შედეგისადმი დაუმორჩილებ-ლობით: კაცებზე ეკონომიკური დამოკიდებულებისადმი, სოციალური დაქვემდებარებისადმი, დატუსაღებისადმი შრომის აუნაზღაურებელ, ნატურალიზებულ ფორმაში, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებუ-ლი გამრავლებისა და სექსუალობისადმი. ფართოდ გავრცელებული არასწორი გაგების საპირისპიროდ, კრიზისი არ შემოფარგლულა

მხოლოდ საშუალო კლასის თეთრკანიანი ქალებით. მეტიც, პირველი ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა აშშ-ში, ალბათ, სწორედ შავკანიან ქალთა მოძრაობა იყო. სწორედ „Civil Rigth Movement“-ის (სამოქალაქო უფლებების მოძრაობა) მიერ შთაგონებული „Welfare Mothers Movement“ (დედები სოციალური უზრუნველყოფისთვის) გაუძღვა პირველ კამპანიას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი საშინაო შრომის ანაზღაურებისთვის, რომელსაც ქალები ითხოვდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით, როდესაც ამტკიცებდნენ ქალთა კვლავწარმოების შრომის ეკონომიკურ ღირებულებას და აცხადებდნენ „სოციალური კეთილდღეობის“ უფლებას ქალთა უფლებად.

ქალები აქტიურობდნენ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის გარშემოც, როგორც ეს 1975 წელს, მეხიკოში ქალთა შესახებ ჩატარებულმა გაეროს პირველმა გლობალურმა კონფერენციამ აჩვენა. კონფერენციამ და მისმა შედეგებმა გამოავლინა, რომ კვლავწარმოების გარშემო ქალთა ბრძოლა პოსტკოლონიალისტურ ეკონომიკებში საშინაო მშრომელებში ინვესტიციების ჩადების ზრდისკენ იყო მიმართული და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მსოფლიო ბანკის განვითარების გეგმის ჩავარდნაში, რომელიც სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციას გულისხმობდა. აფრიკაში, ქალები ერთმანეთთან შეთანხმებით ამბობდნენ უარს დაჰყოლოდნენ ნებას, ემუშავათ ქმრების მიერ მოყვანილი პროდუქციის გამყიდველებად. ამის ნაცვლად, თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებულ სოფლის მეურნეობას იცავდნენ და ამ პროცესით, იაფი სამუშაო ძალის კვლავწარმოების ველს (Meillassoux) ექსპლუატაციისადმი წინააღმდეგობის ადგილად გარდაქმნიდნენ. 1980-იან წლებში, ეს წინააღმდეგობა მთავარ მოქმედ ფაქტორად აღიარეს მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების კრიზისში, რასაც შემდგომ სტატიების სერიები მოჰყვა თემაზე „ქალთა წვლილი განვითარებაში“.

ზემოთ აღწერილი მოვლენების გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გლობალიზაციასთან ერთად დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციამ არამხოლოდ კვლავწარმოების ძირითადი რეორგანიზაცია გამოიწვია, არამედ, კამპანიაც, ქალთა წი-

ნააღმდეგ „პოპულაციის კონტროლის“ სახელით. ქვემოთ, როდესაც შევეცდები შევაფასო გაბატონებული ტენდენციები, მათი სოციალური შედეგები და გავლენა კლასობრივ ურთიერთობებზე, ამ რესტრუქტურიზაციის მთავარ ასპექტებს განვიხილავ. პირველ რიგში, მსურს აგისნათ, თუ რატომ ვიყენებ კვლავ სამუშაო ძალის კონცეფციას, რომელსაც ზოგიერთი ფემინისტი აკრიტიკებს, როდესაც შენიშნავს, რომ ქალები აწარმოებენ ცოცხალ ინდივიდებს – ბავშვებს, ნათესავებს, მეგობრებს და არა სამუშაო ძალას. ეს კრიტიკა მიღებულია – სამუშაო ძალა აბსტრაქციაა – როგორც მარქსი გვეუბნება სისმონდის აზრის გახმოვანებისას: ის „*არაფერია იქამდე, სანამ გაიყიდება*“ და მოიხმარება (1990:277). თუმცა, მე ამ კონცეფციას რამდენიმე მიზნით ვინარჩუნებ. პირველ რიგში, მსურს მივუთითო იმ ფაქტზე, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში კვლავწარმოების შრომა არ არის საკუთარი თავის ან სხვების თავისუფალი კვლავწარმოება – ჩვენი ან მათი სურვილების შესაბამისად. რამდენადაც ის პირდაპირ ან ირიბად ხელფასზე იცვლება, კვლავწარმოების შრომა ყველა ეტაპზე ექვემდებარება კაპიტალისტური ორგანიზებისა და წარმოებითი ურთიერთობების მიერ მისთვის დაწესებულ პირობებს. სხვა სიტყვებით, საშინაო შრომა არ არის თავისუფალი აქტივობა. ის „*კაპიტალისტური წარმოების ყველაზე ჩაუნაცვლებელი საშუალების – მშრომელის წარმოება და კვლავწარმოება*“ (Ibid), ის არსებითად ექვემდებარება შემლუღებს, რომლებიც შემდეგი ფაქტიდან მომდინარეობს: მისმა პროდუქტმა შრომის ბაზრის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ „სამუშაო ძალის“ კვლავწარმოებაზე მითითება ააშკარავებს კვლავწარმოების შრომაში არსებულ შინაგან წინააღმდეგობას და, ამასთან ერთად, ამ შრომის არასტაბილურ, პოტენციურად გაქრობად ხასიათს. რამდენადაც სამუშაო ძალას არსებობა მხოლოდ ცოცხალ ინდივიდში შეუძლია, მისი კვლავწარმოება, იმავე დროს, უნდა იყოს ყველა იმ სასურველი ატრიბუტისა თუ შესაძლებლობის ქმნადობის და ღირებულების მინიჭების პროცესი, რაც შრომის ბაზრის მიერ გარედან დაწესებულ სტანდარტებს შეესაბამება. რამდენადაც შეუძლებელია, გაავლო ხაზი ცოცხალ ადამიანსა

და მის სამუშაო ძალას შორის, იმდენად შეუძლებელია გაავლო ხაზი კვლავწარმოების შრომის ამ ორ ასპექტს შორის, თუმცა, ამ კონცეფციის შენარჩუნება ამჟღავნებს მათ შორის დაძაბულობას, პოტენციურ დაშორებას, როდესაც გვთავაზობს კონფლიქტების, წინააღმდეგობების, აჯანყებების სამყაროს, რომლებსაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სხვა ყველაფერთან ერთად (მაგალითად, იმასთან, რომ ეს გაგება გადამწყვეტი იყო ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის), ის გვეუბნება, რომ შეგვიძლია ვიბრძოლოთ საშინაო შრომის წინააღმდეგ იმ შიშის გარეშე, რომ დავანგრევთ ჩვენს საზოგადოებებს, რადგან ეს შრომა აპატიმრებს როგორც კვლავწარმოებლებს, ისე წარმოებულებს.

პოსტმოდერნული ტრენდების საწინააღმდეგოდ, მსურს, ასევე დავიცვა ის, რომ კვლავ ერთმანეთისგან გამოვყოფ წარმოებას და კვლავწარმოებას. აქ ერთი მნიშვნელოვანი ამრია, რომელიც ბუნდოვანს ხდის განსხვავებას ამ ორს შორის. 1960-იანი წლების ბრძოლებმა ევროპასა და აშშ-ში, განსაკუთრებით კი სტუდენტურმა და ფემინისტურმა მოძრაობებმა, კაპიტალისტურ კლასს ასწავლა, რომ მშრომელთა მომავალი თაობების კვლავწარმოებაში ინვესტიცია აღარ არის საჭირო, რომ ეს არ არის შრომის პროდუქტიულობის ზრდის გარანტია. ამრიგად, არამხოლოდ სახელმწიფოს ინვესტიცია შემცირდა სასტიკად სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში, არამედ რეორგანიზაცია განიცადა თავად კვლავწარმოების აქტივობებმაც, ღირებულების მწარმოებელ იმ სერვისებად გარდაქმნით, რომელშიც მშრომელებს ფულის გადახდა შეუძლიათ. ამ გზით, კვლავწარმოების აქტივობების წარმოებული ღირებულება დაუყოვნებლივ რეალიზდება და აღარ არის დამოკიდებული მათ მიერ კვლავწარმოებული მშრომელების შესრულებულ შრომაზე. თუმცა, როგორც ქვემოთ ვაჩვენებ, მომსახურების სექტორის გაფართოებას არ აღმოუფხვრია სახლის ბაზაზე, აუნაზღაურებელი კვლავწარმოების შრომა და არც შრომის სქეოსობრივი დაყოფა, რომელშიც ეს შრომაა ჩაშენებული, რაც კვლავ განაცალკევებს ერთმანეთისგან წარმოებასა და კვლავწარმოებას, როგორც ამ აქტივობების სუბიექტების, ისე ხელფასისა და მისი უქონლობის მადისკრიმინირებელი ფუნქციის თვალსაზრისით.

და ბოლოს, მე ვსაუბრობ „კვლავწარმოების“ და არა „აფექტურ“ შრომაზე, რადგან სპინოზიანური ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც კი, ტერმინი „აფექტური“ მხოლოდ შეზღუდულ ნაწილს აღწერს იმ შრომისა, რასაც ადამიანური არსებების კვლავწარმოება მოითხოვს და, ასევე, აქრობს კვლავწარმოების შრომის ფემინისტური კონცეფციის რევოლუციურ პოტენციალს, რომელიც, ამ შრომაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობების გამოამკარავებით, აღიარებს ალიანსების შესაძლებლობას, თანამშრომლობის ფორმებს მწარმოებლებსა და კვლავმწარმოებლებს – დედებსა და ბავშვებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ექთნებსა და პაციენტებს შორის.

კვლავწარმოების შრომის ამ განსაკუთრებული მახასიათებლის გათვალისწინებით, მოდით დავსვათ კითხვა: როგორ რესტრუქტურირდა გლობალურ ეკონომიკაში სამუშაო ძალის კვლავწარმოება? რაში გამოიხატება ამ რესტრუქტურიზაციის გავლენა მშრომელებზე და განსაკუთრებით ქალებზე, როგორც კვლავწარმოების შრომის მთავარ, ტრადიციულ სუბიექტებზე? საბოლოოდ, რა უნდა ვისწავლოთ ამ რესტრუქტურიზაციისგან, რომელიც კაპიტალისტური განვითარებისა და მარქსისტული თეორიის როლს ეხება ჩვენი დროის ანტიკაპიტალისტურ ბრძოლებში? ჩემი პასუხი ამ კითხვებზე ორ ნაწილად იყოფა – ჯერ მოკლედ განვიხილავ გლობალიზაციის მიერ წარმოებულ მთავარ ცვლილებას სოციალური კვლავწარმოების საერთო პროცესსა და კლასობრივ ურთიერთობებში, რომ შემდეგ უფრო ფართოდ ვიმსჯელო კვლავწარმოების შრომის რესტრუქტურიზაციაზე.

გაუსაძლისის სახელდება. პირველადი დაგროვება და კვლავწარმოების რესტრუქტურიზაცია

არსებობს ხუთი ძირითადი გზა, რომელთა მეშვეობითაც მსოფლიო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციამ, რომელსაც ჩვენ „გლობალიზაციას“ ვუწოდებთ, უპასუხა 1960-იან და 1970-იან წლებში წარმოებული ბრძოლების ციკლებს და გარდაქმნა კვლავწარმოებისა და კლასობრივი ურთიერთობების მოწყობა.

პირველი შრომის ბაზრის გაფართოება იყო. გლობალიზაციამ ისტორიული ნახტომი შექმნა მსოფლიო პროლეტარიატის მოცულობის თვალსაზრისით, ქალთა დასაქმების ზრდით და იმ გლობალური პროცესის მეშვეობით, რომელმაც მილიონობით ადამიანი დააშორა თავის მიწას, სამსახურსა და „სამომხმარებლო უფლებებს“. გასაკვირი არ არის, რომ გლობალიზაციამ საკუთარი თავი პირველადი დაგროვების პროცესად წარმოიდგინა. ამ პროცესმა სხვადასხვა ფორმად მიიღო: I. ჩრდილოეთში მოხდა ინდუსტრიული დეკონცენტრაცია და ადგილმონაცვლეობა, ისევე, როგორც შრომის ფლექსიბილიზაცია და პრეკარიზაცია; II. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მოხდა ინდუსტრიების სახელმწიფოსგან მოწყვეტა და სოფლის მეურნეობის დეკოლექტივიზაცია, ასევე, კეთილდღეობის პრივატიზაცია; III. სამხრეთში: ლიბერალიზაციის იმპორტი, ვალუტის გაუფასურება, წარმოების მაკილიზაცია² და „სტრუქტურული რეგულირება“. მიზანი ყველგან ერთი და იგივე იყო – თვითკმარი ეკონომიკების განადგურება, მწარმოებლების დაშორება თვითუზრუნველყოფის საშუალებებისაგან, რათა მილიონობით ადამიანი მონეტარულ შემოსავალზე გამხდარიყო დამოკიდებული მაშინაც კი, როცა ხელი აღარ მიუწვდებოდათ ანაზღაურებად დასაქმებაზე. კაპიტალისტურმა კლასმა მსოფლიო შრომის ბაზრის მეშვეობით კიდევ ერთხელ მიაღწია საწყის წერტილს, თავიდან დააფუძნა დაგროვების პროცესი და შრომისა და წარმოების ხარჯები შეკვეცა. შრომის ბაზარს ორი მილიარდი ადამიანი დაემატა. სწორედ ეს მიუთითებს იმ თეორიების სიცრუეზე (იხ. ნეგრი და ჰარდტი „მასებსა“ და „იმპერიაში“), რომლებიც ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი აღარ მოითხოვს ცოცხალი შრომის მასიურ წილს, რადგან ნელ-ნელა წარმოების ავტომატიზაციისკენ ინაცვლებს.

მეორე: კაპიტალის დეტერიტორიალიზაციამ და ეკონომიკური აქტივობების ფინანსიალიზაციამ, როგორც ჩანს, კაპიტალი იმ შეზღუდვე-

2 მაკილიზაცია (Maquilization) – მოდის Maquiladora-დან; მექსიკაში, აშშ-ს და მექსიკის საზღვართან განთავსებული კონვეიერული წარმოების ქსელი, რომელიც საწარმოებს გადასახადებისგან და ვალდებულებებისგან ათავისუფლებს. ეს საწარმოები ძირითადად აგროვებენ ნედლეულ მასალას, რომელსაც ამუშავებენ, ფუთავენ და საბოლოო პროდუქტის სახით საექსპორტოდ ამზადებენ. (მთარგმ. შენიშვნა)

ბისგან გაათავისუფლა, რომლებიც მას შრომითი ექსპლუატაციისა და ექსპროპრიაციის წინააღმდეგ ბრძოლამ დაუნესა.

მესამე, სახელმწიფოს მიერ სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში ინვესტიციის შეწყვეტამ (სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკების შედეგად, „სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ჩამოშლის და სახელმწიფო-სოციალიზმის დანგრევის შედეგად) მასობრივად შეამცირა პენსიები, ჯანდაცვის სერვისები, საჯარო ტრანსპორტი, დაანესა მათზე მაღალი სამომხმარებლო ფასები, ინდივიდებს თავიანთი კვლავწარმოების ხარჯის მთლიანად საკუთარ თავზე აღება აიძულა. 1960-იანი წლების ბრძოლებმა კაპიტალს ასწავლა, რომ სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში ინვესტიცია აღარ არის საჭირო; აღარ არის აუცილებელი, ის ნიშნავდეს შრომის უფრო მაღალ პროდუქტიულობას.

მეოთხე იყო კაპიტალის მიერ „ბუნებრივი რესურსების“ თავისუფალი აპროპიაციისა და ექსპლუატაციის უზარმაზარი გაფართოება. ძირითადად „ვალის დაბრუნებისა“ და „სტრუქტურული რეგულირების“ მექანიზმებით, აფრიკულ და აზიურ ქვეყნებს მოუწიათ, გაეყიდათ საკუთარი ტყეები, დაეშვათ უზარმაზარი ფართობების მიწების ექსპროპრიაცია/პრივატიზება, რომლებიც მანამდე სამშობლო იყო ფართო მოსახლეობისთვის და შესაძლებელი გაეხადათ იქიდან მინერალური რესურსების ამოღება.

რომ გავაერთიანოთ, ამ ტრენდებმა კაპიტალის დაგროვებაში კულმინაციური ნახტომი მოიტანა, თუმცა, მსოფლიო მასშტაბით სამუშაო ძალის დრამატული გაუფასურება და სოციალური კვლავწარმოების ჩამორჩენა გამოიწვია; გააუქმა ყველა სოციალური კონტრაქტი და შრომითი ურთიერთობების დერეგულაცია მოახდინა. შედეგად, ჩვენ მოვესწარიტ შრომის არათავისუფალი ფორმების ფართომასშტაბიან დაბრუნებას. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციით, განსაკუთრებით კი, შრომის კომპიუტერიზაციითა და კაპიტალის დეტერიტორიალიზაციით, შეიქმნა ეკონომიკური სისტემა, რომელმაც შესაძლებელი

გახადა პრიმიტიული დაგროვების პერმანენტული პროცესი (Werlhof), რაც არამხოლოდ „კომუნიზმის პაკეტებს“ ანადგურებს, მშრომელებმა საუკუნეზე მეტხიანი ბრძოლით რომ მოიპოვეს, არამედ ძირს უთხრის ჩვენ მიერ „საერთოს წარმოებასაც“. ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია გავიზიაროთ პარტისა და ნეგრის ოპტიმიზმი (იხ. „იმპერია“ და „მასები“), რომლებიც ამტკიცებენ, რომ შრომის კომპიუტერიზაციითა და ინფორმაციული რევოლუციით ჩვენ მარქსის მიერ „გრუნდრისე-ში“ განჭვრეტილ ტოტალური ავტომატიზაციის იმ ფაზაში შევდივართ, როცა კაპიტალისტურ წარმოებას აღარ დასჭირდება ცოცხალი შრომა, როცა სამუშაო დრო აღარ იქნება ღირებულების საზომი, რომ შრომის დასასრული აქვე ახლოსაა და ის მხოლოდ საკუთრებითი ურთიერთობების ცვლილებაზეა დამოკიდებული.

ცალ-ცალკე აღებული ამ გარდასახვის ასპექტები, მაგალითად, შრომის ფლექსიბილიზაცია და პრეკარიზაცია, შეიძლება განმათავისუფლებელ ალტერნატივებადაც კი მოგვეჩვენოს (მაგალითად, 9-დან 5-მდე სამუშაო რეჟიმი), თუ უმშრომელო საზოგადოების მოლოდინი არ გვაქვს. მაგრამ მშრომელებისა და კაპიტალის ურთიერთობის ტოტალობის თვალსაზრისით, ეს ასპექტები კაპიტალის ძალაუფლების უტყუარი გამოვლინებებია, რითიც ის ახდენს მშრომელების დეკონცენტრაციას და აღმოფხვრის ანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე ორგანიზებულ, ეფექტიან ბრძოლას. უკან გადადგმული ნაბიჯია, ასევე, წარმოების სექტორის სახელმწიფოსგან დაშორება და სამუშაო ძალაში ინვესტიციის შეწყვეტაც, როგორც კაპიტალისტურ, ისე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში – მოჩვენებითი პასუხი აჯანყებაზე სიცოცხლის ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ, სოციალისტურ და კეთილდღეობის სახელმწიფოებში რომ იდგა. ეს კაპიტალის ძალაუფლების გამოხატულებაა, გადახაზოს ყველა სოციალური კონტრაქტი, გააუქმოს ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობა და დააბრუნოს მდგომარეობა, სადაც მშრომელების ერთადერთი გარანტია ყოველგვარი უსაფრთხოების – მათ შორის ანაზღაურების, ბენეფიტების, დასაქმების აბსოლუტური დეფიციტია. რომ შევაჯამოთ, სოციალური კვლავწარმოების კუთხით, ვხედავთ, რომ ტექნოლოგიური ნახტომი, რომელიც წარმო-

ების კომპიუტერიზაციით გახდა შესაძლებელი, დაფუძნებული იყო სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური სიმდიდრის წარმოუდგენელ განადგურებაზე, ექსპლუატაციის უზარმაზარ მასშტაბსა და შრომის გაუფასურებაზე, ისევე როგორც მსოფლიო პროლეტარიატის შიგნით გახლეჩვის გაღრმავებაზე.

ამ მოვლენების ეკონომიკური და სოციალური შედეგები დრამატული იყო. მთელ მსოფლიოში დაეცა რეალური შემოსავლები და დასაქმების დონე. თავის შენახვის ბუნებრივ საშუალებებზე წვდომა მკვეთრად შემცირდა, გადატაკება და შიმშილიც კი, ფართოდ გავრცელებული ფენომენი გახდა, მათ შორის, განვითარებულ ქვეყნებში. უკანასკნელი ანგარიშის მიხედვით, აშშ-ში 37 მილიონი ადამიანი შიმშილობს. შრომის დამზოგავი ტექნოლოგიების შემოტანის შედეგად მოსალოდნელი შემცირების მიუხედავად, სამუშაო დღე და შრომითი ცხოვრება მაქსიმუმამდე გაიზარდა, რამაც „მოცალებობის დრო“ და პენსიაზე გასვლა უტოპიად აქცია. აშშ-ში, სამ სხვადასხვა სამსახურში შეთავსებით მუშაობა დღეს მშრომელთა უმრავლესობისთვის აუცილებლობაა; უამრავი მათგანი 60-70 წლის ასაკში უბრუნდება შრომით ბაზარს, უპენსიოდ დარჩენის გამო. ამასობაში ტყეების, ოკეანური წყლების, მარჯნის რიფების, ცხოველების, ბოსტნეულის სახეობების კორპორატიულმა დესტრუქციამ ისტორიულ პიკს მიაღწია, ისევე როგორც კონფლიქტმა და საომარმა მდგომარეობამ არამხოლოდ კაპიტალისტებსა და მშრომელებს შორის, არამედ თავად მშრომელებშიც, რომლებიც შემცირებადი რესურსებისთვის იბრძვიან (McMurtry: 105-111).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე გავხდით არათავისუფალი შრომის დაბრუნების და მუშათა კლასის მზარდი კრიმინალიზაციის მომსწრენი, მასობრივი დაპატიმრებებით (XVII საუკუნის „დიდ დატუსაღებას“ რომ გვაგონებს) და პროლეტარიატის კანონის ძალით ფორმირებით უსაბუთო ემიგრანტებად, არალეგალურ მშრომელებად, უკანონო საქონლის მწარმოებლებად, სექსმუშაკებად – ეს არის პროლეტარების მასები, რომლებიც ჩრდილში მუშაობენ და გვახსენებენ უუფლებო მშრომელთა პოპულაციებს, რომელთა შორისაც იყვნენ მონები, კო-

ლონიალური სუბიექტები, დღიურ გასამრჯელოზე მომუშავე პირები, მსჭავრდებულები და უსაბუთოები – რაც კაპიტალის დაგროვებისთვის სტრუქტურულ აუცილებლობად რჩება.

განსაკუთრებით სასტიკი იყო ახალგაზრდებზე შეტევა, კერძოდ კი, შავკანიან ახალგაზრდებზე, „შავი ძალაუფლების“ მემკვიდრეობის შთამომავლებზე, თუმცა, თავის მხრივ, 1968 წლის გამაფრთხილებელ გაფიცვასა და მღელვარებაზეც – ახალგაზრდების უფრო ფართო პოპულაციებზე, რომელთაც არაფერი დაუთმეს: არც დასაქმების შესაძლებლობა, არც განათლებაზე წვდომა. შესაბამისად, არათუ გასაკვირი, არამედ მრავლისმეტყველიც კია, რომ კვლავწარმოების რესტრუქტურიზაციის თანმდევ სოციალურ შედეგებს შორის იყო ახალგაზრდებში თვითმკვლელობის ზრდა, ისევე როგორც ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ ძალადობის ზრდა, ბავშვთა მკვლელობების ჩათვლით.

რა თქმა უნდა, მშრომელთა კვლავწარმოებაზე ამგვარი შეტევა უპასუხოდ არ დარჩენილა. აშშ-ში საკრედიტო ფულის მოხმარების ფართოდ გავრცელება უნდა მოვიაზროთ პასუხად შემოსავლების დაცემაზე, როგორც იმ ქაშვების შემოტერის პოლიტიკის უარყოფა, რომელიც ხელფასების ვარდნის შემდეგ დაწესდა. მსოფლიოს მასშტაბით გაზრდილმა მოძრაობების აქტივობამ, გლობალიზაციის თითოეული ასპექტი გამოწვევის წინაშე დააყენა. ეს ნაწილობრივ ხსნის ომისა და კრიზისის, როგორც დაგროვების საფეხურების აუცილებლობას. სოციალური კვლავწარმოების ლინზით გლობალურ ეკონომიკაზე დაკვირვების შემდეგად ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერნეტის გაჩენის მიუხედავად, არ გაღვივებულა სოციალური თანამშრომლობა და კომუნიკაცია. გლობალიზაციამ არამხოლოდ „საერთოს წარმოებისთვის“ საჭირო ძირითად მატერიალურ პირობებს გამოუთხარა ძირი, რაც მიწისა და ბუნებრივი რესურსების საერთო ფლობას გულისხმობს, არამედ, ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიო წესრიგი ერთმანეთზე თანასწორად დამოკიდებული მიმოქცევების ქსელებად გარდაექმნა – როგორც ლიბერალ ეკონომისტებს, თომას ფრიდმანის

მსგავს ჟურნალისტებს, ისე მარქსისტ ავტონომისტებს, მაგალითად, ნეგრის, სჯეროდათ – მან მსოფლიო წესრიგის, როგორც პირამიდული სტრუქტურის რეკონსტრუქცია მოახდინა, უთანასწორობისა და პოლარიზაციის გაზრდით და იმ იერარქიების გაღრმავებით, რომლებიც ისტორიულად შრომის სქესობრივი და საერთაშორისო დანაწილებით ხასიათდება, რითიც ძირი გამოუთხარა ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობასაც და ანტიკოლონიალისტურ ბრძოლასაც.

პირველადი დაგროვების სტრატეგიული ცენტრი ყოფილი კოლონიალური სამყარო იყო, კაპიტალისტური სისტემისგან ისტორიულად დაუცველი მონობისა და პლანტაციების ადგილი. სწორედ აქ გავხდით მომსწრენი ყველაზე რადიკალური ექსპროპრიაციის და გაღარიბების, სახელმწიფოს მიერ ინვესტიციის შეწყვეტისა და შრომის გაუფასურების. ეს მოვლენები საკმაოდ კარგად არის დოკუმენტირებული. 1980-იანი წლებიდან დაწყებული უმუშევრობა, როგორც სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკების შედეგი, მესამე სამყაროს ქვეყნებში იმდენად მაღალ ნიშნულამდე ავიდა, რომ USAID-მა შეძლო მშრომელებისთვის იმაზე უკეთესი არაფერი შეეთავაზებინა, ვიდრე საკვები იყო შრომისას. ხელფასები იმდენად შემცირდა, რომ მაკილაში მშრომელი ქალების მონათხრობის მიხედვით, რძეს – ჭიქობით, კვერცხს ან პომიდორს კი ცალობით ყიდულობდნენ. მოხდა მთელი მოსახლეობების დემონეტიზაცია, პარალელურად კი მათ მიწებს სამთავრობო პროექტები უცხოელი ინვესტორებისთვის გადასაცემად ითვისებდნენ. დღეს აფრიკის მოსახლეობის ნახევარი გადაუდებელ დახმარებას იღებს (Moyo and Yeros). დასავლეთ აფრიკაში, ნიგერიდან ნიგერიამდე თუ განამდე, შეწყდა ელექტროენერგია, გაითიშა ნაციონალური ქსელები, რამაც მათ, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა, უბიძგა, ინდივიდუალურად შეეძინათ გენერატორები, რომელთა ხმაური ახლა ღამეებშია შეზრდილი და ადამიანებს ძილსაც კი ურთულებს. სახელმწიფო ჯანდაცვისა და განათლების ბიუჯეტი, ფერმერთა სუბსიდიები, ბაზისური საჭიროებების მხარდაჭერის ფორმები – ყველაფერი შეიკვეცა, აორთქლდა, გამოიშინა. შედეგად, ეცემა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ხელახლა გამოჩნდა ის ფენომენები, რომლებიც კა-

პიტალიზმს, სავარაუდოდ, დიდი ხნის წინ უნდა გაექრო სამყაროდან: შიმშილი, განმეორებადი ეპიდემიები, ომები, კუდიანებზე ნადირობაც კი. მაიკ დევისმა ამ სიტუაციის აღსაწერად გამოიყენა ფრაზა „ჭურღ-მულების პლანეტა“, მაგრამ ალბათ უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა „გეტოების პლანეტა“, გლობალური აპართეიდის რეჟიმი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკებისა და სავალო კრიზისის გავლით მესამე სამყაროს ქვეყნები იძულებულნი გახდნენ, საკვების წარმოება საშინაო სფეროდან ბაზარზე ექსპორტისკენ მიემართათ, სახნავი მიწები საკვები მარცვლეულის წარმოებიდან რესურსების ექსტრაქციისთვის განკუთვნილ ტერიტორიებად და ბიოსაწვავის წარმოებად გარდაექმნათ, მთლიანად გაეჩეხათ ტყეები და ისინი ყველანაირი ნარჩენების ნაგავსაყრელებად ან ფარმაცევტულ გენებზე მონადირეთათვის დასაბრუნებელ არეალებად ექციათ, მაშინ, უნდა დავასკვნათ, რომ საერთაშორისო კაპიტალის გეგმაში დღეს მსოფლიო რეგიონებია მონიშნული „ნულოვანი კვლავწარმოებისთვის“. ნამდვილად, ჩვენ ვხედავთ, რომ სიკვდილის ძალაუფლება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ბიოძალაუფლება კაპიტალისტური ურთიერთობების ფორმირებაში; როგორც საშუალება არასასურველი მშრომელების გაფანტვის, არასაჭირო წინააღმდეგობების გაბნევის, შრომის წარმოების ხარჯის შესამცირებლად.

ყოველივე ზემოთქმული იმის საზომადაც გამოგვადგება, თუ რამდენად ჩამორჩა მესამე სამყაროში სამუშაო ძალის კვლავწარმოება, როგორ აღმოჩნდა მილიონობით ადამიანი გაუგონარი სირთულეების წინაშე, მათ შორის, სიკვდილისა და თავისუფლების აღკვეთის პერსპექტივის წინაშე, მიგრაციის გამო. ცხადია, მიგრაცია არ არის მხოლოდ „საჭიროება“, არამედ არჩევანია, ბრძოლის უფრო ინტენსიური შრიდან გაქცევა; საშუალებაა, რომ თავიდან დაიბრუნო მოპარული სიკეთეები (Yann Moulier Boutang, Papadopoulos, Mezzadra). ისიც მართალია, რომ მიგრაციამ ავტონომიური ხასიათი შეიძინა, რაც მისი, როგორც მარეგულირებელი მექანიზმის გამოყენებას ართულებს. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ მილიონობით ადამიანი ტოვებს საკუთარ ქვეყანას,

რადგან მათ აღარ შეუძლიათ იქ საკუთარი თავის კვლავწარმოება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მიგრანტების ნახევარი ქალია, რომელთაგანაც მრავალი დაქორწინებულია და ჰყავს ბავშვები, რომლებიც უნდა დატოვოს. ეს პრატიკა ძალიან უჩვეულოა ისტორიულად. არიან ისეთებიც, ვინც რჩებიან, არა ინიციატივების ნაკლებობის ან ტრადიციული შეზღუდვების გამო, არამედ იმიტომ, რომ იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარი ოჯახების კვლავწარმოებაზე. სწორედ ისინი არიან, ვინც – ხშირად თავად საკვების გარეშე დარჩენილნი – დარწმუნდებიან, რომ ბავშვებს აქვთ საკვები – დარწმუნდებიან, რომ მოხუცები და ავადმყოფები მოვლილები არიან. ამრიგად, როცა ასობით ათასობით ადამიანი მიდის წლების განმავლობაში დამცირებასა და გაუცხოებასთან შესახვედრად, ტანჯვაში საცხოვრებლად, რომ ვერ მისცემს მისთვის საყვარელ ადამიანებს ზრუნვას, რომელსაც სხვებს აძლევს მსოფლიოს გარშემო, ჩვენ ვხვდებით, რომ რაღაც ძალიან დრამატული ხდება მსოფლიო კვლავწარმოების ორგანიზების პროცესში.

მიუხედავად ამისა, უნდა უარვყოთ დასკვნა, რომლის მიხედვითაც გლობალიზაციის მსხვერპლთა მიმართ საერთაშორისო კაპიტალისტური კლასისთვის დამახასიათებელი ინდიფერენტულობა იმის მტკიცებულებაა, რომ კაპიტალს აღარ სჭირდება ცოცხალი შრომა. რეალურად, ადამიანური სიცოცხლის ფართომასშტაბიანი განადგურება კაპიტალიზმის სტრუქტურული კომპონენტი იყო მისი დასაწყისიდანვე, როგორც მშრომელთა დაგროვების აუცილებელი შემადგენელი, რაც გარდაუვლად ძალადობრივი პროცესია. განმეორებითი „კვლავწარმოების კრიზისი“, რომელსაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აფრიკაში მოვესწარი, სწორედ ამ დიალექტიკაშია ფესვგადგმული. ასევე, არაკონტრაქტირებული შრომის დაბრუნება და ფენომენები, რომლებიც „თანამედროვე სამყაროში“ ზიზლს იწვევს – მასობრივი დაპატიმრებები, სისხლის, ორგანოების, ადამიანური ნაწილების ტრაფიკი – სწორედ ამ კონტექსტში უნდა გვესმოდეს. კაპიტალიზმი სასათბურე პირობებს უქმნის კვლავწარმოების პერმანენტულ კრიზისს და თუ ეს ადრე უფრო მეტად თვალსაჩინო არ იყო, მხოლოდ

იმიტომ, რომ „ადამიანური კატასტროფები“, რომლებიც მან გამოიწვია, ისტორიულად ექსტერნალიზებული იყო, ჩაკეტილი იყო კოლონიებში და, ამიტომ, უხილავი და რაციონალიზებულიც, როგორც კულტურული ჩამორჩენილობის, ტრაიბალიზმის, ცრუ ტრადიციებისადმი მიჯაჭვულობის ეფექტები. ეს „ექსტერნალიზაცია“ დღესაც გრძელდება, ისევე, როგორც მისი იდეოლოგიური შეფუთვა. ეკონომიკური და სოციალური დემინტეგრაცია, რომელსაც მესამე სამყაროს მრავალი ქვეყანა ეკონომიკური ლიბერალიზაციის შედეგად განიცდის, რაციონალიზებულია კოლონიალური იდეოლოგიის განახლებით, რომელიც ადამიანებს მსხვერპლს, როდესაც ეყრდნობა სამყაროებს შორის ზრდად დისტანციურობას და სხვებზე შფოთვას, რაც რესურსების შემცირების ხილულმა პროცესმა წარმოშვა.

და ბოლოს, გლობალიზაცია იმდენად უშეცდომოდ აჩვენებს წარმოების ტექნოლოგიზაციის საზღაურს, რომ ჩვენთვის წარმოუდგენელი ხდება საუბარი ისე, როგორც მარქსი საუბრობს „გრუნდრისში“ „კაპიტალის ცივილიზატორულ გავლენაზე“ და მის მიერ „ბუნების უნივერსალურ აპროპრიაციასთან“ მიმართებაზე, ისევე როგორც „მის მიერ საზოგადოების სხვადასხვა სტადიების წარმოებაზე [სადაც].. ბუნება ხდება მარტივი ობიექტი კაცობრიობისთვის, წმინდა გამოყენების საგანი, [სადაც] ის წყვეტს იყოს აღიარებული, როგორც ძალა მის საკუთარივე უფლებაში; ხოლო თეორიული გაცნობიერება მისი დამოუკიდებელი კანონებისა გვევლინება, მხოლოდ როგორც ხერხი, რომელიც შექმნილია იმისთვის, რათა დაექვემდებაროს ადამიანურ საჭიროებებს, როგორც მოხმარების ობიექტი ან წარმოების საშუალება“. (Grundrisse, quoted by McLellan : 363-4)

სწორედ როგორც ფოლადის ქარხნებს, ისევე კომპიუტერებსაც, გააჩნია – მათ მასალებს, მათ ფაბრიკაციას და ფუნქციონირებას – გარემოსთვის მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი ეფექტი. როგორც ძველი, ისე ახალი მანქანები პლანეტას ანადგურებენ ისე, რომ ცოცხლად დარჩენა – როგორც პოლონეთში უკანასკნელმა კონფერენციამ აჩვენა – პოლიტიკური მოთხოვნა გახდა. ამ შემთხვევაშიც, ამ თემაზე იმ-

დენი გვესმის ყოველდღიურად, რომ უკვე გვიჭირს კიდევ ვიმეოროთ ის, რაც ისედაც ცხადია. მაგრამ პოლიტიკის შემქმნელთა ნების არარსებობა და უძლურება, შეცვალონ კაპიტალის კურსი, მათ წინაშე დაგროვილი გლობალური დათბობის მტკიცებულებისა თუ სხვა, მიმდინარე კატასტროფების მიუხედავად, არამხოლოდ იმას აჩვენებს, რომ „კაპიტალიზმი არამდგრადია“ (Dalla Costa), არამედ იმასაც, რომ მისგან ტექნოლოგიურად თავის დაღწევის ნებისმიერი ოცნება აბსურდია, წარმოუდგენელია.

კვლავწარმოების შრომა, ქალთა შრომა და გენდერული ურთიერთობები გლობალურ ეკონომიკაში

სწორედ ამ ფონზე უნდა დავსვათ კითხვა, თუ როგორ ხორციელდება კვლავწარმოების შრომა გლობალურ ეკონომიკაში და როგორ ჩამოაყალიბა კვლავწარმოების შრომის ტრანსფორმაციამ შრომის სქესობრივი დაყოფა და ქალებსა და კაცებს შორის ურთიერთობა. წარმოებასა და კვლავწარმოებას შორის არსებით განსხვავებებს აქაც დავინახავთ. პირველი განსხვავება, რომელსაც შევნიშნავთ, მდგომარეობს ფაქტში, რომ რამდენადაც წარმოებამ ნახტომისებრი ტექნოლოგიური რესტრუქტურიზაცია განიცადა მსოფლიო ეკონომიკის ძირითად სივრცეებში, „საშინაო შრომის“ სფეროში არავითარი ტექნოლოგიური ნახტომი არ მომხდარა. მეტიც, სამუშაო ძალის კვლავწარმოებისთვის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა მნიშვნელოვნად შემცირდა. ჩრდილოეთში, პერსონალური კომპიუტერი მონაწილეობს პოპულაციის მცირე ნაწილის კვლავწარმოებაში – შოპინგში, სოციალიზაციაში, ინფორმაციის შეგროვებასა და, გარკვეულწილად, სექს-სამუშაოც კი შეიძლება, დღეს ონლაინ შესრულდეს. იაპონური კომპანიები საუბრობენ პარტნიორული ურთიერთობებისა და დანყვილების რობოტიზაციაზე. მათ გამოგონებებს შორისაა ექთანი რობოტები (nursebots), რომლებიც აბანავებენ ხანდაზმულებს (Folbre) და ინტერაქტიური შეყვარებული, რომელიც მომხმარებლის მიერ, მისი ფანტაზიებისა და სურვილების შესაბამისად იწყობა, მაგრამ ტექნო-

ლოგიურად ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, საშინაო შრომა არ შემცირებულა. მეტიც, მან მარკეტიზაცია და რედისტრიბუცია განიცადა, რაც ძირითადად ემიგრანტებს დაანავთ მხრებზე, სამხრეთიდან და ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან და რაც მთავარია, მას კვლავ ქალები ასრულებენ. ეს იმით აიხსნება, რომ სასაქონლო წარმოებისგან განსხვავებით, ადამიანური არსებების კვლავწარმოება არსებითად დაუყვანელია მექანიზაციაზე, რამდენადაც ის კომპლექსური საჭიროებების დაკმაყოფილებას გულისხმობს, რომლებშიც განუყრელად ერთიანდება ფიზიკური და აფექტური ელემენტები და მოითხოვს ადამიანური ინტერაქციის უმაღლეს დონეს, ყველაზე ინტენსიურ შრომით პროცესს. ყველაზე თვალსაჩინო ეს ბავშვებისა და მოხუცების კვლავწარმოების პროცესშია, როდესაც ამ შრომის ყველაზე ფიზიკური კომპონენტიც კი შეიცავს განმტკიცებას უსაფრთხოების განცდისა, რასაც შიშებისა და სურვილების წინასწარგანჭვრეტა სჭირდება. ამ აქტივობებიდან არცერთი არ არის წმინდად „მატერიალური“ ან „არამატერიალური“, ისევე, როგორც შეუძლებელია მათი მოსპობა მექანიზმების გზით ან ონლაინ კომუნიკაციის ვირტუალური სამყაროთი ჩანაცვლება.

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რის გამოც კომერციალიზებული და გლობალიზებული საშინაო შრომა სხვადასხვა სუბიექტების მხრებზე გადანაწილდება იმის ნაცვლად, რომ მოხდეს მისი ტექნოლოგიზაცია. როგორც ვიცით, ქალთა შრომის ბაზარზე ზრდადი მონაწილეობის შედეგად, განსაკუთრებით ჩრდილოეთში, საშინაო შრომის დიდი ნაწილი სახლიდან გავიდა და რეორგანიზდა კომერციული მოტივით, რამაც მომსახურების ინდუსტრიის ვირტუალური ბუმი გამოიწვია. დღეს ეს ინდუსტრია ანაზღაურებადი დასაქმების სფეროში დომინანტური ეკონომიკური სექტორია. ეს ნიშნავს, რომ მეტი კერძი იჭმევა სახლის გარეთ, მეტი ტანსაცმელი ირეცხება სამრეცხაოებში ან ქიმწმენდაში, მეტი მზა საკვები იყიდება... გარდა ამისა, ვხედავთ კვლავწარმოების გარკვეული აქტივობების შემცირებასაც, როგორც ქალების მიერ უარის თქმის შედეგს დისციპლინაზე, რომელსაც ქორწინება და ბავშვთა აღზრდა მოიცავს.

აშშ-ში 1960-იან წლებში 1000 ქალში 118-დან, შობადობის მაჩვენებელი 2005 წელს 66.7-მდე დაეცა, რამაც მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდამდე მიგვიყვანა, 1980 წელს 30-დან კი – 2006 წელს – 36.4-მდე. დემოგრაფიული ზრდის ასეთი დაცემა განსაკუთრებით მაღალი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც, გარკვეულ ქვეყნებში (მაგალითად, იტალიასა და საბერძნეთში), გრძელდება ქალთა გაფიცვები გამრავლების წინააღმდეგ, რაც ნულოვანი ზრდის დემოგრაფიულ რეჟიმებს ქმნის. ეს დიდ ვნებათაღელვას იწვევს პოლიტიკის დამგვემავთა შორის და იმიგრაციას უწყობს ხელს. ასევე ვნახეთ ქორწინებებისა და დაქორწინებული წყვილების რიცხვის კლებაც, 1990 წელს, აშშ-ის მთელი შინამეურნეობების 56%-დან 2006 წელს 51%-მდე; პარალელურად კი იმ ადამიანთა რიცხვის ზრდა, რომლებიც მარტოები ცხოვრობენ (აშშ-ში 23-იდან 30,5 მილიონამდე – 7,5 მილიონიდან, რაც 30% იან ზრდას შეადგენს).

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სტრუქტურული რეგულირებისა და ეკონომიკური გადაწყობის ეპოქაში, კვლავწარმოების შრომის რესტრუქტურიზაცია მოხდა საერთაშორისო დონეზე, რის გამოც მეტროპოლიური სამუშაო ძალის კვლავწარმოების უდიდეს ნაწილს დღეს ემიგრანტი ქალები ასრულებენ. შეიქმნა შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება, რომელიც გლობალური სამხრეთის მოსახლეობების გაღარიბებას დაეფუძნა, რის შედეგადაც ქალები აღმოსავლეთ ევროპიდან თუ აფრიკიდან, ლათინური ამერიკიდან თუ აზიიდან, შეადგენენ დღეს მეტროპოლიური სამუშაო ძალის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით იმ ზრუნვის შრომით, რასაც ისინი ბავშვებთან და მოხუცებთან, ასევე, მამაკაცი მშრომელების სექსუალური კვლავწარმოებისთვის სწევენ (იხ. Federici 1995). ეს მოვლენა უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო მრავალი თვალსაზრისით, თუმცა, ფემინისტებს ის ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ სათანადოდ, რაზეც მონაშობს ამ მოვლენის პოლიტიკური შედეგები: ახალი ძალაუფლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მან ქალებს შორის აწარმოა; საშინაო შრომის გარშემო ბრძოლის ახალი ფორმები, რაც უკანასკნელ წლებში საშინაო მშრომელებისა და სექს-მუშაკების, როგორც პროტაგონისტების მაგალითზე ვიხილეთ, რამდენადაც ამაღ

კვლავწარმოების მარკეტინგის ლიმიტები გამომჩვეურა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ზეიმობენ „ზრუნვის გლობალიზაციას“, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, შეამცირონ კვლავწარმოებაში ინვესტიცია, ცხადი ხდება, რომ ეს „გამოსავალი“ უზარმაზარ სოციალურ საფასურს იხდის, თუნდაც იმ დასახლებების ხარჯზე, საიდანაც ემიგრანტი ქალები არიან წარმოშობით.

არც საბაზრო საფუძველზე კვლავწარმოების შრომის რეორგანიზაცია, არც „ზრუნვის გლობალიზაცია“ და მითუმეტეს, არც კვლავწარმოების შრომის ტექნოლოგიზაცია არ გულისხმობს „ქალთა გათავისუფლების“ არავითარ გზას, ისევე როგორც კვლავწარმოების შრომისთვის შინაგანად დამახასიათებელი ექსპლუატაციის დასრულების რაიმე გზას, რომელიც მის დღეს არსებულ ფორმაში გვხვდება. გლობალური პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ არამხოლოდ ქალები ასრულებენ საშინაო შრომის უდიდეს ნაწილს ყველა ქვეყანაში, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ამცირებს ქვეყანა სოციალურ სერვისებში დანახარჯს და ახდენს ინდუსტრიული წარმოების დეცენტრალიზაციას, ანაზღაურებადი თუ აუნაზღაურებელი საშინაო შრომის მოცულობა, რომელსაც ისინი ასრულებენ, მნიშვნელოვნად იზრდება, მაშინაც კი, როდესაც სახლის გარეთ მუშაობენ.

სამმა ფაქტორმა გაზარდა ქალთა სამუშაო დღე და დააბრუნა შრომა სახლში.

პირველი ფაქტორი ის არის, რომ ქალები ეკონომიკური გლობალიზაციის ერთგვარი ამორტიზატორები აღმოჩნდნენ, როდესაც იძულებულნი გახდნენ საკუთარი შრომით გადაეხადათ გაუარესებული ეკონომიკური პირობების კომპენსაცია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციამ და სახელმწიფოების მიერ ზრდადმა ინვესტიციების კლებამ მოიტანა სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში. ეს განსაკუთრებით სტრუქტურულ რეგულირებას დაქვემდებარებულ ქვეყნებში ჩანს, სადაც სახელმწიფოებმა მთლიანად შეკვეცეს ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ინფრასტრუქტურასა და ბაზისურ საჭიროებებზე მიმართული

ხარჯები. აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების უმეტესობაში, ქალებს ახლა მეტი დროის დახარჯვა უწევთ წყლის მოზიდვაზე, საკვების მოპოვებასა და მომზადებაზე, ისევე, როგორც იმ ავადმყოფობებთან გამკლავებაზე, რომლებიც უფრო და უფრო ხშირია ჯანდაცვის მარკეტის ფონზე, რაც, თავის მხრივ, ხელმიუწვდომელს ხდის მათთვის კლინიკაში ვიზიტებს; კვების უკმარისობა და გარემოს განადგურება კი, ადამიანებს, დაავადებების მიმართ სულ უფრო დაუცველებს ხდის.

ბიუჯეტის შეკვეცის შემდეგ, აშშ-შიც კი პრივატიზდა იმ შრომის უდიდესი წილი, რასაც ტრადიციულად საავადმყოფოები და საჯარო სააგენტოები ასრულებდნენ. ეს შრომა ისევ შინ, ქალთა აუნაზღაურებელი შრომის კალთის ქვეშ გადავიდა. დღეს, მაგალითად, საავადმყოფოები ოპერაციის დასრულებისთანავე განერჩნენ პაციენტებს, რის გამოც, მთელი პოსტოპერაციული და სხვა ტიპის თერაპევტული სამედიცინო ამოცანები (მაგალითად, ქრონიკული დაავადებების მქონეთათვის), რასაც ადრე ექიმები და პროფესიონალი ექთნები ასრულებდნენ, შინ უნდა შესრულდეს. ასევე შეიკვეცა საჯარო დახმარება ხანდაზმულთათვის (პერსონალური მოვლა, თავშესაფრები). სახლის ბაზაზე ვიზიტების უმეტესობა შემოკლდა, სერვისები კი, რომლებსაც მათ სთავაზობდნენ, შემცირდა.

მეორე ფაქტორი, რომელმაც კვლავწარმოების შრომა თავიდან განათავსა სახლში, თავად „საშინაო შრომის“ გაფართოება იყო, ნაწილობრივ ინდუსტრიული წარმოების დეკონცენტრაციის ფონზე, ნაწილობრივ კი – არაფორმალური შრომის გავრცელების ხარჯზე. როგორც დევიდ სტეპლსი წერს თავის 2006 წლის წიგნში, „არ არსებობს სახლის მსგავსი ადგილი“, შრომის ანაქრონისტულ ფორმად ქცევის ნაცვლად, საშინაო შრომამ თავი გრძელვადიანი კაპიტალისტური სტრატეგიის ნაწილად აჩვენა, რომელიც დღეს მილიონობით ქალსა და ბავშვს აკავებს მსოფლიოს გარშემო; ქალაქებში, სოფლებსა თუ გარეუბნებში. სტეპლსი სწორედ შენიშნავს, რომ შრომა შეუბრალებლად იწვევს სახლისკენ, აუნაზღაურებელი საშინაო შრომის საფარის ქვეშ, იმ აზრით, რომ სახლის ბაზაზე შრომის ორგანიზებით დამქირავებლებს შეუძ-

ლიათ ის უხილავი გახადონ, ძირი გამოუთხარონ მშრომელთა გაერთიანების ძალისხმევებს და ხელფასები მინიმუმამდე დაიყვანონ. მრავალი ქალი ირჩევს ასეთ შრომას, რათა შემოსავალი გამოიმუშაოს ოჯახზე ზრუნვისთვის, მაგრამ შედეგი დამონებაა ამ შრომისადმი, რომელშიც ხელფასი „*იმაზე ქვემოთ გამომუშავდება, ვიდრე საშუალო შრომის ანაზღაურება იქნებოდა, ფორმალურად რომ შესრულებულიყო. ასევე, ის ანარმობებს შრომის სქესობრივ დაყოფას, რაც ქალს უფრო და უფრო ღრმად აბამს საშინაო შრომაზე*“. (Staples 1-5)

და ბოლოს, ქალთა დასაქმების ზრდას და კვლავწარმოების რესტრუქტურიზაციას არ დაუსრულებია გენდერული შრომითი იერარქიები და უთანასწორობა. მამაკაცებში ზრდადი უმუშევრობის მიუხედავად, ქალები მამაკაცების ხელფასების კვლავ მხოლოდ ნაწილს გამოიმუშავებენ. ასევე მოვესწარით კაცების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ზრდას, რაც ნაწილობრივ მათთან ეკონომიკური კონკურენციის შიშითაა გამოწვეული, ნაწილობრივ კი იმედგაცრუებით, რომელსაც კაცები განიცდიან, როდესაც არ შეუძლიათ, სრულფასოვნად შეასრულონ საკუთარი, როგორც ოჯახის მარჩენალთა როლები. ფართოდ გავრცელებული უმუშევრობისა და ხელფასების დაცემის ეპოქაში, მათთვის ძალზე რთული ხდება, ჰყავდეთ ოჯახი. უამრავი კაცი ასევე იყენებს ქალების სხეულებს პროსტიტუციის მეშვეობით, როგორც გაცვლის საშუალებას და მსოფლიო ბაზარზე წვდომის ბილიკს.

ქალთა მიმართ ძალადობის ზრდის რაოდენობრივად განსაზღვრა რთულია და მისი მნიშვნელობა უკეთესად გამოხატება ხარისხობრივ ცნებებში, განსაკუთრებით კი, ძალადობის ახალი ფორმების თვალსაზრისით. გარკვეულ ქვეყნებში, სტრუქტურული რეგულირების გავლენით, ოჯახები დაინგრა. ხშირად ეს საერთო შეთანხმების საფუძველზე ხდება, როგორიცაა ერთი ან ორივე პარტნიორის მიგრაცია თუ ორივე მათგანის ფიზიკური დაშორება შემოსავლის გარკვეული ფორმის შოვნის მიზნით. მაგრამ უმეტესწილად, ეს გაცილებით ტრავმატული მოვლენაა, როგორც გაღარიბების შედეგად ქმრების მიერ საკუთარი ცოლებისა და ბავშვების მითოვება. აფრიკისა და ინდოეთის

ნაწილში ხანდაზმულ ქალებზე შეტევების შემთხვევებიც იყო, რომლებიც საკუთარი სახლებიდან გამოათრიეს და ზოგიერთი მათგანი მოკლეს კიდევაც, მას შემდეგ, რაც შეპყრობილობასა და კუდიანობაში დაადანაშაულეს. ეს ფენომენი ყველაზე მეტად მხარდაჭერის უარყოფას აირეკლავს ოჯახის იმ წევრებისადმი, რომლებიც შემცირებადი რესურსების ფონზე, აღიქმებიან, როგორც არაპროდუქტიულები. ძალადობის სხვა მაგალითები, რომლებიც ასევე მოჰყვა გლობალიზაციას, იყო მზითევით უკმაყოფილების გამო საცოლევების მკვლელობების ზრდა ინდოეთში, ტრეფიკინგის და იძულებითი სექს-შრომის სხვა ფორმების ზრდა, ქალთა მკვლელობების ზრდა. ათასობით ახალგაზრდა, უმეტესად მაკილეებში მშრომელი ახალგაზრდა ქალი, მოკლეს სიუდად-ხუარესში და სხვა მექსიკურ ქალაქებში აშშ-ის საზღვართან, რომლებიც აშკარა გაუპატიურების, ან კრიმინალური ქსელების მსხვერპლნი იყვნენ, პორნოგრაფიას და ბურნუტს რომ აწარმოებენ. თუმცა, ყველაზე მწვავედ ინსტიტუციური ძალადობა განვითარდა. ეს აბსოლუტური გადატაკების, არაადამიანური შრომითი პირობების ძალადობაა, მიგრაციის, არალეგალური მდგომარეობის ძალადობა. ხოლო ის, რომ მიგრაცია შეიძლება დავინახოთ როგორც ბრძოლა, როგორც გაღარიბების უკუგდება ან ბრძოლის უკეთესი ფორმების ძებნა, ვერ წაშლის ამ ფაქტს.

ამ ანალიზიდან რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება. პირველ რიგში, ბრძოლა ანაზღაურებადი შრომისთვის ან იმისთვის, რათა „შევუერთდეთ მშრომელთა კლასს სამუშაო ადგილზე“, როგორც ზოგიერთ მარქსისტ ფემინისტს სურდა, ვერ იქნება გათავისუფლების გზა. ანაზღაურებადი დასაქმება, შესაძლოა, აუცილებლობა იყოს, მაგრამ ის ვერ იქნება პოლიტიკური სტრატეგია. სანამ კვლავწარმოების შრომა გაუფასურებული იქნება, მანამდე ის კერძო საკითხად და ქალთა პასუხისმგებლობად განისაზღვრება და, შესაბამისად, ქალები ყოველთვის უფრო ნაკლები ძალით შეეწინააღმდეგებიან კაპიტალს და სახელმწიფოს, ვიდრე კაცები, ისევე როგორც იქნებიან უფრო ექსტრემალური სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობის მდგომარეობაში. მნიშვნელოვანია, ასევე ვალიართ, რომ არსებობს ძალიან სერიოზული

ლიმიტები დაშვებისა, რომლის მიხედვითაც კვლავწარმოების შრომა შეიძლება შემცირდეს ან რეორგანიზდეს საბაზრო საფუძველზე. მაგალითად, როგორ შეგვიძლია შევკვეცოთ ბავშვებზე, მოხუცებზე, ავადმყოფებზე ზრუნვა ან მოვახდინოთ მისი კომერციალიზაცია, ისე, რომ ეს იმ ადამიანებად არ დაგვიტდეს, ვისაც მოვლა სჭირდება? ამ კონტექსტში, შეგვიძლია გაკვეთილად მივიღოთ, თუ რა წვლილი შეიტანა საკვების წარმოების მარკეტიზაციამ ჩვენი ჯანდაცვის გაუარესებაში (მაგ., ბავშვთა შორის ჭარბი წონის გავრცელება). რაც შეეხება კვლავწარმოების შრომის კომერციალიზაციას მისი სხვა ქალების მხრებზე გადანაწილებით, ეს „გამოსავალი“ მხოლოდ და მხოლოდ აღრმავებს საშინაო შრომის კრიზისს, რაც დღეს ოჯახებში ადგილმონაცვლებული ანაზღაურებადი მომვლევებით გამოიხატება და ქალებს შორის ახალ ძალაუფლებრივ ურთიერთობებს ქმნის.

ის, რაც გვჭირდება, კვლავწარმოების საკითხზე კოლექტიური ბრძოლის თავიდან გამოცხადებაა, რომელიც მიზნად დაისახავს, თავიდან მიაღწიოს ადამიანური არსებების წარმოების მატერიალურ პირობებზე კონტროლს და ამ შრომის გარშემო თანამშრომლობის ახალი ფორმების შექმნას, რომლებიც კაპიტალისა და ბაზრის ლოგიკის მიღმაა. ეს არ არის უტოპია, არამედ პროცესია, რომელიც მსოფლიოს არაერთ წერტილში უკვე გვხვდება და რომელიც აუცილებლად გაფართოვდება მსოფლიო ფინანსური სისტემის კოლაფსთან ერთად. მთავრობები შეეცდებიან, კრიზისი იმისთვის გამოიყენონ, რათა უფრო მკაცრი ქაზინოს შემოჭერის რეჟიმები დაგვიწესონ მრავალი მომდევნო წლის განმავლობაში. რომ ჩამოვთვალოთ სივრცეები, სადაც შედარებით განვითარებულია კვლავწარმოების რეორგანიზაცია: მიწების დაბრუნებით, ურბანული ფერმერობით, თემის მიერ მხარდაჭერილი სოფლის მეურნეობით, სკვოტებით, გაცვლის სხვადასხვა ფორმის შექმნით, ურთიერთდახმარებით, ჯანდაცვის ალტერნატიული ფორმებით – ახალი ეკონომიკა დაიწყებს დაფუძნებას, რომელსაც შეუძლია სულისმემხუთველი და დისკრიმინაციული აქტივობიდან, კვლავწარმოების შრომა ყველაზე განმათავისუფლებელ და ადამიანურ ურთიერთობებში ექსპერიმენტირების შემოქმედებით სივრცედ შემოატრიალოს.

როგორც მოგახსენეთ, ეს ბრძოლა უტოპია არ არის. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგები, ცხადია, გაცილებით საძაგელი იქნებოდა, რომ არა მილიონობით ქალის ძალისხმევა, მხარი დაეჭირათ თავიანთი ოჯახებისთვის მიუხედავად კაპიტალისტურ ბაზარზე მათი ღირებულებისა. მათი გადარჩენაზე ორიენტირებული აქტივობებით, ისევე როგორც პირდაპირი მოქმედების სხვადასხვა ფორმით (საჯარო მიწების სკვოტებიდან ურბანულ ფერმერობამდე), ქალები დაემარნენ თავიანთ საზოგადოებებს, თავიდან აეცილებინათ ტოტალური გამოსახლება, გაეუმჯობესებინათ ბიუჯეტები, რომ მეტი საჭმელი დეზულიყო სამზარეულოს თეფშებზე. ომების, ეკონომიკური კრიზისების, გაუფასურებების ფონზე, როცა მათ გარშემო მთელი მსოფლიო ეცემოდა, ისინი თესავდნენ სიმინდს ქალაქების მიტოვებულ ადგილებში, ამზადებდნენ საჭმელს და ყიდდნენ ქუჩის ტროტუარებზე, ქმნიდნენ საერთო სამზარეულოებს – კომუნებს, როგორც ეს ჩილესა და პერუს შემთხვევაში იყო. ამრიგად, სიცოცხლის ტოტალური გასაქონლების გზაზე მდგომნი, ვინცებთ კვლავწარმოების რეაპროპრიაციისა და რეკოლექტივიზაციის პროცესს, რაც უალტერნატივოა, თუ გვსურს კვლავ ვაკონტროლოთ ჩვენი ცხოვრება.

საშინაო შრომის საკითხის გადააზრება¹

ლის ვოგელი

თარგმანი: ლაშა ქავთარაძე

1960-იანი წლების მიწურულიდან და 1970-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, სოციალისტ-ფემინისტები ცდილობდნენ, ქალთა აუნაზღაურებელი საოჯახო შრომა მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ჩარჩოში გაენალიზებინათ.² ისინი მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ანალიზი შექმნიდა საფუძველს ქალთა, როგორც დედების, ოჯახის წევრებისა და მშრომელების სხვადასხვაგვარი პოზიციონირების გასააზრებლად და ამგვარად, ქალთა დაქვემდებარებულობის მატერიალისტური ანალიზისათვის. მაშინ, მარქსისტული თეორიის ქალთა გათავისუფლების საკითხზე მორგების ინტერესი საკვებით ნორმალური ჩანდა – და არა მხოლოდ სოციალისტ-ფემინისტებში. რადიკალურმა ფემინისტებმაც ისეხსეს და დაიწყეს ცნებების ტრანსფორმირება, რომლებსაც ისინი მარქსისტულად მიიჩნევდნენ.³

1 ეს ნაშრომი თავდაპირველად 2000 წელს გამოქვეყნდა. მას საფუძვლად უდევს 1994 წლის ივლისში, ლიდსში (ინგლისი), სოციალისტი ეკონომისტების კონფერენციისთვის მომზადებული პრეზენტაცია. მინდა, მაღლობა გადავუხადო ფილიო დიამანტეს კონფერენციაზე ჩემი მიწვევისათვის და ჩემს თანაპანელისტებსა და აუდიტორიას აქტიური დისკუსიისათვის. ამ ტექსტის გამოსაცემად მუშაობისას განსაკუთრებულად დამეხმარა კრისტინე დი სტეფანოს და ატლანტიკის ოკეანის გადამღიდან და გადმოღმიდან რამდენიმე ანონიმური რეცენზენტის კომენტარები. განსაკუთრებით დავალებული ვარ ჩემი კოლეგის, ჯეიმს დიკინსონის წინაშე, რომლის მახვილი მზერა და დეტალური კითხვები, როგორც ყოველთვის, შეუფასებელია.

2 შეუძლებელია ერთმანეთისაგან გამოიჯნოს სოციალისტი მარქსისტი ფემინისტისაგან 1970-იანი წლების პრაქტიკაში. ამიტომაც, ტერმინ სოციალისტურ ფემინიზმს მე ყოვლისმომცველად ვიყენებ. ამ ნაშრომში, ზოგადად, ტერმინების ამერიკული ვაგება მაქვს გამოყენებული. 1960-იანი წლების ბოლოდან 1970-იანი წლების შუამდე, ტერმინი ქალთა გათავისუფლება იხმარებოდა, ქალთა მოძრაობის შედარებით ახალი თაობის და ალბათ უფრო რადიკალური მიმდინარეობის გასამიჯნად ქალთა ნაციონალური ორგანიზაციის ე.წ. ბურჟუაზიული ფემინიზმისაგან. ქალთა გათავისუფლების მოძრაობაში კი სოციალისტი ფემინისტები ცალკე მიმართულებას წარმოადგენდნენ. გვიანი 70-იანი წლებისთვის, ტერმინი ქალთა გათავისუფლება ჩაანაცვლა სიტყვა ფემინიზმმა. ფემინიზმის ეს ვაგება უფრო ფართო მნიშვნელობის იყო, ვიდრე ადრეულ ეტაპებზე, რითაც ალბათ აღინიშნებოდა ქალთა მოძრაობის შიგნით განმტოვების შორის განსხვავებულობის მნიშვნელობის გაქრობა.

3 მაგალითად, Firestone 1970 და Millett 1970.

ამ ანალიტიკური მცდელობის შედეგად დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა. ქალთა გათავისუფლების მოძრაობის მიმდევრები სწავლობდნენ მარქსისტულ ტექსტებს, ეჭიდებოდნენ მარქსისტულ ცნებებს და ქმნიდნენ ორიგინალური ფორმულირებების მთელ წყებას, რომლებიც კომბინირებას ახდენდა ან, სულ მცირე, ერთმანეთთან აკავშირებდა მარქსიზმსა და ფემინიზმს. ამ საქმისადმი მათი ენთუზიაზმის ხელახალი განცდა დღეს უკვე რთულია.⁴ თუმცა, ეს ენთუზიაზმი შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა. 1970-იანი წლების ბოლოს, საშინაო შრომის თეორიზების სურვილი მკვეთრად დაეცა. ე.წ. საშინაო შრომის დებატისათვის ზურგის ქცევა განსაკუთრებით თვალში საცემი აშშ-ში აღმოჩნდა. ამ ნაშრომში, კიდევ ერთხელ გადავავლებ თვალს საოჯახო საქმის, შვილის გაჩენისა და აღზრდის აუნაზღაურებელი შრომის თეორიზების სირთულეს. მე ვამტკიცებ, რომ საშინაო შრომის ადრეულ ლიტერატურას დიდწილად მოჰყვა ინტელექტუალური დღის წესრიგი, რომელიც ბოლომდე კარგად გააზრებული არ იყო და ამ ფონზე საკუთარ ნაშრომებს განვიხილავ. ასევე, განვიხილავ თუ როგორ იღებს აუდიტორია ჩემს ამ მცდელობებს. დაბოლოს, გამოვთქვამ ვარაუდს, რომ საშინაო შრომის ადრეული თეორეტიკოსების ეს დაუსრულებელი პროექტი ნამდვილად იმსახურებს სამომავლოდ ჩვენს ყურადღებას.

თეორიები და თეორიზება

„საშინაო შრომის“ თეორიზება უნდა მოხდეს როგორც 1960-იანი წლების ბოლოს, ჩრ. ამერიკელ ქალთა გამათავისუფლებლების კრიტიკის შედეგად აღმოცენებული ცნების, რომელიც შემდგომ დანარჩენ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი, დიდ ბრიტანეთში გავრცელდა. მიუხედავად მისი არსებითი მნიშვნელობისა ქალთა გამოცდილებისათვის, აუნაზღაურებელი შრომა და პასუხისმგებლობები ოჯახურ ცხოვრებაში იშვიათად ხვდებოდა რადიკალურ აზროვნებასა და სოციალისტურ

4 იმ გზნების აღწერისათვის, რომლითაც ფემინისტები მარქსისტულ თეორიას ეკვეთნენ 1960-იან და 70-იან წლებში, იხილეთ Echols 1989; Vogel 1998; ხოლო პერსონალური რეფლექსიებისთვის Duplessis and Snitow (eds.) 1998.

პრაქტიკაში. ქალთა გამათავისუფლებლებმა, რომლებსაც უნდოდათ, თავიანთი აქტივიზმში უფრო ადეკვატურ თეორიაზე დაეფუძნებინათ, დაიწყეს საოჯახო საქმისა და შვილებზე ზრუნვის თეორიული სტატუსის ძიება, რასაც საოჯახო შინა მეურნეობებში, როგორც წესი, ქალები ასრულებდნენ. მომდევნო წლებში შეიქმნა საშინაო შრომის დებატის სახელით ცნობილი მდიდარი ლიტერატურა, რომელიც ამ პრობლემის შესწავლით იყო დაკავებული.⁵

საშინაო შრომასთან დაკავშირებული ლიტერატურა წარმოების ადგილად საოჯახო შინამეურნეობებს განიხილავს. შედეგად, საშინაო შრომად გადააზრებული საოჯახო საქმე და ბავშვის მოვლა გაანალიზებულია როგორც სამუშაო პროცესი. ამ დათქმებიდან გამომდინარეობდა კითხვათა მთელი წყება. თუკი საშინაო შრომა სამუშაო პროცესია, მაშინ რა არის მისი პროდუქტი? ადამიანები? საქონელი? სამუშაო ძალა? გააჩნია პროდუქციას ღირებულება? და თუკი გააჩნია, მაშინ როგორ განისაზღვრება ეს ღირებულება? როგორ და რა ან ვინ მოიხმარს ამ პროდუქციას? როგორია საშინაო შრომის გარემოებები, პირობები და შეზღუდვები? როგორია საშინაო შრომის ურთიერთობა სამუშაო ძალის კვლავწარმოებასთან? ზოგად სოციალურ კვლავწარმოებასთან? კაპიტალისტურ დაგროვებასთან? შესაძლებელია თუ არა ადამიანთა კვლავწარმოების საშუალებების პოზიციონირება წარმოების საშუალებებთან შეპირისპირებით, თუმცა განცალკევებულად? შეუძლია თუ არა ამ კითხვებზე პასუხებს ახსნას ქალთა ჩაგვრის საწყისები?

თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ საშინაო შრომასთან დაკავშირებული მზარდი ლიტერატურა განამტკიცებდა და ლეგიტიმაციასაც კი სძენდა სოციალისტ-ფემინისტების ორმაგ ერთგულებას, როგორც ქალთა გამათავისუფლების, ისე სოციალიზმისადმი. თუმცა, მალევე თავი იჩინა პრობლემებმა. ცნებებმა და კატეგორიებმა, რომლებიც

5 საშინაო შრომის დებატის მაღალი ხარისხის (და ძალიან მოკლე) მიმოხილვისთვის იხ. Himmelweit 1983a and 1983c. ლიტერატურული მიმოხილვისათვის იხ. Vogel 1986. ასევე ესეები ავტორებთან, Sargent (ed.) 1981, და Hansen and Philipson 1990.

თავდაპირველად თავისთავად ცხადი ჩანდა, სიმყარე დაკარგეს. მაგალითად, სამუშაო ძალის კვლავწარმოების ცნება საკვირველად ელასტიკური გახდა, ის ერგებოდა ყველაფერს, დანწყებული ბიოლოგიური გამრავლებიდან, დამთავრებული ნებისმიერი ტიპის საქმიანობით, რომელსაც წვლილი შეჰქონდა ადამიანების ყოველდღიურ არსებობაში – ანაზღაურებადი იქნებოდა ეს, აუნაზღაურებელი, კერძო მეურნეობაში, ბაზარზე თუ დასაქმების ადგილას. ანალოგიურად, საშინაო შრომის კატეგორიის მნიშვნელობამაც მერყეობა დაიწყო. იგულისხმებოდა თუ არა მასში მხოლოდ საოჯახო საქმე? მოიცავდა თუ არა ის ასევე შვილის ყოლას და შვილის გაზრდას? ხშირი იყო ცირკულარული მსჯელობა. მაგალითად, საშინაო შრომა ხშირად გაიგივებული იყო ქალთა შრომასთან და პირიქით, რის შემდეგობითაც ქალთა გათავისუფლების მოძრაობის მიმდევრებს შრომის სქესის ნიშნით დანაწილების ახსნა უნდოდათ. გარდა ამისა, დებატის თითქმის სრული ყურადღების ექსკლუზიურად აუნაზღაურებელ საშინაო შრომაზე გადატანით, უფასურდებოდა ქალთა ანაზღაურებადი შრომის მნიშვნელობა, შინა მოსამსახურება იქნებოდა ეს, თუ ანაზღაურებად თანამდებობაზე მუშაობა. მისი განსაკუთრებული აქცენტი ეკონომიკაზე კი, როგორც ჩანს, ყურადღების მიღმა ტოვებდა პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალობასთან დაკავშირებულ მწვავე საკითხებს.

გარდა ამისა, ქალთა გათავისუფლების მოძრაობის მიმდევრებისთვის იმედგაცრუება იყო საშინაო შრომასთან დაკავშირებული ლიტერატურის აბსტრაქტული ხასიათიც. დებატები ისეთი მიმართულებით განვითარდა, რომ არამხოლოდ რთული გახდა მას მიჰყოლოდი, არამედ აქტივისტთა რეალურ წუხილებსაც დაშორდა. ცნებები ერთმანეთს ისე უკავშირდებოდა, რომ მათ აღარ ჰქონდათ ურთიერთობა ემპირიულ გარე სამყაროსთან. დისკუსიები მხოლოდ აბსტრაქტული კი არ გახდა, არამედ არაისტორიულიც. ყველაზე საზიანო კი ალბათ ის გახლდათ, რომ საშინაო შრომასთან დაკავშირებული ლიტერატურის დიდმა ნაწილმა ფუნქციონალისტური განმარტებითი სტრუქტურა გაითავისა. მაგალითად, საშინაო შრომისთვის სოციალური სისტემის საჭიროება გულისხმობდა, რომ

ეს საჭიროება მუდმივად დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო. ისმოდა შეკითხვა, სად არის ადამიანის აგენტობის ადგილი ამ დებატში? ამასობაში, სხვა საკითხებთან დაკავშირებით ფემინისტური დღის წესრიგები დულდა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. 1980-იანი წლების დასაწყისში, სოციალისტ-ფემინისტთა უმეტესობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ „გასცდნოდა საშინაო შრომის დებატს“. მათ უკან მოიტოვეს გაურკვევლობა, კონცეპტუალური ბუნდოვანება, ცირკულარულობა და დაუსრულებელი პროექტის უპასუხო შეკითხვები.⁶

საშინაო შრომის მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ჩარჩოს ფარგლებში თეორიზების მცდელობებიდან გადახვევა ერთი შეხედვით გასაგები იყო. ქალთა გათავისუფლების მოძრაობის ბევრი მიმდევარი ფიქრობდა, რომ თეორია პირდაპირ შეესატყვისებოდა ყოველდღიურ საქმიანობას და მიიჩნევდნენ, რომ მოცემული თეორია განსაზღვრავდა პოლიტიკურ და სტრატეგიულ შედეგებს. ამის საპირისპიროდ, ისტორიის ემპირიულ აღწერასა და არსებულ გარემოებებს ისინი თეორიისათვის სათანადო საფუძვლის მომზადების ხერხად აღიქვამდნენ.⁷ საშინაო შრომასთან დაკავშირებული ადრეული ლიტერატურის აბსტრაგირების უარყოფით ისინი ეძიებდნენ კონცეპტუალურ ინსტრუმენტს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ქალთა ცხოვრების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად და ასახსნელად.

აღნიშნული მიდგომა აისახა კონკრეტულ ეპისტემოლოგიურ მიმართულებაში, რომელიც თეორიას ემპირიასთან ერთგვარად პირდაპირ კავშირში ხედავს. თეორია გაგებული იყო როგორც რეალობის მიმართ იზომორფული. როგორც ასეთი, მას შეეძლო ეწარმოებინა ემპირიული განზოგადებები, რეგულარულობის ფორმულირებები და მოდელები. ხოლო განმარტებები და პროგნოზები დამოკიდებული იქნებოდა ამ, სავარაუდოდ, ზუსტი რეპრეზენტაციების ექსტრაპოლაციაზე. ამ გაგებით, სოციალურ მეცნიერებებში არსებული ლიტერატურის მსგავსად, თეორია

6 Molyneux 1979.

7 მაგ., იხ. Brenner and Holmstrom 1983; Molyneux 1979; ასევე, გარკვეულწილად, Nicholson 1986.

გაიგება როგორც ფართომასშტაბიანი ინტელექტუალური საქმიანობა, რომელიც დაფუძნებულია ემპირიაზე და რომელსაც შეუძლია აღწერების, განმარტებებისა და პროგნოზების გაკეთება – და ამიტომაც, მას ასევე ძალუძს, წინ წარუძღვეს პოლიტიკასა და სტრატეგიას.

თუმცა, ეს არ გახლავთ თეორიის გაგების ერთადერთი გზა. საშინაო შრომასთან დაკავშირებული ადრეული ლიტერატურის დიდ ნაწილს იმპლიციტურად განსხვავებული მიდგომა ჰქონდა გათავისებული, რომელსაც ფესვები 1960-70-იან წლებში მარქსისტული თეორიის თავისებურ ნაკითხვაში ჰქონდა გადგმული. ყველაზე მეტად ფრანგ ფილოსოფოსთან, ლუი ალთუსერთან დაკავშირებული ეს ალტერნატიული პერსპექტივა თეორიას უსადაგებს ეპისტემოლოგიურ სპეციფიკურობასა და შეზღუდულ მასშტაბს. თეორია, ამ თვალსაზრისით, მძლავრი, თუმცა ძალზედ აბსტრაქტული საქმიანობაა და მკვეთრად განსხვავდება ისტორიისაგან.⁸ როგორც ალთუსერი აღნიშნავს მარქსის „კაპიტალზე“ საუბრისას:

მიუხედავად იმისა, რომ ახსენებს, მარქსი აანალიზებს არა რომელიმე „კონკრეტულ საზოგადოებას“, მათ შორის, დავუშვათ ინგლისს, რომელსაც ის გამუდმებით უბრუნდება პირველ ტომში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესს და სხვას არაფერს. ეს აბსტრაქტული საკითხია: რაც ნიშნავს, რომ ის ძალზედ რეალურია და არასდროს არსებობს სუფთა ფორმით, რამდენადაც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებებში არსებობს. გასაგებად რომ ვთქვათ: იმისთვის, რათა შევძლოთ კონკრეტული კაპიტალისტური საზოგადოებების გაანალიზება (ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის და ა.შ.) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, რომ იქ გაბატონებულია ძალზედ კონკრეტული რეალობა, წარმოების კაპიტალისტური საშუალებები, რომლებიც „უხილავია“ (შეუიარაღებელი თვალით), „უხილავი“, ე.ი. აბსტრაქტული.⁹

8 ob. Althusser 1971a; Hindess and Hirst 1975; Willer and Willer 1973; ასევე Marx 1973d.

9 Althusser 1971a, p. 77.

ამ თვალსაზრისით, თეორია აუცილებლად აბსტრაქტულია, ისევე როგორც მკვეთრად შეზღუდული თავის შედეგებში. მას შეუძლია მიგვანიშნოს წამყვან ელემენტებსა და ტენდენციებზე, თუმცა არ შეუძლია სოციალური ცხოვრების მდიდარი სტრუქტურის აღწერა. კიდევ უფრო ნაკლებად შესწევს ძალა ახსნას მოვლენები, შემოგვთავაზოს სტრატეგიები ან შეაფასოს პოლიტიკური ქმედების პერსპექტივები. ეს ყოველივე ხარისხობრივად განსხვავებული ტიპის ძიებას მოითხოვს – ძიებას, რომელიც არსებულ სოციალურ ფორმაციებში კონკრეტული ისტორიული კვთების სპეციფიკას შეისწავლის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ალტერნატიული მიდგომა ახდენს თეორიის როგორც ერთგვარი ლინზის კონცეპტუალიზაციას. ლინზა, თავისთავად, ძალიან ცოტა რამეს გვეუბნება ამ კონკრეტულ მომენტში ამა თუ იმ კერძო საზოგადოების სპეციფიკაზე. დამკვირვებლებს სწორედ მხოლოდ აღნიშნული ლინზის გამოყენებით შეუძლიათ მომავლისათვის სპეციფიკებისა და სტრატეგიების შეფასება. თეორიებთან – ლინზის შექმნასთან – შედარებით, ემპირიულ კვლევასა და პოლიტიკურ ანალიზთან დაკავშირებული ეს საკითხები განსხვავებულ და, ჩემი რწმენით, გაცილებით უფრო რთულ ინტელექტუალურ შრომას მოითხოვს.

განსხვავებული ათვლის წერტილი

ახლა კი საშინაო შრომასთან დაკავშირებულ ჩემს ნაშრომებს მივუბრუნდები. ჩემი მიზანია, რომ შემოგთავაზოთ ქალთა გათავისუფლების მოძრაობის თეორიზების მაგალითი აბსტრაქტულად ჩაფიქრებული ჩარჩოს ფარგლებში, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ გადმოსახედიდან, საშინაო შრომასთან დაკავშირებული დებატი უფრო თეორიული იყო, ვიდრე ისტორიული ან სოციოლოგიური პროექტი. მისი შედეგები კი, მოსალოდნელია, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო აბსტრაქტულ ცნებათა წყებისა და სავარაუდო მექანიზმებისა და ტენდენციების გამოვლენის ფორმით. მათ, თავისთავად, არ

შეეძლოთ რეალურად „აეხსნათ“ რაიმე კონკრეტულის – არც გამოცდილების მდიდარი, იდიოსინკრეტული და პირობითი ბუნება და არც ხალხის მობილიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციის სპეციფიკური ბუნება და მიმართულება. მათ კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლოთ პოლიტიკური სტრატეგიების შემოთავაზება. ეს საკითხები იყო ჩართულ მხარეთა მიერ ემპირიული ძიებისა და პოლიტიკური ანალიზის საგანი.

ამდენად, გამოწვევას წარმოადგენდა ისეთი კატეგორიების აღმოჩენა თუ შექმნა, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა ქალთა აუნაზღაურებელი საოჯახო საქმის, როგორც მატერიალური პროცესის, თეორიზებას. ქალთა გათავისუფლების მოძრაობის მიმდევრები, და მათ შორის მეც, მარქსის, ენგელსის, ბებელის თუ სხვების კლასიკურ ტექსტებს ვეცნობოდით, საიდანაც, საუკეთესო შემთხვევაში, ბუნდოვანი თეორიული მემკვიდრეობის მიღება შეგვეძლო. ამის გააზრება, ჩემ შემთხვევაში, იყო ბიძგი მარქსის უფრო ხანგრძლივად, კრიტიკულად ნასაკითხად. ნაკითხვისას ვითვალისწინებდი იმას, რასაც ჩემი გაგებით ალთუსერი გვიჩვენა:

კაპიტალს ნუ შეხედავთ ნურც როგორც ისტორიის „კონკრეტულ“ წიგნს და ნურც როგორც „ემპირიული“ პოლიტიკური ეკონომიის წიგნს, იმ გაგებით, რა გაგებითაც ეს ტერმინები ისტორიკოსებსა და ეკონომისტებს ესმით ხოლმე. ნაცვლად ამისა, მასში უნდა აღმოაჩინოთ თეორიული წიგნი, რომელიც აანალიზებს კაპიტალისტური წარმოების წესს. ისტორია (კონკრეტული ისტორია) და ეკონომიკა (ემპირიული ეკონომიკა) ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგნებს შეეხება.¹⁰

თეორიისადმი ამ მიდგომის გამოყენებით ვიმედოვნებდი, რომ წვლილს შევიტანდი უფრო სრულყოფილი თეორიული ლინზის შექმნაში, რომელის მეშვეობითაც ქალთა დაქვემდებარების საკითხი გაანალიზდება.

10 10. Althusser 1971a, p. 78.

კონცეპტუალურ ათვლის წერტილად მე ვიღებ მარქსის ნაშრომებში გამოყენებულ ორ საბაზო ცნებას: სამუშაო ძალასა და კვლავწარმოებას. მარქსისათვის სამუშაო ძალა გახლავთ უნარი, რომელსაც ადამიანი თან ატარებს და რომელიც განსხვავდება მისი მატარებლის ფიზიოლოგიური და სოციალური არსებობისაგან. სამუშაო ძალის პოტენციალი რეალიზდება მაშინ, როდესაც მისი მატარებელი ქმნის რაღაც ღირებულს – სამომხმარებლო ღირებულებას – რომელიც გაიცვლება, ან არ გაიცვლება. თუმცა, სამუშაო ძალის მატარებლები არიან ჩვეულებრივი მოკვდავები და ექვემდებარებიან ცვლასა და ამორტიზაციას; საბოლოოდ, ნებისმიერი ადამიანი კვდება. ამიტომაც, ზოგიერთი პროცესი, რომელიც ემთხვევა სამუშაო ძალის მატარებლის პირად საჭიროებებს, არის სოციალური კვლავწარმოების წინაპირობა, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა პროცესი, რომელიც მათ ანაცვლებს დროთა განმავლობაში. ყოველდღიური საქმიანობის ეს პროცესები და გრძელვადიანი ჩანაცვლებები ერთიანდებიან ტერმინში „სამუშაო ძალის კვლავწარმოება“.

კლასობრივად დაყოფილ საზოგადოებებში, გაბატონებული კლასი როგორღაც აკონტროლებს სამუშაო ძალის უნარს, აწარმოოს სამომხმარებლო ღირებულება საკუთარი კეთილდღეობისათვის. მეტი სიუხადისათვის, სწორედ ამის გამო შევზღუდე სამუშაო ძალის კვლავწარმოების ცნება პროცესებად, რომლებიც იწარჩუნებენ ან ანაცვლებენ სამუშაო ძალას, რომელსაც შესწევს უნარი, რომ მესაკუთრეთა კლასისათვის აწარმოოს ნამატი საქონელი.¹¹ ამ ქვეთავის დარჩენილ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილა ასეთი სამუშაო ძალის კვლავწარმოების რამდენიმე მახასიათებელს: დაკავშირებულ პროცესებს, ბიოლოგიური გამრავლების როლს და ცალკეულ თანდაყოლილ წინააღმდეგობებს. ამ გზით წინასწარ შევამზადებთ მომდევნო ქვეთავში კაპიტალისტურ საზოგადოებებში სამუშაო ძალის კვლავწარმოების შესახებ დისკუსიას.

11 ამგვარად, სამუშაო ძალის კვლავწარმოება, გამოსაყენებლად ვარგისი ცნება, მკაცრი გაგებით, ხდება მხოლოდ და მხოლოდ დამორჩილებული კლასებისათვის. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გაბატონებულ კლასს მიკუთვნებული ქალები არ განიცდიან გენდერულ დაქვემდებარებას, არამედ იმას, რომ მათი მდგომარეობა ასოცირდება მათ როლებთან საკუთრების მფლობელი კლასების შენარჩუნებასა და ჩანაცვლებაში და მოითხოვს დამოუკიდებელ ანალიზს.

მარქსი მიიჩნევდა, რომ სამუშაო ძალის კვლავწარმოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ კვლავწარმოებაში, თუმცა არასდროს აღუწერია დეტალურად, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა მას. ის ზოგჯერ აქცენტს აკეთებდა ინდივიდუალური მშრომელის განახლებაზე, სხვაგან კი მუშათა კლასის უმუშევარი წევრების შენარჩუნებისა და განახლების მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. მეტი სიცხადისათვის, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მე გამოვყოფ სამი ტიპის პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავენ კლასობრივ საზოგადოებებში სამუშაო ძალის კვლავწარმოებას. პირველი, ყოველდღიურ აქტივობათა ნაირსახეობები აღადგენენ პირდაპირი მწარმოებლების ენერგიას და მათ სამუშაოზე დაბრუნების საშუალებას აძლევენ. მეორე, იმავე ტიპის აქტივობები ეხმარებიან დაქვემდებარებული კლასის უმუშევარ წევრებს – რომლებიც არიან ძალიან ახალგაზრდები, მოხუცები ან ავად, ან რომლებიც თავად არიან ჩართულები დამხმარე აქტივობებში ან რაიმე სხვა მიზეზის გამო სამუშაო ძალის მიღმა არიან დარჩენილები. და მესამე, განახლების პროცესები სამუშაო ძალას განახლებენ დაქვემდებარებული კლასის წევრების ჩანაცვლებით, რომლებიც გარდაიცვალნენ ან აღარ მუშაობენ.

ამ სამი ტიპის პროცესების ერთმანეთისაგან გამოცალკევებით, სამუშაო ძალის კვლავწარმოების ცნება, შესაძლოა, გათავისუფლდეს პეტეროსეფსუალური ოჯახის კონტექსტში ბიოლოგიურ გამრავლებასთან დაკავშირებული ნორმატიული დაშვებებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ რეალურ საზოგადოებებში სამუშაო ძალის კვლავწარმოება, ჩვეულებისამებრ, მოიცავდა ბავშვის აღზრდას ნათესაობაზე დაფუძნებულ გარემოში, რომელსაც ოჯახი ერქვა, პრინციპში, იგი, შესაძლოა, სხვაგვარადაც იყოს ორგანიზებული, სულ მცირე, დროის გარკვეულ პერიოდში მაინც. თანამედროვე მუშები კი, შესაძლოა, კოლექტიურად ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებლებში, მუშაობდნენ დახოცვამდე, ხოლო შემდეგ გარედან, ახალი მუშებით ჩანაცვლდნენ. ასეთ მკაცრ რეჟიმთან მიახლოება ისტორიის განმავლობაში რეალურად არაერთხელ მომხდარა. შეგვიძლია გავიხსენოთ ოქროს საბადოები რომის დაპყრობილ ეგვიპტეში, კაუჩუკის პლანტაციები საფრანგეთის ინდო-

ჩინეთში და ნაცისტური Arbeitslager (შრომითი კოლონიები). ყველაზე ხშირად, არსებული სამუშაო ძალა ორი გზით შეივსება. პირველი, პროცესებით, რომელთაც მე ტერმინით, „თაობათა განახლება“, აღვნიშნავ, როდესაც მუშები აჩენენ შვილებს, რომლებიც თავადაც მუშები გახდებიან, როცა გაიზრდებიან. და მეორე, სამუშაო ძალაში სხვა მუშების შემოსვლით. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც აქამდე საერთოდ არ მონაწილეობდნენ შრომის ბაზარზე, შესაძლოა, ახლა ჩაერთონ ანაზღაურებად შრომაში, როგორც ეს მოხდა 1950-იან წლებში, როდესაც ცოლები შევიდნენ ამერიკაში შრომის ბაზარზე. ადამიანებმა, სამუშაო ძალაში, შესაძლოა, სპორადულად შეაღწიონ, მაგალითად, მოსავლის აღებისას ან ეკონომიკური კრიზისების დროს. იმიგრანტებმა, შესაძლოა, სახელმწიფო საზღვრები გადაკვეთონ სხვა საზოგადოების სამუშაო ძალაში შესასვლელად. ასევე, ადამიანები შეიძლება ძალის გამოყენებით იქნენ გამოდევნილნი, სახლებიდან მოშორებით წაყვანილნი და იძულებით ჩართულები ახალ სამუშაო ძალაში, როგორც ეს მოხდა New-World-ის მონათა პლანტაციებში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეორიული თვალსაზრისით, სამუშაო ძალის კვლავწარმოება სულაც არ არის აუცილებლად ასოცირებული ნათესაობაზე დაფუძნებულ კერძო მეურნეობებთან, როგორც ეს ხშირად მოიაზრებოდა საშინაო შრომასთან დაკავშირებულ დებატებში. კერძოდ, ის აუცილებლად სულაც არ იწვევს ამათგან ყველას ან ერთ-ერთს: ჰეტეროსექსუალობას, ბიოლოგიურ გამრავლებას, ოჯახურ ფორმებს ან თაობათა განახლებას. მიუხედავად ამისა, კლასობრივი საზოგადოებების უმეტესობას აქვს ინსტიტუციონალიზებული ყოველდღიური საქმიანობები და თაობათა განახლების პროცესები ოჯახური ფორმის ჰეტეროსექსუალობის სისტემებში. ის, რომ ამგვარი მოცემულობები ემპირიულად ასეთი გავრცელებულია, ცხადყოფს მათ უპირატესობას – რომელთა განხილვა და მუდმივად გადაზრებაც ხდება – სხვა ალტერნატივებთან შედარებით.

კლასობრივი საზოგადოებები, რომლებიც სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში ბიოლოგიურ გამრავლებას ეყრდნობიან, რამდენიმე ტიპის

წინააღმდეგობას აწყდებიან. ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ, გარკვეული დროით, დაქვემდებარებულ კლასს მიკუთვნებული ქალები, სულ მცირე, ცოტა ხნით მაინც განიცდიან უნარების დაქვეითებას სამუშაოსა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართვისათვის. დაბალი აქტივობის ასეთ პერიოდებში ქალებმა თავად უნდა იზრუნონ საკუთარი თავის რჩენაზე. ამგვარად, ბავშვის გაჩენამ, შესაძლოა, შეამციროს კონტრიბუცია, რომელიც შეაქვს დაქვემდებარებულ კლასს მიკუთვნებულ ქალს როგორც პირდაპირ მწარმოებელს და თავის რჩენისათვის საქმიანობებში ჩართულს.¹² მმართველი კლასების გადმოსახედიდან, ბავშვის ყოლა ძვირი ჯდება, ვინაიდან ორსული ქალისა და მისი მარჩენალის შრომას, შესაძლოა, ჭარბი საქონლის შექმნაში მიეღო მონაწილეობა, რომ არა ორსულობა. ამავე დროს, დაქვემდებარებული კლასის წარმომადგენლის მიერ შვილი ყოლა ავსებს სამუშაო ძალას და ამდენად, სარგებელი მოაქვს მმართველი კლასებისათვის. გამოდის, რომ არსებობს ფარული წინააღმდეგობა მმართველი კლასების მიერ ჭარბი შრომის გამოყენების საჭიროებასა და მათსავე მოთხოვნებს შორის, თუ როგორ შეუძლია სამუშაო ძალას ამის გაკეთება.

დაქვემდებარებული კლასის გადმოსახედიდან კი, შესაძლოა, თავი იჩინოს სხვა წინააღმდეგობებმა. სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე გათვლილი ზომები, ჩვეულებრივ, სარგებლობს ქალებსა და კაცებს შორის სექსუალობასა და ნათესაობაზე დაფუძნებული ურთიერთობით. სხვა ადამიანებს, ძირითადად, ბიოლოგიურ მამას ან მის სანათესაოს, ანდა თავად ორსული ქალის სანათესაოს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ დააკმაყოფილოს ქალის საჭიროებები შემცირებული პროდუქტიულობის პერიოდში, რომელიც ბავშვის გაჩენასთანა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ, ქალებისა და კაცების განსხვავებული როლები, პრინციპში, მხოლოდ ბავშვის ყოლასთან დაკავშირებული იმ რამდენიმე თვით შემოიფარგლება, საზოგადოებების უმეტესობა მათ მიაწერს სოციალური სტრუქტურების ნაირგვარობას,

12 პადი ქუიკი (Quick 1977) აღნიშნავს, რომ კლასობრივ საზოგადოებებში ქალთა დაქვემდებარების მთავარი მატერიალური საფუძველი არის არა თავად შრომის სქესობრივი განაწილება ან გენდერული ნიშნით განსხვავება, არამედ ბავშვის გაჩენის დროს დაქვემდებარებულ კლასს მიკუთვნებული ქალების რჩენა.

რომელსაც ოჯახებად ვიცნობთ და რომელიც იქცევა მოცემულობად ყოველდღიური თავის რჩენის საქმიანობისა და თაობათა განახლებასთან დაკავშირებული აქტივობებისათვის. ამ ზომების ლეგიტიმაცია, როგორც წესი, მამაკაცთა ბატონობით ხდება, რომელსაც ზურგს უმაგრებს ქალთა ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებული სტრუქტურები.

ასეთ ზოგად დონეზე მათი არსებობიდან გამომდინარე, იმის პირდაპირ დადგენა, თუ როგორ იჩენს თავს აღნიშნული სხვადასხვაგვარი წინააღმდეგობები და როგორ ხდება მათთან დაპირისპირება რეალურ კლასობრივ საზოგადოებებში, შეუძლებელია. ეს დისკუსია უბრალოდ აჩვენებს, რომ დაქვემდებარებულ კლასს მიკუთვნებული ქალების ბავშვის ყოლის უნარი მათ კაცებისაგან განსხვავებულ პოზიციაში აყენებს ნამატის მოხმარებისა და სამუშაო ძალის კვლავწარმოების საკითხებში. შეიძლება ისინი მუშებიც იყვნენ, თუმცა დამორჩილებულ კლასს მიკუთვნებული ქალების განსხვავებული როლი სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და განახლებაში, გახლავთ მიზეზი იმისა, რის გამოც ეს სიტუაცია განსაკუთრებულია.¹³

კაპიტალიზმი და საშინაო შრომა

წინა ქვეთავი შეეხებოდა სამუშაო ძალის კვლავწარმოების საკითხებს საზოგადოებებში, რომლებიც კლასობრივი ნიშნითაა დაყოფილი. ამ ქვეთავში კი, განვიხილავ სამუშაო ძალის კვლავწარმოებას განსაკუთრებული ტიპის კლასობრივ საზოგადოებაში, რომელსაც კაპიტალიზმი ეწოდება. ამ თემაზე მარქსი ბევრს საუბრობდა, თუმცა როგორც საშინაო შრომის შესახებ არსებულმა ლიტერატურამ ცხადყო, ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი.¹⁴

13 ანალოგიურად, მმართველ კლასს მიკუთვნებულ ქალებს განსაკუთრებული და საკმაოდ განსხვავებული როლი აკისრიათ თავიანთი კლასის შენარჩუნებასა და განახლებაში.

14 შემდეგი სამი აბზაცი მაქსიმალურად შეკვეცილი სახით წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ასპექტების მარქსისტულ განხილვას. მას საკმაოდ ვრცლად აქვს მიმოხილული მასალები და იყენებს მდიდარ ემპირიულ მასალას.

მარქსის თანახმად, კაპიტალისტურ საზოგადოებებში სამუშაო ძალა იძენს საქონლის სპეციფიკურ ფორმას, რომელსაც გააჩნია არა მხოლოდ სამომხმარებლო ღირებულება, არამედ გაცვლითი ღირებულებაც. ადამიანების მიერ ნაწარმოებ ამ საქონელს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. მისი სამომხმარებლო ღირებულება მდგომარეობს მის უნარში, რომ როდესაც კაპიტალისტურ საწარმოო პროცესში გამოიყენება, იგი ქმნის უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე თავისთავად ჰქონდა. მისი გაცვლითი ღირებულება – რა ღირს სამუშაო ძალის შეძენა ბაზარზე – არის „იმ საარსებო საშუალებათა ღირებულება, რომლებიც აუცილებელია მისი მფლობელის არსებობის შესანარჩუნებლად“, ¹⁵ სიდიდე, რომელიც განსაზღვრულია ისტორიულად და სოციალურად მოცემულ საზოგადოებაში, ამ კონკრეტულ მომენტში.

სამუშაო ძალის ღირებულებისა და ნამატის ათვისებაში კაპიტალის ინტერესის ურთიერთობის შესასწავლად, მარქსმა გამოიყენა აბსტრაქცია: საათებში დათვლილი ერთი მუშის სამუშაო დღე (მარქსისთვის მუშა ყოველთვის კაცია, რა თქმა უნდა). „აუცილებელ სამუშაოს“ იგი განმარტავს, როგორც სამუშაო დღის ნაწილს, რომელიც მუშას აძლევს საშუალებას, შეიძინოს საარსებო საშუალებები. ხოლო „ნამატ სამუშაოს“ განმარტავს, როგორც სამუშაო დღის დარჩენილ ნაწილს, რომელსაც კაპიტალისტი აითვისებს. ¹⁶ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშა ნაწილობრივ საკუთარი თავისთვის, ნაწილობრივ კი თავისი უფროსისთვის მუშაობს. პირველი ნაწილი, მუშის აუცილებელი სამუშაო, შეესაბამება მის ხელფასს; მეორე ნაწილი კი, მისი ნამატი სამუშაო, წარმოადგენს ნამატ ღირებულებას უფროსის სამსახურში.

მარქსისთვის კაპიტალისტური დაგროვება ქმნის მოგებაზე ორიენტირებულ მუდმივად ცვალებად სისტემას. თუკი კაპიტალისტს მეტი მოგების ნახვა უნდა, მაშინ ის დაინტერესებულია, რომ საჭირო სამუშაო რაჲ შეიძლება შეამციროს. მარქსს განხილული აქვს მეთოდები (გარდა

15 Marx 1971a, p. 167.

16 უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მუშის ნამუშევრის შექმნილი ღირებულების ნაწილი მიდის მუდმივი კაპიტალის განახლებაში.

მოტყუებისა), რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ამგვარი შემცირების მისაღწევად. ერთი მხრივ, მათ შეუძლიათ გაზარდონ სამუშაო საათები ან მუშაობის ტემპის ინტენსივობა სამუშაო ძალის ღირებულების შეუცვლელად. მეტი სამუშაო საათი ან უფრო ინტენსიური მუშაობა ნიშნავს, რომ მუშა ზრდის სამუშაო ძალას იმავე ხელფასისთვის. ამგვარად, მისი სამუშაო ძალა იაფდება. აუცილებელი სამუშაოს ამგვარ შემცირებას მარქსი უწოდებდა „აბსოლუტურ ნამატ ღირებულებას“. მეორე მხრივ, კაპიტალისტს შეუძლია, აუცილებელი სამუშაო საწარმოო პროცესის პროდუქტიულობის გაზრდით შეამციროს. გაზრდილი პროდუქტიულობა ნიშნავს, რომ მუშას ნაკლები სამუშაო საათი სჭირდება აუცილებელი სამუშაოს შესასრულებლად, ხოლო უფროსს უფრო მეტი ნამატი ღირებულება რჩება. გარკვეული ლიმიტების ფარგლებში, მუშის ხელფასის გაზრდაც კი შესაძლებელია. ასეთი ტიპის აუცილებელი სამუშაოს შემცირებას მარქსი „ფარდობით ნამატ ღირებულებას“ უწოდებდა.

სამუშაო დღის განმავლობაში აუცილებელი და ნამატი სამუშაოს ურთიერთმიმართების მარქსისეული გააზრება გასაკვირად ცხადია. მისი აქცენტი ცალკეული ინდივიდუალური მშრომელის საჭიროებებზე ერთდროულად გამორიცხავს მთელი იმ დამატებითი შრომის გათვალისწინებას, რომელიც არა მხოლოდ მომუშავეს, არამედ მთლიანად მისი სანათესაოს, მისი თემის და, ზოგადად, სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და ჩანაცვლებას უზრუნველყოფს.¹⁷ თავად ის ფაქტი, რომ ეს სხვადასხვაგვარი პროცესები, შესაძლოა, გამორჩენილი იყოს მარქსის მოსაზრებებში, სულ მცირე ამ მომენტისათვის მაინც, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური ორგანიზების შედეგია. ისე, როგორც წარმოების არცერთი სხვა წესისათვის, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია ყოველდღიური საქმიანობისა და თაობათა ჩანაცვლების საკითხების სივრცითი, დროითი და ინსტიტუციური იზოლირება წარმოების სფეროდან. „ინდივიდუალური მოხმარების“ კონცეფციის გამოყენებისას, მარქსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმი სამსახურს ანაზღაურებადი სამუშაოსაგან რადიკალურად განსხვავებულ ხასიათს

17 თავის სხვა ნაშრომში მარქსი აღნიშნავდა, რომ ასეთი სამუშაო იყო საერთო სოციალური კვლავწარმოების წინაპირობა.

ანიჭებს. ინდივიდუალური მოხმარება მაშინ ხდება, როდესაც „მშრომელი მისთვის მისი სამუშაო ძალისათვის გადახდილ ფულს აქცევს საარსებო საშუალებად“.¹⁸ აქ, მარქსს ძირითადად აინტერესებს კონტრასტი, რომელიც არსებობს მუშის საარსებო საშუალებების ინდივიდუალურ მოხმარებასა და სამსახურში ყოფნისას წარმოების საშუალებების „პროდუქტიულ მოხმარებას“ შორის. თუმცა, მას ბევრი არაფერი უთქვამს ინდივიდუალურ მოხმარებასთან დაკავშირებულ რეალურ სამუშაოზე. ეს გახლდათ კაპიტალისტური წარმოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობის სივრცე, თუმცა, მარქსის აღწერაში იგი წარმოდგენილი არ ყოფილა.

საშინაო შრომასთან დაკავშირებული ლიტერატურა ცდილობდა ეჩვენებინა კაპიტალისტურ საზოგადოებებში სამუშაო ძალის კვლავწარმოების სხვადასხვა გზა. ჩემი გადმოსახედიდან, ეს ნიშნავდა აუცილებელი სამუშაოს ხელახალ კონცეპტუალიზაციას, რათა მომხდარიყო მისი ინკორპორირება სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესებში. აუცილებელი სამუშაო, ჩემი მტკიცებით, ორი კომპონენტისაგან შედგება. პირველი, რომელსაც მარქსი განიხილავს, გახლავთ აუცილებელი სამუშაო, რომელიც აწარმოებს ხელფასის ტოლფას ღირებულებას. ეს კომპონენტი, რომელსაც მე აუცილებელი სამუშაოს სოციალურ კომპონენტს ვუწოდებ, უწყვეტად არის დაკავშირებული კაპიტალისტური წარმოების პროცესში ნამატ სამუშაოსთან. აუცილებელი სამუშაოს მეორე კომპონენტი, რომელიც ღრმად არის დაფარული მარქსის ნაწერებში, გახლავთ აუნაზღაურებელი შრომა, რომელსაც სარგებელი მოაქვს საქონლის სამუშაო ძალის მატარებელთა და მთლიანად მუშათა კლასის ყოველდღიურობაზე თუ ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილ განახლებაში.¹⁹ ამას მე ვუწოდებ აუცილებელი სამუშაოს საშინაო კომპონენტს, ან საშინაო შრომას.

18 Marx 1971a, p. 536.

19 აბსტრაგირების ამ დონეზე, ტერმინ მუშათა კლასს მე ვიყენებ ყველა იმ ადამიანის აღსანიშნავად, რომელიც უქონელია ანუ არ ფლობს წარმოების საშუალებებს. მოსახლეობის უმეტესობა აშშ-ში, ისევე როგორც სხვაგან, ამ გაგებით მუშათა კლასს მიეკუთვნება, რაც საჭიროს ხდის, რომ ნაკლებ აბსტრაქტულ კონტექსტში იყოს განხილული შინამეურნეოების სტრატეგიკაცია პროფესიების, განათლების, შემოსავლის და ა.შ. ნიშნით.

ასეთი განსაზღვრებით საშინაო შრომა იქცა კაპიტალიზმისათვის სპეციფიკურ ცნებად, ფიქსირებული გენდერული დაყოფის გარეშე. ამით იგი გათავისუფლდა რამდენიმე საყოველთაოდ მიღებული დაშვებისაგან, რომელიც თან სდევდა საშინაო შრომასთან დაკავშირებულ დებატს, განსაკუთრებით კი იმ გაგებისაგან, რომ საშინაო შრომა უნივერსალურია და ის მაინცა და მაინც ქალების საქმეა.

აუცილებელი სამუშაოს სოციალური და საშინაო კომპონენტების პირდაპირი შედარება შეუძლებელია, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ გააჩნია ღირებულება.²⁰ ეს ნიშნავს, რომ აუცილებელი მუშაობის ძალზედ ხილვად და ღირებულ სოციალურ კომპონენტს თან ახლავს ჩრდილოვანი, არაკვალიფიციური და (ტექნიკურად) ღირებულების არმქონე საშინაო შრომის კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე მხოლოდ ერთი კომპონენტია წარმოდგენილი, სამუშაო ძალის კვლავწარმოება ორივე კომპონენტს მოიცავს. ხელფასებმა მუშებს, შესაძლოა, მისცეს საშუალება, რომ შეიძინონ საქონელი, თუმცა, ზოგადად, დამატებითი შრომაც – საშინაო შრომაც – უნდა შესრულდეს. საკვები პროდუქტები უნდა მომზადდეს, ხოლო ტანსაცმელს სჭირდება მოვლა და გარეცხვა. ბავშვებზე არა მხოლოდ ზრუნავენ, არამედ მათ ასწავლიან უნარებსაც, რათა მოზრდილი მუშათა კლასის შემადგენელ ნაწილად იქცნენ. დახმარებას საჭიროებენ მუშათა კლასის ის წარმომადგენლებიც, რომლებიც ავად არიან, აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა ან არიან დაუძლურებულნი. ეს ამოცანებიც, ნაწილობრივ, საშინაო შრომამ უნდა შეასრულოს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მე ვამტკიცებ, რომ აუცილებელი სამუშაო გაცილებით უფრო რთული კონცეპტუალური კატეგორიაა, ვიდრე აქამდე მოიაზრებოდა. იგი მოიცავს ორ კომპონენტს, ერთს, რომელსაც გააჩნია ღირებულება და მეორეს, რომელსაც არ გააჩნია. საშინაო შრომა, რომელშიც ადრე მეორე კომპონენტი არ მოიაზრებოდა, მკვეთრად განსხვავდება სოციალური კომპონენტისაგან, თუმცა ის ისევე განუყოფელია

20 გააჩნია თუ არა საშინაო შრომას ღირებულება, მარქსისტული გაგებით, ამ საკითხმა პროვოცირება გაუკეთა მცირე დებატს ქალთა გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში. ჩემი აზრით, არ გააჩნია. თუ რატომ ვფიქრობ ასე, იხ. see Smith 1978.

კაპიტალისტური სოციალური კვლავნარმოებისაგან. მას აკლია ღირებულება, თუმცა ის თანაბრად წამყვან როლს ასრულებს ნამატი ღირებულების ათვისების პროცესში. აუცილებელი სამუშაოს შესრულებაში ერთად გამომწვევდელი სოციალური შრომა და მისი ახლად აღმოჩენილი პარტნიორი, საშინაო შრომა, ქმნიან უცნაურ წყვილს, რომელიც მარქსისტულ თეორიაში ჯერ არ შეგვხვედრია.²¹

აუცილებელი სამუშაოს შემცირებისას, კაპიტალისტების ინტერესი, შესაძლოა, გადასწდეს როგორც მის საშინაო, ისე სოციალურ კომპონენტსაც. თუკი ადამიანი თავისი ენერგიის დიდ ნაწილს საშინაო შრომას მოახმარს – ჭიდან წყლის ამოღება იქნება ეს თუ ცხელი კერძების მომზადება, ტანსაცმლის გამოხარშვა, ბავშვებისათვის წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლება და ა.შ. – მაშინ ის ნაკლებად ხელმისაწვდომია წარმოებაში სამუშაოდ. და პირიქით, როდესაც საშინაო სამუშაო იკლებს, პოტენციურად დამატებითი სამუშაო ძალა გამოთავისუფლდება შრომის ბაზარზე. მე-19 და მე-20 საუკუნეებში მუდმივად მიმდინარეობდა საშინაო შრომის შემცირება. ადრეული 1900-იანი წლებისთვის საჭმლის მომზადება უკვე ნაკლებ დროს მოითხოვდა, სარეცხის რეცხვა, გარკვეულწილად, ნაკლებად მძიმე საქმიანობა იყო, ხოლო ბავშვებისთვის განათლების მიცემის უმეტესი ნაწილი სკოლების ხელში გადავიდა. მოგვიანებით, გაყინული საკვების, მიკროტალღური ღუმელის, სამრეცხაოების, დღის ცენტრების, ბაგა-ბაღების, საბავშვო ბაღებისა და გახანგრძლივებული სკოლის პროგრამების გაზრდილ ხელმისაწვდომობასთან ერთად, საშინაო შრომა კიდევ უფრო შემცირდა.²² ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური საშუალებებით

21 ეს დისკუსია, რომელიც აზუსტებს, თუმცა არ ცვლის ჩემს ადრეულ მსჯელობას (Vogel 1983), ახლა კიდევ უფრო ნაკლებ დამაჯერებლად ჟღერს. თუმცა, ერთი რამ ცხადია, საშინაო შრომა კონცეპტუალიზდება თუ არა როგორც აუცილებელი სამუშაოს კომპონენტი, დედაბრი ის გახლავთ, რომ უნდა მოიძებნოს გზები მის მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში თეორიზებისათვის.

22 ნონა გლაზერი (Glazer 1987) განიხილავს „სამუშაოს გადატანას“ საშინაო შრომის შემცირების მნიშვნელოვან კონტრატენდენციას მე-20 საუკუნეში. სამუშაოს გადატანა ხდება მაშინ, როდესაც საქმე, რომელსაც აქამდე გამყიდველი ასრულებდა, ახლა გადადის თვითმოსახურე მყიდველის ხელში, რითაც იზრდება საშინაო შრომა. მარტა გიმენესი (Gimenez 1990) გლაზერის შრომის გადატანას იყენებს საკუთარ ნაშრომში, სადაც საშინაო შრომის 4 სხვადასხვა ტიპს განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის გადაცემის სხვადასხვა მექანიზმი მნიშვნელოვანია, ვეჭვობ, რომ ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ შინამეურნეობაში საერთო ჯამში შესრულებული საშინაო შრომის შემცირების დროში განვირეულ ტენდენციებს.

საშინაო შრომის შემცირება არ ნიშნავს, რომ ოჯახები აუცილებლად თავიანთ უფრო და უფრო მეტ წევრს გააგზავნიან ბაზარზე სამუშაო ძალად. თუმცა, ეს ნამდვილად ქმნის უფრო მეტ შესაძლებლობას იმისა, რომ ასე მოხდეს.

რომ შევაჯამოთ, კაპიტალისტები, როგორც კლასი, მომწყვდეულები არიან რამდენიმე წინააღმდეგობრივ წნეხს შორის, მათ შორის: ხანგრძლივ პერსპექტივაში სამუშაო ძალის საჭიროება, ხანმოკლე პერსპექტივაში მშრომელთა და მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის საჭიროება, მათი მოთხოვნა მოგებაზე და მათი სურვილი შეინარჩუნონ ჰეგემონია დანაწევრებულ მუშათა კლასზე. ჩემი თეორიული ჩარჩოს მონახაზში, ეს წინააღმდეგობრივი წნეხები ქმნიან ტენდენციებს და არა წინასწარ განსაზღვრულ გარდაუვალობებს. ამგვარი ტენდენციების არსებობა კი, სულაც არ ნიშნავს, რომ დომინანტი კლასებისათვის სასარგებლო შედეგები მოჰყვება მათ, რასაც ფუნქციონალისტური ინტერპრეტაციები გააკეთებდა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესები ქმნიან საბრძოლო მზადყოფნაში არსებულ სფეროებს. რეალურ საზოგადოებებში, კაპიტალისტები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას, რომელთაგან ზოგიერთიც გულისხმობს საშინაო შრომით მანიპულირებას იმგვარად, რომ ისინი, შესაძლოა, გაანალიზდეს როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი ნამატი ღირებულების შექმნად. ამავე დროს, დასაქმებულები მიისწრაფვიან, რომ მოიპოვონ საუკეთესო პირობები თავიანთი განახლებისათვის, რაც, შესაძლოა, გულისხმობდეს საშინაო შრომის გარკვეულ ტიპს და დონეს. იმის გამო, რომ კაპიტალიც და შრომაც, ჩვეულებრივ, დანაწევრებულია ცალკეულ სექტორებში, არც სხვადასხვა შრეზე მიღწეული შედეგებია ერთიანი.

ამგვარად, საქონლის სამუშაო ძალის კვლავწარმოების პირობებისათვის ისტორიული ბრძოლიდან შეუთავსებელი ტენდენციის დინამიკა გამოსტყვის. ამის კონკრეტული შედეგები კი მოიცავდა ოჯახზე მორგებულ ხელფასებს ცალკეული ჯგუფებისათვის, ინდუსტრიაში დასაქმებული ქალებისა და ბავშვების უფლებების დასაცავად კანონმ-

დებლობას, შრომის ბაზარზე სქესისა და რასის ნიშნით სეგრეგაციას, ბარაკებში მაცხოვრებელ მიგრანტ მშრომელებს და ა.შ.²³

აქამდე, საქონლის სამუშაო ძალის კვლავწარმოებას ეკონომიკურ ფენომენად განვიხილავდი.²⁴ თუმცა არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფენომენი, რომელიც ასევეა მასთან დაკავშირებული – თანასწორობისაკენ სწრაფვა. მარქსი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოებების ამ ფუნდამენტურ პოლიტიკურ მახასიათებელს საფუძველი უდევს საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის არტიკულაციაში.²⁵ წარმოებაში კონკრეტული ხელსაყრელი სამუშაოს ფართო დიაპაზონი აბსტრაქტულ ადამიანურ შრომად, ან ღირებულებად გადაიქცევა. მიმოქცევაში, საქონელი, შესაძლოა, გაიცვალოს ბაზარზე, როდესაც იგი განასახიერებს იმ ღირებულების შედარებად ოდენობას. სამუშაო ძალა, რა თქმა უნდა, საქონელია, რომლის ყიდვაც და გაყიდვაც ბაზარზე შეიძლება. შესაბამისად, მუშა და კაპიტალისტი ერთმანეთს ბაზრობაზე ხვდებიან, სადაც მფლობელები ცდილობენ საკუთარი საქონლის გაცვლას. იმისათვის, რათა ტრანზაქცია შედგეს, კაპიტალისტმა მუშებს უნდა შესთავაზოს ხელფასი, რომელიც მათი სამუშაო ძალის ღირებულების თანაზომიერი იქნება. კაპიტალიზმის, როგორც თაღლითი სისტემის, გაგების საპირისპიროდ, ეს სამართლიანი გაცვლაა. ბაზარზე თანასწორობა სრულ ჰარმონიაშია წარმოების დროს ექსპლუატაციასთან.

23 საშინაო შრომის, როგორც სამუშაო ძალის კვლავწარმოების მთავარი კომპონენტის ამ ანალიზს ემპირიული ორეული ჰყავს იმ ცვლილებების სახით, რომლებიც გასული სამი ათწლეულის მანძილზე განიცადა მუშათა კლასის კვლევებმა. ნაცვლად მხოლოდ მუშებსა თუ პროფკავშირებზე ფოკუსირებისა, უამრავი მკვლევარი უფრო ფართოდ მუშათა კლასის შინამეურნეობებსა და თემებს შეისწავლის, როგორც სამუშაო ძალის მატარებლებს, შემწახველეებსა და ჩამნაცვლებლებს. იხ. Sacks 1989; Glucksmann 1990.

24 ნენსი ფრეიზერს (Fraser 1998) ვეთანხმები, რომ უმეტესობას იმისა, რასაც ფართოდ გაგებით შეიძლება გენდერული ურთიერთობები ეწოდოს, არ შედის ეკონომიკის სფეროში. აქ მე ვამტკიცებ, რომ მასში მაინც შედის რაღაც ნაწილი, რომელიც ეკონომიკურია და ის მონაწილეობს კაპიტალისტური დაგროვების დინამიკაში და მისი თეორიზება პოლიტიკური ეკონომიის საკითხია. კაპიტალიზმში ქალთა ჩაგვრის ეს მნიშვნელოვანი, თუმცა შეზღუდული ეკონომიკური ასპექტი, ნამდვილად არის მისი სპეციფიკურობის ერთ-ერთი ფაქტორი, განსხვავებით, მაგალითად, რასობრივი ან კლასობრივი დაქვემდებარებისა.

25 აქ, კიდევ ერთხელ, მაქსიმალურად ვკვეცავ მარქსის საკმაოდ გრძელ მსჯელობას.

ამდენად, ადამიანთა თანასწორობა არის არა აბსტრაქტული პრინციპი ან მცდარი იდეოლოგია, არამედ კომპლექსური ტენდენცია, რომელსაც ფესვი წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების არტიკულარებაში აქვს გადგმული. ვფიქრობ, რომ თანასწორობის ნაკლებობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ქალთა (და სხვა ჯგუფთა) ჩაგვრის სპეციფიკური მახასიათებელია. მართალია, მხოლოდ დაქვემდებარებულ კლასს მიკუთვნებული ქალები ასრულებენ საშინაო შრომას, როგორც ეს ზემოთ იყო განხილული, თუმცა კაპიტალისტურ საზოგადოებაში თანასწორობის დეფიციტით ყველა ქალი იტანჯება.

თანასწორობის მასშტაბების გაფართოების მცდელობები, სულ მცირე, ორ ფრონტზე ქმნის რადიკალურ გამოწვევებს. პირველი, ისინი მიდრეკილი არიან დაქვემდებარებულ შრეებსა და სექტორებს შიგნით თუ მათ შორის განხეთქილების აღმოფხვრისაკენ, თითოეული ინდივიდის უფრო თანასწორი საყრდენისკენ გადაწევით. მეორე, მათ შეუძლიათ ამხილონ კაპიტალიზმის ფუნდამენტურად ექსპლუატაციური ბუნება, ვინაიდან, რაც უფრო ფართოვდება უფლებების არეალი, კაპიტალიზმის მით უფრო მეტი სოციალური და ეკონომიკური მახასიათებელი იჩენს თავს. არაფრისმომცემი რეფორმიზმის, ანდა, სავარაუდოდ, განხეთქილების შემოშლანი იდენტობის პოლიტიკის გამოყენების ნაცვლად, ბრძოლას თანასწორობისათვის, შეუძლია წვლილი შეიტანოს სტრატეგიული ალიანსების შექმნასა და კაპიტალიზმის მიღმა პერსპექტივების დანახვაში.

ჩემი შემოთავაზებული თეორიული სცენარი მთელი თავისი აბსტრაქტულობით რომ შევაჯამო: წარმოების კაპიტალისტურ წესში დავროვების ლოგიკა და წარმოებისა და მიმოქცევის სფეროებს შორის არტიკულაცია ორმაგად მონიშნავს ქალების პოზიციას. ერთი მხრივ, დაქვემდებარებულ კლასს მიკუთვნებული ქალები და კაცები განსხვავებულ პოზიციას იკავებენ სოციალური კვლავწარმოების მნიშვნელოვან ეკონომიკურ ასპექტებთან მიმართებით. მეორე მხრივ კი, არცერთ ქალს არ მიუწვდება ხელი თანასწორუფლებიანობაზე. რეალურ საზოგადოებებში, ქალთა დაქვემდებარების დინამიკა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ ორმაგ პოზიციონირებასაც პასუხობს.

აუდიტორიები და პარადიგმები

1970-იან წლებში საშინაო შრომის თეორიზების მცდელობები მიმართული იყო ორი კონკრეტული აუდიტორიისაკენ: ფემინისტებისკენ, განსაკუთრებით სოციალისტ-ფემინისტებისკენ და მემარცხენეებისკენ. ფემინისტთა უმეტესობამ, საბოლოო ჯამში, უარყო საშინაო შრომასთან დაკავშირებული ლიტერატურა, როგორც არასწორი მიმართულებით განვითარებული მცდელობა, რომელიც მარქსიზმის არასთანადო კატეგორიებს ეყრდნობოდა. მარქსისტთა უმეტესობამ კი, უბრალოდ უგულებელყო ეს დებატი და არც მისი მიმდევრები გამხდარან და არც პრაქტიკაში გამოუყენებიათ ის. ვერც პოტენციურმა აუდიტორიამ გაიაზრა სრულად ის გზები, რასაც სოციალისტ-ფემინისტები სთავაზობდნენ მათ, იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად, მარქსისტული თეორიის გადასინჯვისათვის.

ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც, საბოლოო ჯამში, ძალიან შეზღუდა ფემინისტური აუდიტორია, გახლდათ საშინაო შრომის დებატის მიდგომა თეორიისადმი. როგორც მანამდეც აღვნიშნე, ბევრი ფემინისტი ეწინააღმდეგებოდა ეპისტემოლოგიურ პერსპექტივას, რომელიც საფუძვლად უდევს საშინაო შრომასთან დაკავშირებული ლიტერატურის დიდ ნაწილს. ის არა მხოლოდ ძალიან აბსტრაქტული იყო, არამედ, თეორიის საზღვრებსაც ძალიან შეზღუდულად განიხილავდა. კერძოდ, სუბიექტურობისა და აგენტობის საკითხები ამგვარი თეორიის ფარგლებს გარეთ ხვდებოდა. ეს საკითხები უფრო მეტად მიეკუთვნებოდა კონკრეტული ისტორიული ძიებისა და ანალიზის რთულ და უნესრიგო სფეროს. ფემინისტების უმეტესობამ უარყო თეორიის ამგვარი გააზრება და ნაცვლად ამისა, შეეცადა, ეპოვნა თეორია დეტალური ემპირიული აღწერის შესახებ. ამგვარად, თეორიული პარადიგმის ძლიერმა, თუმცა ზოგადად არაღიარებულმა განსხვავებამ ეს ორი პერსპექტივა ერთმანეთისაგან განაცალკევა. დღესდღეობით, გასულ წლებთან შედარებით, გაცილებით უფრო ცხადია ჩემთვის, რომ ერთის მფლობელებმა ვერ შეძლეს ეფექტიანი კომუნიკაცია იმათთან, ვინც გულგრილი არ იყო მეორისადმი. ერთმანეთის ნაშრომების წაკითხვაც კი, რომ

აღარაფერი ვთქვათ სასარგებლო კრიტიკაზე, პარადიგმული შეუთავსებლობის წინააღმდეგობას წააწყდა.²⁶

1970-იან წლებში, მემარცხენეობა, ძირითადად, მტრულად იყო განწყობილი ფემინისტური სოციალიზმის განვითარების ცნებისადმი და მით უმეტეს მარქსისტული თეორიის გადასინჯვისადმი. ბევრ ბანაკში ფემინიზმი განიხილებოდა როგორც არსებითად ბურჟუაზიული და საფრთხე კლასობრივი ერთობისათვის. ამერიკელი მარქსისტი თეორეტიკოსები, ძირითადად კაცები, ზოგადად, იგნორირებას უკეთებდნენ საშინაო შრომასთან დაკავშირებულ ლიტერატურას. ნაწილობრივ, პრობლემა აქაც პარადიგმული შეუთავსებლობა იყო, თუმცა ამჯერად სხვაგვარი. ტრადიციული მარქსისტული პერსპექტივიდან, კაპიტალიზმის დინამიკა, საბოლოო ჯამში, კლასობრივ ექსპლუატაციასთანაა დაკავშირებული. სხვა საკითხები – მაგალითად, გენდერული, რასობრივი ან ნაციონალური ნიშნით ჩაგვრა – შესაძლოა, მნიშვნელოვანი საკითხი იყოს სოციალისტებისთვის, თუმცა ეს საკითხები მარქსისტული თეორიის ფარგლებს სცდება.

1980-იან წლებში, აუდიტორია საშინაო შრომაზე თეორიული მსჯელობისათვის დრამატულად შემცირდა. აუდიტორიის ასეთ კლებაში ცალსახად შეიტანა წვლილი მზარდმა კონსერვატიულმა პოლიტიკურმა კლიმატმა და ბევრი რადიკალური სოციალური მოძრაობის დაღმასვლამ თუ განადგურებამ. ფემინისტურმა ინტელექტუალურმა საქმიანობამ შეძლო, რომ განვითარებულიყო, თუმცა ადრინდელთან შედარებით, გაცილებით უფრო ნაკლები კავშირით ქალთა მოძრაობის აქტივიზმთან. კოლეჯებისა და უნივერსიტეტების შენობებში გადარჩენილი, იგი წააწყდა სხვადასხვა ტიპის დისციპლინურ შეზღუდ-

26 თომას კუნი (Kuhn 1962) აღწერს ბევრ სხვადასხვა გზას, როდესაც თეორიული პარადიგმები რჩებიან უხილავები მაშინ, როდესაც მძლავრ გავლენას ახდენენ მათ მომხმარებელთა აზროვნებაზე. თეორიულ ჩარჩოსთან დაკავშირებით, რომელსაც განვიხილავთ, ალთუსერი (Althusser 1993, გვ. 185–6) ასევე საუბრობს ფენომენზე: „დასაბამიდანვე. ჩვენ დაჟინებით ვითხოვდით სტრუქტურული განსხვავების გაცემებს კომპინატორულს (აბსტრაქტულს) და კომპინაციას (კონკრეტულს) შორის, რამაც მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოშვა. თუმცა, ვინმემ აღიარა ეს? არავის მიუქცევია ყურადღება განსხვავებისათვის... არავინ დაინტერესებულა [ჩემი მიდგომით] თეორიისადმი. მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გაიგო ჩემი არგუმენტაცია და მიზნები“.

ვებსა და პროფესიულ წნეხს. მეტიც, ფემინისტ სწავლულთა ახალმა თაობებმა ხელიდან გაუშვა 1960-იანი წლების გადატრიალებებში ფესვგადგმული, ქალთა გათავისუფლების რადიკალურ მოძრაობაში მონაწილეობის შანსები. როგორც მოსალოდნელი იყო, ფემინისტური თეორიისათვის სოციალისტური აზროვნების რელევანტურობის რწმენა კი დაიკარგა.

1980-იან და 90-იან წლებში, ზოგიერთის გასაკვირად, არ შევსწრებივართ საშინაო შრომაზე თეორიული მსჯელობის დასასრულს. პირიქით, ინტერესის გარკვეული დონე დაჟინებით განაგრძობდა არსებობას. იქ, სადაც მარქსისტული თეორიის შედარებით მძლავრი ტრადიციები არსებობს, ამა თუ იმ მიზეზით, მაგალითად, ინგლისსა და კანადაში, ეკონომისტების, სოციოლოგების და ისტორიკოსების, როგორც ქალების, ისე კაცების პატარა ჯგუფები კვლავაც განაგრძობენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოვიდა საშინაო შრომასთან დაკავშირებული ადრეული ლიტერატურიდან.²⁷

თუმცა, ამ წლების განმავლობაში, აშშ-ში შედარებით ცოტა მკვლევარი იყო დაინტერესებული საშინაო შრომის დებატის ფარგლებში მოქცეული საკითხებით. ფემინისტები, რომლებიც კვლავაც იყენებენ ტერმინოლოგიას, ამას ხშირად უფრო მეტაფორულად აკეთებენ, ვიდრე ანალიტიკურად. მაგალითად, საშინაო შრომა, კვლავაც გაგებულია როგორც ცნება, რომლის არეალიც და დასაქმებულთა წრეც ნათელია (გულისხმობს საოჯახო შინამეურნეობას და ქალს) და რომლის შინაარსიც თავისთავად ცხადია (როგორც წესი, მოიცავს საოჯახო საქმეს ან საოჯახო საქმესა და ბავშვზე ზრუნვას). კვლავწარმოებამ, ტერმინმა, რომელსაც მნიშვნელობა მინიჭებული ჰქონდა სხვადასხვა ცალკეულ ინტელექტუალურ ტრადიციაში, რაც თავდაპირველად დიდი განხილვის საგანი იყო, ასევე შეიძინა უნივერსალური მნიშვნელობა.²⁸ ახალ

27 ინგლისთან დაკავშირებით, იხ. ბიბლიოგრაფია გამოცემაში Gardiner 1997, ასევე ჟურნალი *Capital & Class*. კანადასთან დაკავშირებით, იხ. Hamilton and Barrett 1990, ასევე ჟურნალი *Studies in Political Economy*.

28 1970-იან წლებში კვლავწარმოების ცნების მნიშვნელობების განხილვასთან დაკავშირებით, იხ. Edholm, Harris, and Young 1977; და Beechey 1979. ასევე იხ. Himmelweit 1983b.

ფრაზასთან, „კვლავწარმოების შრომასთან“ ერთად, იგი დღესდღეობით ხშირად გულისხმობს აქტივობათა ფართო სპექტრს, რომელსაც წვლილი შეაქვს ხალხის განახლებაში, მათ შორის, ემოციურ თუ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შრომას, და ანაზღაურებად თუ აუნაზღაურებელ სამუშაოს. ლიტერატურის მიმოხილვისას, ეველინ ნაკანო გლენი აღნიშნავს,²⁹ რომ:

ტერმინმა, სოციალური კვლავწარმოება, უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა... რომელიც მიემართება ადამიანების როგორც კულტურული და სოციალური, ისე ფიზიკური არსებების შექმნასა თუ გარდაქმნას. ამდენად, ის მოიცავს გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ შრომას. ამ შრომის ორგანიზება მრავალი სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი – შინამეურნეობის შიგნით და გარეთ, ანაზღაურებადი თუ აუნაზღაურებელი მუშაობით, გაცვლითი ღირებულების ან მხოლოდ სამომხმარებლო ღირებულების შექმნით ... [მაგალითად, საკვები პროდუქტი] შესაძლოა, გააკეთოს ოჯახის წევრმა, როგორც აუნაზღაურებელი საქმე ოჯახში, დამხმარემ, როგორც ანაზღაურებადი საქმე ოჯახში, ანდა ცხელი კერძების მზარეულმა სწრაფი კვების რესტორანში, როგორც ანაზღაურებადი საქმე, რომელსაც მოგება მოაქვს.

ამერიკელი მარქსისტი თეორეტიკოსების უმეტესობა 1980-იან და 90-იან წლებში კვლავაც მამაკაცი იყო და, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სოციალისტ-ფემინისტების მიერ შექმნილ ლიტერატურასა და ჩანაწერებს, ზოგადად, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. ბევრი მათგანი ფემინიზმს განიხილავს ე.წ. იდენტობის პოლიტიკის ნაწილად, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მემარცხენეობის დანაწევრება შეუძლია. გარდა ამისა, ისინი წუხან მარქსისტული თეორიის ერთიანობაზე. ამავე დროს, როგორც ჩანს, ისინი არ ფლობენ ინფორმაციას თანამედროვე დებატებისა და დისკუსიების ფართო სპექტრთან დაკავშირებით, რომელიც ამ პრობლემებს ეხება. თუმცა კი, რამდენიმე

29 Glenn 1992.

მათგანმა სცადა დიალოგში შესვლა. ზოგიერთი მათგანი გადის გზას, რომელიც უკვე გაკვალულია საშინაო შრომის დებატში და ხელახლა იგონებს ანალიტიკურ კონსტრუქციებს, რომლებიც პირველად 1970-იან წლებში შემოგვთავაზეს ფემინისტებმა. სხვები კი, ქალთა ჩაგვრის როგორც ენასთან, ფსიქოლოგიასა თუ სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების ინტერპრეტირებას გვთავაზობენ. ამგვარი ინტერპრეტაციისას კი, ქალთა დაქვემდებარებულობას ააგებენ როგორც ნამატის ათვისებისა და კაპიტალისტური სოციალური კვლავწარმოების პროცესებისათვის მთლიანად გარე საკითხს და შედეგად, არ განიხილავენ მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის საგნად.

საშინაო შრომის ადრეული თეორეტიკოსები ცდილობდნენ, რომ ქალების ცხოვრება კაპიტალიზმის ფუნქციონირების ცენტრში დაეყენებინათ. ისინი იყვნენ ერთ-ერთი პირველები, ვინც ინტუიციურად განჭვრიტეს მარქსიზმის კრიზისის მოახლოება და დაიწყეს მარქსისტული თეორიის შემზღუდულობის შესწავლა. მათ მიერ ფემინისტური თეორიისა და მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ტრადიციის გამოწვევა, ჩემი აზრით, კვლავაც დაუსრულებელ პროექტად რჩება.

საშინაო შრომა XXI საუკუნეში

საშინაო შრომასთან დაკავშირებული ლიტერატურა დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ქალთა ჩაგვრა საერთო სოციალური კვლავწარმოების ცენტრალური საკითხია. მიუხედავად მისი ყველა პრობლემისა, ეს დაკვირვება ისევ არ არის საფუძველს მოკლებული. კაპიტალს კვლავაც აქვს მოთხოვნები საექსპლუატაციო სამუშაო ძალისა და სათანადოდ შემზადებული საქონლის მომხმარებლების საიმედო წყაროს უზრუნველყოფაზე – მოთხოვნები, რომლებიც მუდამ ბრძოლის საკითხია და ყოველთვის ვერ კმაყოფილდება. გლობალურ დონეზე მიმდინარე რესტრუქტურიზაციის პირობებში, პროცესები, რომელთა მეშვეობითაც სამუშაო ძალის შენარჩუნება და განახლება ხდება, რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდიან და საშინაო შრომას კვლავაც წამყვანი

მნიშვნელობა ენიჭება ამ ცვლილებებში. საშინაო შრომის ფორმები უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება და კიდევ უფრო შორდება მამაკაცი – ოჯახში შემომტანი/ქალი – დამოკიდებულის ნუკლეარული ოჯახის ნორმებს. ოჯახების უმეტესობას წვლილი შეაქვს ანამბლურებადი სამუშაოსათვის გამოყოფილი დროის გაზრდაში, ძირითადად, მათი წევრების მიერ საშინაო შრომისთვის გამოყოფილი დროისა და ხარისხის შემცირების ხარჯზე. სხვა ოჯახები კი, მუდმივი უმუშევრობის, მზარდი მარგინალიზებისა თუ სიღარიბის და მისი შესატყვისი საშინაო შრომის ტყვეებად არიან ქცეულნი. შეიძლება ითქვას, რომ აქ, საუბარია სამუშაო ძალის სექტორის კვლავწარმოებაზე.³⁰ სამუშაო ძალის განახლების პროცესები ასევე მიმოფანტულია გეოგრაფიულად და ხშირად სცდება ეროვნულ საზღვრებს. მიგრაცია კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებული ხდება, რაც იწვევს ოჯახების გახლეჩასა და ახალი ტიპის, არა ნათესაობაზე თუ ნათესაობაზე დაფუძნებული საშინაო შრომის არელების გაჩენას. ამავე დროს, ტრადიციულად მარგინალიზებული ჯგუფების მიერ უფლებებზე დაფუძნებულ თანასწორობაზე ხელმისაწვდომობისა და მასშტაბის ზრდა, რომელიც ბევრი გაგებით სასარგებლოა, მოულოდნელ რისკებსაც წარმოქმნის.³¹

XXI საუკუნეში, ცვლილებებთან ერთად, რომელთა მეშვეობითაც ქალები უდავოდ გაძლიერდებიან, მათ ასევე მოუწევთ მძიმე ტვირთის ტარება. ეს ტვირთი, სხვა დანარჩენთან ერთად, მოიცავს ორმაგი დატვირთვის სამუშაო დღეს, ქმრების არყოფნას, სანათესაოსგან იზოლაციას, მარტოხელა დედობას ადეკვატური სოციალური შემწეობის გარეშე. მოკლედ რომ ვთქვათ, ქალთა გამოცდილება ჯერჯერობით კვლავაც მიუთითებს საშინაო შრომისა და კაპიტალისტურ სოციალურ კვლავწარმოებაში მისი როლის თეორიული გააზრების საჭიროებაზე.

30 ხიმენსი (Gimenez 1990, p. 37) აღნიშნავს, რომ ასეთი ოჯახები „უბრალოდ ადამიანების კვლავწარმოებას ახდენს; და, ადამიანების [სამუშაო ძალას]... რომელიც ბაზარზე მორგებულ უნარებს არ ფლობს, კაპიტალიზმის პირობებში არავითარი ღირებულება არ გააჩნია. განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ. Sassen 1998.

31 მაგ., იხ. Vogel 1995.

ზრუნვის კრიზისი? თანამედროვე კაპიტალიზმის სოციალურ-კვლავწარმოებითი წინააღმდეგობები

ნენსი ფრეიზერი

თარგმანი: მარიამ ქაჯაია

„ზრუნვის კრიზისი“ მიმდინარე საჭარო დისკუსიის მთავარი საკითხია (1). მას ხშირად „დროით სიღარიბესთან“, „ოჯახი-სამსახურის ბალანსთან“ და „სოციალურ გამოფიტვასთან“ (2) აკავშირებენ და სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე წნეხებს მიემართება, რომლებიც ამჟამად უმთავრესი სოციალური უნარების ამონურვას იწვევენ, ბავშვების გაჩენასა და აღზრდას, ოჯახის და უფრო ფართო თემების შენახვასა და ზოგადად, კავშირების შენარჩუნებას რომ სჭირდება. ისტორიულად, „სოციალური კვლავწარმოება“ ქალების საქმედ მიიჩნეოდა, თუმცა ზოგიერთ მათგანს კაცებიც ასრულებდნენ. რადგანაც იგი აფექტურ შრომასაც აერთიანებს და მატერიალურსაც, და ხშირად ანაზღაურების გარეშე სრულდება, ის საზოგადოებისთვის შეუცვლელია. მის გარეშე ვერ გვექნებოდა კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკური მოწყობა. საზოგადოება, რომელიც სოციალურ კვლავწარმოებას ძირს უთხრის, დიდხანს ვერ იარსებებს, თუმცა, დღეს, ახალი ფორმის კაპიტალისტური საზოგადოება სწორედ ამას აკეთებს. შედეგი დიდი კრიზისია, არა უბრალოდ ზრუნვის, არამედ სოციალური კვლავწარმოების, ფართო გაგებით.

მე ამ კრიზისს „ზოგადი კრიზისის“ ერთ-ერთ კომპონენტად განვიხილავ, რომელიც ასევე მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც კვეთენ და თან, აღრმავებენ ერთმანეთს. სოციალური კვლავწარმოების კომპონენტი ამ ზოგადი

კრიზისის მნიშვნელოვან განზომილებას ქმნის, მაგრამ მიმდინარე დისკუსიებში, რომლებიც უმთავრესად ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საფრთხეებს ეხება, ის ხშირად უგულებელყოფილია. ეს „კრიტიკული სეპარატიზმი“ პრობლემურია; სოციალური ფაქტორი იმდენად ცენტრალური მნიშვნელობისაა უფრო ფართო კრიზისისთვის, რომ სხვა ვერცერთ მათგანს ვერ გავაანალიზებთ მისგან განყენებულად. თუმცა, საპირისპიროც მართალია. სოციალური კვლავწარმოების ეს კრიზისი არ არის დამოუკიდებელი კრიზისი და განცალკევებულად მისი სათანადოდ მოხელთება გაჭირდება.

მაშინ, როგორ უნდა გავიგოთ ის? მე ვამტკიცებ, რომ „ზრუნვის კრიზისის“ საუკეთესო გაგებაა, აღვიქვათ ის ფინანსიალიზებული კაპიტალიზმის კვლავწარმოებითი წინააღმდეგობების მეტ-ნაკლებად მწვავე გამოხატულებად. ეს ფორმულირება ორ მოსაზრებას გვთავაზობს. პირველი, ზრუნვაზე დღევანდელი დანოლა არ არის შემთხვევითი მოვლენა და მას ღრმა, სისტემური ფესვები აქვს ჩვენი სოციალური წესრიგის სტრუქტურაში, რომელსაც აქ ფინანსიალიზებული კაპიტალიზმით დავახასიათებ. მიუხედავად ამისა, და ეს მეორე ასპექტია, სოციალური კვლავწარმოების მიმდინარე კრიზისი მიუთითებს, რომ რაღაც დალაპა არა მხოლოდ კაპიტალიზმის მიმდინარე, ფინანსიალიზებულ ფორმაში, არამედ თვით კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ეს არის ის თეზისები, რომლებსაც აქ განვავითარებ. ბოლოს გამოთქმული მოსაზრებით რომ დავიწყო, მე ვამტკიცებ, რომ ნებისმიერი სახის კაპიტალისტური საზოგადოება მალავს ღრმად გამჭდარ, სოციალურ-კვლავწარმოებითი „კრიზისის ტენდენციას“ თუ „წინააღმდეგობას“. ერთი მხრივ, სოციალური კვლავწარმოება კაპიტალის მდგრადი აკუმულაციის შესაძლებლობის წინაპირობაა; მეორე მხრივ კი, კაპიტალიზმის ორიენტირება უსაზღვრო აკუმულაციისკენ, სწორედ სოციალური კვლავწარმოების დესტაბილიზებით ხასიათდება, რომელზეც თვითონ არის დამოკიდებული. კაპიტალიზმის სოციალურ-კვლავწარმოებითი წინააღმდეგობა ე.წ. ზრუნვის კრიზისის ფესვებში ძევს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კაპიტალიზმისთვის, როგორც ასეთის-

ვის, არის ნიშანდობლივი, ის სხვადასხვა და სახასიათო იერს იღებს კაპიტალისტური საზოგადოების თითოეული, ისტორიულად სპეციფიკური ფორმის შემთხვევაში, იქნება ეს მე-19 საუკუნის ლიბერალური, შეჭიბრებითი კაპიტალიზმი, ომის შემდგომი ეპოქის სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმი თუ ჩვენი დროის ფინანსიალიზებული ნეოლიბერალური კაპიტალიზმი. ზრუნვის დეფიციტი, რომელიც დღეს გვიდგას, ამ წინააღმდეგობის შედეგად მიღებული ფორმაა კაპიტალიზმის განვითარების ამ მესამე, ანუ ყველაზე ბოლო ფაზაში.

ამ თემის განვითარებისთვის, პირველ რიგში, კაპიტალიზმის, როგორც ასეთის, სოციალური წინააღმდეგობის მიმოხილვას შემოგთავაზებთ, ზოგადი ფორმით. შემდეგ, მის ისტორიულ განვითარებას მოვხაზავ კაპიტალისტური განვითარების წინა ორ ფაზაში. ბოლოს კი, გთავაზობთ, დღევანდელი „ზრუნვის დეფიციტი“ ნავიკითხოთ როგორც კაპიტალიზმის სოციალური წინააღმდეგობის გამოხატულება მიმდინარე, ფინანსიალიზებულ ფაზაში.

კაპიტალიზმის, „როგორც ასეთის“, სოციალური წინააღმდეგობები

თანამედროვე კრიზისის ანალიტიკოსების უმეტესობა ამახვილებს ყურადღებას კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის შინაგან წინააღმდეგობებზე. ისინი ამტკიცებენ, რომ მის გულში ძევს თვითდესტაბილიზაციის თანდაყოლილი ტენდენცია, რომელიც პერიოდულად იჩენს თავს ეკონომიკურ კრიზისებში. ეს მოსაზრება ჭეშმარიტია, თუმცა ვერ ახერხებს გადმოსცეს კაპიტალიზმის მახასიათებელი კრიზისული ტენდენციების სრული სურათი. ეკონომისტური პერსპექტივის არჩევით, მას ძალიან ვიწროდ ესმის კაპიტალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა მარტივად. ამის საპარისპიროდ, მე ვიყენებ კაპიტალიზმის ფართო გაგებას, რომელიც გულისხმობს როგორც მის ოფიციალურ ეკონომიას, ისე ამ უკანასკნელის „არაეკონომიკურ“ ფონურ გარემოებებს (3). ასეთი პერსპექტივა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ

და გავაკრიტიკოთ კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი კრიზისული ტენდენციების სრული სპექტრი, მათ შორის ისინი, რომლებიც სოციალური კვლავწარმოებისკენაა მიმართული.

ჩემი არგუმენტი ის არის, რომ კაპიტალიზმის ეკონომიკური ქვესისტემა დამოკიდებულია სოციალურ-კვლავწარმოებით საქმიანობებზე, რომლებიც მისთვის გარეგანია და ქმნიან მისთვის დამახასიათებელ ფონურ გარემოებებს შესაძლებლობისთვის. სხვა ამოსავალი გარემოება მოიცავს მმართველობით ფუნქციებს, რომლებსაც საჯარო ძალები ახორციელებენ და ბუნების გამოსადეგობას, როგორც „წარმოების დანახარჯების“ წყაროსა და საწარმოო ნარჩენების „ნაგავსაყრელს“ (4). თუმცა, აქ ყურადღებას გავამახვილებ იმ ხერხზე, რომელსაც კაპიტალისტური ეკონომიკა ეყრდნობა – უფასო მგზავრობაზე, რომ ვთქვათ – სურსათის მომარაგების, მზრუნველობის და ურთიერთობის საქმიანობებზე, რომლებიც აწარმოებს და ინარჩუნებს სოციალურ კავშირებს, და რომლებსაც ის მაინც არ ანიჭებს მონეტარიზებულ ღირებულებას და ისე ეპყრობა, თითქოს უფასო იყოს. ხან „ზრუნვად“, ხან „აფექტურ შრომად“ და ხანაც „სუბიექტივაციად“ წოდებული ასეთი საქმიანობა აყალიბებს კაპიტალიზმის სუბიექტებს, კვებავს მათ, როგორც განსხეულებულ ბუნებრივ არსებებს, თუმცა ამ დროს სოციალურ არსებებადაც აფუძნებს მათ და აყალიბებს ჰაბიტუსსა და კულტურულ ეთოსს, რომელშიც ისინი მოძრაობენ. ბავშვების გაჩენისა და სოციალიზაციის სამუშაოს, ისეთს, როგორც არის მოხუცებზე ზრუნვა, ოჯახის შენახვა, თემის შენება და საზიარო მნიშვნელობების, აფექტური ხასიათისა და ღირებულების იმ ჰორიზონტების დაცვა, რომლებიც სოციალურ კოოპერაციას უმაგრებს საძირკველს, ცენტრალური ადგილი უკავია ამ პროცესში. კაპიტალისტურ საზოგადოებებში, ამ საქმიანობების უმეტესი, თუმცა არა – მთელი, ნაწილი ბაზრის გარეთ მიმდინარეობს – სახლებში, სამეგობროებში, სამოქალაქო საზოგადოებრივ გაერთიანებებში, არაფორმალურ ქსელებსა და საჯარო ინსტიტუტებში, როგორიც არის სკოლა; და გაცილებით მცირეა ის ნაწილი, რომელიც ანაზღაურებადი სამუშაოს ფორმას იღებს. არაანაზღაურებული სოციალურ-კვლავწარმოებითი საქმიანობა აუცილებელია ანაზღა-

ურებული სამუშაოს არსებობისთვის, ზედმეტი ღირებულების აკუმულაციისა და კაპიტალიზმის, როგორც ასეთის, ფუნქციონირებისთვის. ვერცერთი ამათგანი ვერ იარსებებდა, რომ არა საშინაო შრომა, ბავშვების აღზრდა და მათთვის სწავლა-განათლების მიცემა, აფექტური ზრუნვა და ის უამრავი საქმიანობა, რომელიც მშრომელთა ახალი თაობების წარმოებას და არსებულთა შევსებას ემსახურება, ისევე როგორც სოციალური კავშირებისა და საერთო გაგებების შენარჩუნებას. სოციალური კვლავწარმოება შეუცვლელი ამოსავალი პირობაა ეკონომიკური წარმოების შესაძლებლობისთვის კაპიტალისტურ საზოგადოებაში(5).

თუმცა, სულ ცოტა, ინდუსტრიული ეპოქიდან მოყოლებული, კაპიტალისტურმა საზოგადოებებმა გამიჯნეს სოციალური კვლავწარმოების საქმიანობა ეკონომიკური წარმოების საქმიანობისგან. პირველისა – ქალებთან, უკანასკნელის კი კაცებთან დაკავშირებით, ისინი „კვლავწარმოებით“ საქმიანობებს „სიყვარულისა“ და „სათნოების“ ხურდებით ანაზღაურებდნენ, ხოლო „წარმოებით შრომას“ – ფულის სახით. ამგვარად, კაპიტალისტურმა საზოგადოებებმა შექმნეს ქალთა დაქვემდებარების ახალი, თანამედროვე ფორმების ინსტიტუციური საფუძველი. რეპროდუქციული შრომის გამოყოფით ადამიანის საქმიანობის უფრო ფართო სამყაროდან, რომელშიც ქალთა შრომა უწინ აღიარებულ ადგილს იკავებდა, კაპიტალისტურმა საზოგადოებებმა ის ახლად ინსტიტუციონალიზებულ „საშინაო სფეროს“ მიაკუთვნეს, სადაც მისი სოციალური მნიშვნელობა ბუნდოვანი იყო. და ამ ახალ სამყაროში, სადაც ფული გახდა ძალაუფლების ძირითადი საშუალება, მისმა აუნაზღაურებლობამ საკითხს წერტილი დაუსვა: ისინი, ვინც ამ საქმეს აკეთებენ, სტრუქტურულად ემორჩილებიან მათ, ვინც ფულად ხელფასს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი შრომა ანაზღაურებადი სამუშაოს აუცილებელი წინაპირობაა; ზუსტად იმ დროს, როცა ის ქალურობის ახალი, საოჯახო იდეალებითაც ჭერდება და მისტიფიცირდება.

ზოგადად, კაპიტალისტური საზოგადოებები განასხვავებენ სოციალურ კვლავწარმოებას ეკონომიკური წარმოებისგან, პირველის ქალებ-

თან ასოცირებით; მისი მნიშვნელობისა და ღირებულების გაბუნდოვანებით. პარადოქსია, რომ ისინი თავიანთ ოფიციალურ ეკონომიკებს სოციალური კვლავწარმოების იმავე პროცესებზე ხდიან დამოკიდებულს, რომელთა ღირებულებასაც უარყოფენ. ერთდროულად გამიჯვნის-დამოკიდებულების-უარყოფის ეს თავისებური დამოკიდებულება არასტაბილურობის ნიშანდობლივი წყაროა: ერთი მხრივ, კაპიტალისტური ეკონომიკური წარმოება არ არის თვითკმარი, დამოკიდებულია სოციალურ კვლავწარმოებაზე და მეორე მხრივ, მისი შეუზღუდავი დაგროვებისკენ სწრაფვა იმ კვლავწარმოებითი პროცესებისა და შესაძლებლობების დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის, რაც კაპიტალს – და ჩვენ, დანარჩენებსაც, – გვჭირდება. დროთა განმავლობაში, როგორც ვნახავთ, ეფექტი შეიძლება იყოს საფრთხის შექმნა კაპიტალისტური ეკონომიკის აუცილებელი სოციალური პირობებისთვის.

პრაქტიკულად, ამაში მდგომარეობს ის „სოციალური წინააღმდეგობა“, რაც თანდაყოლილია კაპიტალისტური საზოგადოების ღრმა სტრუქტურისთვის. მარქსისტების მიერ აღწერილი ეკონომიკური წინააღმდეგობების მსგავსად, ესეც კრიზისულ ტენდენციას აყალიბებს. თუმცა ამ შემთხვევაში, წინააღმდეგობა მდებარეობს არა კაპიტალისტური ეკონომიკის „შიგნით“, არამედ იმ საზღვარზე, რომელიც ერთდროულად მიჯნავს და აკავშირებს წარმოებასა და კვლავწარმოებას. ეს არც შიდა ეკონომიკური წინააღმდეგობაა და არც შიდა საოჯახო; ეს არის წინააღმდეგობა კაპიტალისტური საზოგადოების ამ ორ შემადგენელ ელემენტს შორის.

რა თქმა უნდა, ხშირად ეს წინააღმდეგობა უხმოა და მასთან დაკავშირებული კრიზისული ტენდენცია ბუნდოვნად რჩება. თუმცა მწვავედება, როდესაც კაპიტალის სწრაფვა გაფართოებული დაგროვებისკენ აიწყვეტს სოციალური საწყისებიდან და მათ დაუპირისპირდება. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური წარმოების ლოგიკა სოციალური კვლავწარმოების ლოგიკის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, რაც ზუსტად იმ პროცესების დესტაბილიზაციას იწვევს, რომლებზეც კაპიტალია დამოკიდებული – თმობს სოციალურ უნარებს, როგორც საშინაოს, ისე

საზოგადოებრივს, რომლებიც საჭიროა დაგროვების გრძელვადიანი შენარჩუნებისთვის. შესაძლებლობის საკუთარი პირობების მოსპობით, კაპიტალის დაგროვების დინამიკა ფაქტობრივად, საკუთარ კუდს ჭამს.

კვლავწარმოება-წარმოების ისტორიული რეჟიმები

ეს არის კაპიტალიზმის, როგორც ასეთის, სოციალური კრიზისის ზოგადი ტენდენცია. ამასთან, კაპიტალისტური საზოგადოება არ არსებობს „როგორც ასეთი“, კაპიტალისტური საზოგადოება არსებობს მხოლოდ ისტორიულად სპეციფიკური ფორმებით ან დაგროვების რეჟიმებით. სინამდვილეში, სოციალური კვლავწარმოების კაპიტალისტურმა ორგანიზებამ მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებები განიცადა, ხშირად პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად – განსაკუთრებით, კრიზისულ პერიოდებში, როდესაც სოციალურ აქტორებს უჭირთ დაადგინონ საზღვარი, რომელიც მიჯნავს „ეკონომიკას“ „საზოგადოებისგან“, „წარმოებას“ – „კვლავწარმოებისგან“ და „სამუშაოს“ – „ოჯახისგან“ და ზოგჯერ წარმატებითაც ახერხებენ ამ საზღვრის დადგენას. ასეთი „სასაზღვრო ბრძოლები“, როგორც მე მათ ვუწოდებ, ისეთივე ცენტრალურია კაპიტალისტური საზოგადოებებისათვის, როგორც მარქსის მიერ გაანალიზებული კლასობრივი ბრძოლები (6). მათ მიერ გამოწვეული ძვრები ეპოქალურ გარდაქმნებს მონიშნავს. პერსპექტივა, რომელიც ამ ცვლილებებს წამოსწევს წინა პლანზე, კაპიტალიზმის ისტორიაში სოციალური კვლავწარმოება-ეკონომიკური წარმოების მინიმუმ სამ რეჟიმს ასხვავებს:

პირველი მე-19 საუკუნის ლიბერალური კონკურენტული კაპიტალიზმის რეჟიმია. ევროპულ ბირთვში ინდუსტრიული ექსპლუატაციისა და პერიფერიაში კოლონიური ექსპროპრიაციის შერწყმით, ეს რეჟიმი მუშებს „ავტონომიურად“ გასამრავლებლად, მონეტიზებული ღირებულების ბრუნვის მიღმა ტოვებდა, როგორც ამას სახელმწიფოები უყურებდნენ გვერდიდან. თუმცა მან ასევე შექმნა ახალი, ბურჟუაზიული

წარმოსახვითი შინამეურნეობა. სოციალური კვლავწარმოების მიჩნევით, ქალებისთვის კერძო ოჯახის შიგნით არსებულ კომპეტენციად, ამ რეჟიმმა დახვეწა „გაყოფილი სფეროების“ იდეალი და ადამიანთა უმეტესობას ამის გასააზრებლად საჭირო გარემოებებიც კი წაართვა.

მეორე რეჟიმი მე-20 საუკუნის სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმია. მასშტაბურ ინდუსტრიულ წარმოებაზე დაყრდნობითა და გულში სამამულო კონსიუმერიზმით, რასაც საფუძვლად პერიფერიაზე მიმდინარე კოლონიური და პოსტკოლონიური ექსპროპრიაცია ედო, ამ რეჟიმმა სოციალური კვლავწარმოება სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოსმიერი და კორპორატიული უზრუნველყოფის გზით გაიშინაგანა. განცალკევებულ სფეროებად გამიჯვნის ვიქტორიანული მოდელის მოდიფიცირებით, ის მხარს უჭერდა „ოჯახის ხელფასის“ ერთი შეხედვით უფრო თანამედროვე იდეალის შემოღებას, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ერთხელ, შედარებით ცოტა ოჯახს მიეცა ამის მიღწევის საშუალება.

მესამე რეჟიმი ახლანდელი ეპოქის გლობალიზებული ფინანსური კაპიტალიზმია. ამ რეჟიმმა წარმოება დაბალანაზღაურებად რეგიონებში გადაიტანა, ქალები ანაზღაურებად სამუშაო ძალაში დაარეკრუტირა და ხელი შეუწყო სახელმწიფო და კორპორატიულ დემინგესტირებას სოციალური კეთილდღეობიდან. ზრუნვითი შრომის გატანით ოჯახებსა და თემებზე, მან ერთსა და იმავე დროს შეამცირა ამ ოჯახების და თემების ქმედუნარიანობა, რაც მის შესასრულებლად იყო საჭირო. შედეგი, უთანასწორობის ზრდასთან ერთად, სოციალური კვლავწარმოების დუალიზებული ორგანიზებაა – ის გასაქონლებულია მათთვის, ვისაც შეუძლია გადაიხადოს და პრივატიზებულია მათთვის, ვისაც გადახდა არ შეუძლია, – ეს ყველაფერი „ორშემომტანიანი ოჯახის“ კიდევ უფრო თანამედროვე იდეალის მოჩვენებითი სილამაზით შეიფუთა.

ამდენად, კაპიტალისტური წარმოების სოციალურ-რეპროდუქციული პირობები თითოეულ რეჟიმში განსხვავებულ ინსტიტუციონალურ ფორმას იღებდა და განსხვავებული ნორმატიული წესრიგით ხორ-

ციელდებოდა: ჯერ „სფეროებად დაყოფა“, შემდეგ „ოჯახის ხელფასი“, ახლა „ორშემომტანიანი ოჯახი“. გარდა ამისა, კაპიტალისტური საზოგადოების სოციალური წინააღმდეგობა თითოეულ შემთხვევაში, სხვადასხვაგვარ ნიღაბს ირგებდა და კრიზისული მოვლენების სხვა წყებაში გამოიხატებოდა. თითოეულ რეჟიმში, საბოლოოდ, კაპიტალიზმის სოციალურმა წინააღმდეგობრიობამ სოციალური ბრძოლის სხვადასხვა ფორმას დაუდო საფუძველი – კლასობრივ ბრძოლებს, ცხადია, მაგრამ მასთან ერთად, სასაზღვრო ბრძოლებსაც – მათგან თითოეული დაკავშირებული იყო სხვა ბრძოლებთანაც, რომლებიც მიზნად ისახავდა ქალების, მონების და კოლონიზებული ხალხების ემანსიპაციას.

ლიბერალური კაპიტალიზმის სოციალური წინააღმდეგობები

ჯერ მე-19 საუკუნის ლიბერალური კონკურენტული კაპიტალიზმი განვიხილოთ. ამ ეპოქაში წარმოებისა და კვლავწარმოების იმპერატივები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. კაპიტალისტური ბირთვის ადრეულ საწარმოო ცენტრებში მრეწველებმა ქალები და ბავშვები ქარხნებსა და მაღაროებში შერევეს, რომლებსაც მათი იაფი შრომა და თვინიერება ესაჭიროებოდათ. გრძელი სამუშაო დღეების არაჯანსაღ პირობებში გატარების სანაცვლოდ გროშების მიღებით, ეს მუშები, კაპიტალის მხრიდან სოციალური ურთიერთობებისა და ქმედუნარიანობის, რაც მის პროდუქტიულობას უმაგრებდა საფუძველს, არაფრად ჩაგდების ხატებად გადაიქცნენ (7). ამან კრიზისი გამოიწვია მინიმუმ ორ დონეზე: ერთი მხრივ, სოციალური კვლავწარმოების კრიზისი ღარიბ და მუშათა კლასებში, რომელთა არსებობისა და შევსების შესაძლებლობები განყვეტის პირამდე იყო მისული და, მეორე მხრივ, მორალური პანიკა საშუალო ფენებში, რომლებსაც შიშის ზარს სცემდათ ის, რაც „ოჯახის განადგურებად“ და პროლეტარი ქალების „დესქესიზაციად“ ესახებოდათ. იმდენად სავალალო იყო ეს ვითარება, რომ ისეთმა მწვავე კრიტიკოსებმაც კი, როგორებიც იყვნენ მარქსი და ენგელსი, ეკონომიკურ წარმოებასა და სოციალურ რეპროდუქციას

შორის არსებული ეს ადრეული პირდაპირი კონფლიქტი ბოლო სიტყვად მიიჩნეის. იმის წარმოდგენით, რომ კაპიტალიზმი თავის დასკვნით კრიზისში იყო შესული, მათ სჭეროდათ, რომ მუშათა კლასის ოჯახის გამოშვების პარალელურად, სისტემა ასევე ძირკვავდა ქალთა ჩაგვრის საფუძველსაც (8), მაგრამ მოვლენები, სინამდვილეში, სრულიად საპირისპიროდ განვითარდა: დროთა განმავლობაში კაპიტალისტურმა საზოგადოებებმა იპოვეს რესურსი ამ წინააღმდეგობრიობის სამართავად – ნაწილობრივ „ოჯახის“ გარდაქმნით მის თანამედროვე, შეზღუდულ ფორმად; გენდერული განსხვავების ახალი, გამძაფრებული მნიშვნელობების გამოგონებით და კაცთა დომინირების მოდერნიზებით.

ევროპულ ბირთვში შეგუების პროცესი დამცავი კანონმდებლობის შემოღებით დაიწყო. მისი მიზანი იყო სოციალური კვლავწარმოების სტაბილიზაცია ქალთა და ბავშვთა ექსპლუატაციის შეზღუდვით ქარხნებში მუშაობისას (9). საშუალო კლასის რეფორმატორების ხელმძღვანელობით და ახალდაბადებულ მშრომელთა ორგანიზაციების მხარდაჭერით, ეს „გამოსავალი“ სხვადასხვა მოტივის რთულ ამალგამს ირეკლავდა. მისი ერთ-ერთი მიზანი, როგორც ამას კარლ პოლანი აღწერს, იყო „საზოგადოების“ დაცვა „ეკონომიკისგან“ (10). მეორე მიზანი იყო, „გენდერული გათანაბრებით“ გამოწვეული შფოთვა შეემსუბუქებინა. მაგრამ ეს მოტივები სხვა რაღაცასთანაც იყო გადახლართული: ქალებსა და ბავშვებზე კაცის ავტორიტეტის დაჟინებით მოთხოვნასთან, განსაკუთრებით, ოჯახის შიგნით (11). შედეგად, სოციალური კვლავწარმოების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად გამართული ბრძოლა კაცების დომინირების დაცვასთან გადაიხლართა.

თუმცა მისი მიზანმიმართული შედეგი იყო სოციალური წინააღმდეგობის ჩახშობა კაპიტალისტურ ბირთვში – მაშინაც კი, როდესაც მონობამ და კოლონიალიზმმა იგი პერიფერიაში უკიდურეს სიმაღლეზე აიყვანეს. ლიბერალურმა შეჭიბრებაზე დაფუძნებულმა კაპიტალიზმმა ის, რასაც მარია მაისმა „დიასახლისიზაცია“ უწოდა, კოლონიზაციის მეორე მხარედ აქცია (12) და „გამიჯნულ სფეროებზე“ აგებული ახალი

გენდერული წამოსახვა შეიმუშავა. ქალის „სახლის ანგელოზად“ აღქმით, მისი მომხრეები ცდილობდნენ, შეექმნათ მასტაბილურებული ბალასტი ეკონომიკის მერყეობისთვის. წარმოების თავგზეულადებული სამყარო „უგულო სამყაროში არსებულ ნავსაყუდელს“ უნდა შეემარებინა (13) სანამ თითოეული მხარე მისთვის მონიშნულ სფეროს იკავებდა და მეორე მხარის შევსებას ემსახურებოდა, მათ შორის პოტენციური კონფლიქტი საიდუმლოდ დარჩებოდა.

სინამდვილეში, ეს „გამოსავალი“ საკმაოდ რყევადი აღმოჩნდა. დამცავი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა შრომის კვლავწარმოებას, როდესაც ხელფასები ისე იმაზე ნაკლები რჩებოდა, რაც ოჯახის სარჩენად იყო საჭირო; როდესაც ხალხმრავალ, ბინძურ საცხოვრებლებში შეუძლებელი იყო პირადი სივრცის დაცვა და ფილტვები ზიანდებოდა; როდესაც თავად დასაქმება (თუკი საერთოდაც ხელმისაწვდომი იყო) ექვემდებარებოდა აულაგმავ რყევებს გაკოტრებების, ბაზრის კრახებისა და ფინანსური პანიკის გამო. ასეთი მოწყობა ვერც მშრომელებს აკმაყოფილებდა. მაღალი ხელფასებისა და უკეთესი სამუშაო პირობების მოთხოვნით, ისინი ქმნიდნენ პროფკავშირებს, აწყობდნენ გაფიცვებს და უერთდებოდნენ ლეიბორისტულ და სოციალისტურ პარტიებს. სულ უფრო ბასრი, ფართოდ დაფუძნებული კლასობრივი კონფლიქტით გახლეჩილი კაპიტალიზმის მომავალი გარანტირებული არ ჩანდა.

დაყოფილი სფეროები თანაბრად პრობლემური აღმოჩნდა. ღარიბი, რასიალიზებული და მუშათა კლასის ქალები ოჯახური ცხოვრების ვიქტორიანულ იდეალებს ვერ დააკმაყოფილებდნენ; თუ დამცავი კანონმდებლობა ამსუბუქებდა მათ პირდაპირ ექსპლუატაციას, ის არ ითვალისწინებდა მატერიალურ დახმარებას ან კომპენსაციას დაკარგული ხელფასებისთვის. არც საშუალო კლასის ის ქალები, რომლებსაც შეეძლოთ ვიქტორიანულ იდეალებს მორგებოდნენ, იყვნენ ყოველთვის კმაყოფილები თავიანთი მდგომარეობით, რომელშიც მატერიალური კომფორტი და მორალური პრესტიჟი იურიდიულ უმცირესობად ყოფნასა და ინსტიტუციონალურ დამოკიდებულებას ერწყმოდა.

ორივე ჯგუფისთვის სფეროებად დაყოფის „გამოსავალი“ ძირითადად ქალების ხარჯზე ხორციელდებოდა. მაგრამ ეს მათ ერთმანეთთანაც აპირისპირებდა – გავიხსენოთ მე-19 საუკუნეში პროსტიტუციის გარშემო გამართული ბრძოლები, რომლებიც ვიქტორიანული საშუალო კლასის ქალების ფილანტროპულ წუხილებს მათი „დაცემული დების“ მატერიალურ ინტერესებს უპირისპირებდა (14).

განსხვავებული დინამიკით ვითარდებოდა მოვლენები პერიფერიაში. აქ, რამდენადაც ექსტრაქციულმა კოლონიალიზმმა დაქვემდებარებული მოსახლეობა გააპარტახა, არც სფეროებად დაყოფას ჰქონია ადგილი და არც სოციალურ დაცვას. ძირძველი სოციალური-კვლავწარმოებითი დამოკიდებულებების დაცვაზე ორიენტირებულობის ნაცვლად, მეტროპოლიტური ძალები აქტიურად უწყობდნენ ხელს მათ განადგურებას. გლეხები იძარცვებოდნენ, თემები ნადგურდებოდნენ იმისთვის, რათა კოლონიზატორებს იაფი საკვების, ქსოვილების, მინერალური მადნეულის და ენერგიის მიწოდება უზრუნველყოთ, რომლის გარეშეც მეტროპოლიტენის ინდუსტრიული მუშების ექსპლუატაცია მომგებიანი არ იქნებოდა. ამასობაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტებზე, დამონებული ქალების კვლავწარმოებით შესაძლებლობებს მოგების ინსტრუმენტად იყენებდნენ პლანტატორები, რომლებიც რეგულარულად ანადგურებდნენ მონების ოჯახებს, მათი წევრების სხვა მფლობელებზე მიყიდვით (15). ისინი თემებისგან ადგილობრივ ბავშვებსაც კი იტაცებდნენ, მისიონერულ სკოლებში ამწესებდნენ და ასიმილაციის იძულებით დისციპლინებს უქვემდებარებდნენ (16). როდესაც რაციონალიზაცია იყო საჭირო, „ჩამორჩენილი, პატრიარქალური“ ადგილობრივი პრეკაპიტალისტური ნათესაური წყობების მდგომარეობა საკმაოდ კარგ სამსახურს სწევდა. კოლონიალისტებს შორის ფილანტროპი ქალები აქაც პოულობდნენ საზოგადოებრივ პლატფორმას და მოუწოდებდნენ „თეთრ კაცებს, გადაერჩინათ ყავისფერკანიანი ქალები ყავისფერკანიანი კაცებისგან“ (17).

ორივე მოცემულობაში, პერიფერიასა თუ ბირთვში, ფემინისტურმა მოძრაობებმა აღმოაჩინეს, რომ მოლაპარაკებებს დანაღმულ პოლი-

ტიკურ ველზე აწარმოებდნენ. გათხოვილი ქალის სტატუსსა და გამიჯნულ სფეროებზე უარის თქმით, მაშინ, როცა მოითხოვდნენ ხმის უფლებას, სექსზე უარის თქმის უფლებას, კერძო საკუთრების ფლობის უფლებას, კონტრაქტის დადების, პროფესიით დასაქმების და საკუთარი ხელფასის განკარგვის უფლებებს, გამოჩნდა, რომ ლიბერალი ფემინისტებისთვის ავტონომიურობისკენ „მასკულინური“ სწრაფვა უფრო ღირებული იყო, ვიდრე მზრუნველობის „ქალური“ იდეალები. ამ საკითხთან დაკავშირებით, თუკი სხვა საკითხებზე საერთოდ შეთანხმებულან, მათ სოციალისტი-ფემინისტი კოლეგები ფაქტობრივად დაეთანხმნენ. ქალთა ანაზღაურებად შრომაში შესვლის წარმოდგენით ემანსიპაციის გზად, ამ უკანასკნელებმაც უპირატესობა წარმოებასთან ასოცირებულ „მასკულინურ“ ღირებულებებს მიანიჭეს, ვიდრე კვლავწარმოებასთან ასოცირებულ ღირებულებებს. რა თქმა უნდა, ეს ასოციაციები იდეოლოგიური იყო, მაგრამ მათ უკან ღრმა ინტუიცია იმალებოდა: დომინირების ახალი ფორმების მიუხედავად, რომლებიც მან მოიტანა, ტრადიციული ნათესაური ურთიერთობების კაპიტალიზმისეული ეროზია შეიცავდა ემანსიპატორულ მომენტს.

ორმაგ დილემაში აღმოჩენილმა ბევრმა ფემინისტმა პოლანის ორმაგი მოძრაობის ვერცერთ მხარეს ვერ ნახა დიდი შვება: ერთ მხარეს იყო სოციალური დაცვა, კაცების დომინაციაზე თავისი მიჯაჭვულობით და მეორე მხარეს – მარკეტიზაცია, სოციალური კვლავწარმოების მიმართ სრული გულგრილობით. მათ ვერ შეძლეს, უბრალოდ უარეყოთ, ან მიეღოთ ლიბერალური წესრიგი, მესამე ალტერნატივა სჭირდებოდათ, რომელსაც ისინი ემანსიპაციას უწოდებდნენ. რამდენადაც ფემინისტებს შეეძლოთ ამ ტერმინის განსახიერება, მათ პრაქტიკულად დაამსხვრიეს პოლანისეული დუალისტური ფიგურა და ჩაანაცვლეს იმით, რასაც ჩვენ შეიძლება „სამმაგი მოძრაობა“ დავარქვათ. ამ სამხრივ კონფლიქტში, დაცვისა და მარკეტიზაციის მომხრეები შეეჯახნენ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ ემანსიპაციის პარტიზანებსაც – ფემინისტებს, რა თქმა უნდა, მაგრამ ასევე სოციალისტებს, აბოლიციონისტებს და ანტიკოლონიალისტებს, რომელთაგან ყველა ცდილობდა, რომ პოლანისეული ორივე ძალა ერთმანეთის წინააღმ-

დეგ განეწყო, მაშინაც კი, როდესაც ერთმანეთში ჰქონდათ ბრძოლა გაჩაღებული (18).

ასეთი სტრატეგიის განხორციელება რთული იყო, მიუხედავად იმისა, რომ თეორიაში მას პერსპექტივა ჰქონდა. რამდენადაც „საზოგადოების ეკონომიკისგან დაცვის“ მცდელობები გენდერული იერარქიის დაცვასთან გაიგივდა, ფემინისტური წინააღმდეგობა კაცების ბატონობის მიმართ მარტივად შეიძლებოდა წაკითხულიყო იმ ეკონომიკური ძალებისთვის მხარდაჭერად, რომლებიც აოხრებდა მუშათა კლასისა და პერიფერიულ საზოგადოებებს. ეს ასოციაციები საოცრად გამძლე აღმოჩნდებოდა დიდი ხნის შემდეგ, რაც ლიბერალური კონკურენტული კაპიტალიზმი მისი მრავალგვარი წინააღმდეგობრიობის სიმძიმის ქვეშ დაინგრეოდა, ინტერიმპერიალისტური ომების, ეკონომიკური დეპრესიებისა და საერთაშორისო ფინანსური ქაოსის აგონიაში, რამაც მე-20 საუკუნის შუა წლებში გზა დაუთმო ახალ რეჟიმს სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმისა.

სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმის სოციალური წინააღმდეგობანი

დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის ფერფლიდან აღმდგარმა, სახელმწიფოს მიერ მართულმა კაპიტალიზმმა სხვაგვარად განმუხტა წინააღმდეგობა ეკონომიკურ წარმოებასა და სოციალურ კვლავწარმოებას შორის – სახელმწიფო ძალაუფლების კვლავწარმოების მხარეს მიწერით. „სოციალურ კეთილდღეობაზე“ გარკვეული საჯარო პასუხისმგებლობის აღებით, ამ ეპოქის სახელმწიფოები ცდილობდნენ შეწინააღმდეგებოდნენ სოციალურ კვლავწარმოებაზე არა მხოლოდ ექსპლუატაციის კოროზიულ შედეგებს, არამედ მასობრივი უმუშევრობისასაც. ეს მიზანი დაისახეს როგორც კაპიტალისტური ბირთვის დემოკრატიული კეთილდღეობის სახელმწიფოებმა, ისე პერიფერიის განვითარებადმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდათ – მი-

უხედავად იმისა, რომ მისი განხორციელების თანაბარი შესაძლებლობები არ გააჩნდათ.

კიდევ ერთხელ, მოტივები აირია. ელიტების ფენამ ლამის დაიჭერა, რომ მაქსიმალური მოგების გამოწერვის კაპიტალის მოკლევადიანი ინტერესი, დროთა განმავლობაში დაგროვების შესანარჩუნებლად, გრძელვადიან მოთხოვნებს უნდა დაქვემდებარებოდა. ამ აქტორებისთვის სახელმწიფოს მიერ მართული რეჟიმის შექმნა კაპიტალისტური სისტემის გადარჩენის საკითხი იყო, როგორც საკუთარი თვითმადესტაბილიზებული მიდრეკილებებისგან, ისე მასობრივი მობილიზაციის ეპოქაში რევოლუციის საფრთხისგანაც. პროდუქტიულობა და მომგებიანობა მოითხოვდა ჯანსაღი, განათლებული სამუშაო ძალის „ბიოპოლიტიკურ“ კულტივაციას, რომელსაც რაღაც დასაკარგი ექნებოდა სისტემაში, განსხვავებით დაკონკილი რევოლუციონერი მდაბიოებისგან (19). ჯანდაცვაში, სკოლებში, ბავშვთა მოვლაში, ხანდაზმულობის პენსიებში საზოგადოებრივი ინვესტიციები, რასაც კორპორატიული უზრუნველყოფა დაემატა, აუცილებლობად აღიქმებოდა იმ ეპოქაში, როდესაც კაპიტალისტურ დამოკიდებულებებს სოციალური ცხოვრება იმდენად ჰქონდა გათელილი, რომ მუშათა კლასებს საკუთარი ძალებით გამრავლების საშუალება აღარ გააჩნდათ. ამ სიტუაციაში სოციალური კვლავწარმოება კაპიტალიზმის შინაგანი პროცესი უნდა გამხდარიყო, კაპიტალისტური წესრიგის ოფიციალურად მართულ სფეროს უნდა დაბრუნებოდა.

ეს პროექტი ეკონომიკური „მოთხოვნის“ ახალ პრობლემას შეერწყა. კაპიტალიზმისთვის ენდემური ზრდისა და დაცემის ციკლების მოსწორების მცდელობაში, ეკონომიკის რეფორმატორები ცდილობდნენ უზრუნველყოფით უწყვეტი ზრდა, კაპიტალისტურ ბირთვში მშრომელებისთვის, როგორც მომხმარებლებისთვის, ორმაგი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობის მინიჭებით. პროდუქტების მიღებით, რასაც მოჰყვა უფრო მაღალი ხელფასები და საჯარო სექტორში დანახარჯების ზრდა, რამაც შექმნა სამუშაო ადგილები, ამ აქტორებმა ხელახლა გამოიგონეს ოჯახი კერძო სივრცედ ყოველდღიური გამო-

ყენების მასობრივი წარმოების პროდუქციის საოჯახო მოხმარებისთვის (20). ერთი მხრივ, მუშათა კლასის ოჯახური კონსიუმერიზმით, და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი კვლავწარმოებით მეორე მხრიდან, ამ „ფორდისტულმა“ მოდელმა მარკეტიზაციისა და სოციალური დაცვის პროექტების ახალი სინთეზი წარმოქმნა; პროექტების, რომლებსაც პოლანი შეუთავსებელ, ანტითეზურ პროექტებად მიიჩნევდა.

მაგრამ პირველ რიგში მუშათა კლასები, ქალები და კაცები, იყვნენ ისინი, ვინც საკუთარი ინტერესებით, მიუძღოდა ბრძოლას საჯარო უზრუნველყოფისათვის. მათთვის მთავარი საკითხი საზოგადოების სრულფასოვანი წევრობა იყო, დემოკრატიული მოქალაქეობა, – აქედან გამომდინარე, ღირსება, უფლებები, პატივისცემა და მატერიალური კეთილდღეობა, რომელთაგან თითოეული გაიგებოდა როგორც სტაბილური ოჯახური ცხოვრების მომთხოვნი. სოციალ-დემოკრატიის მიღებით, მუშათა კლასები ასევე სძენდნენ ღირებულებას სოციალურ კვლავწარმოებას ეკონომიკური წარმოების ყოვლისშთანმთქმელი დინამიზმის საწინააღმდეგოდ. ფაქტობრივად, ისინი ხმას აძლევდნენ ოჯახს, ქვეყანას და ცოცხალ სამყაროს ქარხნის, სისტემისა და მანქანის საწინააღმდეგოდ.

ლიბერალური რეჟიმის დამცავი კანონმდებლობისგან განსხვავებით, სახელმწიფო-კაპიტალიზმში კლასობრივი კომპრომისის შედეგად დამკვიდრდა და წარმოადგენდა დემოკრატიულ წინსვლას. წინამორბედისგან განსხვავებით, ახალი წყობები სოციალური რეპროდუქციის სტაბილიზაციასაც ემსახურებოდა (სულ ცოტა, ზოგიერთისთვის და გარკვეულ პერიოდით მაინც). კაპიტალისტურ ბირთვში მყოფი ეთნიკური უმრავლესობის მშრომელებისთვის მათ შეამსუბუქეს ოჯახური ცხოვრების მატერიალური სიმძიმე და ხელი შეუწყვეს პოლიტიკურ ჩართულობას. მაგრამ სანამ ოქროს ხანად გამოვაცხადებდეთ, გავიხსენოთ ის ძირითადი გამონაკლისები, რამაც ეს მიღწევები შესაძლებელი გახადა.

ახლაც, ისევე, როგორც ადრე, ბირთვში სოციალური რეპროდუქციის დაცვა იმპერიალიზმთან იყო გადახლართული. ფორდისტული რეჟიმები

სოციალურ უფლებებს აფინანსებდნენ ნაწილობრივ პერიფერიებში (მათ შორისაა ბირთვის შიდა პერიფერიებში) მიმდინარე ექსპროპრიაციით, რომელიც დეკოლონიზაციის შემდეგაც კი განაგრძობდა არსებობას ძველი თუ ახალი ფორმებით (21). იმავე დროს, ცივი ომის სამიზნეში ამოღებული პოსტკოლონიური სახელმწიფოები თავიანთი რესურსების დიდ ნაწილს, იმპერიული მტაცებლობით უკვე ამოწურულს, მიმართავდნენ მსხვილმასშტაბიანი განვითარების პროექტებისკენ, რაც ხშირად „საკუთარი“ ძირძველი ხალხის ექსპროპრიაციას გულისხმობდა. პერიფერიებში სოციალური კვლავწარმოება ფართო უმრავლესობისთვის გარეგან პროცესად რჩებოდა, რამდენადაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობა საკუთარი თავის იმედად იყო მიტოვებული. როგორც მისი წინამორბედი, ისე სახელმწიფოს მიერ მართული რეჟიმი, გადახლართული იყო რასობრივ იერარქიასთან. აშშ-ის სოციალურმა დაბლევამ გამოიწვია საოჯახო და სოფლის მეურნეობის მუშაკები, რითაც ბევრ აფრიკელ ამერიკელს ფაქტობრივად ჩამოართვა სოციალური უფლებები (22). კვლავწარმოებითი შრომის რასობრივმა დაყოფამ, რაც მონობის დროს დაიწყო, ჯიმ ქროუს დროს ახალი სახე შეიძინა, როდესაც ფერადკანიანი ქალები, საკუთარი ოჯახის ხარჯზე, „თეთრი“ ოჯახების ბავშვების აღზრდისა და სახლების დასუფთავების მცირეანაზღაურებიან სამუშაოს ასრულებდნენ (23).

არც გენდერულ იერარქიულობას იყო მოკლებული ეს წყობა, რამდენადაც ფემინისტური ხმები საკმაოდ გააჩუმეს მისი შენების პროცესში. იმ პერიოდში (დაახლოებით 1930-იანი წლებიდან 1950-იანი წლების ჩათვლით), როდესაც ფემინისტური მოძრაობები საზოგადოებაში დიდი ხილვადობით არ სარგებლობდნენ, მეტად იშვიათად, რომ ვინმე შეწინააღმდეგებოდა მოსაზრებას, რომ მშრომელთა კლასის ღირსება „ოჯახის ხელფასს“, ოჯახში მამაკაცის ავტორიტეტს და გენდერული განსხვავებულობის მკაცრ აღქმას მოითხოვდა. შედეგად, სახელმწიფოს მიერ მართვადი კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია ბირთვის წევრ ქვეყნებში ჰეტერონორმატიული კაცი-მარჩენალი/ქალი-შინამეურნის მოდელზე ფასის აწევა იყო. საჭარო ინვესტიციებმა სოციალურ კვლავწარმოებაში გააძლიერა ეს ნორმები. შეერთებულ შტატებში კეთილდღეობის სისტემამ დუალიზებული ფორმა მიიღო

და დაიყო სტიგმატიზებულ ღარიბთა დახმარებად („თეთრი“) ქალებისა და ბავშვებისთვის, რომელთაც ხელი არ მიუწვდებოდათ კაცის ხელფასზე და რესპექტაბელურ სოციალურ დაზღვევად მათთვის, ვინც „მშრომელებად“ შედგნენ (24). ამის საპირისპიროდ, ევროპულ წყობებში ანდროცენტრულმა იერარქიამ სხვაგვარად გაიდგა ფესვები: დედების პენსიებად და ანაზღაურებად სამუშაოზე მიბმულ უფლებებად დაყოფით, რაც ხშირ შემთხვევაში პრონატალისტური დღის წესრიგით იყო განპირობებული, და რომელიც სახელმწიფოთაშორისმა კონკურენციამ წარმოშვა (25). ოჯახის და შრომის ანდროცენტრული გაგების ინსტიტუციონალიზაციით, ორივე მათგანმა პეტერონორმატიულობისა და გენდერული იერარქიის ნატურალიზება მოახდინა და დიდწილად აარიდა ისინი პოლიტიკური დავის საგნად ქცევას.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით, სოციალ-დემოკრატიამ ემანსიპაცია სოციალური დაცვისა და მარკეტიზაციის ალიანსს შესწირა მსხვერპლად, მაშინაც კი, როცა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ამსუბუქებდა კაპიტალიზმის სოციალურ წინააღმდეგობრიობას. მაგრამ სახელმწიფო-კაპიტალისტური რეჟიმის დაშლა დაიწყო, ჯერ პოლიტიკურად, 1960-იან წლებში, როდესაც ახალმა გლობალურმა მემარცხენე მოძრაობამ იფეთქა ემანსიპაციის სახელით, მისთვის დამახასიათებელი იმპერიული, გენდერული და რასობრივი გარიყვის, აგრეთვე ბიუროკრატიული პატერნალიზმის წინააღმდეგ; შემდეგ კი – ეკონომიკურად, 1970-იან წლებში, როდესაც „სტაგფლაციამ“, „პროდუქტიულობის კრიზისმა“ და მოგების მაჩვენებლების შემცირებამ წარმოებაში ბიძგი მისცა ნეოლიბერალების მცდელობებს თავის ნებაზე მიეშვათ მარკეტიზაცია. თუ ეს ორი მხარე ძალებს გააერთიანებდა, ის, რაც მსხვერპლად შეიწირებოდა, სოციალური დაცვა იქნებოდა.

ფინანსიალიზებული კაპიტალიზმის სოციალური წინააღმდეგობა

წინამორბედი ლიბერალური რეჟიმის მსგავსად, სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალისტური წესრიგი, გახანგრძლივებული კრიზისის პირობებში, დაიშალა. გასული საუკუნის 80-იანი წლებისთვის, გულთმისან დამკვირვებლებს უკვე შეეძლოთ ამოეცნოთ იმ ახალი რეჟიმის ჯერ კიდევ მკრთალი კონტურები, რომელიც მალე მიმდინარე ეპოქის ფინანსურ კაპიტალიზმად იქცეოდა. გლობალიზებადი და ნეოლიბერალური ეს ახალი რეჟიმი ახლა ხელს უწყობს სახელმწიფო და კორპორატიულ დეზინვესტირებას სოციალური კეთილდღეობისგან, როცა ქალებს ანაზღაურებად სამუშაო ძალაში იბირებს. ამრიგად, მას გარეთ გამოაქვს ოჯახებსა და თემებზე ზრუნვის სამუშაო, როცა მისი შესრულების მათეულ შესაძლებლობებს ამცირებს. შედეგი სოციალური რეპროდუქციის ახალი, დუალიზებული ფორმირებაა, რომელშიც ის გასაქონლებულია მათთვის, ვისაც მის სანაცვლოდ ფულის გადახდა შეუძლია და პრივატიზებულია მათთვის, ვისაც არ შეუძლია, რამდენადაც, მეორე კატეგორიიდან ზოგიერთები, (დაბალი) ანაზღაურების სანაცვლოდ, ასრულებენ ზრუნვის სამუშაოს პირველ კატეგორიაში შემავალთათვის. იმავე დროს, ფემინისტური კრიტიკისა და დეინდუსტრიალიზაციის დარტყმებმა საბოლოოდ ჩამოაცილეს „ოჯახის ხელფასს“ მთელი სანდოობა. ამ იდეამ გზა დაუთმო „ორმარჩენალიანი ოჯახის“ უფრო თანამედროვე ნორმას.

ამ მოვლენების მთავარი მამოძრავებელი და ამ რეჟიმის განმსაზღვრელი მახასიათებელია ვალის ახალი ცენტრალურობა. ვალი ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც გლობალური ფინანსური ინსტიტუტები აიძულებენ სახელმწიფოებს სოციალური ხარჯების შემცირებას, „ქაშაობის შემოჭრის“ პოლიტიკის გატარებას და ზოგადად, ინვესტორებთან გარიგებაში შესვლას დაუცველი მოსახლეობისგან ღირებულების ამოსაღებად. გლობალური სამხრეთის გლეხებს ძირითადად სწორედ დავალიანების გზით ერთმევათ მიწებზე საკუთრების უფლება კორპორატიული მიტაცების ახალ რაუნდში, რომელიც მიზნად ისახავს ენერგიის, წყლის, სახნავ-სათესი მიწებისა და „ნახშირ-

ბადის კომპენსაციის“ მიწოდებაზე კონტროლს საბაზრო ფასზე მანიპულირებისთვის. ისევე როგორც, სულ უფრო და უფრო მეტად ხდება ვალი ისტორიულ ბირთვში დაგროვების საშუალება. რამდენადაც დაბალანაზღაურებადი, პრეკარიული მომსახურების სექტორი ანაცვლებს პროფკავშირიზებულ ინდუსტრიულ შრომას, ხელფასები სოციალური კვლავწარმოებისთვის, საჭირო სახსრებს ჩამოუვარდება; ამ „გიგ ეკონომიკაში“¹ უწყვეტი სამომხმარებლო ხარჯები სამომხმარებლო ვალის ექსპონენციალურ ზრდას მოითხოვს (26). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ვალია ის, რისი მეშვეობითაც კაპიტალი უფრო და უფრო მეტად ახერხებს შრომის კანიზალიზაციას, ქვეყნების დისციპლინირებას, სიმდიდრის გადაზიდვას პერიფერიიდან ბირთვში და ღირებულების ამოწოვას შინამეურნეობებისგან, ოჯახებისგან, თემებისა და ბუნებისგან.

ეფექტი კაპიტალიზმის თანდაყოლილი წინააღმდეგობის გაძლიერებაა ეკონომიკურ წარმოებასა და სოციალურ კვლავწარმოებას შორის. ვინაიდან წინა რეჟიმმა სახელმწიფოებს მიანიჭა უფლებამოსილება, კერძო ფირმების მოკლევადიანი ინტერესები მდგრადი დაგროვების გრძელვადიანი მიზნისთვის დაექვემდებარებინათ, ნაწილობრივ, კვლავწარმოების სტაბილიზაციით საჯარო სერვისების მეშვეობით, ეს რეჟიმი ფინანსურ კაპიტალს უფლებას აძლევს მოახდინოს სახელმწიფოებისა და საზოგადოების დისციპლინირება კერძო ინვესტორების უშუალო ინტერესების შესაბამისად, განსაკუთრებით, საჯარო დევნვესტიციის მოთხოვნით სოციალური კვლავწარმოებისგან. და მაშინ, როცა წინა რეჟიმმა მარკეტიზაციას ემანსიპაციის წინააღმდეგ მოკავშირედ სოციალური დაცვა გაუხადა, ეს რეჟიმი ქმნის კიდევ უფრო დამახინჯებულ კონფიგურაციას, რომელშიც ემანსიპაცია უერთდება მარკეტიზაციას, რათა ძირი გამოეთხაროს სოციალურ დაცვას.

ახალი რეჟიმი ბრძოლების ორი წყების საბედისწერო კვეთიდან წარმოიშვა. ერთმა წყებამ თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერ-

1 მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკა, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობას დროებითი სამსახური აქვს ან ფრილანსერიო

ბის აღმავალი პარტია, რომელიც მიზნად ისახავდა კაპიტალისტური ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და გლობალიზაციას, ბირთვის ქვეყნებში დასუსტებული შრომითი მოძრაობების წინააღმდეგ მომართა, რომელიც ერთ დროს სოციალ-დემოკრატიის მხარდაჭერის ყველაზე მძლავრი ბაზა იყო, თუმცა ახლა თავდაცვით პოზიციაში იდგა, თუ ჯერ კიდევ არ იყო სრულიად დამარცხებული. ბრძოლების მეორე ნაკრებში პროგრესული „ახალი სოციალური მოძრაობები“, რომლებიც გენდერულ, სქესობრივ, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ იერარქიებს ეწინააღმდეგებოდნენ, იმ მოსახლეობის წინააღმდეგ განწყობილნი, რომლებიც ფესვგადგმული შეხედულებებისა და პრივილეგიების დაცვას ესწრაფოდნენ, რასაც ახლა ახალი ეკონომიკის „კოსმოპოლიტიზმი“ ემუქრებოდა. ბრძოლების ამ ორი წყების შეჯახებამ გასაკვირი შედეგი გამოიღო: „პროგრესული“ ნეოლიბერალიზმი, რომელიც ხოტბას ასხამს „მრავალფეროვნებას“, მერიტოკრატიას და „ემანსიპაციას“ იმ დროს, როცა თვითონ შლის სოციალურ დაცვას და ახდენს სოციალური კვლავწარმოების ხელახალ ექტერნალიზაციას. შედეგი არა მხოლოდ დაუცველი მოსახლეობის მიტოვება ხდება მტაცებელი კაპიტალის წინაშე, არამედ ემანსიპაციის ხელახლა განსაზღვრაც, ბაზრის პირობების შესაბამისად (27).

ამ პროცესში ემანსიპატორული მოძრაობები მონაწილეობდნენ. ყველა მათგანმა, ანტირასისტული, მულტიკულტურალისტური, LGBTQ განთავისუფლებისა და ეკოლოგიური მოძრაობების ჩათვლით, ბაზარზე მორგებული ნეოლიბერალური მიმდინარეობები გააჩინა. მაგრამ ფემინისტური ტრანსქტორია განსაკუთრებით საბედისწერო/ფატალური აღმოჩნდა, გენდერისა და სოციალური რეპროდუქციის კაპიტალიზმთან ხანგრძლივი გადახლართვიდან გამომდინარე (28). მისი წინამორბედი თითოეული რეჟიმის მსგავსად, ფინანსიალიზებული კაპიტალიზმი წარმოება-კვლავწარმოების დაყოფის ინსტიტუციონალიზაციას გენდერულ საფუძველზე ახდენს. თუმცა, წინამორბედებისგან განსხვავებით, მისი დომინანტური წარმოსახვა ლიბერალურ-ინდივიდუალისტურია და გენდერული თვალსაზრისით ეგალიტარული – ქალი კაცის თანასწორად მიიჩნევა ყველა სფეროში და იმსახურებს

თანაბარ შესაძლებლობებს უნარების რეალიზებისთვის, მათ შორის, და შეიძლება განსაკუთრებითაც, წარმოების სფეროში. მასთან შედარებით კვლავწარმოება წარმოჩნდება გადმონაშთად, პროგრესის წინააღმდეგ, რომელიც, ასეა თუ ისე, უნდა გადაილახოს განთავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე.

მიუხედავად მისი ფემინისტური აურისა, ან შესაძლოა მის გამოც, ეს კონცეფცია წარმოაჩენს კაპიტალიზმის სოციალური წინააღმდეგობრიობის ამჟამინდელ ფორმას, რომლის ინტენსივობაც ახალ მასშტაბებს აღწევს. საჯარო სერვისების შემცირებისა და ანაზღაურებად სამუშაოზე ქალების რეკრუტირების მსგავსად, ფინანსიალიზებულმა კაპიტალიზმმა შეამცირა რეალური ხელფასები, რის შედეგადაც გაზარდა ანაზღაურებადი სამუშაო საათების რაოდენობა, რაც შინამეურნეობას ოჯახის სარჩენად სჭირდებოდა, და ზრუნვის შრომის სხვებზე გადასაბარებლად, უიმედო ბრძოლის გაჩაღება გამოიწვია (29). „ზრუნვის სიცარიელის“ შესავსებად, რეჟიმს ღარიბი ქვეყნებიდან შედარებით მდიდარ ქვეყნებში მშრომელი მიგრანტები შემოჰყავს. როგორც წესი, ღარიბი რეგიონებიდან წამოსული რასიალიზებული ან/და სოფლად მცხოვრები ქალები არიან ისინი, ვინც რეპროდუქციულ და ზრუნვით სამუშაოზე საქმდებიან, რომელსაც უწინ უფრო პრივილეგირებული ქალები ასრულებდნენ. ამისათვის მიგრანტებმა თავიანთი ოჯახური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობები სხვებს უნდა გადააბარონ, კიდევ უფრო ღარიბ მომვლელებს, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე იქცევიან – და ა.შ. და ა.შ., სანამდეც „გლობალური მოვლის ჯაჭვი“ გაგრძელდება. შედეგი არაა „ზრუნვითი სიცარიელის“ ამოვსება, არამედ მისი გადატანა – უფრო მდიდარი ოჯახებიდან ღარიბ ოჯახებზე, გლობალური ჩრდილოეთიდან გლობალურ სამხრეთზე (30).

ეს სცენარი შეესაბამება გენდერულ სტრატეგიებს იმ ფულადი სახსრების არმქონე, დავალიანებული პოსტკოლონიური სახელმწიფოებისა, რომლებიც ექვემდებარებიან საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურული კორექტირების პროგრამებს. მყარი ვალუტის უკიდურესი საჭიროების მქონე ზოგიერთი მათგანი აქტიურად უწყობდა

ხელს ქალთა ემიგრაციას საზღვარგარეთ ანაზღაურებადი ზრუნვითი შრომის შესასრულებლად, ფულადი გზავნილების მისაღებად. ზოგიერთები კი ცდილობდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მოეწონებინათ თავი ექსპორტის გადამუშავების ზონების შექმნით, ხშირად ინდუსტრიებში (როგორიცაა ტექსტილი და ელექტროტექნიკის აწყობა), რომლებსაც ქალი მშრომელების დასაქმება ურჩევნიათ (31). ორივე შემთხვევაში, სოციალურ-რეპროდუქციული შესაძლებლობები კიდევ უფრო ზარალდება.

მდგომარეობის სიმძაფრეს შეერთებულ შტატებში განვითარებული ორი ბოლოდროინდელი მოვლენა წარმოაჩენს. პირველი კვერცხუჯრედის გაყინვის მზარდი პოპულარობაა, რაც ჩვეულებრივ ათი ათასი დოლარის ღირებულების პროცედურაა, მაგრამ ახლა IT ფირმები მას უფასოდ სთავაზობენ მაღალკვალიფიციურ ქალ თანამშრომლებს. ამ მუშაკების მოზიდვისა და შენარჩუნების სურვილით, ფირმები, როგორიცაა Apple და Facebook, მათ სერიოზულ მოტივაციას უქმნიან შვილის გაჩენის გადასავადებლად, სინამდვილეში კი ეუბნებიან: „მოიცადეთ. გააჩინეთ შვილები ორმოცი, ორმოცდაათი ან თუნდაც სამოცი წლის ასაკში, თქვენი მაღალპროდუქტიული, ენერგიული წლები კი ჩვენ მოგვიძღვნი“ (32).

აშშ-ში განვითარებული მეორე მოვლენაც თანაბრად ავლენს კვლავწარმოებასა და წარმოებას შორის წინააღმდეგობის სიმპტომებს. ეს მოვლენა რძის გამოწვევის ძვირადღირებული, მაღალტექნოლოგიური მექანიკური ტუმბოების გამრავლებაა. ეს არის „გაკეთებული“ არჩევანი იმ ქვეყანაში, რომლის სამუშაო ძალაშიც ქალები მაღალი მაჩვენებლებით მონაწილეობენ; რომელსაც არ აქვს სავალდებულო ანაზღაურებადი დეკრეტული ან მშობლობის შვებულება და რომელიც სასიცვარულო ურთიერთობაშია ტექნოლოგიებთან. ეს ის ქვეყანაცაა, სადაც ძუძუთი კვებას მკაცრი ეტიკეტი აქვს, მაგრამ სრულიად სახეშეცვლილია. მნიშვნელოვანი ის კი აღარ არის, ბავშვს ძუძუს აწოვებდე, ახლა „ძუძუთი კვება“ რძის მექანიკურ გამოწველას და შენახვას ნიშნავს, მოგვიანებით ძიძამ ბოთლით რომ აჭამოს ბავშვს. დროითი

სიღარიბის სიმწვავის პირობებში, ორჯიქიანი სატუმბი, რომელსაც ხელის მოკიდება არ სჭირდება, ყველაზე სასურველად მიიჩნევა, რადგანაც საშუალებას აძლევს ადამიანს ერთდროულად გამოიწველოს რძე ორივე ძუძუდან, როცა ავტომაგისტრალზე მიჰყავს მანქანა სამსახურისკენ (33).

მსგავსი ზენოლის გათვალისწინებით, გასაკვირია, რომ ბოლო წლებში სოციალური კვლავწარმოებისთვის ბრძოლებმა იფეთქა? ჩრდილოელი ფემინისტები თავიანთ სამიზნე წერტილს ხშირად აღწერენ როგორც „ბალანსს ოჯახსა და სამუშაოს შორის“ (34). მაგრამ სოციალური რეპროდუქციისთვის ბრძოლა ბევრად უფრო მეტს გულისხმობს, მათ შორის, გრასრუთ სათემო მოძრაობებს საცხოვრისისთვის, ჯანდაცვისთვის, კვების უსაფრთხოებისა და უპირობო ბაზისური შემოსავლისთვის; ბრძოლას მიგრანტთა უფლებებისთვის, შინ დასაქმებულებისა თუ საჯარო მოსამსახურეთა უფლებებისათვის; კამპანიებს მათ გასაერთიანებლად, ვინც სოციალური მომსახურების შრომით არის დაკავებული კომერციულ მოხუცთა სანატორიუმებში, საავადმყოფოებსა და ბავშვთა მოვლის ცენტრებში; ბრძოლას ისეთი საჯარო სერვისებისთვის, როგორიცაა დღის ცენტრები და მოხუცთა მოვლის სერვისები; ბრძოლებს უფრო მოკლე სამუშაო კვირისთვის თუ მსუყედ ანაზღაურებადი დეკრეტული და მშობლობის შვებულებისთვის. ერთად აღებული, ეს პრეტენზიები ტოლფასია წარმოებასა და კვლავწარმოებას შორის არსებული კავშირის ძირეული რეორგანიზაციის მოთხოვნისა სოციალური მოწყობისთვის, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერი კლასის, სქესის, სექსუალობის და ფერის ადამიანს, სოციალური კვლავწარმოებითი საქმიანობა უსაფრთხო, საინტერესო და კარგად ანაზღაურებად სამსახურს შეუთავსოს.

სოციალური კვლავწარმოების გარშემო მიმდინარე სასაზღვრო ბრძოლებს ისეთივე ცენტრალური მნიშვნელობა აქვს შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობაში, როგორც ეკონომიკურ წარმოებაზე მიმართულ კლასობრივ ბრძოლებს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ზრუნვის კრიზისს ეპასუხებიან, რომლის ფესვებიც ფინანსური კაპიტალიზმის სტრუქტუ-

რული დინამიკიდან ამოიზრდება. ეს კაპიტალიზმი, რომელსაც ვალი ამოდრავებს და რომელიც გლობალიზდება, სისტემატურად ითვისებს სოციალური კავშირების შესანარჩუნებლად საჭირო რესურსებს. თავის იდეალად „ორმარჩენალიანი ოჯახის“ დასახვით, ის ძალ-ღონის მოკრებაში ეხმარება ემანსიპატორულ მოძრაობებს, რომლებიც მარკეტიზაციის დამცველებთან ერთიანდებიან სოციალური დაცვის პარტიზანების წინააღმდეგ, ახლა უფრო ბრაზიანებად და შოვინისტებად რომ გვევლინებიან. რა შეიძლება წარმოიშვას ამ კრიზისისგან?

კიდევ ერთი მუტაცია?

კაპიტალისტურმა საზოგადოებამ თავისი არსებობის განმავლობაში რამდენჯერმე იცვალა სახე. განსაკუთრებით, ზოგადი კრიზისის დროს, როდესაც მრავალი წინააღმდეგობა – პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სოციალურ-რეპროდუქციული – ერთმანეთში ირევა და ამძაფრებს ერთიმეორეს, სასაზღვრო ბრძოლები გაჩაღდა კაპიტალიზმისთვის არსებითი ინსტიტუციური დაყოფების ადგილებში: სადაც ეკონომიკა ხვდება პოლიტიკას, სადაც საზოგადოება ხვდება ბუნებას. და სადაც წარმოება ხვდება კვლავწარმოებას. ამ საზღვრებზე სოციალური აქტორები კაპიტალისტური საზოგადოების ინსტიტუციური რუკის გადასაწერად გაერთიანდნენ. მათი ძალისხმევით მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალური კონკურენტული კაპიტალიზმი ჯერ მეოცე-საუკუნისდროინდელ, სახელმწიფოს მიერ მართულ კაპიტალიზმად იქცა, შემდეგ კი ახლანდელი ეპოქის ფინანსურ კაპიტალიზმად. ისტორიულადაც, კაპიტალიზმის სოციალური წინააღმდეგობა მნიშვნელოვანი ელემენტი იყო კრიზისის დასაჩქარებლად, რამდენადაც სოციალური კვლავწარმოების ეკონომიკური წარმოებისგან გამყოფი ზღვარი სოციალური ბრძოლის მთავარ ადგილად და ცენტრალურ საყრდენად იქცა. თითოეულ შემთხვევაში, სადაც კაპიტალისტური საზოგადოების გენდერული წესრიგი ხდება და შედეგი დამოკიდებულია სამხრისი მოძრაობის მთავარ პოლუსებს – მარკეტიზაცია, სოციალური დაცვა და ემანსიპაცია – შორის დამყარებულ ალიანსებზე.

ამ დინამიკამ სფეროებად დაყოფიდან ოჯახის ანაზღაურებაზე, შემდეგ კი ორმარჩენალიან ოჯახზე გადასვლა განაპირობა.

რა მოსდევს ახლანდელ კონიუნქტურას? არის ფინანსური კაპიტალიზმის ამჟამინდელი წინააღმდეგობები საკმარისად მძაფრი საიმისოდ, რომ ზოგადი კრიზისის კვალიფიკაცია მივანიჭოთ და უნდა ველოდოთ თუ არა კაპიტალისტური საზოგადოების კიდევ ერთ მუტაციას? მისცემს ბიძგს ამჟამინდელი კრიზისი დამაკმაყოფილებელი მასშტაბისა და ხედვის ბრძოლის გაჩაღებას არსებული რეჟიმის გარდასაქმნელად? შეიძლება სოციალისტური ფემინიზმის ახალმა ფორმამ მიაღწიოს წარმატებას მეინსტრიმული მოძრაობის მიერ მარკვეტიზაციასთან გაჩაღებული სასიყვარულო ურთიერთობის დაშლაში, როცა ემანსიპაციასა და სოციალურ დაცვას შორის ახალ ალიანსს ქმნის – და თუ ასეა, რისთვის? როგორ შეიძლება დღეს წარმოება-კვლავწარმოების დაყოფა გარდაიქმნას და რას შეუძლია ორმარჩენალიანი ოჯახის ჩანაცვლება?

აქ არაფერი მითქვამს ისეთი, ამ კითხვებს პასუხს რომ პირდაპირ სცემდეს. მაგრამ საძირკვლის გათხრით, რაც მათი დასმის საშუალებას გვაძლევს, შევეცადე ცოტა ნათელი მომეფინა არსებული კონიუნქტურისათვის. კერძოდ, ვივარაუდებ, რომ დღევანდელი ზრუნვის კრიზისის ფესვები კაპიტალიზმის შინაგანი სოციალური წინააღმდეგობრიობიდან მომდინარეობს – უფრო სწორად, მწვავე ფორმიდან, რომელსაც დღეს ეს წინააღმდეგობრიობა იღებს, ფინანსიალიზმებულ კაპიტალიზმში. თუ ეს სწორია, მაშინ ეს კრიზისი სოციალური პოლიტიკის შეკეთების მცდელობით არ მოგვარდება. მისი გადაჭრის გზა მხოლოდ ამ სოციალური წესრიგის ღრმა, სტრუქტურულ გარდაქმნაზე შეიძლება გადიოდეს. პირველ რიგში, საჭიროა, დაიძლიოს ფინანსურ-კაპიტალიზმისეული მტაცებლური დამორჩილება წარმოებისა კვლავწარმოებაზე, მაგრამ ამჯერად არც ემანსიპაცია უნდა გაიწიროს მსხვერპლად და არც სოციალური დაცვა. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს წარმოება-კვლავწარმოების განსხვავების სრულად გარდაქმნას და გენდერული წესრიგის ახლებულ წარმოსახვას. იქნება თუ არა შედეგი თავსებადი კაპიტალიზმთან საერთოდ, არავინ იცის.

შენიშვნები

(1) ამ ესეს ადრეული ვერსია გამოქვეყნდა სახელწოდებით, „კაპიტალისა და ზრუნვის წინააღმდეგობა“ *New Left Review*-ში (ივლისი/აგვისტო, 2016): 99–117.

(2) Ruth Rosen, “The Care Crisis,” *Nation*, February 27, 2007; Cynthia Hess, “Women and the Care Crisis,” Institute for Women’s Policy Research Briefing Paper, IWPR C#401, April 2013, <http://www.iwpr.org/publications/pubs/women-and-the-care-crisis-valuing-in-home-care-in-policy-andpractice>. Daniel Boffey, “Half of All Services Now Failing as UK Care Sector Crisis Deepens,” *Guardian*, September 26, 2015. For “time poverty,” see Arlie Hochschild, *The Time Bind: When Work Becomes Home and Home Becomes Work* (New York: Henry Holt, 2001); Heather Boushey, *Finding Time: The Economics of Work-Life Conflict* (Cambridge, MA: Harvard University Press, 2016). For “family/work balance,” see Heather Boushey and Amy Rees Anderson, “Work-Life Balance: 5 Ways To Turn It From The Ultimate Oxymoron Into A Real Plan,” *Forbes*, July 26, 2013, <https://www.forbes.com/sites/amyanderson/2013/07/26/work-life-balance-theultimate-oxymoron-or-5-tips-to-help-you-achieve-better-worklifebalance/#7af10a775841>; Martha Beck, “Finding Work-Life Balance: How To Keep Your Job And Home Lives Separate And Healthy,” *Huffington Post*, March 10, 2015, http://www.huffingtonpost.com/2013/04/10/work-lifebalance-job-home-strategies-for-women_n_3044764.html. For “social depletion,” see Shirin M. Rai, Catherine Hoskyns, and Dania Thomas, “Depletion: The Cost of Social Reproduction,” *International Feminist Journal of Politics* 16, no. 1 (2013): 1–20.

(3) კაპიტალიზმის, როგორც ეკონომიკური ხედვის კრიტიკისა და „ფართო“ ხედვის დაცვისათვის იხ. ნენსი ფრეიზერი, „მარქსის „დამალალი ადგილსამყოფელის“ მიღმა: კაპიტალიზმის გაფართოებული კონცეფცია“, *New Left Review* 86 (2014): 55–72.

(4) კაპიტალისტური ეკონომიკისთვის აუცილებელი ამოსავალი პოლიტიკური პირობების ანალიზი იხ. ნენსი ფრეიზერი „ლეგიტიმურობის კრიზისი?, ფინანსიალიზებული კაპიტალიზმის პოლიტიკური წინააღმდეგობების შესახებ“, *Critical Historical Studies* 2, no. 2 (2015): 157–89; აუცილებელი ეკოლოგიური პირობების შესახებ, იხ. ჯეიმს ო’კონორი, „კაპიტალიზმი, ბუნება, სოციალიზმი: თეორიული შესავალი“ *Capitalism, Nature, Socialism* 1, no. 1 (1988): 1–22.

(5) ბევრმა ფემინისტმა თეორეტიკოსმა შეიმუშავა ამ არგუმენტის ვერსიები. მარქსისტულ-ფემინისტური ფორმულირებებისთვის, იხ. ლის ვოგელი, „მარქსიზმი და ქალთა ჩაგვრა: უნიტარული თეორიისკენ“ (Chicago: Haymarket Books, 2013); სილვია ფედერიჩი, „რევოლუცია ნულოვან წერტილზე: სახლის საქმე, კვლავწარმოება და ფემინისტური ბრძოლა“ (Oakland, CA: PM Press, 2012).

(6) For boundary struggles, see Fraser, “Behind Marx’s ‘Hidden Abode.’”

- (7) Louise A. Tilly and Joan W. Scott, *Women, Work, and Family* (London: Routledge, 1987).
- (8) Karl Marx and Friedrich Engels, "Manifesto of the Communist Party," in *The Marx-Engels Reader*, ed. Robert C. Tucker (New York: Norton, 1978), 487–88; Friedrich Engels, *The Origin of the Family, Private Property and the State* (New York: Penguin, 2010), 106–114.
- (9) Nancy Woloch, *A Class by Herself: Protective Laws for Women Workers, 1890s–1990s* (Princeton, NJ: Princeton University Press, 2015).
- (10) Karl Polanyi, *The Great Transformation* (Boston: Beacon Press, 2001), 87, 138–39, 213.
- (11) Ava Baron, "Protective Labor Legislation and the Cult of Domesticity," *Journal of Family Issues* 2, no. 1 (1981): 25–38.
- (12) Maria Mies, *Patriarchy and Accumulation on a World Scale* (London: Zed Books, 2014), 74.
- (13) Eli Zaretsky, *Capitalism, the Family and Personal Life* (New York: HarperCollins, 1986); Stephanie Coontz, *The Social Origins of Private Life: A History of American Families 1600–1900* (London: Verso, 1988).
- (14) Judith R. Walkowitz, *Prostitution and Victorian Society: Women, Class, and the State* (Cambridge: Cambridge University Press, 1980); Barbara Hobson, *Uneasy Virtue: The Politics of Prostitution and the American Reform Tradition* (Chicago: University of Chicago Press, 1990).
- (15) Angela Y. Davis, "Reflections on the Black Woman's Role in the Community of Slaves," *Massachusetts Review* 13, no. 2 (1972): 81–100.
- (16) David Wallace Adams, *Education for Extinction: American Indians and the Boarding School Experience, 1875–1928* (Lawrence: University Press of Kansas, 1995); Ward Churchill, *Kill the Indian and Save the Man: The Genocidal Impact of American Indian Residential Schools* (San Francisco: City Lights, 2004).
- (17) Gayatri C. Spivak, "Can the Subaltern Speak?" in *Marxism and the Interpretation of Culture*, ed. Cary Nelson and Lawrence Grossberg (Urbana-Champaign, University of Illinois Press, 1988), 305.
- (18) For the concept of the triple movement, see Nancy Fraser, "Marketization, Social Protection, Emancipation: Toward a Neo-Polanyian Conception of Capitalist Crisis," in *Business as Usual: The Roots of the Global Financial Meltdown*, edited by Craig Calhoun and Georgi Derluigan (New York: New York University Press, 2011), 137–58; and Nancy Fraser, "A Triple Movement? Parsing the Politics of Crisis after Polanyi," *New Left Review* 81 (2013): 119–32.

(19) Michel Foucault, "Governmentality" in *The Foucault Effect*, edited by Graham Burchell, Colin Gordon, and Peter Miller (Chicago: University of Chicago Press, 1991), 87–104; Michel Foucault, *The Birth of Biopolitics: Lectures at College de France 1978–1979* (New York: Picador, 2010), 64.

(20) Kristin Ross, *Fast Cars, Clean Bodies: Decolonization and the Reordering of French Culture* (Cambridge, MA: MIT Press, 1996); Dolores Hayden, *Building Suburbia: Green Fields and Urban Growth* (New York: Vintage, 2003); Stuart Ewen, *Captains of Consciousness: Advertising and The Social Roots of the Consumer Culture* (New York: Basic Books, 2008).

(21) ამ ეპოქაში, სახელმწიფოს მხარდაჭერა სოციალური რეპროდუქციის მიმართ ფინანსდებოდა საგადასახდო შემოსავლებითა და საგანგებო ფონდებისგან, რომელსაც სწირავდნენ როგორც მშრომელები მეტროპოლიტენიდან, ისე კაპიტალისტები, განსხვავებული ოდენობებით, კონკრეტულ შტატში არსებული კლასობრივი ძალაუფლებრივი დამოკიდებულებების მიხედვით. მაგრამ ამ შემოსავლის დინებები სივდებოდა ღირებულებით, რომელსაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციისგან მიღებული მოგების ფორმითა და უთანასწორო გაცვლაზე დამყარებული ვაჭრობის მეშვეობით ეზიდებოდნენ პერიფერიიდან.

(22) Jill Quadagno, *The Color of Welfare: How Racism Undermined the War on Poverty* (Oxford: Oxford University Press, 1994); Ira Katznelson, *When Affirmative Action Was White: An Untold History of Racial Inequality in Twentieth-Century America* (New York: Norton, 2005).

(23) Jacqueline Jones, *Labor of Love, Labor of Sorrow: Black Women, Work, and the Family, from Slavery to the Present* (New York: Basic Books, 1985); Evelyn Nakano Glenn, "From Servitude to Service Work: Historical Continuities in the Racial Division of Paid Reproductive Labor," *Signs* 18, no. 1 (1992): 1–43; Evelyn Nakano Glenn, *Forced to Care: Coercion and Caregiving in America* (Cambridge, MA: Harvard University Press, 2010).

(24) Nancy Fraser, 'Women, Welfare, and the Politics of Need Interpretation,' in Nancy Fraser, *Unruly Practices: Power, Discourse, and Gender in Contemporary Social Theory* (Minneapolis: University of Minnesota Press, 1989), 144–60; Barbara J. Nelson, "Women's Poverty and Women's Citizenship: Some Political Consequences of Economic Marginality," *Signs* 10, no. 2 (1985): 209–31; Diana Pearce, "Women, Work and Welfare: The Feminization of Poverty," in *Working Women and Families*, edited by Karen Wolk Feinstein (Thousand Oaks, CA: Sage, 1979), 103–24; Johanna Brenner, "Gender, Social Reproduction, and Women's Self-Organization: Considering the U.S. Welfare State," *Gender and Society* 5, no. 3 (1991): 311–33.

(25) Hilary Land, "Who Cares for the Family?" *Journal of Social Policy* 7, no. 3 (1978): 257–84; Harriet Holter, ed., *Patriarchy in a Welfare Society* (Oxford: Oxford University Press, 1984); Mary Ruggie, *The State and Working Women: A Comparative Study of Britain and Sweden* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1984); Birte Siim, "Women and the Welfare State: Between Private and Public Dependence," in *Gender and Caring*, edited by Clare Ungerson (New York: Prentice-Hall, 1990), 93–96. A.S. Orloff, "Gender and Social Rights of Citizenship: The Comparative Analysis of Gender Relations and Welfare States," *American Sociological Review* 58, no. 3 (1993): 303–28; A.S. Orloff, J.S. O'Connor, and S. Shaver, *States, Markets, Families: Gender, Liberalism and Social Policy in Australia, Canada, Great Britain and the United States* (Cambridge: Cambridge University Press, 1999); Diane Sainsbury, ed., *Gender and Welfare State Regimes* (Oxford: Oxford University Press, 2000); F. Williams, R. Lister, A. Anttonen, J. Bussemaker, U. Gerhard, J. Heinen, S. Johansson, and A. Leira, *Gendering Citizenship in Western Europe: New Challenges for Citizenship Research in a Cross-National Context* (Bristol, UK: Policy Press, 2007); Ann S. Orloff, "Gendering the Comparative Analysis of Welfare States: An Unfinished Agenda," *Sociological Theory* 27 (2009): 317–43.

(26) Adrienne Roberts, "Financing Social Reproduction: The Gendered Relations of Debt and Mortgage Finance in Twenty-First Century America," *New Political Economy* 18, no. 1 (2013): 21–42.

(27) თავისუფალი ბაზრის მხარდამჭერებისა და „ახალი სოციალური მოძრაობების“ დაუჭერებელი ალიანსის ნაყოფი, ახალი რეჟიმი ერთმანეთში ურევს ყველა ჩვეულ პოლიტიკურ დაჯგუფებას და ჰილარი კლინტონის მსგავს „პროგრესულ“ ნეოლიბერალ ფემინისტებს ნაციონალისტ პოპულისტ დონალდ ტრამპს უმხედრებს.

(28) Nancy Fraser, "Feminism, Capitalism, and the Cunning of History," *New Left Review* 56 (2009): 97–117.

(29) Elizabeth Warren and Amelia Warren Tyagi, *The Two-Income Trap: Why Middle-Class Parents are (Still) Going Broke* (New York: Basic Books, 2003).

(30) Arlie Hochschild, "Love and Gold," in *Global Woman: Nannies, Maids and Sex Workers in the New Economy*, edited by Barbara Ehrenreich and Arlie Hochschild (New York: Henry Holt, 2002), 15–30; Brigitte Young, "The 'Mistress' and the 'Maid' in the Globalized Economy," *Socialist Register* 37 (2001): 315–27.

(31) Saskia Sassen, "Women's Burden: Counter-Geographies of Globalization and the Feminization of Survival," *Journal of International Affairs* 53, no. 2 (2000): 503–24; Jennifer Bair, "On Difference and Capital: Gender and the Globalization of Production," *Signs* 36, no. 1 (2010): 203–26.

(32) „Apple და Facebook ქალ დასაქმებულებს კვერცხუჭრედების გაყინვას სთავაზობენ“, *Guardian*, 15 ოქტომბერი, 2014. მნიშვნელოვანია, რომ ეს ბენეფიტი აღარ არის მონიშნული ექსკლუზიურად მხოლოდ პროფესიონალ-ტექნიკურ-მენეჯერული კლასისთვის. აშშ-ის არმია კვერცხუჭრედის გაყინვას ხელმისაწვდომს ხდის სამხედრო სამსახურში მყოფი ქალებისთვის, რომლებიც გახანგრძლივებულ მისიებში მონაწილეობენ. „Pentagon to Offer Plan to Store Eggs and Sperm to Retain Young Troops“, *New York Times*, 3 თებერვალი, 2016. აქ მილიტარიზმის ლოგიკა ერევა პრივატიზაციის ლოგიკას. რამდენადაც ვიცი, ტერ არავის დაუსვამს საშიში კითხვა, რას უზამენ იმ მდედრობითი სქესის ჯარისკაცის კვერცხუჭრედებს, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტში დაიღუპება.

(33) Courtney Jung, *Lactivism: How Feminists and Fundamentalists, Hippies and Yuppies, and Physicians and Politicians Made Breastfeeding Big Business and Bad Policy* (New York: Basic Books, 2015), განსაკუთრებით, გვ.გვ. 130–31. ჯანმრთელობის საყოველთაო დაბლევის პროგრამა „ობამაქეარი“ ახლა ჯანდაცვის დამბლევებს ავალებს უფასოდ მიაწოდონ ასეთი გამოსაწველი საშუალებები თავიანთ ბენეფიციარებს. ასე რომ, ეს ბენეფიტიც აღარ არის მხოლოდ პრივილეგირებული ქალების ექსკლუზიური პრეროგატივა. შედეგი მწარმოებლებისთვის ახალი უზარმაზარი ბაზრის შექმნაა, რომლებიც ამ გამოსაწველებს ძალიან დიდ პარტიებად აწარმოებენ ჩინელი ქვეკონტრაქტორების ქარხნებში. იხ. Sarah Kliff, „The Breast Pump Industry Is Booming, Thanks to Obamacare,“ *Washington Post*, 4 იანვარი, 2013.

(34) Lisa Belkin, „The Opt-Out Revolution,“ *New York Times*, October 26, 2003; Judith Warner, *Perfect Madness: Motherhood in the Age of Anxiety* (New York: Riverhead Books, 2006); Lisa Miller, „The Retro Wife,“ *New York*, March 17, 2013; Anne-Marie Slaughter, „Why Women Still Can't Have It All,“ *Atlantic* (July–August 2012); Anne-Marie Slaughter, *Unfinished Business: Women Men Work Family* (New York: Random House, 2015); Judith Shulevitz, „How to Fix Feminism,“ *New York Times*, June 10, 2016.

სოციალური კვლავწარმოების გაფიცვა: ცხოველქმნა კაპიტალიზმის მიღმა

სიუზან ფერგიუსონი

თარგმანი: ლაშა ქავთარაძე

ანა უილერმა და უილიამ თომპსონმა სოციალური კვლავწარმოების ფემინიზმის მიმართულებას საფუძველი ჩაუყარეს დაწინებული მტკიცებით, რომ „ქალების შრომა“ სოციალური კეთილდღეობის საერთო წარმოების ნაწილად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული მტკიცებით, მათ შრომასთან დაკავშირებული ფემინისტური დისკუსიები ადრეული ფემინიზმის რაციონალურ-ჰუმანისტური პარამეტრებიდან პოლიტიკური ეკონომიის სფეროში გადაიტანეს. ეს საფუძველი შესაძლებელს ხდის, რომ ანალიტიკური ფოკუსი შრომის გენდერული დაყოფიდან გადავიდეს ურთიერთობაზე „ქალთა შრომასა“ (სოციალური კვლავწარმოების შრომა) და ანაზღაურებად, კაპიტალისტური გაგებით, „პროდუქტიულ“ (ღირებულების მანარმოებელ) შრომას შორის.

მოგვიანებით, სოციალისტ-ფემინისტთა უმეტესობას სათანადოდ არ დაუფასებია პოტენციალი, რომელიც უილერისა და თომპსონის ხედვას ჰქონდა. მართალია, უთითებდნენ, რომ კაპიტალიზმი წარმოების კვლავწარმოებისაგან გამიჯვნას გულისხმობს, თუმცა ისინი ქალთა ჩაგვრას შრომის გენდერულ დანაწილებას მიაწერდნენ, რომელიც თან სდევს ამ გამიჯვნას. ქალების კაცებზე დაქვემდებარებაზე, პირადი სფეროდან მათ იზოლირებასა და თავად სამუშაოს სიმძიმეზე აქცენტირებით, სოციალისტ-ფემინისტები ქალთა შრომას თეორიულად ზოგადად იმავე რაციონალურ-ჰუმანისტური ტერმინებით იაზრებდნენ, რომელიც თანასწორობის ფემინიზმს ახასიათებს. აღნიშნული კრიტიკის დაკავშირებით კაპიტალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიტიკასთან (რომელიც თავის თავს ფაქტობრივად „პროდუქტიული“

შრომის სისტემად იაზრებს), კრიტიკული თანასწორობის ფემინიზმმა სოციალისტური ფემინიზმის ფარგლებში დუალიზმისა და კლასობრივი რედუქციონიზმის ტენდენციები შეიძინა.

თუმცა, სხვები, დროდადრო, ნაწილობრივ, ეჭვქვეშ აყენებდნენ აღნიშნულ თეორიულ მიმართულებას. ისინი სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დოზით ცდილობდნენ, რომ გაეაზრებინათ „ქალთა შრომის“ პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა კაპიტალიზმის შენარჩუნების საკითხში. მართალია, 1940-იან წლებში კომუნისტური პარტიის ლიდერებმა უხეშად უგულებელყვეს აღნიშნული მცდელობები, უკვე 1970-იან წლებში, როდესაც სოციალური კვლავწარმოების ფემინიზმი გამოჩნდა, როგორც სოციალისტურ-ფემინისტურ წრეებში ყურადღებისა და დებატების მნიშვნელოვანი პოლუსი, მათი რეპრესირება უკვე შეუძლებელი იყო. აუნაზღაურებელი საშინაო შრომის ზედმეტად ვიწრო საკითხიდან კაპიტალისტური ღირებულების წარმოების სუსტი წერტილის უფრო კომპლექსურ და დეტალურ გაგებაზე გადართვით, დღესდღეობით, სოციალისტური კვლავწარმოების ფემინისტები იზიარებენ უფრო ფართო თეორიულ რწმენას, რომ სოციალური ჩაგვრა სისტემურია და დაფუძნებულია კაპიტალიზმის აუცილებელ-თუმცა-წინააღმდეგობრივ კავშირზე, რომელიც არსებობს წარმოებისა და სოციალური კვლავწარმოების სამუშაოებს შორის.

მიუხედავად პრობლემათა საერთო ჯაჭვის გამოკვეთისა, რასაც ეს პერსპექტივები ცხადყოფენ, სოციალისტ-ფემინისტებს ჯერაც არ გადაუჭრიათ ადრეული დებატებისას დასმული საკითხი, თუ როგორ შეიძლება სოციალური კვლავწარმოებისა და კაპიტალისტური „წარმოების“ შრომის ერთმანეთისაგან გამოყოფა. წინამდებარე თავი შეეხება ამ ხანგრძლივი უთანხმოების საგანს და ცალკეულ ანალიტიკურ გადახრებსა და პოლიტიკურ დასკვნებს, რომლებიც მისგან გამომდინარეობს. ამ თემას აქ განვიხილავ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მარადიული თეორიული საკითხია, არამედ იმიტომაც, რომ მასზე პასუხის მოძებნას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი გვსურს, სხვები დავარწმუნოთ ჭეშმარიტად ინკლუზიური

კლასობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების საჭიროებასა და შესაძლებლობაში, რომელიც მოახერხებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გასცდეს კაპიტალისტურ ურთიერთობებს. ამიტომაც, ეს თავი სრულდება შესაბამისი პოლიტიკური პერსპექტივების განხილვით, იმ თეორიული პოლიტიკური ორიენტაციის უპირატესობის ჩვენებით, რომელიც ცხოველქმნისა და მუშათა კლასის ბრძოლის მრავალგვარი ფორმით კაპიტალიზმისადმი წინააღმდეგობის შესაძლებლობებზე ამახვილებს ყურადღებას – განვითარებული თეორიისა და პოლიტიკის, მაგალითად, ინიციატივის, „ფემინიზმი 99%-სათვის“, მიერ.

სოციალური კვლავწარმოების შრომა და ღირებულების საკითხი

სოციალური კვლავწარმოების ფემინისტების ტრაექტორია ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ, თუმცა განსხვავებულ თეორიულ მიმართულებად გაიყო. ამ მიმართულებების განსხვავება შესაძლებელია თითოეული მათგანის მიერ შემდეგ შეკითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით: საქმიანობა, რომელიც აწარმოებს სამუშაო ძალას, ქმნის თუ არა რეალურ ღირებულებას, რომელსაც შემდგომ კაპიტალისტები იყენებენ, როდესაც ანაზღაურებადი შრომის პროდუქტებს ყიდნიან? მერი ინმანი და საშინაო შრომასთან დაკავშირებულ დებატებსა და საერთაშორისო კამპანიაში, *ანაზღაურება შინ შრომისათვის (WfH)*, ჩართული ადამიანები მიიჩნევენ, რომ ქმნის. საშინაო შრომა, მათი მტკიცებით, საბოლოო ჯამში, აწარმოებს ანაზღაურებადი სამუშაოს პროდუქტის გაცვლით ღირებულებას (საქონელს). ბევრი მათგანის მოსაზრებით, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ იგი აწარმოებს სასაქონლო სამუშაო ძალას, რომელიც, კაპიტალისტებზე მიყიდვისას წარმოქმნის ღირებულებას. თუმცა, სოციალურ კვლავწარმოებაში ჩართული პირისა და კაპიტალის ურთიერთობას ჩრდილავს ანაზღაურება (რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ უშუალოდ კაპიტალისათვის მუშაობის შემთხვევაში გაიცემა), ისევე, როგორც ოჯახი (რომელიც უზრუნველყოფს ემოციურ და იდეოლოგიურ ფარს იმისა, რაც არსებითად მჩაგვრელ მატერიალურ გარემოებას წარმოადგენს). ვინაიდან აუნაზღაურებ-

ლი საოჯახო შრომა კაპიტალისტურად „პროდუქტიულია“, ისინი ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტები არამხოლოდ დამოკიდებულები არიან მათზე, ვისი შრომაც მის კვლავწარმოებას უზრუნველყოფს და მუშათა შემდგომ თაობაზე, არამედ, უშუალოდ ეწევიან მათ ექსპლოატაციას.¹

ეს პერსპექტივა განვითარდა ავტონომისტურ მარქსიზმში, ტრადიცი-
აში, რომელიც აღმოცენდა რადიკალ ინტელექტუალთა შორის, 1960-
იანი წლების ტურინის ავტოქარხნის მუშათა ბრძოლასთან კავშირში.
კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის უუნარობის პასუხად და
სტუდენტთა და ფემინისტთა ბრძოლების ზეგავლენით, ავტონომის-
ტებმა დასაქმების ადგილზე გადაჭარბებული ფოკუსირების ნაცვლად,
კაპიტალიზმის გააზრება დაიწყეს როგორც ტოტალური სისტემის, რო-
მელიც საზოგადოების თითოეულ წევრს (დიასახლისებს, სტუდენტებს,
დაუსაქმებლებსა თუ დასაქმებულებს) რთავს სიმდიდრის წარმოება-
ში, რომელსაც შემდგომ თავად მოიხმარს.² მარიო ტრონტიმ, 1962
წელს გამოცემულ თავის წიგნში, *ქარხანა და საზოგადოება*, შემოიღო
ტერმინი „სოციალური ქარხანა“, რათა აღწერა იდეა, რომ კაპიტალი
მთელ საზოგადოებას დაგროვების ლოგიკაში აქცევს.³ მარია დელა
კოსტამ, სილვია ფედერიჩიმ და სხვებმა კი, ავტონომისტური ანალიზი
ფემინისტური მიმართულებით წაიყვანეს ყურადღების იმაზე გამახვი-
ლებით, რომ აუნაზღაურებელი შრომის (მაგ., საოჯახო საქმე) კაპი-
ტალისტური კატეგორიზაცია მოითხოვს, ინარჩუნებს და აყალიბებს
ქალთა არათავისუფლებას.

ავტონომისტური პოლიტიკური სტრატეგია კიდევ უფრო წინ წამოსწია
და განავითარა WfH კამპანიამ, რომელიც დასაქმებულებს მოუწო-
დებდა, უარი ეთქვათ მუშაობაზე. კაპიტალი ღირებულებათა შექმნით

1 ob. Maya Gonzalez, "The Gendered Circuit: Reading The Arcane of Reproduction," Viewpoint Magazine (September 28, 2013), www.viewpointmag.com/2013/09/28/the-gendered-circuit-reading-the-arcaneof-reproduction/

2 ob. Steve Wright, *Storming Heaven: Class Composition and Struggle in Italian Autonomist Marxism* (London: Pluto Press, 2002).

3 სხვა ადრეული თეორეტიკოსები, რომლებიც ასოცირებულნი არიან ამ ტრადიციასთან, გახლავთ ანტონიო ნეგრი, ფელიქს გვატარი და ადრიანო სოფრი.

ხეირობს. შესაბამისად, თუკი დასაქმებული შეწყვეტს „პროდუქტიულ“ შრომაში მონაწილეობას (რაც ნიშნავს, რომ შეწყვეტს ღირებულების შექმნას), ის კაპიტალიზმს სასიცოცხლო არტერიას გადაუკეტავს. და ვინაიდან, ყველანაირი საქმიანობა „პროდუქტიულია“ – რადგან, როგორც ფედერიჩი აღნიშნავს, „ჩვენი ცხოვრების თითოეული მომენტი კაპიტალის დაგროვებაზეა მიმართული“ – საოჯახო საქმესა და სოციალური კვლავნარმოების შრომაში ჩართვაზე უარის თქმა, ზოგადი გაგებით, შესაძლოა, ღირებულებათა შექმნისათვის წინააღმდეგობის განწევად აღიქმებოდეს.⁴ ამიტომაც, WfH კამპანია ქალებს მოუწოდებდა, რომ ზუსტად ეს ექნათ, უბრალოდ მიეტოვებინათ საოჯახო საქმე. იგი ანაზღაურების მოთხოვნის სტრატეგიას აკავშირებდა როგორც საოჯახო საქმის ღირებულების ხაზგასმასა და კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში მისი სრული კომპენსირების შეუძლებლობას. საოჯახო საქმეზე უარის თქმა ასევე ისახავდა მიზნად მის საქონლად გარდაქმნაზე (კომოდიფიკაციაზე) უარის თქმას (მაგალითად, ძიძების დაქირავების გზით) და მის ორგანიზებაზე სახელმწიფოს მიერ (სოციალური სამსახურების მეშვეობით).⁵ WfH კამპანიის მიზანი იყო, „საშინაო შრომის მთლიანი სტრუქტურის დანგრევა“ იმ ყველაფერზე მითითებით, რასაც ხელფასები ჩქმალავენ, კერძოდ, კაპიტალისტების მიერ ქალთა აუნაზღაურებელი და არათავისუფალი შრომის ექსპლუატაციაზე.⁶

სხვა სოციალისტ-ფემინისტებიც, რომლებიც აუნაზღაურებელ სოციალური კვლავნარმოების სამუშაოს კაპიტალისტურად „არაპროდუქტიულად“ მიიჩნევდნენ, ასევე მოუწოდებდნენ ქალებს, „უარი ეთქვათ“ მუშაობაზე. თუმცა ეს ჭკუფი (რომელსაც მე სოციალური კვლავნარმოების მარქსისტულ სკოლას ან შემოკლებით მარქსისტულ სკოლას ვუწოდებ) უარის თქმას განსხვავებულად

4 Federici, *Revolution*, 35. ჩანაწერები . 165.

5 ეს უკანასკნელი დანახული იყო არა იმდენად არასასურველად, რამდენადაც არადამაკმაყოფილებლად. სახელმწიფოს მიერ დღის ზრუნვის სერვისის უზრუნველყოფა, მაგალითად, სულაც არ ნიშნავს შრომის გენდერული დანაწილების ეჭვქვეშ დაყენებას (და შეიძლება გააძლიეროს კიდევ ის).

6 Dalla Costa and James, *Power of Women*, 20. იხ. თავი 6 WfH კამპანიის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის.

განმარტავს.⁷ პოლიტიკური თვალსაზრისით ამ განსხვავებას მას შემდეგ მივუბრუნდები, რაც უფრო დეტალურად განვიხილავთ იდეებს, რომლებსაც ის ეყრდნობა.

ღირებულების საკითხი

მარქსისტული სკოლა, რომლისთვისაც ავტონომიზმი არასაკმარისად დამატებელია, შეიმუშავებს და ავითარებს კაპიტალიზმის უფრო კლასიკურ მარქსისტულ კონცეფციას. კაპიტალისტურად „პროდუქტიული“ შრომა, მარქსის თანახმად, არის ის, რომელიც პირდაპირ ქმნის ღირებულებას. ღირებულება განისაზღვრება გაცვლა-გამოცვლის საქონლისა და მომსახურების (ან უბრალოდ საქონლის) წარმოების პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *იგი იქმნება მაშინ, როდესაც შრომის შედეგი წინასწარ არის გათვლილი გაყიდვაზე ან ბაზარზე*. თუმცა, ეს ასე არ ხდება, როდესაც ხალხი თავის თავზე იღებს (აუნაზღაურებელ და კარგად ანაზღაურებად) სოციალური კვლავწარმოების შრომას.⁸ ასეთ შრომას, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წვლილი შეაქვს საქონლის, სამუშაო ძალის შექმნაში. თუმცა, იგი ამას აკეთებს მოხმარებისათვის განკუთვნილი საგნების წარმოებით – საგნების, რომლებიც, პირველ რიგში, ცხოვრებისთვისაა საჭირო (და არა კაპიტალისტისთვის). ასეთი პროდუქციაა საკვები, სუფთა ტანსაცმელი, საზოგადოებრივი ბაღები, უსაფრთხო ქუჩები, ქარიშხლისგან თავის დასაცავი თავშესაფრები და ა.შ. მათში, შესაძლოა, ასევე მოვიპოვოთ ეფემერული „საგნები“, როგორიცაა სიყვარული, ყურადღება, დის-

7 მარქსისტული სკოლა არ წარმოადგენს ცალსახად ორგანიზებულ ჯგუფს ან „სკოლას“. ეს წოდება თავიდან ბოლომდე მე მეკუთვნის და ეფუძნება ჩემეულ გაგებას იმ ავტორებისა, რომლებიც იზიარებენ თეორიულ და პოლიტიკურ პერსპექტივას. ამ სახელდებას ვიყენებ ჩემი საჭიროებიდან გამომდინარე, რომ შემოკლებულად მოვიხსენიო სოციალისტ-ფემინისტები, ჩემივე თავის ჩათვლით, რომლებმაც გავლენა მოახდინა ლის ვოგელის შრომებმა. სიტყვა „მარქსისტულს“ ვიყენებ არა იმისთვის, რომ მარქსის ექსკლუზიურ ცოდნაზე პრეტენზია გამოვხატო, არამედ იმის საჩვენებლად, რომ მარქსის ღირებულების თეორიის ერთგულნი ვართ.

8 გამოწვევის წარმოადგენს ანაზღაურებადი სოციალური კვლავწარმოების შრომა მოგებაზე ორიენტირებულ დანესხებულებებში, როგორიცაა კერძო სკოლები, ბავშვთა ზრუნვის ცენტრები ან რესტორნები. ამ შემთხვევაში, სოციალური კვლავწარმოების შრომის პროდუქტი იცვლება ბაზარზე (მაშინაც კი, როდესაც ის სამუშაო ძალას აწარმოებს).

ციპლინა და ცოდნა, რაც წარმოადგენს ცხოვრების ემოციურ და სოციალურ საფუძველს. ეს გახლავთ *ხელსაყრელი* საგნები – საგნები, რომლებიც ინარმოება არა გასაყიდად, არამედ ცხოვრებისათვის.

ავტონომისტი მარქსისტი ფემინისტები, ზოგადად, საკითხის ასეთ გაგებაზე არ დაობენ. ლეოპოლდინა ფორტუნატი (რომელიც ავტორია ფართოდ გავრცელებული და ციტირებული წიგნისა, *კვლავწარმოების საიდუმლო*) ეთანხმება მოსაზრებას, რომ კვლავწარმოების სამუშაო, რომელიც მოიცავს როგორც საოჯახო საქმეს, ისე სექს-სამუშაოს, რაზეც ის ყურადღებას ამახვილებს, ქმნის სამომხმარებლო და არა გაცვლით ღირებულებას: კაპიტალი „საოჯახო საქმეს იყენებს როგორც ფასის სამომხმარებლო ღირებულებას“.⁹ თუმცა, საკვები, სუფთა ტანსაცმელი, სექსუალური ტკობა და ა.შ., რომელსაც ის აწარმოებს, მისი მტკიცებით, გარდაიქმნება გაცვლით ღირებულებად, ვინაიდან თავდაპირველად მათ მოიხმარს მუშა, რომლის სამუშაო ძალაც მოგვიანებით ქმნის ღირებულებას კაპიტალისტისათვის. ამდენად, სოციალური კვლავწარმოების სამუშაო, მისი მტკიცებით, *არაპირდაპირ* ქმნის ღირებულებას.

რამდენადაც ფორტუნატი მიიჩნევს, რომ სოციალური კვლავწარმოების სამუშაო სასიცოცხლო მნიშვნელობისაა იმ პირობების კვლავწარმოებისათვის, რომელიც შესაძლებელს ხდის კაპიტალისტური ღირებულების შექმნას, არაფერია სადავო მარქსისტულ სკოლასთან. თუმცა, იგი აქ არ ჩერდება და სხვა რამესაც ამბობს. ფორტუნატი განმარტავს, რომ სამომხმარებლო ღირებულების მოხმარება არის ფაზა

9 Leopoldina Fortunati, *The Arcane of Reproduction: Housework, Prostitution, Labor and Capital*, 1981, trans. Hilary Creek and ed. Jim Fleming (Brooklyn, NY: Autonomedia, 1995), 9. ფორტუნატი აქტიურობდა იტალიაში მშრომელთა და ფემინისტურ ბრძოლებში 1970-იან წლებში და საბოლოოდ შეუერთდა Lotta Femminista-ს, სადაც ის დელა კოსტასთან და სხვებთან ერთად ჩართული იყო WfH კამპანიაში. ასევე იხ. Fortunati, "Learning to Struggle: My Story Between Workerism and Feminism," *Viewpoint Magazine* (September 15, 2013), www.viewpointmag.com/2013/09/15/learning-to-struggle-my-story-between-workerism-andfeminism/ გონზალები საიდუმლოს (რომელიც 1981 წელს იტალიურად, ხოლო 1995 წელს ინგლისურად გამოქვეყნდა), უწოდებს „ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მარქსისტულ კონტრიბუციას გენდერულ ჭრილში გაანალიზებული ექსპლუატაციის თეორიაში, რომელიც, ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე არასწორად გააზრებული ნაშრომიცაა“ ("Gendered Circuit").

კაპიტალის ღირებულების შექმნის მთლიან პროცესში, ვინაიდან საბოლოო პროდუქტი, სამუშაო ძალა, საწონელია. მისი მტკიცებით, ეს გარდაქმნის შრომას კაპიტალისტურად „პროდუქტიულად“. ვინაიდან „პროდუქტიული“ მუშები, დიასახლისები და სექს-მუშაკები ქმნიან არა მხოლოდ სამომხმარებლო ღირებულებას, არამედ ღირებულებასაც და ნამატ ღირებულებასაც. მათ ეს, შესაძლოა, ირიბად გააკეთონ, თუმცა მათი სამუშაოს სოციალურ ფორმაზე ამ არაპირდაპირობას არავითარი ცხადი გავლენა არ აქვს.

თუმცა, მაინც გაურკვეველია, როგორ ხდება კონკრეტული სოციალური კვლავწარმოების სამუშაოს „არაპროდუქტიულიდან“ „პროდუქტიულად“ გარდაქმნა. აღნიშნულ აბსტრაქციაზე ფორტუნატის განხილვა იწყება მტკიცებით:

თუკი კვლავწარმოების სამუშაო... პროდუქტიულია, მაშინ, თქმაც არ უნდა, რომ მან უნდა შეიძინოს ორმაგი ბუნება [მაგალითად, აბსტრაქტული და სპეციფიკური], რომელსაც განსაზღვრავს ყველა სხვა სამუშაო, რომელიც ღირებულებას აწარმოებს. კვლავწარმოება არა მხოლოდ სპეციფიკური სამუშაოა, რომელიც ინდივიდუალურად სასურველი და კომპლექსურია, არამედ, ასევე გახლავთ აბსტრაქტული ადამიანური შრომა, სოციალურად სასურველი და მარტივი.¹⁰

შემდგომ კი, ორ მოსაზრებას გამოთქვამს: (i) სოციალური კვლავწარმოების სამუშაოს, ზოგადად, საზიარო ბუნება აქვს – ინდივიდუალურ დონეზე დიასახლისები და სექს-მუშაკები „არადიფერენცირებულად“ მუშაობენ; და (ii) ცალკე აღებული, ერთი დიასახლისის ან ერთი სექს-მუშაკის შრომა თანასწორია მეორისა.

რაც შეეხება პირველ განმარტებას, ეს ნამდვილად კონცეპტუალური აბსტრაქცია გახლავთ, როგორც ნებისმიერი განზოგადება. თუკი ვიტყვი, რომ ყველა ხეს აქვს ღერო, მე აბსტრაგირებას ვაკეთებ ინდივი-

10 Fortunati, Arcane, 105, მახვილი დამატებულია.

დუალური ხეების მეშვეობით. თუმცა, ეს აბსტრაქცია არაფერს ამტკიცებს ხის ან ღეროს ღირებულებასთან დაკავშირებით. საქონლის აბსტრაქცია კი ცოტა სხვა რამეა. ამ შემთხვევაში, კერძოს ზოგადთან მიმართება თანაფარდობის გაზომვის გარკვეულ პროცესს საჭიროებს. როგორც მარქსი აღნიშნავს, *კაპიტალის* პირველი ტომის პირველ თავში, თვითონ გაცვლა-გამოცვლა, რომ, დავუშვათ, 20 იარაღი ტილო = ერთ ქურთუკს, მოითხოვს, რომ თვისობრივად განსხვავებული ნივთები (ტილო და ქურთუკი), შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს თანაზომიერად. კაპიტალიზმის ღირებულებითი აბსტრაქცია იყენებს საბაზრო ურთიერთობებს, რათა კონკრეტული საქონელი გარდაქმნას ტოლფას ღირებულების ოდენობად (რომელიც იზომება ფასში). და სწორედ ეს გახლავთ ფორტუნატის მეორე მოსაზრების პრობლემა. იგი იმგვარად ამტკიცებს სოციალური კვლავწარმოების სამუშაოს თანაფარდობას, რომ არსად ხსნის რომელი საზომით მიიღწევა თანასწორობა დიასახლისისა და სექს-მუშაკის განსხვავებულ შრომას შორის. რა არის თანაფარდობის სოციალურად დამკვიდრებული სტანდარტი? როგორ არის ეს სტანდარტი განსაზღვრული? კაპიტალისტური საქონლისათვის, ერთი შრომითი პროცესის და მისი საქონლის გათანაბრება ბაზრის მიერ სრულდება. რა მექანიზმი ასრულებს იმავე ფუნქციას მზარეულობისთვის, სექსუალური აქტის ან სახლის დალაგებისთვის? ამაზე არაფერია ნათქვამი.

მეგზადრის კონტრიბუცია *Radical Philosophy*-ში გვანვდის ავტონომისტურ მარქსისტულ ფემინიზმში ამ გადაუტრეღი თეორიული პრობლემების თანამედროვე მაგალითს. იგი ამტკიცებს, რომ ვინაიდან ექსპლოატაციის დონე იზრდება, როდესაც სოციალური კვლავწარმოების ხარჯები მცირდება, სოციალური კვლავწარმოების შრომა კაპიტალისტურად „პროდუქტიული“ შრომა უნდა იყოს. თუმცა, ის არ განმარტავს, ფაქტობრივად, როგორ და რატომ აწარმოებს ღირებულებას კაპიტალიზმისთვის სამუშაო ძალის ხარჯების შემცირება (რაც, შესაძლოა, ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო მოხდეს, მთავრობის მიერ მცირე ბიზნესის სუბსიდებიდან დაწყებული, შტრაიკბრეხელობითა და გაფიცვების შეწყვეტის კანონმდებლობით დამთავრებული). სხვა სიტყ-

ვებით რომ ვთქვათ, როგორ აქცევს ის სოციალური კვლავწარმოების შრომას თანაზომადს და როგორ გარდაქმნის მას შრომად, რომლის ღირებულებაც, შესაძლოა, გააბსტრაქტულდეს? და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როგორ ქმნის ის ახალ ღირებულებას (ნაცვლად არსებული ღირებულებათა ნაკადების უბრალოდ ხელახლა გადანაწილებისა)?

მიუხედავად იმისა, რომ ფორტუნატი და ავტონომისტი მარქსისტი ფემინისტები უფრო ზოგადად იაზრებენ, რომ ცხოვრებასა და სამუშაო ძალას შორის სხვაობა არსებობს, ამ განსხვავების მნიშვნელობა ღირებულების წარმოების ანალიზის დროს იკარგება. ეს კი, კაპიტალიზმის, როგორც ტოტალური დომინაციის სისტემის, ავტონომისტურ კონცეფციას გამოხატავს. ყველანაირი წარმოება ღირებულებათა წარმოებაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი კაპიტალიზმის მოქმედების ხერხია (*modus operandi*). და ამ გაგებით, როგორც კი ადამიანი გაიაზრებს, რომ სოციალური კვლავწარმოების შრომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (და ამიტომაც „შინაგანია“) კაპიტალიზმისთვის, იგი აუცილებლად კაპიტალისტურად „პროდუქტიულ“ შრომად იქცევა – და როგორც ისინი მიიჩნევენ, იგი სრულად არის დომინირებული და მოცული კაპიტალის იმპერატივების მიერ. აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი წარმოება ან ცხოველქმნა, რომელიც უპირისპირდება ან ეწინააღმდეგება კაპიტალიზმს, მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის სისტემის გარეთ შეიძლება მოხდეს (ამ აზრს შემდეგ ქვეთავშიც დავუბრუნდები).

მარქსისტული სკოლის მიხედვით, ვინაიდან ღირებულება საქონლის წარმოებაში განისაზღვრება მიმოქცევისათვის და რამდენადაც სოციალური კვლავწარმოების შრომის პროდუქტები ფაქტობრივად მოიხმარება ცხოვრების შექმნისა და შენარჩუნებისთვის (და არა კაპიტალისთვის), ამ შრომას არ შეიძლება, რომ კაპიტალისტური ღირებულება მიენეროს. კაპიტალისტური გაგებით, ის „არაპროდუქტიულია“.¹¹ თუმცა, რა თქმა უნდა, არავინაა ვალდებული, რომ მარქსს ბოლომდე

11 ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ სოციალური კვლავწარმოების შრომა „არაპროდუქტიულია“ (იხ. შენიშვნა 8, ზემოთ).

გაჰყვეს, და შესაბამისად, ფორტუნატი და მარქსის სხვა კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ღირებულება იქაც არსებობს, სადაც მარქსს ეგონა, რომ არ იყო.¹² თუმცა, ამ შემთხვევაში, ფორტუნატის აშკარად ჰგონია, რომ გადანყვეტისას, თუ რისგან შედგება აბსტრაქტული შრომა, იგი მარქსის ნააზრევს მისდევს (ისევე, როგორც დალა კოსტას და ჯეიმსს, რომლებიც განმარტავენ, „ჩვენ ზუსტად იმას ვგულისხმობთ, რომ საოჯახო საქმე როგორც სამუშაო, პროდუქტიულია მარქსისტული გაგებით, რაც ნიშნავს, რომ ის ქმნის ნამატ ღირებულებას“)¹³. თუკი ავტონომისტ ფემინისტებს სურთ დაგვარწმუნონ, რომ მარქსი ცდება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განისაზღვრება კაპიტალისტური ღირებულება, მაშინ მათ უფრო მწყობრი კრიტიკა უნდა ჩამოაყალიბონ, რომელიც ზუსტად გადმოსცემს მის თეორიას და მიუთითებს, კონკრეტულად სად ცდება ის. ნაცვლად ამისა, ფორტუნატი მარქსის ღირებულების თეორიას ანაცვლებს ალტერნატიული (მოხმარების მეშვეობით) ღირებულების გადაცემის თეორიით, მარქსის კატეგორიების არაზუსტად და გარკვეულწილად შემთხვევითი გამოყენებით.

ღირებულების უფრო დამატერბელი თეორიის არარსებობის პირობებში, ავტონომისტი მარქსისტი ფემინისტები ეყრდნობიან ლოგიკას „ან ყველაფერი, ან არაფერი“: ვინაიდან სოციალური კვლავწარმოების შრომას წვლილი შეაქვს დაგროვების კაპიტალისტურ პროცესებში იმდენად, რამდენადაც იგი აწარმოებს სამუშაო ძალას, რომელზეც კაპიტალისტები დამოკიდებულები არიან, მაშინ ის უნდა იყოს ღირებულებათა მწარმოებელი. ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ვინაიდან კაპიტალისტური ღირებულება „პროდუქტიული“ შრომით იქმნება, მაშასადამე, ყოველი შრომა, რომელსაც წვლილი შეაქვს კაპიტალისტური ღირებულების რეალიზებაში, „პროდუქტიულია“. შრომა, რომელიც არ არის „პროდუქტიული“, არავითარ როლს არ ასრულებს კაპიტალისტური

12 მართლაც, ზოგიერთი აკრიტიკებს მარქსისტულ სკოლას ზედმეტად ორთოდოქსული მარქსიზმის ერთგულებისათვის. იხ. Alessandra Mezzadri, "On the Value of Social Reproduction: Informal Labour, the Majority World, and the Need for Inclusive Theory and Politics," *Radical Philosophy* 2, no. 4 (Spring 2019), <https://www.radicalphilosophy.com/article/on-the-value-of-social-reproduction>; და Weeks, *Problem with Work*, 244, n. 12.

13 Dalla Costa and James, *Power of Women*, 16, n. 12.

ღირებულების შექმნაში, ვინაიდან, განსაზღვრებიდან გამომდინარე, მას ეს არ შეუძლია. ეს, მარტივად რომ ვთქვათ, ტავტოლოგიაა – ტავტოლოგია, რომელსაც ფესვი აქვს გადგმული „პროდუქტიული“ შრომისა და „ღირებულების“ ბუნდოვნად განმარტებულ მნიშვნელობებში.¹⁴

ინკორპორირება (subsumption) და შრომის სოციალური ფორმები

სოციალური კვლავწარმოების ფემინიზმის მარქსისტული სკოლა ხედავს, რომ მარქსი კაპიტალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიტიკას არ განავრცობს სოციალური კვლავწარმოების აუნაზღაურებელ შრომაზე, თუმცა მის თეორიას ღირებულების შესახებ ავტორიტეტულად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, ითვლება, რომ ღირებულებათა შექმნა მოითხოვს ორივე ფორმის შრომას, კაპიტალისტურად „პროდუქტიულსაც“ და იმასაც, რომელიც ასეთი არ არის. ეს უკანასკნელი შეიცავს სოციალურად აუცილებელ აუნაზღაურებელ სოციალური კვლავწარმოების სამუშაოს და სხვადასხვა ფორმის ანაზღაურებად სამუშაოს – საჯარო სექტორის სოციალური კვლავწარმოების შრომას ისევე, როგორც სხვა ტიპის შრომას, რომელიც მარქსის თანახმად, არსებითი მნიშვნელობისაა, თუმცა არა პირდაპირი გაგებით „პროდუქტიული“ (მაგალითად, საბანკო ან ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ცალკეული სამსახურები).¹⁵ ვერ უარვყოფთ, რომ კაპიტალი

14 ეს კონცეპტუალური გაუგებრობა მფორდება და ვითარდება ციფრული მედიის სოციალური კვლავწარმოების ფემინისტურ ანალიზშიც. მაგ., იხ. Kylie Jarrett, "The Relevance of 'Women's Work': Social Reproduction and Immaterial Labor in Digital Media," *Television & New Media* 15, no. 1 (2014): 14–29.

15 ის გამორიცხავს სოციალური კვლავწარმოების შრომას კერძო სექტორში (მზარეულები რესტორნებში და მასწავლებლები კერძო სკოლებში), რაც, პრინციპში, „პროდუქტიული“ შრომაა, ვინაიდან მისი ნაწარმი, სიცოცხლის შენარჩუნებასთან ერთად (რესტორნის საკვები, 166. ქალები და სამუშაო: ფემინიზმი, შრომა, სოციალური კვლავწარმოების განათლება), ასევე ინარჩუნებს იმისთვის, რათა ბაზარზე გაიყიდოს (იხ. შენიშვნა 8 ზემოთ). მარქსი ამ არგუმენტს იყენებს მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით: „სკოლის მასწავლებელი, რომელიც განათლებას აძლევს სხვებს, არ არის პროდუქტიული მუშა. თუმცა, მასწავლებელი, რომელიც ინსტიტუციაში სხვებთან ერთად ჩართულია როგორც ხელფასის მქონე მშრომელი, რათა თავისი შრომის მეშვეობით გაზარდოს ცოდნის გამყიდველი ინსტიტუციის მენარმის ფული, პროდუქტიული მუშაა“. იხ. Karl Marx and Frederick Engels, *Economic Works of Karl Marx, 1861–1864*, vol. 34, trans. Ben Fowkes (London: Lawrence & Wishart, 1994), 484.

გაბატონებულია აღნიშნულ „არაპროდუქტიულ“ სამუშაო პროცესებზე. თუმცა, იგი ბოლომდე არასოდეს დომინირებს რომელიმე ტიპის სამუშაო პროცესზე (თვით „პროდუქტიულ“ სამუშაოზეც კი).

შრომა წინააღმდეგობას უწევს კაპიტალის მიერ სრულ ინკორპორირებას სწორედ იმიტომ, რომ არ არსებობს შრომა სიცოცხლის გარეშე – ცოცხალი ადამიანის გარეშე, რომლის ცხოვრებისეულ საჭიროებებს შეუძლია და მუდმივად იცავს კიდევ საკუთარ ინტერესებს კაპიტალის წინააღმდეგ. როგორც ისტორიული, ისე სისტემური მიზეზების გამო, „არაპროდუქტიული“ სოციალური კვლავწარმოების სამუშაო მიდრეკილია იმისაკენ, რომ ნაკლებად იქნას სრულად ინკორპორირებული კაპიტალში, „პროდუქტიულ შრომასთან“ შედარებით. დასაწყისისათვის, როგორც ვოგელი, ფედერიჩი და სხვა ავტორები აღნიშნავენ, კაპიტალისტური წარმოება ვარაუდს გამოთქვამს, თუმცა პირდაპირ ვერ განჭვრეტს სოციალური კვლავწარმოების შრომის დიდ ნაწილს. ცხოველქმნის უმეტესი ნაწილი კაპიტალისტური ღირებულების წარმოების უშუალო იმპერატივის მიღმა დროსა და სივრცეში, და შესაბამისად, უფროსების ზედამხედველობის და მათი საწარმოო კვოტებისა და მადისციპლინირებელი პრაქტიკების მიღმა ხდება. ეს საუკეთესოდ აღწერს ამ და მომავალი თაობის მუშათა კვლავწარმოების აუნაზღაურებელ სამუშაოს. თუმცა, ვინაიდან ასეთი სამუშაო *აუცილებელია* ნამატი ღირებულების რეალიზებისათვის და მას გადაჭარბებით ასრულებენ ისინი, ვინც კაპიტალმა უკვე მოისროლა ნაგავსაყრელზე, იგი უბრალოდ კაპიტალისტური პროცესებისა და დისციპლინის მიღმა ვერ იქნება. იგი დამოკიდებულია ღირებულების წარმოების რიტმსა და სიჩქარეზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირდაპირ არ ქმნის ღირებულებას; ცხოვრების რესურსები შეზღუდულია ხელფასებით (და საკრედიტო ლიმიტებით); ჭამის, ძილის, დავალებების შესრულებაში შვილის დახმარების, თამაშის და ა.შ. დრო დადგენილია ანაზღაურებადი სამუშაო დღის მიერ; სამსახურში საქმის კარგად შესრულების წნეხი ხშირად გადამწყვეტია, ადამიანი მთელი ღამე გასართობად წავა, თუ ჭერ სავარჯიშო დარბაზში წავა და შემდეგ სახლში, დასაძინებლად.

თუმცა, სოციალური კვლავწარმოების აუნაზღაურებელი სამუშაო საკმარისად „გარეგანია“ კაპიტალისათვის საიმისოდ, რომ ძალზედ მოქნილი იყოს. ასეთი სამუშაოს შესრულებისას, ბევრ ადამიანს შეუძლია, გარკვეულ დონეზე, უგულებელყოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს ბაზარს, რომელიც მათი ცხოვრების დისციპლინირებას ახდენს.¹⁶ მათ თავად შეუძლიათ, გადაწყვიტონ რამდენი დრო დაუთმონ სადილის მომზადებას ანდა დაესწრონ თუ არა სათემო შეხვედრას უსაფრთხო ინექციების სერვისთან დაკავშირებით, ნაცვლად მომდევნო დღეს სკოლაში წასაღები ლანჩის მომზადებისა. ანდა შეუძლიათ, რომ გვიანობამდე არ დაიძინონ და ამ ყველაფრის გაკეთება მოასწრონ. სამუშაოს შინაარსზე, ტემპსა და ვადებზე ამგვარი კონტროლი მკვეთრად ნაკლებად ხელმისაწვდომია სოციალურ კვლავწარმოებაში ანაზღაურებადი დასაქმებულებისთვის, რომლებიც კაპიტალისტური დაგროვების მადისციპლინირებელ ლოგიკას განსხვავებული ფორმებით ექვემდებარებიან. ხელფასის მქონე შინა მოსამსახურეები ზოგადად დაქირავებულები არიან არა მხოლოდ იმისთვის, რომ ოჯახში ყველაფერი გამართულად მუშაობდეს სოციალურად განპირობებული სტანდარტების მიხედვით, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალისათვის სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, არამედ მმართველი კლასის კვლავწარმოების ხელშესაწყობადაც. მათ გაცილებით ნაკლები ავტონომია აქვთ შინ მყოფ მშობლებთან შედარებით, ვინაიდან ისინი ანგარიშვალდებულები არიან დამსაქმებლის წინაშე, რომელსაც აქვს მოლოდინი, რომ ესა თუ ის საქმე გარკვეულ დროში შესრულდება. საჯარო სკოლის დარაჯების, მასწავლებლების, პერსონალური დამხმარეების, ექთნების და ა.შ. სამუშაოს კი, როგორც წესი, მკაცრად რეგულირებული სტანდარტები და გრაფიკები აქვს ისევე, როგორც ადგილზე მყოფ მენეჯერებსა და ანგარიშვალდებულების სტრუქტურებს კაპიტალისტური სახელმწიფოს წინაშე, რომელიც მათ ასაქმებს.

16 მათ, ვისი სოციალური კვლავწარმოების სივრცეები და ანაზღაურებადი შრომა ერთმანეთს კვეთს (ადგილზე მცხოვრები მომვლელები ან მიგრანტი მუშები, რომლებიც, მაგალითად, დამსაქმებლის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებლებში ცხოვრობენ), შესამჩნევად ნაკლები მოქნილობა აქვთ ამ კუთხით.

თუმცა, ამგვარ სამუშაოებზე კაპიტალისტური დომინაცია, ხშირად, ნაკლებად პირდაპირია კერძო სექტორთან შედარებით და შესაბამისად, შესაძლოა, ნაკლებად ინტენსიური იყოს. მაგალითად, განვიხილოთ სწავლება ჩრ. ამერიკაში საჯარო სექტორში. მე-19 საუკუნეში, ხშირად, მუშათა კლასის მოთხოვნების საპასუხოდ და სახელმწიფოს მხარდაჭერით დაარსებული დაბალი ასაკის ბავშვთა სკოლები კაპიტალის ჩართულობის გარეშე ჩნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები პასუხისმგებელნი იყვნენ მრევლის, მუნიციპალიტეტის ან ხელფასის გადამხდელი სხვა ხელისუფალის წინაშე, ისინი ზოგადად არ წარმოადგენდნენ კაპიტალისტური მართვის სტანდარტების და პროდუქტიულობის გაზრდის ტექნიკების სუბიექტებს. როგორც კი გაიზარდა განათლებული მუშახელის საჭიროება, სახელმწიფომ სკოლაში დასწრება სავალდებულო გახადა და ცდილობდა, რომ ეკონომიკის შრომითი მოთხოვნები სასწავლო გეგმის, შეფასებათა სისტემის, მასწავლებელთა გადამზადების და დისციპლინური პრაქტიკების გადაკეთებით დაეკმაყოფილებინა. ეს ზომები მიმართული იყო მასწავლებელთა ავტონომიურობის შემცირებისაკენ. თუმცა, მაინც რჩებოდა (და ახლაც არსებობს) გარკვეული ზღვარი, ისეთი მასშტაბით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასწავლებლების იძულება, გაეუმჯობესებინათ თავიანთი „შედეგები“ (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს მოცემულ კონტექსტში).¹⁷ ვინაიდან საჯარო განათლება კაპიტალისტური ღირებულების წარმოების სივრცისა და დროის „გარეთ“ არსებობს, მასწავლებლის საქმიანობაზე კაპიტალის დომინირება ყოველთვის გაშუალებულია სხვა სოციალური სამსახურების და – რაზეც სულ ცოტა ხანში ვისაუბრებ – ქვემოდან წამოსული წნეხის მეშვეობით.

უფრო ზოგადად, საჯარო სექტორში დასაქმებულები, რომლებიც ასწავლიან, კვებავენ, ზრუნავენ ან რაიმე სხვა ფორმით დახმარებას უწევენ ადამიანის ცხოვრების კვლავწარმოებას, ექვემდებარებიან – მეტნაკლები დოზით – დასაქმების ადგილზე ზედამხედველობას, წნეხს,

17 იხ. D.E. Mulcahy, D.G. Mulcahy and Roger Saul, eds., *Education in North America* (London: Bloomsbury, 2014).

რომ იმუშაონ უფრო ეფექტიანად, სამუშაოს შესრულების შეფასებას და სხვა მომწესრიგებელ ზომებს, რომლებიც კარგად არის ცნობილი მათთვის, ვინც ქარხნებში ან სწრაფი კვების ობიექტებში არიან დასაქმებულები. ისინი ხშირად ანგარიშს აბარებენ მმართველ საბჭოებს, რომლებიც დაკომპლექტებულია მმართველი კლასის წარმომადგენლების მიერ ანდა იმართებიან კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ მონოდებული რესურსებისა და პრიორიტეტებისკენ გადახდილი ბრძანებებით, ბიუროკრატიული ქსელების მეშვეობით. გარდა ამისა, უფრო და უფრო ინერგება ციფრული ტექნოლოგიები აღნიშნულ დასაქმების ადგილებზე, როგორც სამუშაო პროცესის დასაჩქარებლად, ისე თანამშრომელთა „პროდუქტიულობაზე“ საზედამხედველოდ.¹⁸ ანაზღაურებადი საჯარო სექტორის სოციალური კვლავწარმოების ყველა ეს ელემენტი დასაქმებულს აქცევს კაპიტალისტური დაგროვების ლოგიკის ფარგლებში და მუდმივად გადასწონის ცხოველქმნისა თუ ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილების ლოგიკას.

თუმცა, ინკორპორირების ხარისხი მკვეთრად მერყეობს *გუსტად იმის გამო, რომ ასეთი სამუშაო კაპიტალისტურად „არაპროდუქტიულია“*. განსაკუთრებით იმის გამო, რომ პროდუქტი სხვა ადამიანის სიცოცხლეა, სოციალური კვლავწარმოების სამუშაო მიდრეკილია სოციალურად ინტერაქტიული ბუნებისაკენ. მის „პროდუქტს“ შეუძლია, რომ პასუხი დაუბრუნოს და ასეც იქცევა, მოიქცეს ისე, რომ ხელი შეუწყოს ან ხელი შეუშალოს დასაქმებულის (და დასაქმებულის ზედამხედველის) მიზნებს. სტუდენტი, რომელსაც არ უჭამია ან არ სძინებია საკმარისი, ისე კარგად ვერ ისწავლის, როგორც ამას გააკეთებს ის, ვინც კარგადაც ჭამა და გამოძინებაც მოახერხა – მიუხედავად წნეხისა, რომელსაც მასწავლებელი მიმართავს უკეთესი ქულების დასაწერად. პაციენტი, რომელსაც გვემური ოპერაციის დროს ინფექცია განუვითარდება და საავადმყოფოში ერთი დღის მაგივრად, ერთი კვირა მოუწევს ყოფნა, უფრო მეტი მომსახურე

18 ამ საკითხის პოზიტიური შემოზღუდვების მაგალითისათვის, სადაც ტექნოლოგია მოხსენიებულია როგორც ეფექტიანობისა და ჩართულობის გამაუმჯობესებელი იხ. “Technology and the Workforce of the Future: The Future of Work in Healthcare,” Deloitte.com, www2.deloitte.com/us/en/pages/life-sciencesand-health-care/articles/healthcare-workforce-technology.html. უფრო კრიტიკული ხედვისთვის იხ. Eileen Boris and Rhacel Salazar Perrenas, eds., *Intimate Labors: Cultures, Technologies and the Politics of Care* (Stanford, CA: Stanford University Press, 2010).

პერსონალის უფრო მეტ ყურადღებას და მეტ ადმინისტრაციულ რესურსს მოითხოვს, ვიდრე ეს რიგით ჯანმრთელ ადამიანს სჭირდება.

ამგვარი სცენარები ილუსტრირებას ახდენენ იმ აზრისა, რომ სიცოცხლის წარმოება რეგულარულად მოითხოვს ცხოვრების კაპიტალთან ინკორპორირებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ხოლო, როდესაც მუშაობაში ჩაბმული დასაქმებულები „არაპროდუქტიულები“ არიან (და არ არიან დაქირავებულები კერძო, მოგებაზე ორიენტირებული კომპანიების მიერ), მათ უფრო მეტად შესწევთ ძალა და ზოგჯერ სხვა არჩევანი არც აქვთ, გარდა იმისა, რომ გადალახონ კაპიტალისტური იმპერატივები. ავტონომიის ხარისხიდან გამომდინარე, რომლითაც ისინი სარგებლობენ, მათ ისიც კი შეუძლიათ, რომ კაპიტალზე მეტად პრიორიტეტი ცხოვრებისეულ საჭიროებებს მიანიჭონ. მაგალითად, მასწავლებლები ხშირად გაერთობიან თავიანთ სტუდენტებთან ერთად და იზრუნებენ მათზე, არა იმიტომ, რომ სტუდენტებმა ტესტებში უკეთესი ქულები მიიღონ, არამედ იმიტომ, რომ დააკმაყოფილონ ყურადღების, გართობისა და სიყვარულის საჭიროებები, რომლებიც ბავშვებს აქვთ. პირად დამხმარედ დასაქმებულმა, რომელსაც ფულს უხდიან, რათა მოხუცებს ჩაცმაში დაეხმაროს, შესაძლოა, მეტი დრო დახარჯოს და თავის კლიენტს დაეხმაროს მაკიაჟის გაკეთებაში ან ოთახის დალაგებაში, იმავე მიზეზის გამო. რა თქმა უნდა, ამ დასაქმებულებმა, შესაძლოა, ამტობინონ, რომ იგნორირება გაუკეთონ აღნიშნულ საჭიროებებს ანდა არასათანადოდ იყვნენ მომზადებულნი მათ დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, აქ, მთავარი არსი ის არის, რომ მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული ზემოდან წამოსული წნეხები, რათა ააჩქარონ ან ითაღლითონ ცხოველქმნის პროცესებში, საჭარო სექტორის სოციალურ კვლავწარმოებაში დასაქმებულები ამ წნეხის საპირისპიროდ რომ მოიქცნენ, ქვემოდან გრძნობენ: ისინი პირისპირ ეჩხებიან და განიხილავენ იმ ადამიანთა საჭიროებებს, რომელთაც ეხმარებიან კვლავწარმოებაში, რაც მათი ყოველდღიური სამუშაოს ნაწილია. და, ამ პროცესში, მათ შეუძლიათ, დაამყარონ კავშირები სხვებთან, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ გაუცხოების ტენდენციებს, ემოციურად და ინტელექტუ-

ალურად იხარჯებიან თავიანთ სამუშაოსა და თავიანთი შრომის „პროდუქტში“ – მიუხედავად იმისა, რომ ჩაფლულნი არიან კაპიტალისტურ ურთიერთობებში, მენეჯმენტისა და/თუ ტექნოლოგიების მომწესრიგებელი წნეხების სანინაალმდეგოდ.¹⁹

კიდევ ერთხელ რომ გავიმეოროთ, ვინაიდან ასეთი დასაქმებულები ქმნიან სიცოცხლეს და არა ღირებულებას (მიუხედავად ანაზღაურებადი სამუშაოს მომწესრიგებელი რეჟიმისა), შეუძლებელია, რომ კაპიტალისტურად გავზომოთ მათი ნამუშევარი. Google-ისა და Amazon-ისაგან განსხვავებით, რომლებიც დამოკიდებულები არიან საბაზრო გაყიდვებზე, რათა განსაზღვრონ თავიანთი სამუშაო ძალის პროდუქტიულობა (და, შესაბამისად, პროდუქტიულობის სტანდარტი, რომელიც უნდა დაინერგოს), სკოლის საბჭოების ნდობით აღჭურვილ პირებს არ გააჩნიათ არავითარი სანდო, ობიექტური საზომი იმის გადასაწყვეტად, თუ რა მოცულობის ცოდნა აითვისა ბავშვმა. მათ შეუძლიათ ისწრაფოდნენ შემდეგისაკენ (და ასეც იქცევიან) – შეადარონ სტანდარტიზებული ტესტების ქულები და სკოლიდან გარიცხვის მაჩვენებლები. და ბაზრის ამ „წარმომადგენლებს“ იყენებენ მასწავლებელთა დისციპლინირებისათვის. ანალოგიურად, საავადმყოფოს მენეჯმენტს შეუძლია, გამოიყენოს ქრონომეტრაჟები, რათა დაარეგულიროს სანიტრების მიერ პაციენტთა დაბანვის, ან კაფეტერიის თანამშრომლების მიერ საკვების მიწოდების პროცესი. ასეთი პრაქტიკები ხელს უწყობს დასაქმებულების კაპიტალისტურ იმპერატივებში ინკორპორირებას – თუმცა, არა სიხისტისა და სიზუსტის იმ დოზით, როგორც ეს „პროდუქტიულ“ სექტორშია, ვინაიდან პროდუქტის ცხოვრებას არ გააჩნია კაპიტალისტური ღირებულება.²⁰

შრომის ფორმების ეს, მართლაც რომ სქემატური ტაქსონომია, არ გახლავთ საბოლოო სიტყვა ინკორპორირებასა და შრომის სოცი-

19 ურსულა ჰიუესი გამოხატავს ამ პოზიციას კაპიტალისტურად „პროდუქტიულ“ შრომაზე შემოქმედებით ინდუსტრიებშიც. იხ. მისი *Labor in the Global Digital Economy: The Cybertariat Comes of Age* (New York: Monthly Review Press, 2014).

20 იმის საუკეთესოდ საჩვენებლად, თუ როგორ იქნა ასეთი პროქსების უმაღლესი განათლების სექტორში გამოყენება იხ. Eric Newstadt, *The Value of Quality: Capital, Class, and Quality Assessment in the Re-making of Higher Education in the United States, the United Kingdom, and Ontario*, PhD Dissertation, York University, Toronto (December 23, 2013)

ალურ ფორმებთან დაკავშირებით. სოციალური კვლავწარმოების ფემინიზმის პერსპექტივიდან, ამ საკითხზე კვლევა ნამდვილად იშვიათია. აქ, ჩემი მიზანი უბრალოდ იმის ჩვენებაა, თუ რატომ მიიჩნევს დაჟინებით მარქსისტული სკოლა, რომ კაპიტალისტური ინკორპორირება არ არის ტოტალური პროცესი და როგორ შეიძლება ამ პერსპექტივის გაგება, სოციალური კვლავწარმოების „არაპროდუქტიულ“ შრომასა და კაპიტალისტური ურთიერთობების ფარგლებში „პროდუქტიულ“ შრომას შორის დიფერენციაციასთან კავშირში. სამუშაოში შესაძლოა არსებობდეს ტოტალურობის ტენდენცია, თუმცა კონკრეტული ტიპის შრომა ვერასდროს იქნება ბოლომდე იდენტური მისი აბსტრაქტული ფორმისა, და მათ შორის განსხვავება ზოგადად უფრო გაიზრდება, როდესაც ღირებულების იმპერატივების პირდაპირი დაწესება შეუძლებელი იქნება.²¹ მხოლოდ და მხოლოდ ღირებულების შექმნის პროცესში „პროდუქტიული“ და „არაპროდუქტიული“ შრომის – და მათ შორის წინააღმდეგობების – თანაარსებობაზე ხაზგასმით არის შესაძლებელი, რომ გავიაზროთ როგორ შეუძლია ყველა დასაქმებულს (იმის მიუხედავად, სამუშაო ძალის კვლავწარმოებას ახდენენ თუ კაპიტალისტურ საქონელს ქმნიან), რომ წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალიზმის მიერ ცხოვრების უმოწყალო დეგრადაციას, მიუხედავად ყოველდღიურად კაპიტალიზმის დაქვემდებარებაში ყოფნისა.

და სწორედ ამიტომ აქვს პოლიტიკურად მნიშვნელობა თეორიასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას. აქ აღწერილმა თეორიულმა უთანხმოებებმა ავტონომისტი მარქსისტი ფემინისტები იქამდე მიიყვანა, რომ წინააღმდეგობის შესაძლებლობების კონცეპტუალიზება მოეხდინათ, როგორც კაპიტალისტური ურთიერთობების მიღმა ან გარეთ არსებული, კაპიტალიზმის ალტერნატიული სივრცეების შექმნა. ნაცვლად ამისა, მარქსისტული სკოლა აკვირდება ბრძოლებს სისტემის შიგნიდან გასატეხად. სხვა დანარჩენთან ერთად, ეს მოითხოვს განახლებული სოციალური კვლავწარმოების ფემინიზმის პერსპექტივის ჩავვრის საწინააღმდეგო პოლიტიკის მოხაზვასა და განვითარების გაგრძელებას, სხვადასხვა საზოგადოებასა და დასაქმების

21 See McNally, “Dual Form.”

ადგილებთან დაკავშირებულ მოძრაობებს შორის სოლიდარობების გასაერთიანებლად და გასაძლიერებლად. თეორიულ და პოლიტიკურ განსხვავებებს შორის კავშირების ძიებასთან ერთად, შემდეგი ქვეთავი გვთავაზობს, რომ ავტონომისტი მარქსისტი ფემინისტების სტრატეგიული ფოკუსი კაპიტალიზმის ალტერნატივების აშენებაზე კარგავს მდიდარ პოლიტიკურ ნიადაგს. იგი ვერ ახერხებს, რომ სათანადო ყურადღება გაამახვილოს მასობრივი მოძრაობების შენების პოტენციალზე პროდუქტიულ და კვლავწარმოების სექტორებს შორის, ცხოველქმნის ახალი გზების შესაქმნელად, კაპიტალთან საკუთარ ტერიტორიაზე დაპირისპირების პარალელურად.

თეორიიდან პოლიტიკამდე: სოციალური კვლავწარმოების ფემინისტური სტრატეგიები

აქ განხილული ორივე მიდგომა გულისხმობს, რომ ვინაიდან სამუშაო ძალის კვლავწარმოება, ამავე დროს, ცხოვრების კვლავწარმოებაცაა, ყოველთვის შესაძლებელია და ზოგჯერ სასიცოცხლო ძალებისთვის აუცილებელიც კი, რომ კაპიტალის ძალებისადმი წინააღმდეგ იყვნენ განწყობილები. როგორც ფედერიცი წერს:

„სამუშაო ძალის“ კვლავწარმოებაზე ხაზგასმა ცხადყოფს კვლავწარმოების სამუშაოს ორმაგ ბუნებას და მისთვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობას, და ამდენად, აღნიშნული სამუშაოს არასტაბილურ, პოტენციურად საშიანო ხასიათს. რამდენადაც სამუშაო ძალა შეიძლება მხოლოდ ცოცხალ ინდივიდებში არსებობდეს, მისი კვლავწარმოება ერთდროულად უნდა ახდენდეს სასურველი ადამიანური თვისებებისა და შესაძლებლობების წარმოებასა და ვალორიზაციას და გარედან შემოტანილი დასაქმების ბაზრის სტანდარტების დანერგვას.²²

22 Federici, Revolution, 99.

ეს „სასურველი ადამიანური თვისებები და შესაძლებლობები“ „პრაქტიკული ადამიანური საქმიანობის“ მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ახალი საზოგადოებები – საზოგადოებები, რომლებიც მოგებაზე წინ ადამიანთა საჭიროებებს დააყენებს. ავტონომისტური მარქსისტული ფემინიზმი და მარქსისტული სკოლა იმაზეც თანხმდებიან, რომ სოციალური კვლავწარმოების გაფიცვა გადამწყვეტ როლს თამაშობს კაპიტალისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და ახალი საზოგადოებების ჩამოყალიბებაში. ის, რითაც ისინი განსხვავდებიან, არის სოციალური კვლავწარმოების გაფიცვის კონცეფცია – რა არის ზუსტად საჭირო სასიცოცხლო ძალების მობილიზებისათვის კაპიტალის ძალაუფლების შესაკავებლად, რომელიც „დასაქმების ბაზრის სტანდარტებს“ წერგავს.

ფედერიჩი სათავეში ედგა ახალი პოლიტიკური ხედვის განვითარებას, რომელიც ემყარებოდა უარის თქმის თეორიასა და პოლიტიკას, რომელიც ინფორმაციული თვალსაზრისით საფუძვლად ედო WfH კამპანიას. 2008 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში იგი გამოდის „კვლავწარმოებისათვის კოლექტიური ბრძოლის განახლების“ მოწოდებით, რომლის მეშვეობითაც მშრომელები დაამყარებენ კონტროლს „ჩვენი კვლავწარმოების მატერიალურ პირობებზე და შექმნიან თანამშრომლობის ახალ ფორმებს აღნიშნულ საქმიანობაში, კაპიტალისა და ბაზრის ლოგიკის სამღვრებს მიღმა“.²³ იგი მხარს უჭერს კოლექტიური სივრცეების გამოყოფას, რომლებზეც კაპიტალს ხელი არ მიუწვდება და სადაც ადამიანები თავიანთი თავების და თავიანთი საზოგადოებების სოციალურ კვლავწარმოებას შეძლებენ. როგორც კი კაპიტალიზმს თავს დააღწევენ, მისი მტკიცებით, შესაძლებელი იქნება ახალი, კოლექტიური ცხოვრებისა და წარმოების გზების შექმნა.

ფედერიჩის მხედველობაში აქვს კომუნალური სამზარეულოები, ფერმები და მიწათსარგებლობა (ლათინურ ამერიკაში არსებული ინიციატივების მაგალითებზე), ისევე, როგორც ალტერნატიული საბაზრო ვაჭრობის სისტემები ჯანდაცვის, ბავშვთა დაცვისა და სხვა სოციალუ-

23 იქვე, 111, მახვილი დამატებული აქვს.

რი სერვისების სფეროებში. ეს გახლავთ „კოოპერატიული ფორმის კვლავწარმოება, [რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს] თავი ირჩინონ, მიუხედავად მათი განსაკუთრებულად შეზღუდული წვდომისა მონეტარულ შემოსავალზე“.²⁴ იგი სიფრთხილით ეკიდება, რომ უბრალოდ ნებისმიერ კოოპერატიულ წამოწყებას არ გამოუცხადოს თანადგომა. ამისათვის, 2014 წელს ჯორჯ კაფენტისთან ერთად დაწერილ სტატიაში იგი შეიმუშავებს და აღწერს *რევოლუციური* საჯარო სიკეთის ცნებას. საჯარო სიკეთის რევოლუციური ცნება არამხოლოდ კაპიტალიზმის ლოგიკას უარყოფს, არამედ ასევე ფუნქციონირებს „ჩვენი სოციალური ურთიერთობების გარდასაქმნელად და ქმნის კაპიტალიზმის ალტერნატივას.“ დასასრულ, ავტორები გამოყოფენ 6 პოლიტიკურ და ლოჯისტიკურ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს „კაპიტალიზმის წინააღმდეგ და მის მიღმა არსებულ საჯარო სიკეთეს“, რომელიც აფუძნებს პოსტკაპიტალისტური ურთიერთობების წყებას.²⁵

კათი უიკსიც კაპიტალის საზღვრების გარღვევის მსგავს ვერსიას ავითარებს, თუმცა ამის მისაღწევად, გარკვეულწილად, განსხვავებულ გზებს გვთავაზობს. უიკსი ეთანხმება მარქსის ჟან ბოდრიარისეულ კრიტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები ფუნდამენტურად მწარმოებელი არსებები არიან. იგი აღნიშნავს, რომ როგორც „აბსტრაქტული შრომის პრაქტიკული და იდეოლოგიური პოზიცია ... [ეს მტკიცებაც] წარმოადგენს მითს, რომელიც გაშინანგებული აქვს მომუშავე საზოგადოებას, რომელიც, საბოლოო ჯამში, აძლიერებს მას“, ანდა კაპიტალიზმს. რამდენადაც მარქსისტული და სოციალისტ-ფემინისტური პოლიტიკა ამ მსგავსი წინაპირობით იწყება, ისინი მსგავს „პროდუქტივისტულ ტენდენციებს“ ამჟღავნებენ. აუნაზღაურებელი შრომისა და ზრუნვის ხელახალი შეფასებისას, სოციალისტ-ფემინისტ-

24 Matthew Carlin and Silvia Federici, “The Exploitation of Women, Social Reproduction, and the Struggle Against Global Capital,” *Theory & Event* (January 2014), https://www.researchgate.net/publication/303289331_The_Exploitation_of_Women_Social_Reproduction_and_the_Struggle_against_Global_Capital: 2.

25 George Caffentzis and Silvia Federici, “Commons Against and Beyond Capitalism,” *Community Development Journal* 49, no. 51 (January 2014): 92–105, 100.

ტები „იმეორებენ მუშაობის მორალურ სიკეთეებთან დაკავშირებულ იმავე იდეებს,“ რასაც კაპიტალიზმი ეყრდნობა. კაპიტალისადმი წინააღმდეგობა, აღნიშნავს უიკსი, მოითხოვს, რომ მოძრაობებმა უარი თქვან მუშაობაზე – რომ მათ კოლექტიურად თქვან უარი ცხოვრებაზე მუშაობის გაბატონებაზე და ნაცვლად ამისა, განავითარონ „სოციალური შრომის შემოქმედებითი ძალების“ შესაძლებლობები.²⁶

უიკსს ასეთი პოლიტიკის მაგალითად მოჰყავს უნივერსალური საბაზო შემოსავლის კამპანია. ღირსეული, უპირობოდ გარანტირებული შემოსავალი, მისი მოსაზრებით, შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, რომ უარი თქვან ანაზღაურებად სამუშაოზე, ხოლო დამსაქმებლებს აიძულებს, რომ გაზარდონ ხელფასები და „შექმნან პირობები სიამოვნებისა და შემოქმედებითობისათვის წარმოების ეკონომიკური სფეროს მიღმა“, მათ შორის, „სოციალურობის, ზრუნვისა და ინტიმურობისათვის ურთიერთობების ხელახლა გამოგონებისა და აღმოჩენისათვის“.²⁷ ასეთი პრეფიგურატიული ურთიერთობები, თავისი არსით, წარმოადგენს არა საბოლოო მიზანს, არამედ საშუალებას იმის გასააზრებლად, თუ როგორ არის გაბატონებული მუშაობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში და როგორ არის მუშაობა ორგანიზებული შრომის გენდერული დანაწილებისა და ოჯახების ნატურალიზაციის მეშვეობით. უნივერსალური საბაზო შემოსავლის მოთხოვნა, WfH კამპანიის მსგავსად, გარდა თავის მხრივ, მოთხოვნისა, ჩაფიქრებულია როგორც გარკვეული „პერსპექტივა და პროვოკაცია“.²⁸

26 Weeks, Problem with Work, 90, 25, 158. ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების „პროდუქტივისტულ“ კონცეფციასთან დაკავშირებულ საკითხს უიკსი პირველ თავში ავითარებს.

27 იქვე., 103, მახვილი დამატებულია, 168. მიუხედავად იმისა, რომ უიკსი მხარს უჭერს „საკმარისი ოდენობის, უპირობო და განრგძობითი“ (138) უნივერსალური საბაზო შემოსავლის მოთხოვნას, ეს არ ანაცვლებს არსებულ სოციალურ სერვისებს. ჯონ კლარკი ამტკიცებს, რომ არცერთი დღევანდელი მთავრობა არ გაატარებს ასეთ პოლიტიკას და მემარცხენეების მიერ უნივერსალური საყოველთაო შემოსავლის მოწონება ნიშნავს ნეოლიბერალური დღის წესრიგისათვის ლეგიტიმაციის მინიჭებას, რომელიც უნივერსალურ საბაზო შემოსავალს გამოიყენებს სოციალურ სერვისებში ჩადებული ფულის უკან დასაბრუნებლად და სახელმწიფო ვალდებულებების ინდივიდებზე გადასატანად. იხ. John Clarke, Basic Income in the Neo-liberal Age (Toronto: Socialist Project, 2017).

28 Weeks, Problem with Work, 149.

გემოთ მოყვანილ მიმოხილვაში ორი მნიშვნელოვანი ანალიტიკური მიმართულების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოტოვებულია. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ იგი იძლევა კონტექსტის გაგების შესაძლებლობას, კავშირების დასანახად მათ პოლიტიკურ შეთავაზებებსა და იმ თეორიებს შორის, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან. ფედერიჩიკა და უიკსიც მხარს უჭერენ კაპიტალიზმის ალტერნატივის შექმნას როგორც რევოლუციურ გზას და მას აღიქვამენ როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის სივრცეებს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ პრეფიგურატიული ურთიერთობების დამყარება, რომელიც კაპიტალზე წინ ადამიანთა ცხოვრებისეულ საჭიროებებს აყენებს. ალტერნატიული ღირებულებების მქონე საზოგადოებებისა და ინიციატივების გააზრებული განვითარებით, ადამიანები აცნობიერებენ საკუთარი თავის, როგორც სამყაროს შემქმნელების აგენტობას და ავითარებენ ერთმანეთთან და მათ მიერ ნაწარმოებ საგნებთან არაგაუცხოებულ ურთიერთობების გზებს. ასეთი ალტერნატივები უნდა შეიქმნას კაპიტალის მიღმა ან მის წინააღმდეგ, ვინაიდან კაპიტალიზმი ტოტალური სისტემაა, რომელიც სპობს ყოველგვარ განსხვავებას კაპიტალისტურად „პროდუქტიულ“ და „არაპროდუქტიულ“ შრომას შორის. იმისათვის, რათა პროდუქციის მოხმარების ღირებულება გახდეს დომინანტი – ანუ წარმოება სიცოცხლეს ემსახურებოდეს და არა კაპიტალს – დასაქმებულები უნდა გაეცნენ კაპიტალისტურ ურთიერთობებს და თავიანთი შრომის ორგანიზება მოახდინონ კოოპერაციის რევოლუციური პრინციპების მიხედვით.

ასეთია გაფიცვის თუ მუშაობაზე უარის თქმის არსი, ავტონომისტ მარქსისტ-ფემინისტთა მიხედვით. იგი გულისხმობს კაპიტალისტურ სისტემაზე უარის თქმას და ახალი, უკლასო ეკონომიკური სისტემის განვითარებას. იგი გვთავაზობს სცენარს, სადაც კაპიტალისადმი წინააღმდეგობა თანდათანობით და კუმულატიურად ხდება, სადაც უფრო და უფრო მეტ ადამიანს უჩნდება ცხოვრებასა თუ საქმიანობაში კაპიტალისადმი წინააღმდეგობის განევის სურვილი. კაპიტალიზმის საპირისპირო ძალა აღმოცენდება, ვინაიდან რევოლუციური საჭარო სიკვითის მხარდამჭერები უფრო და უფრო მეტ კონტროლს ამყარებენ თავიანთი სოციალური კვლავწარმოების პირობებზე და ახალისებენ

არსებობის ალტერნატიულ გზებს, რომლებიც ეწინააღმდეგება „მუშაობის საზოგადოებას“. სწორედ აქ, კაპიტალიზმის „მიღმა“ არსებულ საზოგადოებებსა და ინიციატივებში ახერხებენ წევრები „სოციალური შრომის შემოქმედებითი ძალაუფლების“ პოვნასა და განვითარებას.

სოციალური კვლავწარმოების გაფიცვა მარქსისტული სკოლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „მანიფესტში“, რომელიც ბოლო დროს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრავალი გაფიცვისთვის საფუძვლად დადებული პოლიტიკური პერსპექტივის ასახსნელად და გასავითარებლად დაიწერა, ჩინზია არუცა, ტითი ბჰატაჩარია და ნენსი ფრეიზერი გვთავაზობენ არგუმენტაციას, რომელიც ეხმიანება ავტონომისტ მარქსისტ-ფემინისტთა პოზიციას: „საოჯახო საქმეზე, სექსზე, ღიმილსა და სხვა ტიპის გენდერიზებული უჩინარ შრომაზე უარის თქმით, [გაფიცულ ქალებს] სააშკარაოზე გამოაქვთ შეუცვლელი როლი, რომელსაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალური კვლავწარმოების ქმედებები ასრულებს“. გაფიცვა აფართოებს ჩვენს წარმოდგენას იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ინარჩუნებს კაპიტალიზმს – აქედან გამომდინარე, ვის მოიცავს „მუშათა კლასი“ – და ამავე დროს, მას „სააშკარაოზე გამოაქვს „სამუშაო ადგილისა“ და „სოციალური ცხოვრების“ განუყოფლობა“. უიკსისა და ფედერიჩის მსგავსად, არუცა, ბჰატაჩარია და ფრეიზერიც ამტკიცებენ, რომ სოციალური კვლავწარმოების გაფიცვა შემოქმედებითობის სივრცეა; სივრცე, სადაც „შეუძლებლის“ მოთხოვნა შესაძლებელია და უნდა მოითხოვებოდეს კიდევ.²⁹

ამგვარად, ორივე პოლიტიკური პერსპექტივისათვის სოციალური კვლავწარმოების გაფიცვა მძლავრი იარაღია კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა მარქსისტული სკოლა ავტონომისტ მარქსისტ-ფემინისტებს შორდება განმარტების გაკეთებისას, თუ რისგან შედგება გაფიცვა და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კონცეპტუალიზაციისას, თუ როგორ ხდება გაფიცვა საფრთხე კაპიტალისათვის. ნიგნის, *ფემინიზმი 99%-ისთვის: მანიფესტის*, ავტორებისთვის გაფიცვა

29 Arruzza et al., *Feminism*, Thesis 1.

არ არის კაპიტალისტურ ურთიერთობებზე უარის თქმის ერთადერთი ან მთავარი საშუალება. რა თქმა უნდა, ბევრი ანტიკაპიტალისტური ბანაკი, პროფესია თუ კომუნალური სამზარეულო, რომელთაც ფედერირი ახსენებს, წარმოადგენენ სოციალური კვლავწარმოების გაფიცვის მაგალითებს, რომელსაც ამ პერსპექტივის თანახმად, მხარი უნდა დავუჭირო. თუმცა, მარქსისტული სკოლისთვის ასეთივე მაგალითია ბევრი ანტიკაპიტალისტური სოციალური მოძრაობა, რომელიც ისე უყენებს სახელმწიფოს მოთხოვნებს, რომ თვითონ არ მონაწილეობს მუშათა პროდუქციის თუ სავაჭრო კოოპერატივების შექმნაში. ისევე როგორც საჯარო სექტორში დასაქმებული სოციალური კვლავწარმოების მუშაკთა ბუნებები და ძალისმიერი პროტესტები. *მანიფესტი* მიესალმება, მაგალითად, დასაქმების ადგილას ან სათემო პროტესტებს უკეთესი განათლების, ჯანდაცვის, საცხოვრებლის, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის მოთხოვნით. ამასთანავე, იგი წინ წამოსწევს ასეთ ბრძოლებს შორის სოლიდარობის გაჩენის მნიშვნელობასაც.

ამ გაფიცვებიდან ბევრი არ ამბობს უარს მუშაობაზე იმ გაგებით, რა გაგებითაც ამას ფედერირი და უიკსი განიხილავენ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აცხადებენ პრეტენზიას (კვლავ)წარმოების პირობების დემოკრატიულ და კოლექტიურ კონტროლზე. ისინი არიან მაგალითი იმ ხალხისა, ვინც კოლექტიურად დაჟინებით მოითხოვს მოგებაზე წინ ადამიანთა საჭიროების დაყენებას, სოციალური კვლავწარმოების რესურსების გაზრდის მოთხოვნის მეშვეობით – ანუ, ვინც ცდილობს, რომ კაპიტალიზმს ხელიდან გამოსტაცოს სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, მარქსისტული სკოლისთვის გაფიცვა კაპიტალიზმის წინააღმდეგ კოლექტივის ბრძოლის მომენტი. იგი იმდენად კაპიტალის ალტერნატივის შექმნას ან მისი საზღვრებიდან გასვლა არ ემსახურება, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია და ხშირად უწყობს კიდევ ხელს შემოქმედებითობას და სოციალურ კავშირებს, რომელთა წარმოშობაც რევოლუციურ კოოპერატივებს შეუძლიათ (ამ მოსაზრებას კიდევ დავუბრუნდები). უფრო მეტად, ეს გაფიცვები ფუნდამენტურად მასობრივი მოძრაობის შექმნას შეეხება, რომელიც შეძლებს, რომ კაპიტალი თავისავე ტერიტორიაზე გამოიწვიოს ბრძოლაში.

აღნიშნული ტერიტორია კაპიტალისა და კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ არის ორგანიზებული. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმის შესანარჩუნებლად ორივე ფორმის შრომა აუცილებელი, ამ პერსპექტივის თანახმად, „პროდუქტიული“ შრომა იგივენაირად არ მიემართება კაპიტალს, როგორც „არაპროდუქტიული“ შრომა. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ კონვენციური სამუშაო ადგილზე დაწყებული გაფიცვები კაპიტალისტურად „პროდუქტიულ“ ინდუსტრიებში კრიტიკული მნიშვნელობისაა ნებისმიერი ანტიკაპიტალისტური მოძრაობისთვის. შეუძლებელია, რომ მმართველ კლასს სათანადოდ შეუქმნა საფრთხე, წინააღმდეგობის მხოლოდ და მხოლოდ სოციალური კვლავნარმოების შრომის გაფიცვების გარშემო ორგანიზებით. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ სოციალური კვლავნარმოების შრომა კაპიტალისტურად „პროდუქტიული“ შრომა არ არის და დიდწილად სახელმწიფოს მიერ იმართება, კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლამ ასევე უნდა მოიცვას სახელმწიფოც – სოციალური კვლავნარმოების ანაზღაურებადი თუ აუნაზღაურებელი შრომის ადგილებში კაპიტალის ნაცვლად ცხოვრებისთვის პრიორიტეტის მინიჭების მოთხოვნის მცდელობებით.³⁰

მარქსისტული სკოლა უბრალოდ ანტიკაპიტალისტური ბრძოლის მრავალ ფრონტზე განვითარების საჭიროებას კი არ ავლენს, არამედ პრიორიტეტს ანიჭებს ამ ფრონტებს შორის კავშირების გაბმასაც. პრაქტიკაში, ეს დასაქმების ადგილზე დაწყებული გაფიცვებისთვის ნიშნავს, რომ გამოძებნოს გზები ჩაგვრის საწინააღმდეგო პოლიტიკების ინკორპორირებისათვის, ხოლო ჩაგვრის საწინააღმდეგო გაფიცვებმა კი – დასაქმების ადგილთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებისათვის. ასეთი ჯვარედინი დამტკვერვის მაგალითია

30 აშშ-ში მასწავლებელთა გაფიცვების ბოლოდროინდელი ტალღის მოშველიებით, ქეით დოილ გრიფითსი ამტკიცებს, რომ ანაზღაურებადი სოციალური კვლავნარმოების სამუშაოს ზოგიერთი ადგილი წარმოადგენს კაპიტალისადმი წინააღმდეგობის „მოგუდვის წერტილებს“ იმავე მიზეზით, რა მიზეზებითაც კიმ მუდი ამტკიცებს, რომ ასეთი წერტილებია კაპიტალისტურად „პროდუქტიული“ ლოკისტიკის ინდუსტრია. იხ. Griffiths, “Queer Workers, Social Reproduction and Left Strategy” (November 19, 2018), www.patreon.com/posts/queer-workers-22819890; and Moody, *On New Terrain: How Capital is Reshaping the Battleground of Class War* (Chicago: Haymarket, 2017).

მოძრაობა Black Lives Matter-ის ორგანიზება კენტუკელ მასწავლებლებთან ერთად, სახელმწიფოს რასისტული ე.წ. ბანდების ბილისთვის (HB 169) გაფიცვის ფარგლებში წინააღმდეგობის გასაწევად.³¹ ანდა New York Teamsters-თა ტრანსფორმაცია „სამალავ პროფკავშირად“, რომელიც თავის წევრებს იცავს საემიგრაციო სამსახურების მიერ დაპატიმრებისა და დევორტაციისგან.³² ანტიკაპიტალისტურ ბრძოლებში ჩართვით როგორც კაპიტალისტური სოციალური ურთიერთობების „შიგნით“, ისე „გარეთ“, გაფიცვებს შეუძლია არა მხოლოდ „ზოგიერთის ნაწილობრივი დაცვა, კაპიტალის შინაგანი ტენდენციისაგან, მოახდინოს სოციალური კვლავწარმოების ბარბაროსული ძარცვა“,³³ არამედ ასევე შეუძლიათ – და ეს არის ის საკითხი, რომლის ცხადად ჩამოყალიბებასაც ავტონომისტი მარქსისტი ფემინისტები თეორიულ მსჯელობაში ვერ ახერხებენ – შექმნან ბრძოლის ალტერნატიული საზოგადოებები, სადაც სოლიდარობის ხილებია გადებული და სადაც გაფიცვები ავითარებენ შემოქმედებით გზებს ადამიანთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ანუ, სულაც არ არის საჭირო, რომ გაფიცვები რევოლუციური საჭარო სიკეთის როლს ასრულებდეს საიმისოდ, რომ ცხოველქმნის ორგანიზების ალტერნატიული გზების მოდელირება მოახდინოს. კაპიტალისტური სუბიექტურობის გაუცხოებისა და იზოლაციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, შემოქმედებითი ენერგიის და უკეთესი სამყაროს აშენებისა და სოციალური კავშირების გაბმის შესახებ იდეების გამოთავისუფლების პოტენციალი ჩადებულია თავად ორგანიზების აქტში, სხვებთან ერთად მუშაობისა და ცხოვრების პირობების კონტროლის გასაუმჯობესებლად. ამის საუკეთესო მაგალითია ალბათ განათლების სფეროს მუშაკთა გაფიცვების ტალღა, რომელმაც აშშ-ს 2018 წელს გადაუარა. დასავლეთ ვირჯინიაში, არიზონასა და ოკლაჰომაში გაფიცვის მოძრაობებიდან ასზე

31 Tithi Bhattacharya, "Why the Teachers' Revolt Must Confront Racism Head On," Dissent (May 1, 2018), www.dissentmagazine.org/online_articles/why-teachers-strikes-must-confront-racism.

32 Ginger Adams Otis, "N.Y. Teamsters for 'Sanctuary Union' to Fight ICE Agents," Daily News (February 10, 2018), www.nydailynews.com/new-york/n-y-teamsters-form-sanctuary-union-fight-ice-agents-article-1.3813201.

33 Arruzza et al., *Feminism*, Postface 1.

მეტ ადამიანთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ერიკ ბლანკი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გაფიცვები „საფუძვლიანად ტრანსფორმირდა“ მათი მონაწილეობის მეშვეობით.³⁴ მათ მოახერხეს ახალი კავშირების გაბმა თავიანთ ისეთ თანამშრომლებთან, რომელთაც თითქმის არ იცნობდნენ და ძალიან ცოტა რამ ჰქონდათ საერთო კულტურულად თუ იდეოლოგიურად; ისინი ერთად სახავდნენ სტრატეგიებს, ერთად ეკავათ პლაკატები, იზიარებდნენ საკვებს, სკანდირებდნენ, მღეროდნენ და ერთად ათევდნენ ღამეებს ღია ცის ქვეშ საკანონმდებლო ორგანოებთან; ისინი ერთად განიცდიდნენ იმედგაცრუების წუთებს, დებატებს, დამარცხებებს და გამარჯვების კიდევ უფრო მასშტაბურ მომენტებს. ისინი ახლებურად შეუკავშირდნენ იმ საზოგადოებებს, სადაც მუშაობდნენ, როდესაც გამგლელები მხარდაჭერის ნიშნად უსიგნალებდნენ და ხელს უქნევდნენ, ხოლო სრულიად უცხო ადამიანები, როდესაც მათ ადვილად საცნობი წითელი მაისურებით ამოიცნობდნენ, სასურსათო მაღაზიებში მიდიოდნენ მათთან და მადლობებს უხდიდნენ მათი საქმიანობისთვის, ხოლო სტუდენტები და მათი მშობლები მათ წინა ხაზებში უერთდებოდნენ სოლიდარობის ნიშნად. არიზონელი მასწავლებლის, ნოა კარველის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელთან ინტერვიუც ბლანკმა ჩაწერა:

მას შემდეგ, რაც გაფიცვები დაიწყო, ერთგვარი სოლიდარობის განცდა გაჩნდა, რაც მანამდე არ არსებობდა. როდესაც სკოლაში მიდიხარ და ყველა შენს კოლეგას წითელში გამოწყობილს ხედავ, ეს ნიშნავს, რომ ამბობ, „მე შენთან ვარ, შენს გვერდით ვარ“. ძნელია ამ გრძნობის ერთიანად აღწერა. ადრე, სკოლაში მიდიოდი, აკეთებდი შენს საქმეს და მერე სახლში ბრუნდებოდი. ახლა კი, თუკი რაიმე პრობლემაა, ჩვენ მივდივართ და ვცდილობთ რაღაც მოვიფიქროთ, იმიტომ, რომ ამ ბრძოლაში ყველა ერთად ვართ. ეს არ ნიშნავს, რომ უბრალოდ ბევრი ადამიანი დამეგობრდა პირად დონეზე – ჩვენ დავინახეთ, რომ გვაქვს ძალა.“³⁵

34 Eric Blanc, *Red State Revolt: The Teachers' Strikes and Working-Class Politics* (London: Verso, 2019), 3.

35 იქვე, 41.

ასეთი სოლიდარობა რაღაც სასწაულის ძალით არ ჩნდება. ის უნდა აშენდეს. გაფიცულები დანაწევრებულები იყვნენ ჩვეული სოციალური განხეთქილებების გამო. ყველა მასწავლებელი არ იყო პროფკავშირების წევრი და მათი უმეტესობა თეთრკანიანი იყო. ისინი განსხვავდებოდნენ პოლიტიკური სიმპათიების, რელიგიური კავშირების და შემოსავლის ნიშნით (დასავლეთ ვირჯინიაში, გაფიცვას ასევე შეუერთდნენ ავტობუსის მძღოლები, კაფეტერიის მზარეულები, დარაჯები და სხვა დამხმარე პერსონალი). მეტიც, საჯარო სექტორში დასაქმებული სოციალური კვლავწარმოების მუშაკების გაფიცვა ქმნიდა დაპირისპირების საფრთხეს მათსა და იმ საზოგადოებას შორის, ვისაც ისინი ემსახურებოდნენ. ნაცვლად ამ მრავალფეროვნების უარყოფისა, ორგანიზატორებმა და გაფიცვის მონაწილეებმა გააზრებულად დაიწყეს მასზე საუბარი – იმისათვის, რათა მოეფიქრებინათ შემოქმედებითი გზები აღნიშნული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ხალხის ჩასართავად, როგორიც იყო: ორენოვანი პლაკატები და სკანდირებები, GoFundMe-ის ვებგვერდის მეშვეობით გაფიცვების გაჭირვებული მონაწილეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ფულის შეგროვება, საკვების შემოწირულობები და ოჯახებისთვის, რომლებიც სკოლაში დარიგებულ სადილზე იყვნენ დამოკიდებულები, საკვები პაკეტების დარიგება. როგორც ქვით დოილ გრიფითსი აღნიშნავს, საზოგადოების წევრებს შორის სოლიდარობის გაჩენასთან ერთად, გაფიცვებმა, ნაწილობრივ და დროებით, ხელახლა გადააწყო სოციალური კვლავწარმოების შრომასთან დაკავშირებული ურთიერთობები „დასაქმებულთა კონტროლის საფუძველზე, უფრო ზოგადად მუშათა კლასის სასარგებლოდ“.³⁶ მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა გაფიცვების ზოგადი პოლიტიზება რასობრივ საკითხებზე, ბლანკი აღნიშნავს, რომ ეს გაფიცვები გააზრებულად ინკლუზიური იყო და დაიმსახურა შავკანიან და ყავისფერკანიან სტუდენტთა და მათი ოჯახების უმეტესობის მხარდაჭერა (არიზონაში) სკოლების დაფინანსების მოთხოვნით და Medicaid-ისა და შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირ-

36 Kate Doyle Griffiths, "Crossroads and Country Roads: Wildcat West Virginia and the Possibilities of a Working Class Offensive," Viewpoint Magazine (March 13, 2018), www.viewpointmag.com/2018/03/13/crossroads-and-country-roads-wildcat-west-virginia-and-the-possibilities-of-a-working-class-offensive/.

თა სერვისების ხარჯების შემცირების წინააღმდეგ გამოსვლით.³⁷ ეს არც ისე პატარა და ძალზედ მნიშვნელოვანი მაგალითებია იმისა, თუ როგორ შეუძლიათ გაფიცვის მონაწილეებს სიცოცხლის წარმოების ახლებური ორგანიზება და კაპიტალიზმის პირობებში გაუცხოებისა და ინდივიდუალიზაციის ყოველდღიური გამოცდილებების დაძლევა.

ეს გახლავთ გაკვეთილი, რომელიც არუცას, ბჰატაჩარიას და ფრეიზერს გამოაქვთ ამ ბრძოლებიდან:

ბრძოლა შესაძლებლობაცაა და სწავლის საშუალებაც. მას შეუძლია გარდაქმნას ისინი, ვინც მასში მონაწილეობას მიიღებს, გამოწვევის წინაშე დააყენოს ჩვენი თვითაღქმები და შეგვიცვალოს წარმოდგენები სამყაროს შესახებ. მას შეუძლია საკუთარი ჩაგვრის შესახებ ჩვენივე აღქმების გაღრმავება – რა იწვევს მას, ვინ სარგებლობს ამით და რა უნდა გაკეთდეს მის გადასახად. ბრძოლის გამოცდილებას ასევე შეუძლია, ბიძგი მოგვცეს, რომ ჩვენი ინტერესების ხელახალი ინტერპრეტირება მოვახდინოთ, გადავიაზროთ ჩვენი იმედები და გავზარდოთ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლები. მას შეუძლია წაგვაქეზოს, რომ გადავამოწმოთ ჩვენი ამჟამინდელ გაგება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინაა ჩვენი მომხრე და ვინ – მტერი. მას შეუძლია, გააფართოვოს სოლიდარობის წრე ჩაგრულთა შორის და გაამწვავოს ანტაგონიზმი მჩაგვრელთა მიმართ.³⁸

ავტონომისტური მარქსისტული ფემინიზმი სულაც არ ამბობს, რომ ორგანიზების ასეთ ფორმას მხარდაჭერა არ უნდა გამოუცხადოთ – ხოლო ამ ტრადიციასთან ასოცირებული ადამიანები კი ყოველთვის ღიად გამოდიოდნენ მასწავლებელთა გაფიცვებისა და მსგავსი ბრძოლების მხარდასაჭერად. მე უფრო იმის თქმა მინდა, რომ კაპიტალთან დაკავშირებულ თეორიას, რომელიც ყოველგვარ შრომას „პროდუქ-

37 Blanc, Red State, 64–7, 81–2.

38 Arruzza et al., Feminism, Thesis 10.

ტიულ“ შრომაში აერთიანებს, ბევრი არაფერი აქვს სათქმელი ასეთი გაფიცვების სტრატეგიულ როლთან დაკავშირებით. რამდენადაც ავტონომისტურ მარქსისტულ ფემინიზმს მიაჩნია, რომ ღირებულება ყველგან იქმნება, კაპიტალისადმი წინააღმდეგობის განწევაშიც ყველა ადგილს ერთი და იგივე როლი აკისრია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაპიტალის გადმოსახედიდან, Walmart-ში დასაქმებულთა გაფიცვა დიდად არ განსხვავდება პოლიტიზებული კოოპერატიული კომუნალური სამზარეულოსაგან. ორივე მათგანი წყვეტს ღირებულების შექმნას; ორივე მათგანი უარს ამბობს კაპიტალისტურ ეთიკასა და შრომის ორგანიზებაზე. ამიტომაც, არ არსებობს მყარი ან ცხადი საჭიროება პოლიტიკური სტრატეგიების მხარდასაჭერად მრავალ სხვადასხვა ფრონტზე მიმდინარე ბრძოლათა გაერთიანებისთვის.

ფედერიჩი და უიკსი, მართლაც, შედარებით ჩუმად არიან იმასთან დაკავშირებით, უნდა დაუპირისპირდეს თუ არა ადამიანი კაპიტალს თავისსავე ტერიტორიაზე, ან როგორ უნდა გააკეთოს ეს? ისინი არ განიხილავენ ასეთი გაფიცვების პოტენციალს სოციალური კავშირების დასამყარებლად და ერთმანეთის შევსებისა და მხარდაჭერისათვის, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა წარმოგვედგინა, რომ უკეთესი სამყაროს შექმნა, ფაქტობრივად, შესაძლებელია. მათ ბევრი არაფერი აქვთ სათქმელი არც იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უკავშირდება მათი სტრატეგიები ჩაგვრის მონიწილმდევე სოციალურ მოძრაობებს, რომლებიც პრეტენზიებს უყენებენ სახელმწიფოს და კიდევ უფრო ცოტას საუბრობენ პროფკავშირის წევრებისა და კაპიტალისტური წარმოების ადგილებზე მყოფი სხვა ადამიანებისადმი სოლიდარობის გაჩენაზე. მაგალითად, ფედერიჩისა და კაფენცისის შემოთავაზებული რევოლუციური საჯარო სიკეთის 6 პრინციპიდან, ხუთი ალტერნატიული საზოგადოებების შიდა ორგანიზებას შეეხება. არცერთი მათგანი არ ახსენებს სამუშაო ადგილზე მიმდინარე ბრძოლების მნიშვნელობას რევოლუციური საჯარო სიკეთის პროექტისათვის. და მხოლოდ და მხოლოდ ერთი პრინციპი ახსენებს პროექტის კავშირს მათთან, ვინც იბრძვის გაუმჯობესებული სახელმწიფო სერვისებისა და რესურსებისათვის – კავშირი, რომელიც ავტორებს მოს-

წონთ როგორც „იდეოლოგიური იმპერატივი“, ვინაიდან სახელმწიფო მართავს კოლექტიურ სიმდიდრეს, რომლის ხელახალი გამოყენებაც უნდა მოხდეს, ხოლო საჯარო სექტორის თანამშრომლებს გააჩნიათ სარწმუნო, სასარგებლო ცოდნის ბაზისი.³⁹

მეორე მხრივ, უიკსი მხარს უჭერს სახელმწიფოსაგან უნივერსალური საბაზო შემოსავლის მოთხოვნას, თუმცა იქვე განმარტავს, რომ ამის მიზანი არ გახლავთ უბრალოდ რეფორმის გატარება, ანდა შეიძლება ამას საერთოდ არ ისახავდეს მიზნად. თავად მოთხოვნა, მისი განმარტებით, უკვე აჩენს პერსპექტივას და ახდენს პროვოცირებას. ისევე, როგორც WfH კამპანიას არ ჰქონია მოლოდინი, რომ სახელმწიფო მართლაც აუნაზღაურებდა დიასახლისებს შრომას (ვინაიდან ეს საფრთხეს შეუქმნიდა კაპიტალიზმს), უიკსს გააზრებული აქვს, რომ კაპიტალიზმი უნივერსალურ საბაზო შემოსავალს ვერ მოითმენს. ამიტომაც, „არა მოთხოვნის შინაარსი, არამედ თავად მოთხოვნის კოლექტიური პრაქტიკა განსაზღვრავს იმას, რასაც ჩვენ მოვიმკით, „გამარტვება იქნება ის თუ მარცხი“.⁴⁰ აქ, იგი მიუთითებს მასობრივი წინააღმდეგობის შექმნის მნიშვნელობაზე, თუმცა, ამ მოსაზრებას აღარ ავითარებს. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ უიკსი განიხილავს, თუ როგორ შეუძლია გარანტირებულ საბაზო შემოსავალს, რომ გააძლიეროს დასაქმებულთა სოციალური სიმძლავრე (რადგან იგი მათ ხელფასებზე ვაჭრობისას მეტ მექანიზმს მისცემდა), იგი აღარ განავრცობს დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა შორის სოლიდარობის გაჩენაზე სათქმელს. ავტონომისტური მარქსისტული ფემინიზმის თეორიას ის და ფედერიჩი სულ სხვა მიმართულებით მიჰყავს.

39 Caffentzis and Federici, “Commons,” 102.

40 Weeks, Problem with Work, 149.

დასკვნა

მარქსისტული სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლას, ოღონდ არა იმიტომ, რომ ის ერთი შეხედვით უფრო ბრძოლისუნარიანია. კონფრონტაცია, მისი მტკიცებით, გადამწყვეტი მნიშვნელობის პოლიტიკური სტრატეგიაა, ვინაიდან დღესდღეობით არ არსებობს შრომის ისეთი ფორმა (კოოპერატიული იქნება ის თუ არა), რომელიც ბოლომდე შეძლებს კაპიტალიზმის ბატონობისაგან გაქცევას – რომელიც უკვე მეტ-ნაკლებად გაჟღენთილი არ არის კაპიტალისტური დაგროვების იმპერატივებით.⁴¹ მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მიწები დაკავებულია, რაც უკვე განსაზღვრულია საკუთრების ჩამორთმევისა და დაგროვების კაპიტალისტური პროცესების მიერ (სხვაგვარად, აბა რისი დაკავება ხდება კონკრეტულად? ანდა ვინ მოითხოვს ან დაიცავს ამ მიწებს?). ნებისმიერი ტიპის საჯარო სიკეთე კი ორგანიზებულია პოლიტიკური იურისდიქციის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება და დიდწილად მისაკუთრებულია კაპიტალისტური ინტერესების მიერ. კაპიტალის „მიღმა“ არსებობა, განმარტებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ნიშნავს, რომ კაპიტალის მიერ განისაზღვრებოდნენ. შესაძლოა არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი სივრცეები და დროები, რომლებიც მეტ-ნაკლებად კაპიტალისტური დაგროვების ლოგიკით არის განსაზღვრული. ინკორპორირება კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეტაპობრივი საკითხია და არა ერთიანი გამოცდილება.⁴²

ამიტომაც, უბრალოდ შეუძლებელია უარვყოთ სამუშაოს ბატონობა ცხოვრებაზე – უნივერსალური საბაზო შემოსავლის შედეგად მინიჭებული თავისუფლების მეშვეობით მოხდება ეს თუ წარმოების ორგა-

41 ცხადი რომ იყოს, მარქსისტული სკოლის მიხედვით, არ არსებობს შრომა კაპიტალისტური ბატონობის ფარგლებს მიღმა, თუმცა კაპიტალიზმის ფარგლებში ყველა ტიპის შრომა ჯერ კიდევ არ აქვს ინკორპორირებული დაგროვების ლოგიკას. ავტონომისტი მარქსისტი ფემინისტები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის ალტერნატივების შექმნა, მაგრამ კაპიტალიზმის ფარგლებში ყველა ტიპის შრომა უკვე ინკორპორირებულია მის ლოგიკაში.

42 მარქსისტთის, მწარმოებელ კოოპერატივებს შეუძლიათ პროგრესული როლის შესრულება კაპიტალიზმზე გადასვლისას, თუმცა მასაც აქვს თავისი შეზღუდვები., იხ. Bruno Jossa, “Marx, Marxism and the Cooperative Movement,” *Cambridge Journal of Economics* 29 (2005): 3–18.

ნიშებით რევოლუციური საჯარო სიკეთის ფარგლებში. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მუშაობა ცხოვრებაზე გაბატონებულია როგორც კაპიტალისტური არსებობის გარემოება. ამავე დროს, გაბატონება ყოველთვის მიდრეკილია შინაგანი წინააღმდეგობის ფორმებისაკენ. როგორც ამ წიგნის პირველ თავში ვიხილეთ, მუშაობა ცხოვრებაზე იმიტომ არის გაბატონებული, რომ კაპიტალმა ხალხი განძარცვა საშუალებებისაგან, რომლითაც ისინი თავს ირჩენენ. ამიტომაც კაპიტალის ზურგს უკან მოტოვება ნიშნავს, რომ მშრომელებს სჭირდებათ შეუტიონ კაპიტალის ბატონობას ცხოვრებაზე *თვითონ სისტემის შიგნიდანვე* – რათა მოიხვეჭონ რაც შეიძლება მეტი რესურსი ცხოველმნიშათვის და ნაკლები კაპიტალისათვის. თუმცა, ვიდრე კაპიტალიზმს არ გავანადგურებთ, ვერსად გავექცევით მას. ჩვენ ყოველთვის, ყველგან მასთან ჭიდილში ვიქნებით.

სწორედ ამის გამო აკეთებენ *მანიფესტის* ავტორები ამხელა აქცენტს ბრძოლასა და სოლიდარობაზე. და ამის გამოა, რომ ისინი გაფიცვის მოძრაობას – „ფემინიზმი 99%-ისათვის“ – უწოდებენ მოძრაობას, რომელიც ექსპლოატირებულთა, დომინაციის ქვეშ მყოფთა და ჩაგრულთა მიზიდვით ამყარებს კავშირებს, მათ შორის, იმათთანაც, ვისაც ახალი, სოციალისტური ან პოსტკაპიტალისტური საზოგადოების შექმნის საერთო ინტერესი გააჩნია:

ფემინისტები 99%-ისათვის სხვა წინააღმდეგობისა და აჯანყების მოძრაობებისაგან იზოლირებულად არ მუშაობენ. ჩვენ არ გამოვყოფთ ჩვენს თავებს კლიმატური ცვლილებისა თუ დასაქმების ადგილზე ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლებისაგან. და არც ინსტიტუციონალიზებული რასიზმისა და უუფლებობის წინააღმდეგ არსებული ბრძოლებისგან ვახდენთ ჩვენი თავის დისტანცირებას. ეს ბრძოლები ჩვენი საკუთარი ბრძოლებია, განუყოფელი ნაწილია ბრძოლისა კაპიტალიზმის დასანგრევად, ურომლისოდაც შეუძლებელია გენდერული და სექსუალური ჩაგვრის აღმოფხვრა.⁴³

43 Arruzza et al., *Feminism*, Thesis 10.

სოლიდარობის შენება, ამ მსჯელობიდან გამომდინარე, გახლავთ გაფიცვის ხერხიც და საბოლოო მიზანიც. მეორე ტალღის ფემინიზმი ცდებოდა, წერენ არუცა, ბჰატაჩარია და ფრეიზერი, „როდესაც უნივერსალურ დობას მიიჩნევდნენ ათვლის წერტილად“. სოლიდარობა, პრინციპში, მიზანია.⁴⁴ ამ შეცდომის თავიდან არიდება მოითხოვს მოთმინების ქონას და დისკუსიას ერთად მუშაობის გზებთან დაკავშირებით, თითოეული სექტორის ორგანიზაციული და პოლიტიკური ავტონომიის პატივისცემასთან ერთად. ამ კონტექსტში, სოციალისტ-ფემინისტები იზიარებენ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით კოლექტივი Combahee River-ის ხედვას, რომლის თანახმადაც, ამა თუ იმ ჯგუფის „გათავისუფლება აუცილებლობაა და არა... ვინმეს დახმარება“, რომელიც ასევე ახდენს იმ კონკრეტული ბრძოლების ინკორპორირებას საერთო მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალიზმის დანგრევას. მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ გაფიცვა იქცეს მრავალფეროვან დაპირისპირებად კაპიტალიზმთან ბევრ სხვადასხვა ფრონტზე – სოციალური კვლავწარმოებისა და „წარმოების“ არეალში, ისე, რომ ერთი ბრძოლა მეორე ბრძოლაში არ აირიოს. ანუ, მხოლოდ ამის შემდეგ მოსდევს რევოლუციური სტრატეგია კაპიტალისადმი წინააღმდეგობის მრავალგვარი ფორმის ინკორპორირებას, მასობრივი მოძრაობის შექმნით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბრძოლებს საზოგადოებებსა და ქუჩებში, მათ შორის, იმათთან, რომლებიც ანაზღაურებადი დასაქმების ადგილებზე მიმდინარეობს. ასეთი მოძრაობა მრავალფეროვანია, თუმცა ერთიანი თავის ჩანაფიქრში, რომ შექმნას სამყარო, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს საჭიროებას და არა მოგებას და რომელიც კაპიტალისათვის შრომას ცხოვრებისათვის შრომით ანაცვლებს.

44 იქვე., Thesis 6. აქ, სოლიდარობა არ უნდა გავუთანაბროთ უნივერსალური დობის გაგებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი უარყოფს კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლუატაციის, როგორც გადამწყვეტი ფაქტორის ზეგავლენას.

აფექტური შრომა

მაიკლ ჰარდტი

თარგმანი: მარიამ ქაჭაია

ჩვენ შრომასა და სოციალურ პრაქტიკებში აფექტების წარმოებაზე ფოკუსირება, მაგალითად, ფოკუსირება სურვილზე ან სახმარ ღირებულებაზე, დისკურსების კონტექსტში, ხშირად ქმნიდა ხელსაყრელ საფუძველს ანტიკაპიტალისტური პროექტებისთვის. თავად აფექტური შრომა უშუალოდ თემებისა და კოლექტიური სუბიექტურობების საფუძველია. ამრიგად, აფექტისა და ღირებულების პროდუქტიული/საწარმოო ბრუნვა მრავალი თვალსაზრისით ჩანდა როგორც ავტონომიური ბრუნვა სუბიექტურობის სტრუქტურისთვის, კაპიტალისტური ვალორიზაციის პროცესების ალტერნატივად/საწინააღმდეგოდ. თეორიულმა ჩარჩოებმა, რომლებმაც მარქსსა და ფროიდს ერთად მოუყარეს თავი, აფექტური შრომა წარმოიდგინეს ისეთი ტერმინების საშუალებით, როგორიცაა წარმოების სურვილი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უამრავმა ფემინისტურმა გამოკვლევამ, რომლებიც პოტენციალებს იმის შიგნიდან ანალიზებდნენ, რაც ტრადიციულად ქალების საქმედ მიიჩნევა, აფექტური შრომა ნათესაურ საქმედ და ზრუნვით შრომად აღიქვას. თითოეული ეს ანალიზი ამხელს იმ პროცესებს, რომლითაც ჩვენი შრომითი პრაქტიკა აწარმოებს კოლექტიურ სუბიექტურობებს, აწარმოებს სოციალურობას და საბოლოოდ, თავად საზოგადოებას.

თუმცა, დღეს აფექტური შრომის ასეთი გაგება კაპიტალისტურ ეკონომიკაში აფექტური შრომის როლის შეცვლის კონტექსტში უნდა განთავსდეს. ამ სტატიის მთავარი აზრიც ეს არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ აფექტური შრომა მთლიანად არასოდეს ყოფილა კაპიტალისტური წარმოების მიღმა, ეკონომიკური პოსტმოდერნიზაციის პროცესმა, რომელიც ბოლო 25 წელია მიმდინარეობს, მას ის როლი არგუნა, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ

ანარმოებს კაპიტალს, არამედ შრომის ფორმების იერარქიის მწვერვალზე ათავსებს მას. აფექტური შრომა ერთი სახეა იმისა, რასაც მე „არამატერიალურ შრომას“ დავარქმევდი, და რომელმაც ძირითადი ადგილი დაიკავა გლობალურ კაპიტალისტურ ეკონომიკაში, შრომის სხვა ფორმებთან შედარებით. იმის თქმა, რომ კაპიტალმა მიიერთა და აამაღლა აფექტური შრომა და რომ კაპიტალის გადმოსახედიდან იგი ყველაზე მეტი ღირებულების მწარმოებელი შრომის ფორმაა, არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარად დაბინძურებული, ანტიკაპიტალისტური პროექტებისთვის აღარ გამოდგება. ამის სანინაალმდეგოდ, კაპიტალისტური პოსტმოდერნიზაციის ჯაჭვში აფექტური შრომის როლის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მაკავშირებლის გათვალისწინებით, ნგრევისა და ავტონომიური დაფუძნების მისეული პოტენციალი უფრო დიდია. ამ კონტექსტში, შეგვიძლია ვაღიაროთ შრომის ბიოპოლიტიკური პოტენციალი. აქ ბიოძალაუფლებას ვიყენებ იმ გაგებით, რომელიც ერთდროულად ითავსებს ამ ტერმინის მიშელ ფუკოსეულ გამოყენებას და მიმართულებას უცვლის მას. მინდა სამი ნაბიჯით განვაგრძო: პირველი არამატერიალური შრომის განსაზღვრაა კაპიტალისტური პოსტმოდერნიზაციის თანამედროვე ფაზაში; მეორეა აფექტური შრომის განსაზღვრა არამატერიალური შრომის სხვა ფორმებთან მიმართებით; ბოლო კი – აფექტური შრომის პოტენციალის შესწავლა ბიოძალაუფლების თვალსაზრისით.

პოსტმოდერნიზაცია

შუა საუკუნეების შემდგომი ეკონომიკური პარადიგმების მემკვიდრეობის სამ განსხვავებულ ეტაპად დანახვა დომინანტ კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლა უკვე ჩვეულებრივი ამბავია. თითოეული მათგანი განისაზღვრება ეკონომიკის უპირატესი სექტორით: პირველია პარადიგმა, რომელშიც ეკონომიკაზე დომინირებს სოფლის მეურნეობა და ნედლეულის მოპოვება; მეორეა პარადიგმა, რომელშიც ინდუსტრიამ და გრძელვადიანი საქონლის წარმოებამ დაიკავა პრივილეგიებული მდგომარეობა; მესამე კი არის ამჟამინდელი პარადიგმა, რომელშიც,

ეკონომიკურ წარმოებაში მომსახურების მიწოდებას და ინფორმაციით მანიპულირებას უჭირავს ცენტრალური ადგილი. ამრიგად, წამყვანი ადგილი პირველადი წარმოებიდან მეორადმა, მეორადიდან კი მესამეულმა წარმოებამ დაიკავა. პირველი პარადიგმიდან მეორე პარადიგმაზე – სოფლის მეურნეობის დომინირებიდან მრეწველობაზე – გადასვლას ეკონომიკური მოდერნიზაცია დაერქვა სახელად. მოდერნიზაცია ნიშნავდა ინდუსტრიალიზაციას. მეორე პარადიგმიდან მესამეზე გადასვლას, ინდუსტრიის დომინირებიდან მომსახურებასა და ინფორმაციაზე გადასვლას, ეკონომიკური პოსტმოდერნიზაციის პროცესი, ან უფრო სწორად, ინფორმატიზაცია ვუნდოთ.

მოდერნიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესებმა გარდაქმნა და ხელახლა განსაზღვრა სოციალური ცხოვრების ყველა ელემენტი. როდესაც სოფლის მეურნეობა მრეწველობად მოდერნიზდა, მეურნეობა თანდათანობით იქცა ქარხანად, ქარხნის მთელი დისციპლინით, ტექნოლოგიით, სახელფასო ურთიერთობებით და ა.შ. უფრო ზოგადად, თანდათანობით თვითონ საზოგადოება ინდუსტრიალიზდა, ადამიანური ურთიერთობებისა და ადამიანური ბუნების გარდაქმნის დონემდეც კი. საზოგადოება იქცა ქარხანად. მეოცე საუკუნის დასაწყისში რობერტ მუზილმა მომხიბვლელად ასახა კაცობრიობის ტრანსფორმაცია სოფლის მეურნეობის სამყაროდან სოციალურ ქარხანაზე გადასვლისას: „იყო დრო, როდესაც ადამიანები ბუნებრივად ეთვისებოდნენ იმ პირობებს, რომლებიც წინ ელოდათ და ეს პიროვნებად ჩამოყალიბების მეტად სანდო გზა გახლდათ. მაგრამ დღეს, ამ ყველაფრის შეცვლასთან ერთად, როდესაც ყველაფერი სწყდება ნიადაგს, რომელშიც აღმოცენებულა, სადაც სულის წარმოებაც კი საკითხავია, ადამიანმა, ასე ვთქვათ, უნდა ჩაანაცვლოს ტრადიციული ხელოსნობა იმგვარი ინტელექტით, რომელიც მანქანასა და ქარხანას ესადაგება“.¹ კაცობრიობა და მისი სული ეკონომიკური წარმოების პროცესებში იქმნება. ადამიანად ქცევის პროცესები და თვით ადამიანის ბუნება ძირეულად გარდაიქმნა მოდერნიზაციის თვისობრივი ცვლილებებისას.

1 Robert Musil, *The man without Qualities*, vol. 2, trans. Sophie Wikins (New York, Vintage, 1996), 367.

თუმცა, ჩვენს დროში მოდერნიზაცია დასრულდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამრეწველო წარმოება აღარ განაგრძობს დომინაციას სხვა ეკონომიკურ ფორმებსა და სოციალურ მოვლენებზე. ამ ცვლილების სიმპტომი ვლინდება დასაქმებაში, რაოდენობრივი ცვლილებების თვალსაზრისით. მაშინ, როცა მოდერნიზაციის პროცესები აღინიშნებოდა შრომის მიგრაციით სოფლის მეურნეობიდან და სამთო მრეწველობიდან (პირველადი სექტორიდან) ინდუსტრიაში (მეორადი სექტორი), პოსტმოდერნიზაციის ან ინფორმატიზაციის პროცესები ამოიცნობა ინდუსტრიიდან მომსახურების სექტორში (მესამეული სექტორი) მიგრაციის მეშვეობით, ცვლილებით, რომელსაც დომინანტ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით, შეერთებულ შტატებში, 70-იანი წლების დასაწყისიდან.² აქ ტერმინი „მომსახურება“ მოიცავს ფართო სპექტრის საქმიანობას ჯანდაცვის, განათლების, ფინანსების, ტრანსპორტირების, გართობისა და რეკლამირების ჩათვლით. სამუშაო ადგილები, უმეტესწილად, ძალზე მობილურია და მოქნილ უნარებს საჭიროებს. რაც მთავარია, მათი ზოგადი მახასიათებელია ცენტრალური როლი, რომელსაც ცოდნა, ინფორმაცია, კომუნიკაცია და აფექტი ასრულებს. ამ თვალსაზრისით, პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას შეგვიძლია ინფორმაციული ეკონომიკა ვუწოდოთ.

მტკიცება იმისა, რომ მოდერნიზაციის პროცესი დასრულდა და რომ გლობალური ეკონომიკა დღეს პოსტმოდერნიზაციის პროცესს გადის ინფორმაციული ეკონომიკისკენ, არ ნიშნავს იმას, რომ ინდუსტრიული წარმოება დასრულდება ან რომ შეწყვეტს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას, თუნდაც მსოფლიოს ყველაზე დომინანტურ რეგიონებში. ზუსტად ისე, როგორც ინდუსტრიულმა რევოლუციამ გარდაქმნა სოფლის მეურნეობა და გახადა უფრო პროდუქტიული, ინფორმაციული რევოლუციაც ასევე გარდაქმნის ინდუსტრიას, ხელახლა განსაზღვრავს, როდესაც გააახალგაზრდავებს სამრეწველო პროცესებს – მაგალითად, ინდუსტრიულ პროცესებში საინფორმაციო ქსელების

2 დომინანტურ ქვეყნებში სამუშაოს ცვლილების შესახებ იხილეთ, Manuel Castells and Yuko Aoyama, "Paths towards the Informational Society: Employment Structure in G-7 Countries, 1920-90," *International Labour Review* 133, no. 1 (1994): 5-33.

ინტეგრაციის გზით. აქ ახალი მენეჯერული ოპერაციული იმპერატივია „მოეყარი წარმოებას, როგორც მომსახურებას“.³ ფაქტობრივად, ინდუსტრიების გარდაქმნის შედეგად, წარმოებასა და მომსახურებას შორის დაყოფა ბუნდოვანი ხდება. ისევე, როგორც მოდერნიზაციის პროცესში ინდუსტრიალიზმმა ყველა სახის წარმოება, პოსტმოდერნიზაციის პროცესშიც ნებისმიერი ტიპის წარმოება მომსახურების წარმოებისკენ, ინფორმატიულად ქცევისკენ მიემართება.

იმ ფაქტმა, რომ ინფორმატიზაცია და მომსახურებაზე გადასვლა ყველაზე თვალში საცემი დომინანტ კაპიტალისტურ ქვეყნებშია, არ უნდა მიგვაბრუნოს თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ვითარების იმ გაგებასთან, რომელიც განვითარების ეტაპების თანხმიერია – თითქოს დღეს დომინანტი ქვეყნები ინფორმაციული მომსახურების ეკონომიკებს, სამრეწველო ეკონომიკები მათზე დაქვემდებარებულებს, სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკები კი – კიდევ უფრო მეტად დაქვემდებარებულებს წარმოადგენდნენ. დაქვემდებარებული ქვეყნებისათვის მოდერნიზაციის კოლაფსი, პირველ რიგში, იმას ნიშნავს, რომ ინდუსტრიალიზაცია ეკონომიკური წინსვლისა და კონკურენციის გასაღებად ვეღარ მიიჩნევა. ყველაზე მეტად დაქვემდებარებულ რეგიონთაგან ზოგიერთნი, მაგალითად, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკა, ფაქტობრივად გამოირიცხნენ კაპიტალის ნაკადებისა და ახალი ტექნოლოგიებიდან, თუნდაც განვითარების სტრატეგიის ილუზიისაგან, და შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდნენ (თუმცა უნდა ვაღიაროთ, თუ როგორ განახორციელა პოსტმოდერნიზაციამ ეს გარიყვა და მიუხედავად ამისა, როგორ ბატონობს ამ რეგიონებში). გლობალურ იერარქიაში საშუალო დონის პოზიციებისთვის შეჭმბრი უმეტესწილად არა ინდუსტრიალიზაციის, არამედ წარმოების ინფორმატიზაციის გზაზე გადის. მრავალფეროვანი ეკონომიკის მქონე დიდ ქვეყნებს, როგორიცაა ინდოეთი, ბრაზილია და რუსეთი, ერთდროულად შეუძლიათ ხელი შეუწყონ ყველა სახეობის საწარმოო პროცესს: ინფორმაციაზე

3 Frangois Bar, "Information Infrastructure and the Transformation of Manufacturing," in The New Information Infrastructure: Strategies for U.S. Policy, ed. William Drake (New York: Twentieth-Century Fund Press, 1995), 56.

დაფუძნებული მომსახურების წარმოებას, საქონლის თანამედროვე სამრეწველო წარმოებას და ტრადიციულ ხელოსნობას, სოფლის მეურნეობასა და სამთომოპოვებით წარმოებას. აუცილებელი არ არის ამ ფორმებს შორის მწყობრი ისტორიული თანმიმდევრობა არსებობდეს, რადგან ისინი ერთმანეთში ირევიან და თანაარსებობენ; ინფორმაციის დანყებაზე აუცილებელი არ არის მოდერნიზაციის გავლა – ტრადიციული ხელნაკეთობების წარმოება შეიძლება დაუყოვნებლივ კომპიუტერიზდეს; მობილური ტელეფონები შეიძლება მყისიერად იქნას გამოყენებული იზოლირებულ სოფლებში, სადაც მეთევზეობას მისდევნ. მსოფლიო ბაზრის ქსელების შიგნით და მომსახურების ინფორმაციული წარმოების ბატონობის ქვეშ, წარმოების ყველა ფორმა არსებობს.

არამატერიალური შრომა

ინფორმაციულ ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებლად გულისხმობს შრომის ხარისხისა და შრომითი პროცესების ხასიათის შეცვლას. ეს ეკონომიკური პარადიგმების გავლის მეტად მყისიერი სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური ეფექტია. ინფორმაცია, კომუნიკაცია, ცოდნა და აფექტი წარმოების პროცესში ფუნდამენტურ როლს თამაშობენ.

ამ ტრანსფორმაციის პირველ ასპექტად ბევრი ქარხნულ შრომაში მომხდარ ცვლილებას მიიჩნევს, გადასვლას ფორდისტული მოდელიდან ტოიოტისტურ მოდელზე, როდესაც ათვლის წერტილად საავტომობილო ინდუსტრიას იყენებს.⁴ ამ მოდელებს შორის მომხდარი ძირითადი სტრუქტურული ცვლილება მოიცავს კომუნიკაციის სისტემას საქონლის წარმოებასა და მოხმარებას შორის, რაც არის ინფორმაციის გადაცემა ქარხანასა და ბაზარს შორის. ფორდისტულმა მოდელმა წარმოებასა და მოხმარებას შორის შედარებით „მუნჯი“ ურთიერთობა ჩამოაყალი-

4 On the comparison between the Fordist and Toyotist models, see Benjamin Coriat, *Penser à l'envers: Travail et organisation dans l'entreprise japonaise* (Paris: Christian Bourgois, 1994).

ბა. ფორდისტულ ეპოქაში სტანდარტიზებული საქონლის მასობრივ წარმოებას შეეძლო ადევკატურ მოთხოვნას დაყრდნობოდა და, ამრიგად, თითქმის არ სჭირდებოდა ყურადღებით „ესმინა“ ბაზრისთვის. მოხმარებიდან წარმოებამდე უკუკავშირის ბრუნვამ ბაზარზე მომხდარ ცვლილებებს საშუალება მისცა, ბიძგი მიეცა ცვლილებებისთვის წარმოებაში, მაგრამ ეს კომუნიკაცია შეზღუდული (დაგეგმვის გაქვავებული და კომპარტმენტალიზებული არსების გამო) და ნელი (მასობრივი წარმოების ტექნოლოგიებისა და პროცედურების მოუქნელობის გამო) იყო.

ტოიოტიზმი წარმოებასა და მოხმარებას შორის კომუნიკაციის ფორდისტული სტრუქტურის შებრუნებას ემყარება. იდეალურ შემთხვევაში, ამ მოდელის მიხედვით, წარმოების დაგეგმვა უწყვეტად და დაუყოვნებლივ დაამყარებს კომუნიკაციას ბაზრებთან. ქარხნები შეინარჩუნებენ ნულოვან მარაგს, საქონელი ინარმოება დროულად, არსებული ბაზრების ამჟამინდელი მოთხოვნის შესაბამისად. ამგვარად, ეს მოდელი გულისხმობს არა მხოლოდ უფრო სწრაფი უკუკავშირის მარყუჟს, არამედ ურთიერთობის შებრუნებას, რადგან, თეორიულად მაინც, საწარმოო გადაწყვეტილება რეალურად მოსდევს ბაზრის გადაწყვეტილებას და მასზე რეაგირებისას იბადება. ეს ინდუსტრიული კონტექსტი გვანჯდის პირველ აზრს, რომელშიც კომუნიკაციამ და ინფორმაციამ ახალი ცენტრალური როლი შეასრულა წარმოებაში. შეიძლება ითქვას, რომ ინსტრუმენტული მოქმედება და კომუნიკაციური მოქმედება ინფორმატიზებულ ინდუსტრიულ პროცესებში მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაქსოვილი (აქ საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა მხედველობაში მიგვეღო, თუ როგორ არღვევენ ეს პროცესები იურგენ ჰაბერმასისეულ დაყოფას ინსტრუმენტულ და კომუნიკაციურ მოქმედებას შორის, ზუსტად ისე, როგორც ჰანა არენდტისეულ განსხვავებებს არღვევენ შრომას, სამუშაოსა და მოქმედებას შორის, სხვა თვალსაზრისით).⁵ ამასთანავე, სწრაფადვე უნდა დავძინოთ, რომ

5 მეტწილად იურგენ ჰაბერმასის „კომუნიკაციური ქმედების თეორიაზე“ ვფიქრობ და ჰანა არენდტის „ადამიანურ პირობაზე“. ეკონომიკური პოსტმოდერნიზაციის კონტექსტში კომუნიკაციური და ინსტრუმენტული ქმედების ჰაბერმასისეული დაყოფის შესანიშნავი კრიტიკისათვის იხ. Christian Marazzi, *Il posto dei calzini: La svolta linguistica dell'economia e i suoi effetti nella politica* (Bellinzona, Switzerland: Casagrande, 1995), 29-34.

ეს არის კომუნიკაციის გადარიბებული ცნება, უბრალოდ, საბაზრო მონაცემების გადაცემა.

მომსახურების ეკონომიკური სექტორები საწარმოო კომუნიკაციის უფრო მდიდარ მოდელს ქმნიან. მომსახურებათა უმეტესობას საფუძვლად უდევს ინფორმაციისა და ცოდნის მუდმივი გაცვლა. იქიდან გამომდინარე, რომ მომსახურების წარმოების ნაყოფი არ არის მატერიალური და გრძელვადიანი მოხმარების საქონელი, ამ წარმოებაში ჩართული შრომა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც არამატერიალური შრომა, ანუ შრომა, რომელიც აწარმოებს არამატერიალურ საქონელს, როგორც არის მომსახურება, ცოდნა ან კომუნიკაცია.⁶ არამატერიალური შრომის ერთ-ერთ სახედ შეიძლება მოვიაზროთ კომპიუტერის ფუნქციონირება. კომპიუტერების სულ უფრო ფართო გამოყენებამ თანდათანობით ხელახლა განსაზღვრა შრომითი პრაქტიკები და ურთიერთობები (მართლაც, ყველა სხვა სოციალურ პრაქტიკასა და ურთიერთობასთან ერთად). დომინანტ ქვეყნებში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა და შესაძლებლობები სულ უფრო მეტად ხდება ზოგადი სამუშაო კვალიფიკაციის ძირითადი ნაწილი. მაშინაც კი, როდესაც საქმე კომპიუტერთან პირდაპირ კონტაქტს არ გულისხმობს, სიმბოლოებისა და ინფორმაციის მანიპულირება კომპიუტერის მუშაობის მოდელის კვალდაკვალ ძალიან გავრცელებულია. კომპიუტერის ერთ-ერთი ახალი ასპექტია ის, რომ მას განუწყვეტლივ შეუძლია ცვალოს საკუთარი ფუნქციონირება თავისი თავის გამოყენების საშუალებით. ხელოვნური ინტელექტის ელემენტარული ფორმებიც კი, კომპიუტერს საშუალებას აძლევს, მომხმარებელთან და გარემოსთან ინტერაქციის საფუძველზე, გააფართოოს და სრულყოს თავისი მოქმედება. იმავე სახის უწყვეტი ინტერაქტიულობა ახასიათებს თანამედროვე საწარმოო საქმიანობის ფართო სპექტრს ეკონომიკაში, იმის მიუხედავად, არის თუ არა უშუალოდ ჩართული კომპიუტერული მონაცემილობები მასში. წინარე ეპოქაში მუშებმა ის-

6 არამატერიალური შრომის დეფინიციისა და ანალიზისათვის, იხ. Maurizio Lazzarato, "Immaterial Labor," in *Radical Thought in Italy: A Potential Politics*, ed. Paolo Virno and Michael Hardt (Minneapolis: University of Minnesota Press, 1996), 133-47.

წავლეს, თუ როგორ ემოქმედათ მანქანებივით როგორც ქარხნის შიგნით, ისე მის გარეთ. დღეს, როდესაც ზოგადი სოციალური ცოდნა უფრო მეტად ხდება წარმოების უშუალო ძალა, სულ უფრო მეტად ვფიქრობთ კომპიუტერებივით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტერაქტიული მოდელი უფრო და უფრო მეტად იძენს ცენტრალურ მნიშვნელობას ჩვენს შრომით საქმიანობებში.⁷ ინტერაქტიული და კიბერნეტიკული მანქანები იქცევიან ახალ პროთეზად, რომელიც ჩვენს გონებებსა და სხეულებში ინტეგრირდება; იქცევიან პრიზმად, რომლის საშუალებითაც უნდა განისაზღვროს თვით ჩვენი სხეულები და გონებები.⁸

რობერტ რაიხი ამ სახის არამატერიალურ შრომას უწოდებს „სიმბოლურ-ანალიტიკურ მომსახურებებს“ – ამოცანებს, რომლებიც მოიცავენ „პრობლემის გადაჭრას, პრობლემის იდენტიფიკაციას და სტრატეგიულ ბროკერულ საქმიანობას“.⁹ ამ ტიპის შრომა ითხოვს ყველაზე მაღალ ღირებულებას და ამგვარად, რაიხი მას აიგივებს კონკურენციის გასაღებთან ახალ გლობალურ ეკონომიკაში. თუმცა, ის აცნობიერებს, რომ შემოქმედებითი სიმბოლური მანიპულირების ეს, ცოდნაზე დაფუძნებული, სამუშაო ადგილების ზრდა გულისხმობს რუტინული სიმბოლური მანიპულაციის დაბალი ღირებულების მქონე და მცირედ-

7 პიტერ დრუკერს არამატერიალური წარმოებისკენ გადასვლა ესმის პოლიტიკური ეკონომიის ტრადიციული კატეგორიების სრულ დესტრუქციად. „ძირითადი ეკონომიკური რესურსი – „წარმოების საშუალება“, ეკონომისტების ტერმინს თუ გამოვიყენებთ – აღარ წარმოადგენს კაპიტალურ ან ბუნებრივი რესურსებს (ეკონომისტის „მინას“) და არც „შრომას“. ეს არის და იქნება ცოდნა“. Peter Drucker, *Post-Capitalist Society* [New York: HarperBusiness, 1993], 8). ის, რაც დრუკერს არ ესმის, არის ის არის, რომ ცოდნა არ არის მოცემული რამ, არამედ ინარმოება და რომ მისი წარმოება მოიცავს წარმოებისა და შრომის ახალ სახეობებს მოიცავს.

8 მარქსი საწარმოო სოციალური საქმიანობის ამ პარადიგმის აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „ზოგადი ინტელექტი“: „«მუდმივი კაპიტალის განვითარება მიანიშნებს, თუ რამდენად გახდა სოციალური ცოდნა წარმოების უშუალო ძალა და შესაბამისად, რა ხარისხით მოექცა თავად სოციალური ცხოვრების პროცესის პირობები ზოგადი ინტელექტის კონტროლქვეშ და გარდაიქმნა მის შესაბამისად. რა დონემდე ინარმოა სოციალური წარმოების ძალები, არა მხოლოდ ცოდნის ფორმაში, არამედ სოციალური პრაქტიკის, რეალური ცხოვრების პროცესის უშუალო ორგანოებად“. Karl Marx, *Grundrisse: Foundations of the Critique of Political Economy*, trans. Martin Nicolaus [New York: Vintage, 1973], 706).

9 Robert Reich, *The Work of Nations: Preparing Ourselves for 21st-Century Capitalism* (New York: Knopf, 1991), 177.

უნარიანი სამუშაო ადგილების შესაბამის ზრდას, როგორიცაა მონაცემთა შეყვანა და ტექსტის დამუშავება. აქ, არამატერიალური პროცესების სფეროში, იწყება შრომის ფუნდამენტური დაყოფა.

თუმცა, კომპიუტერის მოდელი წარმოგვიდგენს კომუნიკაციური და არამატერიალური შრომის მხოლოდ ერთ სახეს, რომელიც მონაწილეობს მომსახურების წარმოებაში. არამატერიალური შრომის მეორე სახეა ადამიანური კონტაქტისა და ინტერაქციის აფექტური შრომა. ეს არის არამატერიალური შრომის ის ასპექტი, რომელზეც საუბარი ისეთი ეკონომისტებისგან, როგორიც რაიხია, ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ ეს ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ასპექტია, სავალდებულო ელემენტი. მაგალითად, ჯანდაცვის სერვისები ძირითადად ზრუნვას და აფექტურ შრომას ეყრდნობა, გასართობი ინდუსტრია და კულტურის სხვადასხვა ინდუსტრიაც აფექტების შექმნასა და მანიპულირებაზეა ორიენტირებული. ამა თუ იმ ხარისხით, ეს აფექტური შრომა, ჩაქსოვილი ადამიანთა ინტერაქციისა და კომუნიკაციის მომენტებში, გარკვეულ როლს თამაშობს მომსახურების ინდუსტრიაში, სწრაფი კვების მომსახურებიდან დაწყებული, ფინანსური სერვისების მიმწოდებლებით დამთავრებული. ეს შრომა არამატერიალურია, მაშინაც კი, თუ ის სხეულებრივი და აფექტურია, იმ თვალსაზრისით, რომ მისი პროდუქტები არახელშესახებია, იქნება ეს სიმსუბუქის, კეთილდღეობის, კმაყოფილების, მღელვარების, სიყვარულის გრძნობა თუ თუნდაც შეკავშირებულობის ან ერთობის განცდა. ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „პირისპირ“ მომსახურება ან სიახლოვის სერვისები, ხშირად გამოიყენება ამ სახის შრომის განსასაზღვრად, მაგრამ ის, რაც მისთვის არსებითია, მისი პიროვნული ასპექტი, სინამდვილეში აფექტების შექმნა და მანიპულირებაა. ამგვარი აფექტური წარმოება, გაცვლა და კომუნიკაცია ზოგადად ადამიანურ კონტაქტთან, სხვების ფაქტობრივ არსებობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს კონტაქტი შეიძლება იყოს ნამდვილიც და ვირტუალურიც. გართობის ინდუსტრიაში აფექტების წარმოებაში, მაგალითად, ადამიანებთან კონტაქტი, სხვების ყოფნა, ძირითადად, ვირტუალურია, მაგრამ ამის გამო ნაკლებად რეალური არ არის.

არამატერიალური შრომის ეს მეორე სახე, მისი აფექტური სახე, სცილდება კომპიუტერის მიერ განსაზღვრული ინტელექტისა და კომუნიკაციის მოდელს. აფექტური შრომა შეიძლება უკეთესად გავიგოთ, თუ იქიდან დავიწყებთ, რასაც „ქალთა შრომის“ ფემინისტური ანალიზი უწოდებს „შრომას სხეულებრივ რეჟიმში“.¹⁰ უეჭველია, რომ ზრუნვითი შრომა სავსებით ჩართულია სხეულებრივში, სომატურში, მაგრამ მისგან ნაწარმოები აფექტები მაინც არამატერიალურია. ის, რასაც აფექტური შრომა აწარმოებს, არის სოციალური ქსელები, საზოგადოების ფორმები, ბიოძალა.

აქ შეიძლება კიდევ ერთხელ გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური წარმოების ინსტრუმენტული მოქმედება შეუერთდა ადამიანთა ურთიერთობების კომუნიკაციურ მოქმედებას. თუმცა, ამ შემთხვევაში კომუნიკაცია კი არ გადარიბდა, არამედ წარმოება გამდიდრდა ადამიანთა ურთიერთობების კომპლექსურობის დონემდე. იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ეტაპზე, ინდუსტრიის კომპიუტერიზაციის დროს, მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციური მოქმედება, ადამიანური ურთიერთობები და კულტურა ინსტრუმენტალიზებული გახდა, გასაგნდა და ეკონომიკური ურთიერთქმედების დონემდე „დეგრადირდა“, მაშინათვე უნდა დავძინოთ, რომ საპასუხო პროცესის მეშვეობით, ამ მეორე ეტაპზე, წარმოება გახდა კომუნიკაციური, აფექტური, დეინსტრუმენტალიზებული და „ამაღლებული“ ადამიანურ ურთიერთობათა დონემდე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ დონის ადამიანური ურთიერთობები მთლიანად დაპყრობილი აქვს კაპიტალს და მისით არის მოცული (სწორედ აქ იმსხვრევა დაყოფა ეკონომიკასა და კულტურას შორის). აფექტების წარმოებასა და კვლავწარმოებაში, კულტურისა და კომუნიკაციის ამ ქსელებში, იქმნება კოლექტიური სუბიექტურობები და წარმოიქმნება სოციალურობა, მაშინაც კი, თუ ეს სუბიექტურობები და სოციალურობა კაპიტალის მხრიდან პირდაპირ ექსპლუატაციას ექვემდებარება. სწორედ აქ არის შესაძლებელი, დავინახოთ აფექტური შრომის უზარმაზარი პოტენციალი.

10 იხილეთ, Dorothy Smith, *The Everyday World As Problematic: A Feminist Sociology* (Boston: Northeastern University Press, 1987), 78-88.

არ ვცდილობ იმის მტკიცებას, რომ აფექტური შრომა თავისთავად ახალია ან ის ფაქტია რაღაც გაგებით ახალი, რომ აფექტური შრომა აწარმოებს ღირებულებას. განსაკუთრებით ფემინისტურმა ანალიზმა უკვე დიდი ხანია აღიარა ზრუნვითი შრომის, ნათესაური შრომის, აღზრდისა და დედობრივი საქმიანობის სოციალური ღირებულება. მეორე მხრივ, სიახლეა ის მასშტაბი, რომლითაც ეს აფექტური არამატერიალური შრომა ახლა უშუალოდ აწარმოებს კაპიტალს და ასევე მასშტაბი, რომლითაც ის ეკონომიკის ფართო სექტორებზე განზოგადდა. ფაქტობრივად, როგორც არამატერიალური შრომის კომპონენტმა, აფექტურმა შრომამ მიაღწია უმაღლესი ღირებულების დომინანტურ პოზიციას თანამედროვე ინფორმაციულ ეკონომიკაში. რაც შეეხება სულის წარმოებას, როგორც მუზილმა შეიძლება თქვას, ჩვენ აღარ უნდა ვუყუროთ ნიადაგსა და ორგანულ განვითარებას, არც ქარხნისა და მექანიკურ განვითარებას, არამედ დღევანდელობის დომინანტურ ეკონომიკურ ფორმებს, რაც გულისხმობს კიბერნეტიკისა და აფექტის კომბინაციით განსაზღვრულ წარმოებას.

ეს არამატერიალური შრომა არ შემოიფარგლება მხოლოდ მშრომელთა გარკვეული ნაწილის მოცვით, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამისტებით თუ ექთნებით, რომლებიც შექმნიდნენ ახალ, პოტენციურ შრომით არისტოკრატias. უფრო მეტიც, არამატერიალური შრომა თავისი სხვადასხვა საბურველით (ინფორმაციული, აფექტური, კომუნიკაციური და კულტურული) ისწრაფვის მთელ სამუშაო ძალასა თუ ყველა შრომით დავალებაზე განვრცობისკენ, ყოველი შრომითი პროცესის მცირე თუ მსხვილ კომპონენტად ქცევისკენ. ამასთანავე, რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი დაყოფა არამატერიალური შრომის სფეროში – არამატერიალური შრომის საერთაშორისო დაყოფა, გენდერული დაყოფა, რასობრივი დაყოფა და ა.შ. როგორც რაიხი ამბობს, აშშ-ის მთავრობა მაქსიმალურად შეეცდება შეინარჩუნოს უმაღლესი ღირებულების არამატერიალური შრომა შეერთებულ შტატებში და ექსპორტზე სხვა რეგიონებში გაიტანოს დაბალი ღირებულების ამოცანები. არამატერიალური შრომის ამ დაყოფების ახსნა ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, და აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი არ წარ-

მოადგენენ შრომის იმ დაყოფებს, რომლებსაც ჩვენ ვართ მიჩვეულები, განსაკუთრებით, აფექტურ შრომასთან დაკავშირებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ არამატერიალური შრომის სამი ტიპი, რომლებიც მომსახურების სექტორს ინფორმაციული ეკონომიკის მწვერვალისკენ უბიძგებენ. პირველი ჩართულია სამრეწველო წარმოებაში, რომელიც ინფორმაციონალიზმს და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მიიერთა იმ ფორმით, რომელიც გარდაქმნის თვითონ ინდუსტრიული წარმოების პროცესს. მრეწველობა განიხილება მომსახურებად, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის წარმოების მატერიალური შრომა იხრება არამატერიალური შრომისკენ და ირევა მასში. მეორე არის ანალიტიკური და სიმბოლური ამოცანების შესრულების არამატერიალური შრომა, რაც თავისთავად იშლება, ერთი მხრივ, შემოქმედებით და ინტელექტუალურ მანიპულაციად და, მეორე მხრივ, რუტინულ სიმბოლურ ამოცანებად. და ბოლოს, არამატერიალური შრომის მესამე ტიპი გულისხმობს აფექტების წარმოებას და მანიპულირებას და მოითხოვს (ვირტუალურ ან რეალურ) ადამიანურ კონტაქტსა და სიახლოვეს. ეს არის შრომის სამი ტიპი, რომლებიც გლობალური ეკონომიკის პოსტმოდერნიზაციას ან ინფორმაციონალიზაციას განაპირობებს.

ბიოძალაუფლება

ბიოძალაუფლება მე ვხედავ აფექტური შრომის პოტენციალს. ბიოძალაუფლება სიცოცხლის შექმნის ძალაუფლებაა; ეს არის კოლექტიური სუბიექტურობის, სოციალურობისა და თავად საზოგადოების წარმოება. აფექტებსა და აფექტების წარმოების ქსელებზე ფოკუსირება ავლენს სოციალური კონსტიტუციის ამ პროცესებს. ის, რაც აფექტური შრომის ქსელებში იქმნება, სიცოცხლის ფორმაა.

როდესაც ფუკო ბიოძალაუფლებას განიხილავს, ის მას მხოლოდ ზემოდან ხედავს. ეს არის *patria potestas* („მამის ძალაუფლება“ –

მთარგ.), მამის უფლება შვილებისა და მსახურების სიცოცხლესა და სიკვდილზე. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ბიოძალაუფლება არის განვითარებადი გუვერნმენტალობის ძალების ძალაუფლება, შექმნან, მართონ და გააკონტროლონ მოსახლეობები – სიცოცხლის მართვის ძალაუფლება.¹¹ სხვა, უფრო ახალმა კვლევებმა განავრცეს ფუკოსეული ცნება და ბიოძალაუფლება მიიჩნიეს სუვერენის უზენაესობად „შიშველ სიცოცხლეზე“, სიცოცხლეზე, რომელიც განსხვავდება მისი სხვადასხვა სოციალური ფორმისგან.¹² თითოეულ შემთხვევაში, ის, რაც კითხვას ბადებს ძალაუფლებაში, თავად სიცოცხლეა. ეს პოლიტიკური გადასვლა ბიოძალაუფლების თანამედროვე ფაზისკენ შეესაბამება კაპიტალისტური პოსტმოდერნიზაციის ეკონომიკურ გადასვლას, რომელშიც არამატერიალურმა შრომამ დაიკავა დომინანტური პოზიცია. აქაც, ღირებულების შექმნისა და კაპიტალის წარმოებისას, მთავარი სიცოცხლის წარმოება, ანუ მოსახლეობების შექმნა, მართვა და კონტროლია. მიუხედავად ამისა, ბიოძალაუფლების ფუკოსეული ხედვა მხოლოდ ზემოდან წარმოაჩენს სიტუაციას, როგორც სუვერენული ძალაუფლების პერეოგატივას. მეორე მხრივ, როდესაც სიტუაციას შრომის პერსპექტივიდან შევხედავთ, რომელიც ჩართულია ბიოპოლიტიკურ წარმოებაში, შეგვიძლია დავინყოთ ბიოძალაუფლების ამოცნობა ქვემოდან.

პირველი ფაქტი, რომელსაც ამ პერსპექტივიდან დავინახავთ, ის არის, რომ ბიოპოლიტიკური წარმოების შრომა მკაცრად არის კონფიგურირებული, როგორც გენდერირებული შრომა. მართლაც, ფემინისტური თეორიის მრავალ მიმართულებას უკვე ფართოდ აქვს გაანალიზებული ბიოძალაუფლების წარმოება ქვემოდან. მაგალითად, ეკოფემინიზმის მიმდინარეობა ტერმინს, „ბიოპოლიტიკა“, იყენებს (ისე, რომ ის, ერთი შეხედვით, ფუკოსეულისგან საკმაოდ განსხვავებულიც შეიძლება ჩანდეს) სხვადასხვა ფორმის ბიოტექნოლოგიის პოლიტიკის აღსანიშნავად, რომლებიც ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა

11 იხილეთ, primarily Michel Foucault, *The History of Sexuality*, vol. 1, trans. Robert Hurley (New York: Vintage, 1978), 135–45.

12 იხილეთ, Giorgio Agamben, *Homo Sacer* (Turin, Italy: Einaudi, 1995); and “Form-of-Life,” trans. Cesare Casarino, in Virno and Hardt, eds., *Radical Thought in Italy*, 151–56.

გაატარეს მოსახლეობებსა და გარემოზე, პირველ რიგში, მსოფლიოს დაქვემდებარებულ რეგიონებში.¹³ „მწვანე რევოლუციამ“ და სხვა ტექნოლოგიურმა პროგრამებმა, რომლებიც მიჩნეული იქნა კაპიტალისტური ეკონომიკური განვითარების საშუალებებად, სინამდვილეში თან მოიტანეს ბუნებრივი გარემოს განადგურება და ქალთა დაქვემდებარების ახალი მექანიზმები. თუმცადა, ეს ორი ეფექტი, სინამდვილეში, ერთი და იგივეა. ეს ავტორები ამბობენ, რომ პირველ რიგში, სწორედ ქალების ტრადიციულ როლზე, შეასრულონ კვლავწარმოების ამოცანები, იმოქმედა ყველაზე მწვავედ ეკოლოგიურმა და ბიოლოგიურმა ჩარევებმა. ამ თვალსაზრისით, გამოდის, რომ ქალებსა და ბუნებაზე ერთად ბატონობენ, მაგრამ ისინი, ასევე კოოპერაციული ურთიერთობით, ერთად მოქმედებენ ბიოპოლიტიკური ტექნოლოგიების თავდასხმის წინააღმდეგ, სიცოცხლის წარმოებისა და კვლავწარმოებისთვის. ცოცხლად გადარჩენა: პოლიტიკა თავად სიცოცხლის საკითხად იქცა, ბრძოლამ კი ზემოდან მომავალი ბიოძალაუფლების ქვემოდან მომავალ ბიოძალაუფლებასთან დაპირისპირების ფორმა მიიღო.

ძალიან განსხვავებულ კონტექსტში, შეერთებულ შტატებში მრავალმა ფემინისტმა ავტორმა გააანალიზა ქალის შრომის ძირითადი როლი სიცოცხლის წარმოებასა და კვლავწარმოებაში. კერძოდ, დედობრივ სამუშაოში ჩართული ზრუნვითი შრომა (განვასხვავოთ დედობრივი შრომა სამშობიარო შრომის ბიოლოგიურად სპეციფიკური ასპექტებისგან), დამტკიცებულია, რომ მეტად მდიდარი რელიეფია ბიოპოლიტიკური წარმოების გასაანალიზებლად.¹⁴ ბიოპოლიტიკური წარმოება აქ ძირითადად მოიცავს შრომას, რომელიც მონაწილეობს სიცოცხლის შექმნაში – არა შთამომავლობის შექმნის საქმიანობებს, არამედ სიცოცხლის შექმნას ზუსტად აფექტების წარმოებასა და კვლავწარმოებაში. აქ ცხადად შეგვიძლია გავიგოთ, როგორ იშლება განსხვავება წარმოებასა და კვლავწარმოებას შორის, ისევე როგორც ეს ეკო-

13 See Vandana Shiva and Ingunn Moser, eds., *Biopolitics: A Feminist and Ecological Reader* (London: Zed, 1995); and, more generally, Vandana Shiva, *Staying Alive: Women, Ecology, and Survival in India* (London: Zed, 1988).

14 იხილეთ, Sara Ruddick, *Maternal Thinking: Toward a Politics of Peace* (New York: Ballantine, 1989).

ნომიკასა და კულტურას შორის ხდება. შრომა უშუალოდ აფექტებზე მუშაობს; ის აწარმოებს სუბიექტურობას, აწარმოებს საზოგადოებას, აწარმოებს სიცოცხლეს. აფექტური შრომა, ამ თვალსაზრისით, ონტოლოგიურია – ის აჩვენებს ცოცხალ შრომას, რომელიც ქმნის სიცოცხლის ფორმას და ამით კიდევ ერთხელ მიაწვდის ბიოპოლიტიკური წარმოების პოტენციალზე.¹⁵

თუმცა, დაუყოვნებლივ უნდა დავძინოთ, რომ შეუძლებელია ამ პერსპექტივებიდან რომელიმეს უპირობოდ დავეთანხმოთ იმ უზარმაზარი საფრთხეების აღიარების გარეშე, რომელსაც ისინი ქმნიან. პირველ შემთხვევაში, ქალისა და ბუნების გაიგივება სქესობრივი განსხვავების ნატურალიზაციისა და აბსოლუტიზაციის საფრთხეს ქმნის, გარდა იმისა, რომ თვითონ ბუნებასაც სპონტანურად განსაზღვრავს. მეორე შემთხვევაში, დედების შრომის განდიდება ადვილად შეიძლება გააძლიეროს როგორც შრომის გენდერიზებული დაყოფა, ასევე განამტკიცოს ოიდიპალური დაქვემდებარებისა და სუბიექტიფიკაციის ოჯახური სტრუქტურები. დედობრივი შრომის ამ ფემინისტური ანალიზებიდანაც კი ცხადად ჩანს, თუ რამდენად რთული შეიძლება იყოს ზოგჯერ აფექტური შრომის პოტენციალის გამოდევნა როგორც კვლავწარმოების პატრიარქალური კონსტრუქციებიდან, ისე ოჯახის სუბიექტური შავი ხვრელიდან. ამასთან, ეს საფრთხეები – თუმცა შეიძლება მნიშვნელოვანი იყვნენ – ვერ უკუაგდებენ შრომის პოტენციალის ბიოძალაუფლებად აღიარების მნიშვნელობას, ბიოძალაუფლებად, რომელიც ქვემოდან მომავალია

სწორედ ეს ბიოპოლიტიკური კონტექსტია აფექტსა და ღირებულებას შორის სანარმოო ურთიერთობის კვლევის დაწყების საფუძველი. ის, რასაც აქ ვხვდებით, არის არა იმდენად წინააღმდეგობა, რასაც შეიძლება „აფექტურად აუცილებელი შრომა“ ვუწოდოთ, არამედ უფრო აუცილებელი აფექტური შრომის პოტენციალი. ერთი მხრივ, აფექ-

15 შრომის ონტოლოგიურად არსებითი შესაძლებლობების შესახებ, განსაკუთრებით, ფემინისტური თეორიის კონტექსტში, იხ. Kathi Weeks, *Constituting Feminist Subjects* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1998), 120-51.

ტურმა შრომამ, სიცოცხლის წარმოებამ და კვლავწარმოებამ, მყარად მოიკიდა ფეხი, როგორც კაპიტალისტური დაგროვებისა და პატრიარქალური წესრიგის აუცილებელმა საფუძველმა, თუმცა, მეორე მხრივ, აფექტების, სუბიექტურობებისა და სიცოცხლის ფორმების წარმოება უზარმაზარი პოტენციალია ვალორიზაციის ავტონომიური ბრუნვისა, და შესაძლოა, განთავისუფლებისთვის.

EMC